ა. გაინდურაშვილი

ს ა ხ ე ლ დ ე ბ ი ს ექსპერიმენტული ფსიქოლოგია

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1971

ნაშრომში განზოგადებულია სახელდების თანამედროვე ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ძირითადი შედეგები და მათი მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გარკვეულია მისი ძირითადი პრობლემები.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ფსიქოლოგი სტუდენტების, ასპირანტებისა და მეცნიერ-მუშაკთათვის. იგი საყურადღებო იქნება აგრეთვე ენათმეცნიერთა და ფილოსოფოსთათვის, რომელთაც აინტერესებთ მეტყველების (ენის) წარმოშობის, აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის, ენობრივი ნიშნის, სახელდების, მეტყველების მექანიზმისა და სხვა პრობლემები.

შესავალი

სახელდების პრობლემა ერთ-ერთი უძველესი პრობლემათაგანია. საკითხი — როგორია სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის არსებული კავშირის ბუნება, რატომ ეწოდა ამ საგანს ეს სახელი და არა სხვა, რით არის განპირობებული სხვადასხვა ენების არსებობის ფაქტი — ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული დღემდე წარმოადგენს ცხარე დისკუსიისა და პოლემიკის ობიექტს.

პრობლემისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა მეოცე საუკუნეში და იგი თანამედროვე ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად გადაიქცა. ეს დიდი ინტერესი განპირობებულია მისი მჭიდრო კავშირით ისეთ პირველხარისხოვან პრობლემებთან, როგორიცაა აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობა, მეტყველების (ენის) წარმოშობა, მეტყველების ფსიქოლოგიური მექანიზმი, ენის და ენობრივი ნიშნის ბუნების რაობა. სახელდების პრობლემა მჭიდრო კავშირშია ენის შესწავლის მეთოდოლოგიისა და მისი მიმართულების პრინციპების განსაზღვრასთან, აგრეთვე ისეთი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებთან, როგორიცაა უცნობი ენის შესწავლის მეთოდიკა და თვით მანქანური თარგმანის პრინციპების შემუშავებაც კი.

პლატონის დიალოგ „კრატილში" უკვე ვნახულობთ მითითებას იმის შესახებ, რომ საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ენის ლექსიკურ ფონდში შესულ სიტყვათა სახელდება და საკუთარი სახელების მქონე მოვლენების სახელდება. სახელდების ეს ორი სახეობა ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდება, თუმცა, როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევები გვიჩვენებს, მთელი რიგი საერთო სპეციფიკურობებითაც ხასიათდება[1]. მაგრამ როდესაც თანამედ-

[1] ob. Mass Observation (1946) Names. Mass Observation Bulletin. New Series, no. 2; Eagleson, O. W.—Students reactions to their given names. J. Soc. Psychology, 1946; Shoenfeld, N.—An experimental study

როგორ ლიტერატურაში მსჯელობა ეხება სახელდების პრობლემას, ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ ენის ლექსიკური ფონდის შემადგენლობაში შესული სიტყვების სახელდება, სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის დაკავშირება და არა საკუთარი სახელების მქონე საგნებისა და ადამიანებისათვის სახელების მიკუთვნება. წინამდებარე გამოკვლევაც სახელდების პრობლემის ამ მხარეს ეხება.

სახელდების პრობლემის კვლევა მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. საქმე იმაშია, რომ ყოველი თაობა ენას წინა თაობისაგან მზა სახით ღებულობს. ამიტომაც, როგორც ზოგიერთი ავტორი მიუთითებს იმის გასარკვევად, თუ როგორია სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის დაკავშირების ბუნება, როგორ ხორციელდება სახელდება, იძულებულნი ვხედებით უკვე მზა სიტყვის — სახელდების შედეგის მიხედვით ვიმსჯელოთ. მდგომარეობა იმითაც რთულდება, რომ ყოველი თანამედროვე ენა, განვითარების რაოდენ დაბალ საფეხურზედაც უნდა იდგეს ამ ენაზე მოლაპარაკე ენობრივი კოლექტივი, წარმოადგენს ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტს და, მაშასადამე, ფაქტიურად სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთდაკავშირების რაგვარობის შესახებ მსჯელობა გვიხდება არა ამ დაკავშირების თავდაპირველი შედეგის, თავდაპირველი სიტყვის საფუძველზე, არამედ სიტყვის მიხედვით, რომლის ბგერითი მხარეც და მნიშვნელობაც ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგად მრავალნაირ ცვლილებებს დაექვემდებარა. ძირითადად აღნიშნული სიძნელით არის განპირობებული, რომ საუკუნეთა მანძილზე სახელდების პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდნენ თეორიული გზით.

აღნიშნული სიძნელე სახელდების პრობლემის მკვლევრის წინაშე მართლაც დგას, მაგრამ მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე დონე შესაძლებლობას იძლევა საკითხის გადაწყვეტისას ვიხელმძღვანელოთ არა მხოლოდ ზოგადი პრინციპული მოსაზრებებით, არამედ ემპირიული მეცნიერებების მრავალმნიშვნელოვან მონაცემებსაც დავეყრდნოთ.

მართალია, თანამედროვე ენები ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტია, მაგრამ როგორც გვიჩვენებს ენის ენათ-

---

of some problems related to stereotypes. Arch. Psych. no. 270; 1942. Sheppard, D.—Characteristics associated with Christian names; British Jour. of Psychology, 54; 2; 1963. R. Katz—Psychologie des Vornamens, 1964.

პრობლემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მასალების მოპოვება შეიძლება აგრეთვე მეტყველების პათოლოგიიდანაც; ისევე როგორც საკითხზე მსჯელობისას, ალბათ საჭირო იქნება აგრეთვე დამწერლობის აღმოცენებისა და მისი შემდგომი განვითარების ისტორიის გათვალისწინებაც და სხვა.

კავშირი სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის, ანდა სოსიურის ტერმინები რომ ვიხმაროთ, აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის, ადამიანშია. მათ შორის კავშირს — სახელდებას ადამიანი ახორციელებს. ამიტომ გაუმართლებელია პრობლემის გადაწყვეტის ცდა იმის გათვალისწინების გარეშე, თუ როგორი სახით არის ეს კავშირი წარმოდგენილი ადამიანში, როგორ ახდენს ადამიანი სახელისა და მნიშვნელობის დაკავშირებას — სახელდებას. სახელდების პრობლემის გადაწყვეტისას ფსიქოლოგიის მონაცემების უგულებელყოფა, რასაც ზშირად აქვს ადგილი, გაუმართლებელია განსაკუთრებით დღეს, როდესაც პრობლემის ინტენსიური ექსპერიმენტული კვლევა მრავალი მიმართულებით წარმოებს და სახელდების პროცესის თავისებურებათა დასახასიათებლად მრავალი მნიშვნელოვანი შედეგია მოპოვებული.

სახელდების პრობლემის ექსპერიმენტული კვლევა მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო და თანამედროვე ფსიქოლოგიაში ინტენსიურად მიმდინარეობს. თითქოს კვლევის პრაქტიკამ ნათელი გახადა პრობლემის ექსპერიმენტული კვლევის პერსპექტიულობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდე არ შემწყდარა დავა სახელდების პრობლემის გადასაწყვეტად ამ შედეგების მნიშვნელობისა და ადგილის შესახებ. ამის მიზეზი პრობლემის სპეციფიკურობაში უნდა ვეძიოთ. საქმე ისაა, რომ ექსპერიმენტები ტარდება თანამედროვე, განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფი ერთი ან რამდენიმე ენის მფლობელ ადამიანზე, ხოლო დასკვნები, ჰ. პაულის ტერმინი რომ ვიხმაროთ, სიტყვათა პირველქმნადობის პროცესის დასახასიათებლად არის გამიზნული. სიტყვათა პირველქმნადობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ესაა თუ ის ბგერათა კომპლექსი უკავშირდება გარკვეულ შინაარსს, რომელიც ამ ბგერათა კომპლექსს აძლევს გარკვეულ მნიშვნელობას, მაგრამ ეს კავშირი მათ შორის მყარდება რომელიმე მონათესავე, უკვე ადრე გარკვეულ შინაარსთან დაკავშირებული ბგერათა კომპლექსის შუამავლობის გარეშე [1].

---

[1] Г. Пауль. Принципы истории языка, 1960 г., стр. 214.

მართალია, თანამედროვე ენების ახალი სიტყვებით შევსება დღესაც გრძელდება და ალბათ არც არასოდეს შეწყდება, მაგრამ როგორი შინაარსის სახელდებაც არ უნდა უხდებოდეს თანამედროვე ადამიანს, როგორც წესი, ყოველთვის მოიძებნება ამა თუ იმ სახის ასოციაციები, რომლებითაც ეს შინაარსები უკავშირდება სახელმდებლის მიერ მემკვიდრეობით მიღებულ ენობრივ მასალას. ეს ენობრივი მასალა, რომელიც ჩვენ ერთხელ და საბოლოოდ შევისისხლხორცეთ, წარმოადგენს ისეთ უზარმაზარ მასას, რომ თითქმის არავის არ შეუძლია მისი გვერდის აცილა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მნიშვნელობათა გადატანით, ენის მრავალრიცხოვანი ელემენტების სხვადასხვაგვარი კომბინაციით და სხვა, შესაძლებელი ხდება ამ ენობრივი მასის კიდევ უფრო გაზრდა, ნათელი გახდება, მიუთითებენ სახელდების ექსპერიმენტული კვლევის მოწინააღმდეგენი, რომ შეუძლებელია ექსპერიმენტულ პირობებში მოხერხდეს სიტყვის პირველქმნადობის პროცესის დასახასიათებლად რაიმე მნიშვნელოვანის მოპოვება.

ეს სიძნელე რეალური სიძნელეა და არ შეიძლება მას ანგარიში არ გაეწიოს. მაგრამ იგი საკმარისი არ არის იმ თეორიის გაზიარებისათვის, რომელიც ამ მოსაზრებას უდევს საფუძვლად და რომლის მიხედვითაც თითქოსდა ენის განვითარებაში უნდა განვასხვავოთ პერიოდი, როდესაც იქმნებოდა პირველდაწყებითი ენობრივი მასალა, ე. წ. ფუძეები, იმ პერიოდისაგან, როდესაც თითქოსდა ადამიანები კმაყოფილდებოდნენ მათ განკარგულებაში უკვე არსებული ენობრივი ელემენტების კომბინირებით.

ძნელი წარმოსადგენია ენის განვითარების ის ეტაპი, წერს ჰ. პაული, რომელზედაც შეწყდა პირველქმნადობა. ალბათ პირველი სიტყვების შექმნისთანავე თავი იჩინა თავდაპირველი მასალების გაფართოების იმ გზებმა და საშუალებებმა, რომელთაც უფრო გვიანდელ პერიოდში ჰქონდათ აღგილი. ამ აზრით ენის განვითარების ცალკეულ პერიოდებს შორის განსხვავება უნდა ატარებდეს არა თვისობრივ, არამედ მხოლოდ რაოდენობრივ ხასიათს [1]. პაულის აზრით, პირველქმნადობა არ ნიშნავს ლექსიკის მხოლოდ პირველადი ფონდის, მხოლოდ პირველი სიტყვების შექმნას. პირველქმნადობის არსი მდგომარეობს სახელისა და მნიშვნელობის ისეთ დაკავშირებაში, როდესაც ეს კავშირი სემანტიკური კავშირებით,

[1] Г. Пауль, Принципы истории языка. 1960 г., стр. 213—214.

სხვა სიტყვების შუალობით არ არის განპირობებული. ამიტომ ძნელია არ გაიზიარო მისი აზრი, რომ სახელისა და მნიშვნელობის ასეთი ხასიათის დაკავშირებას ადგილი ჰქონდა მაშინაც, როდესაც უკვე ფართო გასაქანი მიეცა ენაში არსებული სიტყვების საფუძველზე ახალი სიტყვების წარმოებას. ყოველ შემთხვევაში, გვიანდელი წარმოშობის პიკტორალური მომენტების შემცველი სიტყვების არსებობის ფაქტი ამ მოსაზრების მართებულობაზე მიუთითებს. ამიტომ, როდესაც ვამბობთ, რომ სახელდების ექსპერიმენტები თანამედროვე ადამიანზე ტარდება, ხოლო დასკვნები ლექსიკური ფონდის პირველქმნადობის პროცესის დასახასიათებლად არის გამიზნული, ეს არ ნიშნავს, რომ ექსპერიმენტები გამიზნულია პირველადი ლექსიკური ფონდის სახელდების პროცესის დასახასიათებლად, ეს ნიშნავს, რომ ის გამიზნულია სიტყვათა პირველქმნადობის პროცესის დასახასიათებლად, რომელიც ენების განვითარების თანამედროვე პერიოდისათვისაც არ არის უცხო.

ჰ. პაულის მითითებიდან, რომ ენების განვითარების ცალკეულ პერიოდებს შორის (სიტყვათა პირველქმნადობისა და უკვე არსებული ელემენტების კომბინირების გზით სიტყვაწარმოების) არის რაოდენობრივი და არა თვისებრივი განსხვავება. გამომდინარეობს, რომ ენის ლექსიკაში არსებობს ორი, თვისებრივად განსხვავებული კატეგორიის სიტყვები. სიტყვათა ერთი ჯგუფი პირველქმნადობის გზით არის მიღებული, ე. ი. სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის დაკავშირება მოხდა რაიმე უკვე სახელდებული შინაარსის სახელის მონაწილეობის გარეშე, და სიტყვათა მეორე ჯგუფი, რომელიც შექმნილია მხოლოდ უკვე არსებული ენობრივი ელემენტების კომბინირების გზით. ამ მოსაზრებას დღესაც მრავალი მკვლევარი იზიარებს, მრავალ მათგანს ენის ლექსიკა სწორედ ასეთი ორი, თვისებრივად განსხვავებული კატეგორიის სიტყვებისაგან შედგენილად აქვს წარმოდგენილი.

წინააღმდეგ ამ გავრცელებული აზრისა მრავალი ფაქტის დამოწმება შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ სიტყვები, რომლებიც ენობრივი ელემენტების კომბინირების გზით არიან მიღებულნი, სავსებით არ არიან მოკლებულნი პირველქმნადობის ელემენტებს. ასე მაგალითად, ხშირად ენობრივი კოლექტივი უარყოფს რომელიმე ახალ სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა წარმოებულია ამ ენისათვის სპეციფიკური სიტყვაწარმოების წესების დაც-

ლი. ამის მიუხედავად, პრობლემის განხილვის ლოგიკამ, სახელდობრ, ისტორიულ პიანში მისი განხილვის საჭიროებამ, გვაიძულა მოკლედ და სქემატურად მაინც განგვეხილა საკითხი— სახელდების პრობლემა მეტყველების წარმოშობის თეორიებში. ასევე აუცილებელი გახდა ცალკე თავი დაგვეთმო იმის გარკვევისათვის, თუ როგორ წყდება სახელდების საკითხი ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორიაში, რადგანაც სახელდების პრობლემის გადაწყვეტის ორი ძირითადი ნაირსახეობიდან, რომელსაც ანტიკური პერიოდიდან დღემდე არ დაუკარგავს თავისი მიმდევრები, დღეისათვის ერთ-ერთი ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორიის ფუნდამენტურ დებულებას წარმოადგენს და თავისი ყველაზე უფრო სრულყოფილი სახით ამ თეორიაშია წარმოდგენილი.

თავი პირველი

სახელდების პრობლემა მეტყველების (ენის) წარმოშობის თეორიებში

მეტყველების (ენის) წარმოშობის პრობლემა მიუხედავად თავისი სირთულისა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პრობლემაა. ერთი მხრივ საკითხის უკიდურესმა პოპულარობამ, მეორე მხრივ, მისი გადაწყვეტისათვის საჭირო მონაცემების არარსებობამ, განაპირობა, რომ მეტყველების (ენის) წარმოშობის პრობლემა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში მეტაფიზიკურ პრობლემად იქნა გამოცხადებული. საკითხისადმი ასეთი უპერსპექტივო დამოკიდებულება განსაკუთრებით გაძლიერდა მეოცე საუკუნეში. ხოლო ენათმეცნიერებაში ფრანგული სოციოლოგიური სკოლის ფუძემდებლის ფერდინანდ დე სოსიურის აზრით, ამ საკითხის დასმა საერთოდ არც არის საჭირო. მეტყველების წარმოშობის პრობლემისადმი მიდგომის ასეთი ტენდენცია ზოგიერთ საბჭოთა მეცნიერთანაც შეინიშნება, და თუ ისინი მაინც ეხებიან ამ პრობლემას, ეს არსებითად მეთოდოლოგიური მოსაზრებებით არის ნაკარნახევი.

მეტყველების (ენის) წარმოშობის პრობლემა კომპლექსური პრობლემაა და საჭირო ხდება მასში სხვადასხვა მხარეების გამოყოფა. საჭიროა გაირკვეს: მეტყველების ბიოლოგიური წანამძღვრები, ურთიერთობის მოთხოვნილების გაჩენისათვის საჭირო აუცილებელი პირობები, რა იყო საწყისი მასალა, როგორია სახელისა და მნიშვნელობის დაკავშირების მექანიზმი, მეტყველების (ენის) განვითარების სტადიები და სხვა [1]. ცხადია, მეტყველების წარმოშობის ყველა ცნობილი თეორია შორსაა იმისაგან, რომ ამომწურავად იხილავდეს

---

[1] А. Г. Спирькин. Происхождение языка и его роль в формировании мышления, сб. «Мышление и речь», М., 1957 г., стр. 3—4.

პრობლემის ყველა მხარეს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი გვერდს ვერ აუვლის სახელდების პრობლემის გადაწყვეტას, თავს ვერ აარიდებს იმის გარკვევას, თუ როგორ დამყარდა კავშირი სახელსა და მნიშვნელობას შორის, როგორია მათი დაკავშირების მექანიზმი. მეტყველების წარმოშობის თეორიათა სიმრავლის გამო შეუძლებელია ყველა თეორიის განხილვა და იმის ჩვენება, თუ რა სპეციფიკურობით ხასიათდება თითოეულ მათგანში სახელდების პრობლემის გადაწყვეტა. ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმ ორი ძირითადი მიმართულების განხილვით, რომლებიც მკვეთრად გამოიკვეთება მეტყველების წარმოშობის მრავალრიცხოვან თეორიებში ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

ანტიკურ პერიოდში მეტყველების წარმოშობის პრობლემა არსებითად სახელდების საკითხით ამოიწურებოდა. ძველ საბერძნეთში გაცხოველებული დისკუსია წარმოებდა იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს ამა თუ იმ საგნის სახელს, მოცემულ საგანს რატომ ეწოდება ეს სახელი და არა სხვა. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გამოთქვეს ჰერაკლიტემ, დემოკრიტემ, პროტაგორამ, ეპიკურიელებმა, სტოელებმა, სკეპტიკოსებმა და სხვებმა [1]. ხოლო პლატონის დიალოგ „კრატილში" პრობლემა საკმაოდ დეტალურად არის განხილული.

ძველი ბერძნების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სახელდების საკითხზე მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. დღესაც, სახელდების საკითხის გადაწყვეტაში შეინიშნება ორი ძირითადი მიმართულება, რომლებიც ანტიკურ პერიოდში ასეთი სახით ჩამოყალიბდა: 1. სახელსა და მნიშვნელობას შორის კავშირი არსებითია; საგანი განსაზღვრავს, თუ რა სახელი დაერქმევა მას. ხოლო რაში მდგომარეობს ეს კავშირი, ეს სხვადასხვა თეორიის მიერ სხვადასხვაგვარად არის გაგებული. 2. სახელსა და მნიშვნელობას შორის კავშირი ნებისმიერია, პირობითია. სახელი საგანს ეწოდა შეთანხმება-დაკანონების გზით.

სახელდების საკითხის პირველნაირი გადაწყვეტა მოცემულია ე. წ. ხმაბაძვის და შორისდებულის თეორიებში, რომლებიც ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა წამოაყენეს. მათ მეტყველების წარმოშობის სა-

---

[1] იხ. Аналитические теории языка и стиля, 1936 г.,
В. Томсен, История языкознания до конца XIX века, 1938 г.
А. О. Маковелский, Древнегреческие атомисты, Баку, 1946 г.

კითხის მკვლევარი გვერდს დღესაც ვერ აუვლის. დღეისათვის ეს თეორიები პრიმიტიულ, გულუბრყვილო თეორიებად არის მიჩნეული. თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც წესი, როდესაც ხმაბაძვის თეორიას ეხებიან, მიუთითებენ, რომ ამ თეორიის მიხედვით პირველყოფილი ადამიანის პირველი სიტყვები წარმოადგენს ამ სიტყვებით აღნიშნული საგნებისა და მოვლენების მიერ გამოცემულ ბგერების იმიტაციას, წაბაძვას და ემყარება ყველა ენაში ისეთი კატეგორიის სიტყვების არსებობის ფაქტს, როგორიცაა მაგალითად ქართულში—ჭრიჭინი, გუგული, ყიყინი, შრიალი, შიშინი, კაკანი და სხვა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ თეორიამ ასეთი პრიმიტიული და გულუბრყვილო სახე უფრო გვიან მიიღო და თავდაპირველად ყოველთვის ასე გულუბრყვილოდ არ გამოიყურებოდა. ასე მაგალითად, პლატონის დიალოგ „კრატილში" გამოთქმული მოსაზრებები, ისევე როგორც სტოელების შეხედულებანი სახელდების საკითხზე, რომლებსაც ჩვეულებრივ ხმაბაძვის თეორიებს მიაკუთვნებენ, არსებითად განსხვავებულია ამ თეორიების თანამედროვე ლიტერატურაში წარმოდგენილი ვარიანტებისაგან.

პლატონის დიალოგ „კრატილში" საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი სახელდების საკითხის გადაწყვეტის ზემოთ აღნიშნული ორიენაირი ვარიანტი. პირველ მათგანს იცავს კრატილი, ხოლო მეორეს — ჰერმოგენე. სოკრატე არბიტრის როლში გვევლინება და გამოთქვამს მოსაზრებებს როგორც ერთი, ასევე მეორე თვალსაზრისის შესახებ. მართალია, საბოლოოდ იგი არც პირველ და არც მეორენაირ გადაწყვეტას არ უჭერს მხარს, საკითხს ღიად ტოვებს, მაგრამ ამას ამ შემთხვევაში არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

განვიხილოთ საკითხის გადაწყვეტის პირველნაირ ვარიანტთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები. ყოველივე არსებულს თავისი შესაფერისი, მართებული სახელი აქვს როგორც ბერძნულ, ასევე სხვა ხალხების ენებშიც. სახელი, ისევე როგორც ბურღი, მაქო და სხვ. იარაღია. სახელი იარაღია, რომლის საშუალებითაც ვსწავლობთ, ვანსხვავებთ და ვყოფთ საგნებს, ისევე როგორც მაქო ყოფს საქსოვის ქსელს.

ისევე როგორც დურგალმა მაქოს კეთების დროს უნდა გაითვალისწინოს ერთი მხრივ მაქოს იდეა და მეორე მხრივ — ის ქსოვილი, რის მოსაქსოვადაც უნდა გამოიყენონ იგი, ასევე სახელმდებელმა ბგერებისა და მარცვლებისაგან უნდა შეძლოს სახელის შექმნა, რო-

მელიც თავისი ბუნებით გარკვეული საგნის სახელად გამოდგება. ის ფაქტი, რომ საგანს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი სხვადასხვა სახელს უწოდებენ, ვერ გამოდგება სახელთა მართებულობის საპირისპიროდ. რა ვუყოთ, რომ ყველა სახელმდებელი ერთსა და იმავე მარცვლებს არ იყენებს. არც ერთი მჭედელი არ იყენებს ერთი და იმავე რკინას, თუმცა ქმნის ერთსა და იმავე იარაღს ერთი და იმავე მიზნისათვის. და რაკი ქმნიან ერთი და იმავე იდეის მიხედვით, უვარგის იარაღს არ ქმნიან იმის მიუხედავად ხელოსანი ბერძენია თუ ბარბაროსი [1]. სახელის შესაქმნელად, თუკი იგი სახელის იდეის შესაფერისად არის წოდებული, სულ ერთია რა მარცვლებს იყენებს სახელმდებელი. სახელდება არ არის იოლი საქმე, რადგანაც საგნის ბუნების შესაფერისი სახელის შექმნა ბგერებისა და მარცვლებისაგან ყველას არ შეუძლია.

„კრატილში" განხილულია ერთმანეთისაგან საკუთარ სახელთა, წარმოებულ სიტყვათა შექმნა და თავდაპირველი სახელდება. გმირთა და კაცთა სახელებმა შეიძლება საერთოდ შეცდომაში შეგვიყვანოს, რადგანაც ადამიანებს უმთავრესად წინაპართა სახელებს არქმევენ; ბევრი სახელი გამოხატავს სახელმდებლის სურვილს, ამიტომ სახელდების ბუნების გარკვევისათვის საკუთარი სახელები არ გამოდგება. სახელი არა მარტო შესაფერისი უნდა იყოს სახელსადებისათვის, არამედ იგი ლამაზიც უნდა იყოს, უნდა შეეფერებოდეს ეპოქის გემოვნებას. ამის გამო ენაში ხმარებულმა სახელებმა მრავალნაირი ცვლილებები განიცადეს, დაემატა ან დააკლდა ასოები, „დავრიხეს" ისინი სილამაზისა თუ ეპოქის გემოვნების შესაბამისად. ამი-

---

[1] ამ არგუმენტთან დაკავშირებით მერიდიე შენიშნავს: „საეჭვო არგუმენტია. ორი მჭედელი ერთსა და იმავე იარაღს ქმნის არა სხვადასხვა მასალისაგან, არამედ ერთი და იგივე მასალის სხვადასხვა ნაჭრისაგან: ხოლო თუ ენის მასალა ასოებია და მარცვლები, ცხადია, ანტროპოს და ჰომოს სხვადასხვა მასალისაგანაა შექმნილი." Platon, Cratyle, texte établi et traduit par Luis Méridier, Paris. 1931. გვ. 59—60. მერიდიეს ეს შენიშვნა გამოთქმული მოსაზრების ეარსაყოფად არ გამოდგება, რადგანაც მჭედლის მაგალითი მოყვანილია მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, რომ შესაძლებელია მასალა სხვადასხვა იყოს. მაგრამ შესატყვისობა აუცილებელია; რომ შესატყვისობა შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა მასალისაგან შექმნილ სახელებსა და ამ სახელებით აღნიშნულ საგნებს შორისაც. ისევე როგორც ერთი და იგივე იარაღის დასამზადებლად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მასალა, მაგრამ აუცილებელია, რომ მასალის, რომლისაგანაც ვამზადებთ იარაღს, ჰქონდეს ისეთი თვისებები, რომლებიც შეესატყვისება ამ იარაღისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ტომაც ძნელდება ყველა სიტყვის ეტიმოლოგიური ძირების დადგენა. ესეც არ იყოს, ეტიმოლოგიურ ძიებას აქვს საზღვარი და ალბათ მივადგებით სიტყვებს, რომლებიც სხვა სიტყვებისაგან აღარ შედგება. აქ უკვე საქმე გვაქვს სტიქიასთან (ასოებთან) და საკითხი უნდა სხვაგვარად გადაწყდეს.

თუ სახელები არსთა ბუნებას უნდა გამოხატავდნენ, როგორ გაგვიმჟღავნებენ მაშინ მას პირველადი სახელები, რომლებიც სხვა სახელებს არ ეყრდნობიან? ენა და ხმა რომ წაგვრთმეოდა და არა საუბრის სურვილი, ალბათ მუნჯებს მივბაძავდით და ხელით, თავით ან სხეულის სხვა ნაწილით ვანიშნებდით ერთმანეთს სათქმელს, მივბაძავდით საგნებს და ამის შედეგად შეეძლებდით წარმოგვედგინა ის, რისი წარმოდგენაც გვინდა. ასევე, როდესაც ხმით, ენით და პირით ვაპირებთ საგანთა წარმოდგენას, აქაც მიბაძვა მოგვიხდება, ოღონდ მიბაძვა ხმის, ენის და პირის საშუალებით. სახელიც მიბაძვაა, ოღონდ მიბაძვა ხმით, მაგრამ არა ყოველგვარი ხმით მიბაძვა არის სახელი. ხმით მიბაძვას ადგილი აქვს მუსიკაშიც, მაგრამ ასეთი მიბაძვის დროს სახელი არ იქმნება, ადგილი არა აქვს სახელდებას. საგნის ხმის, მისი ფორმის და სხვა ნიშნების მიბაძვას სახელდებასთან არაფერი აქვს საერთო—ეს მუსიკისა და მხატვრობის საქმეა. საგანს გარეგან თვისებებთან ერთად საკუთარი არსიც გააჩნია. და სწორედ ამ არსის მიბაძვა ასოებისა და მარცვლების მეოხებით არის სახელდება, მხოლოდ არსის მიბაძვის შედეგად მიიღება სახელი. ასე მაგალითად: მოძრაობის გადმოცემა დაეკისრა r-ს იმიტომ, რომ მისი წარმოთქმისას ენა განუდმებით თრთის და ტრიალებს: i—გამოიყენება სელისა და სწრაფვის გამოსახატავად: ph, ps, s, dz ფშვინვიერთა საშუალებით სახელმდებელი ჰბაძავს და ასახელებს იმას, რაც თავისი ბუნებით დიდად წააგავს ამ ბგერებს (სტიქიებს): ცივს, მდუღარეს, რყევას და ძერას. d და t-ს წარმოთქმისას აწვებიან ენას და კუმშავენ მას, ამიტომაც მათ დაეკისრათ ბორკილისა და დგომის გადმოცემა. a—დიდს მიეწერა, ē—გრძელს, მრგვალის გადმოსაცემად o-ს შიმართავენ. ასე და ამრიგად ასოებითა და მარცვლებით შეიქმნა დანარჩენ საგანთა სახელებიც, შემდეგ კი გადავიდნენ წარმოებულ სიტყვებზე, რომელთაც საფუძვლად პირველქმნილი სიტყვები დაედო.

მართებული სახელი არის ის, რომელიც ცხადყოფს ჩვენთვის საგნის არსს; ასე რომ სახელები გვასწავლიან. ს ხ ვ ა დ ას ხ ვ ა ენა-

ში სხვადასხვა სახელი გამოიყენება საგნისათვის და ეს სახელები ერთმანეთს ჰგავს იმით, რომ ისინი საგნის არსს შეესატყვისებიან. პირველმა სახელმდებელმა სახელები საგნებს დაადო ისე, როგორც ის მათ აღიქვამდა. ვინც სახელის რაობას შეიცნობს შეიცნობს საგანსაც. რადგანაც სახელი საგნის არსის მსგავსია. საგანთა შეცნობა შეიძლება როგორც თვით საგნის, ასევე სახელთა მეოხებითაც. მაგრამ პირველმა სახელმდებელმა შესაძლოა არასწორად აღიქვა საგანი და რაკი სახელიც თავისი აღქმულის მიხედვით დაარქვა, მისი მიმდევარნიც მოვტყუვდებით. ამიტომ საგანთა შესაცნობად და მისაგნებად სახელებიდან კი არ უნდა გამოვიდეთ, არამედ უპირველეს ყოვლისა თვით საგნებიდან [1].

როგორც ვხედავთ, „კრატილში" გამოთქმული მოსაზრება შორსაა ხმაბაძვის იმ თეორიისაგან, რომლის მიხედვითაც ადამიანთა ენის პირველი სიტყვები ამ სიტყვებით აღნიშნული საგნების მიერ გამოცემული ბგერების წაბაძვას წარმოადგენდნენ. ასევე შორს არის ხმაბაძვის ტრაფარეტული თეორიისაგან სტოელების მიერ გამოთქმული მოსაზრებებიც, სტოელთა შეხედულების მიხედვით, როგორც ავგუსტინე გადმოგვცემს, თუ საგნები ჩვენი გრძნობებით რბილად ან უხეშად განიცდება, მათ სახელებში გამოიყენება ბგერები, რომლებიც სმენით ასევე რბილად ან უხეშად განიცდება. მაგალითად, როდესაც ჩვენ წარმოვთქვამთ სიტყვას „lene" (სირბილე), ის ასევე რბილადაც ეღერს; ვინ არ ამჩნევს სისასტიკეს თვით სიტყვა „asper"-ში? სირბილე შეიგრძნობა ყურით, როდესაც წარმოვთქვამთ „voluptas" (ტკბობა). სიმაგრის შეგრძნობაა, როდესაც წარმოვთქვამთ „crux" (ჯვარი); თაფლი (mel) ტკბილი გემოსია და მისი სახელიც სასიამოვნოდ ეალერსება სმენას, ხოლო სიტყვა „მწარე" (acer) უსიამოვნო გემოს შეესატყვისება და ა. შ. [2]

პლატონის დიალოგში და სტოელების მიერ გამოთქმული მოსაზრებები უფრო ახლოსაა ფონეტიკური სიმბოლიზმის გავრცელებულ თეორიასთან და ჰ. ვერნერის მეტყველების წარმოშობის ფიზიოგნომიკურ თეორიასთან, ვიდრე იმ გულუბრყვილო თეორიასთან, რომელიც თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში ხმაბაძვის თეორიის სახელით არის ცნობილი.

---

[1] პ ლ ა ტ ო ნ ი, კრატილი. ქართული თარგმანი ბ. ბრეგვაძის (ხელნაწერი).

[2] იხ. И. П р е з е н т, Происхождение речи и мышления, 1928, стр. 20—21.

პლატონისა და სტოელების მიერ გამოთქმული თვალსაზრისისათვის უფრო სწორი იქნებოდა გვეწოდებინა არა ხმაბაძვითი თეორია, როგორც ამას ჩვეულებრივ აქვს ხოლმე ადგილი, არამედ ბგერითი შესატყვისობის თეორია. ასეთი ტერმინოლოგიური გამიჯვნა აუცილებელია იმიტომაც, რომ ჩვეულებრივ სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც წესი, კრიტიკულად იხილავენ ხმაბაძვითი თეორიის ბოლოდროინდელ გამარტივებულ ვარიანტს და მას მიაწერენ მრავალ ისეთ ავტორს (ვ. ჰუმბოლდტი, ი. გრიმი, უიტნეი და სხვ.), რომელთა მოსაზრებებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება თეორიის ასეთი გულუბრყვილო ვარიანტისაგან.

არანაკლებ გავრცელებულია მეტყველების წარმოშობის ე. წ. შორისდებულების ანუ წამოძახილების თეორია, რომელსაც ჯერ კიდევ ეპიკურიელები იცავდნენ. ამ თეორიის ძირითადი ნაწილი—რომლის მიხედვითაც, პირველყოფილი ადამიანები, იღებდნენ რა გარკვეულ შთაბეჭდილებებს გარემოსთან ურთიერთობის პროცესში, უნებურად გამოსცემდნენ ბგერებს და ეს უნებური წამოძახილები შემდგომ შესატყვისი საგნების სახელებად გადაიქცნენ — გაზიარებულ იქნა მრავალი გამოჩენილი მოაზროვნის მიერ. ამ თვალსაზრისზე იდგა დიდი რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი ლუკრეციუსი, მას იზიარებდა ნეოკანტიანელი ფილოსოფოსი ლ. ნუარეც. ლ. ნუარეს ენის წარმოშობის ე. წ. შრომითი თეორიის მიხედვით ენა აღმოცენდა რეფლექსური წამოძახილების საფუძველზე, წამოძახილების, რომლებიც თან ახლდა შრომის აქტს დაძაბულობისას ამოსუნთქვის დროს. შრომის პროცესის ეს თანმხლები რეფლექსური წამოძახილები თანდათანობით გადაიქცნენ შრომითი პროცესების სიმბოლოებად, პირველი სიტყვების — ზმნების ფუძეებად. ლ. ნუარეს აზრით მეტყველების წარმოშობის შესახებ მსჯელობისას თუ გამოვალთ შრომის პროცესში მონაწილე ადამიანების ურთიერთშეძახილებიდან, ეს შესაძლებლობას მოგვცემს, ავხსნათ, ჯერ ერთი, პირველი სიტყვების ყველასათვის გასაგებობის ფაქტი და მეორე მხრივ, პირველადი სიტყვების ფუძეების ზმნური ხასიათი[1]. ნუარეს თეორიის გავლენას განიცდიდა ნ. მარი, ხოლო კ. ბიუხნერი და გ. პლეხანოვი გვეელინებიან ამ თეორიის პოპულარიზატორებად.

---

[1] Л. Нуаре. Орудие труда и его значение в истории развития человечества, 1925 г.

ჩ. დარვინის მიხედვით მეტყველებას საფუძვლად დაედო გვარის თვითშენახვის ინსტინქტთან დაკავშირებული ემოციური წამოძახილები.

ხმაბაძვის და შორისდებულების თეორიებს უკანასკნელ პერიოდში ნაკლებ ანგარიშს უწევენ და მათ საგანგებო განხილვას ზოგიერთი საჭიროდაც არ თვლის, ანდა ცალკეული შენიშვნებით კმაყოფილდება. ამ თეორიათა მოწინააღმდეგენი მიუთითებენ, რომ სიტყვები, რომლებსაც ეს თეორიები ემყარებიან, ყოველ ენაში შედარებით მცირერიცხოვანია და არ წარმოადგენენ ძირითად ფუძეებს, რომელთაგანაც მომდინარეობს სიტყვაწარმოება; რომ ხმაბაძვის პრინციპზე აგებულად მიჩნეული სიტყვები ზუსტად არასოდეს არ წარმოადგენენ ბუნებრივ ბგერებს, რადგანაც ეს უკანასკნელნი დაუნაწევრებულნი არიან, მეტყველება კი დანაწევრებულია; რომ სიტყვები, რომლებიც ერთ ხალხს ბგერითი ბაძვის პრინციპებზე შედგენილად მიაჩნია, მეორისათვის არ ითვლება ასეთად, ანდა მათ მიერ სულ სხვა მოვლენის მიერ გამოცემულ ხმისბაძვად აღიქმება. აღნიშნავენ, რომ ბუნების მოვლენების მიერ გამოცემულ ბგერათა წაბაძვა საჭიროებს სმენისა და მეტყველების ორგანოების განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს, რაც შეუძლებელია არსებულიყო მეტყველების არარსებობის პირობებში.

ჰ. პაული და სხვა ავტორებიც მიუთითებენ, რომ ყველა შორისდებული არ არის ნამდვილი ბუნებრივი ბგერა, ყველა მათგანი თავისი არსით აუცილებლად არ გამომდინარეობს აფექტის მდგომარეობიდან ისე, როგორც სიცილი და ტირილი. შორისდებულები, ისევე როგორც ენის სხვა ელემენტები, შეიძლება წინა თაობისაგან იქნენ შეთვისებულნი. ამიტომაც შესაძლებელია, ერთი და იგივე ემოციის გამოხატვის საშუალებანი სხვადასხვა იყოს არა მარტო სხვადასხვა ენაში, არამედ ერთსა და იმავე დიალექტშიაც კი. შორისდებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გვიანი წარმოშობისაა და მათი შორისდებულისეული ხასიათი მომდინარეობს არა ემოციებთან უშუალო კავშირებიდან, არამედ სემანტიკური შუამავალი რგოლის მეშვეობით [1].

ს. რუბინშტეინის აზრით ბგერითი წაბაძვის და შორისდებულის თეორიების ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ისინი არ ითვალისწინებენ ბგერითი მეტყველების აგებულების პრინციპებს. ბგერითი მეტყ-

---

[1] Г. Пауль, Принципы истории языка, М., 1960 г., стр. 218—219.

ველება პრინციპში ბგერითი გამოხატვისაგან განსხვავებულ საფუძ-ლებზეა აგებული. მეტყველებისათვის არსებითია აღნიშვნა და არა ხაგნის გამოხატვა, იგივე ითქმის ემოციური წამოძახილების (შორის-დებულების) თეორიის შესახებაც. შორისდებულები არ ქმნიან მე-ტყველების საფუძვლებს და რაც მთავარია, რამდენადაც ისინი უბრა-ლოდ მხოლოდ გამომხატველობითი ბგერითი მოძრაობებია, მათი წარმოშობის ახსნა სიძნელეს არ შეადგენს, მაგრამ ეს არ იქნება მეტყველების ახსნა. აუხსნელი დარჩება, თუ როგორ აღმოცენდა სიტყვა, რომელიც არა მარტო გამომხატველია, არამედ რაღაცასაც აღნიშნავს[1]. მიუთითებენ, რომ ბგერითი წაბაძვისა და შორისდებუ-ლის თეორიები ტიპობრივ ინდივიდუალისტურ თეორიებს წარმო-ადგენს და „მიუხედავად განსხვავებისა, ამ ორ თეორიას საერთო პრინციპი უდევს საფუძვლად: როგორც ერთის, ისე მეორის მიხედ-ვით პირველ სიტყვებს ცალკეული პირები ქმნიან. სრულიადაც არ არის საჭირო ადამიანთა ჯგუფი იმისათვის, რომ გაიგონო „გუ-გუ" და დაუკავშირო იგი გარკვეულ ფრინველს, ან იმისათვის, რომ დაიყ-ვირო შიშისაგან. ან აუტანელი ტკივილისაგან"[2].

დელაკრუას აზრით ხმაბაძვის თეორია უკვე განვლილი ეტაპია მეცნიერებაში. დღეს უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი ნატურალურ სიმბოლიკაზე. ცდა, რომ ბუნების თვისებების დახმარებით აეხსნათ სიტყვების ბგერები და აზრი, მიზანს ვერ აღწევს. შესაძლებელია და-ვუშვათ, რომ ბგერას შეუძლია გვემსახუროს აღმნიშვნელად და სა-ხელწოდებად, როდესაც მაგალითად ცხოველის ყვირილის იმიტაციას ახდენს, მაგრამ ონომატოპია არ არის მყარი; სხვადასხვა ენაში ერ-თი და იგივე ცნება გამოსახულია სხვადასხვა ბგერით, სიტყვებთან დაკავშირებული აზრები იცვლება სიტყვის ბგერითი მხარის ვარია-ციის გარეშე. გარდა ამისა, დამტკიცებულია, რომ ონომატოპიებს აქვთ ძლიერ სუბიექტური ხასიათი; ისინი იცვლებიან ლინგვისტური ჯგუფების მიხედვით და სიტყვები ექსპრესიულ ღირებულებას მხო-ლოდ მნიშვნელობის წყალობით იძენენ. თავის იმიტაციურ ღირე-ბულებას ისინი იძენენ ბანალური სიტყვების ფონეტიკური ევოლუ-ციის შედეგად, წარმოადგენენ მეტყველების შემთხვევითობებს და ევოლუციის შედეგად ისევე გარდაიქმნებიან, როგორც იქმნე-ბიან და სხვ[3].

---

[1] С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, 1946 г., стр. 418.

[2] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952 წ., გვ. 126.

[3] Delacroix, H. Le langage et la pensée, Paris. 1924.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად ხმაბაძვის და შორისდებულების თეორიების კატეგორიას აკუთვნებენ ისეთ თეორიებს, რომელთა მიმართაც აღნიშნული კრიტიკული შენიშვნების საკმაო ნაწილი დაუმსახურებელია, მაგრამ ამ საკითხის განხილვა ამჟამად ჩვენს ამოცანებს სცილდება. მით უმეტეს, რომ ეს თეორიები დღეისათვის მეცნიერებაში უკვე განვლილ ეტაპად არის მიჩნეული და თუკი რაიმე არის მათში ღირებული, მათ თავიანთი ასახვა ნახეს უფრო გვიანდელ თეორიებში, რომლებიც ექსპერიმენტული ძიების მასალებზე დაყრდნობით იქნა წამოყენებული და რომელთა შესახებაც ჩვენ შემდგომ გვექნება მსჯელობა.

ზოგიერთი ავტორი ითვალისწინებს რა, რომ თანამედროვე ენების სიტყვათა დიდ უმრავლესობაში არ იგრძნობა მათი ბგერითი წაბაძვითი ან შორისდებულისეული წარმოშობა, საკითხის კომპრომისულ გადაწყვეტილებას გვთავაზობს. ასე მაგალითად, ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის გ. ლაიბნიცის მიხედვით არსებობენ გვიანი წარმოშობის ენები — ეს „ნაწარმოები ენებია“ და არსებობდა ენა პირველადი — „ფუძისეული“, რომლისაგანაც წარმოიშვა ყველა „ნაწარმოები ენა“. პირველადი, „ფუძისეული“ ენის აღმოცენების საკითხი არის მეტყველების წარმოშობის საკითხი, ხოლო „ნაწარმოები ენების“ ისტორია კი ცალკეული ენების აღმოცენების ისტორიაა. ხმაბაძვას ადგილი ჰქონდა ფუძისეულ ენაში. ნაწარმოები ენებიც ავითარებდნენ ხმაბაძვის პრინციპს იმისდა მიხედვით, თუ რომელ ენაში ვითარდებოდა ფუძისეული ენის საფუძვლები. იმ ზომით, რა ზომითაც ნაწარმოები ენები სცილდებოდა ფუძისეულ ენას, მათი სიტყვაწარმოება ნაკლებად ბუნებრივი ბგერათა წაბაძულობის და სულ მეტად სიმბოლიური ხდებოდა [1].

არსებითად საკითხი ანალოგიურად წყდება მეტყველების წარმოშობის თეორიაში დელაკრუასთანაც.

დელაკრუას მიხედვით მეტყველების წარმოშობის აუცილებელ პირობებს წარმოადგენს ემოციების გამოხატვა, სოციალური ცხოვრება და ინტელექტი. მეტყველება თავის პირველ მასალას ემოციებისაგან იღებს, ყოველ შემთხვევაში, ამ მასალის დიდ ნაწილს — ბგერებს, რომლებისაგანაც სიტყვები შედგება, და ჟესტებს, რომლებიც მეტყველების აქტს ერთვის თან. მეტყველება თავის საწყისებში ემოციის გამოსახვაშია ჩაძირული; ემოცია არის ბუნებრივი

---

[1] Г. Лейбниц, Новые опыты о человеческом разуме, 1936 г., стр. 245.

მეტყველება. ემოციის არსი იმაშია, რომ იგი დიფუზურ ირადიაციას წარმოადგენს, რომელიც გამღიზიანებელზე უშუალოდ იძლევა შესატყვის პასუხს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ემოციის გამომხატველობითი მხარე არა მარტო უშუალო პასუხია გამღიზიანებელზე, არამედ მას გარკვეული რომელობა ახასიათებს და გარკვეულ ფარგლებში შეგუებულიცაა იმ შთაბეჭდილებასთან, რომელსაც ადამიანში სიტუაცია და ობიექტი იწვევს.

ემოცია დიფუზურ ირადიაციას წარმოადგენს, რომელიც მთელ ორგანიზმზე ვრცელდება და მის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა გავლენას ახდენს. ემოცია ბუნებრივი მეტყველებაა. მაგრამ ნამდვილი მეტყველება იმ მომენტიდან იწყება, როდესაც სუბიექტს შეუძლია მთლიანი ემოციის რეპროდუქციისაგან განთავისუფლდეს და ერთი ელემენტისაგან მთლიანობის ნიშანი შექმნას. ამისათვის კი აუცილებელია საზოგადოებრივი გარემო. ჩვენი გამომსახველობითი მოძრაობები აირეკლება სხვების ცნობიერებაზე, ის ინტერპრეტირებული და გაგებულია, ჩვენ ვამჩნევთ მის გავლენას სხვებზე. ამ შემჩნევებიდან წარმოიშვა შესწორებები, ინტენციონალური გამეორებები, საკუთარი თავის ნებისმიერი იმიტაცია და შედეგად თანდათანობით შესაძლებელი ხდება მათი გამოყენებით აზრის ისევე კარგად გამოხატვა, როგორც გრძნობების. მეტყველება, ისევე როგორც მიმიკა, გვიბრუნდება სხვაზე თავისი არეკვლის მეოხებით; ჩვენ მას ვიყენებთ იმის გამო, რომ ის გაგებულია და ვიგებთ იმ ნაწილში, რომელშიც ის სხვის მიერაა გაგებული. რეფლექსური, მექანიკური გამოსახვა, როგორც ნიშანი გამოყენებულია მხოლოდ იმიტომ, რომ ის სხვა მსგავსი კონსტიტუციის ინდივიდების მიერ არის გაგებული. ინდივიდების გაერთიანება საზოგადოებაში და საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობა გამოსახვის პროცესის გაგების შესაძლებლობას იძლევა. მსმენელის გარეშე გამოსახვა გამომსახველს არ უბრუნდება, გაგება მეტყველების თითქმის პირველი აქტია. ამიტომაც დელაკრუა ხაზგასმით მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მეტყველების აუცილებელი გარემოა, მეტყველება მხოლოდ კოლექტივში, სოციალური პირობების გამო შეიძლება გამოვლინდეს. კომუნიკაციის მოთხოვნილება, სოციალური კონტაქტი, სხვაზე ზემოქმედების საჭიროება მეტყველების აუცილებელი პირობაა. მეტყველება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორი ინდივიდი მოცემულ აქტს შეთანხმებით გარკვეულ მნიშვნელობას მიაწერს და ამ აქტს ისინი ურთიერთობის მიზნით გამოიყენებენ. მეტყველება თწყე-

ბა მაშინ, როდესაც ნიშანი ბუნებრივ გამოსახვას ცვლის, ხოლო ინ-ტენცია—მექანიკურ განტვირთვას. საზოგადოებრივი ცხოვრება ნიშ-ნად ქმნის იმას, რაც მხოლოდ ბუნებრივი მოძრაობა და ძახილი იყო. სწორედ ამის შედეგად გადაიქცევა გრძნობების მეტყველება ნების-მიერ მეტყველებად.

მეტყველების წარმოშობისათვის, დელაკრუას მიხედვით, გარდა აღნიშნულისა, აუცილებელია აზროვნებაც. იმისათვის, რომ ნიშანი არსებობდეს, აუცილებელია ნიშანთა სისტემა, რომელიც ცნებებსა და მათ შორის მიმართებებზეა დაფუძნებული. საგნებს შორის მიმარ-თებების მონახვა აზროვნებაა. ამიტომ მეტყველებას არ შეუძლია დააღწიოს თავი აზროვნებას, აზროვნება კი აუცილებლად მიაღწევს მეტყველებას. მეტყველების წარმოშობას ჭინ უსწრებს აზროვნების ინტუიციური ანტიციპაციის საფეხური. აზროვნების შინაგანი მოთ-ხოვნა, რომელიც ფსიქიკურ ნიშანს აღწევს, ხვდება კომუნიკაციის საჭიროების გარეგან მოთხოვნას, რომელიც სოციალურ ნიშანს აღ-წევს. აი, ამ სოციალური და ფსიქიკური ნიშნის კავშირით იქმნება მეტყველება. ეს უკანასკნელი კი აზროვნების მიერ საგნების მოწეს-რიგებასთან ერთდროულად წარმოიშობა. მეტყველება ეს არის აზ-როვნების მიერ საგნების აგების ერთ-ერთი მომენტი. ენა ერთ-ერთი „სპირიტუალური ინსტრუმენტია", რომელიც „შეგრძნებათა ქაო-ტიურ მსოფლიოს ობიექტებისა და წარმოდგენების მსოფლიოდ აფორმებს".

დელაკრუას მიხედვით, მართალია, მეტყველება პირველ სიტყ-ვებს ნახულობს ჯერ კიდევ საგნებთან მჭიდრო მიმართებებით და-კავშირებულ აფექტურ გამომხატველობით მოძრაობებში, მაგრამ იგი ჩქარა გადალახავს ამ საწყის კავშირებს და პირობითობასა და ნე-ბისმიერობას მიაღწევს. იგი თანდათანობით გაფაქიზდება და გარ-თულდება, რათა ნიშანთა სისტემა ააგოს.

დელაკრუას მიხედვით მეტყველებაში წარმოებს ძნელად წარმო-სათქმელი კომბინაციების ელიმინაცია. ბევრი თანამედროვე პრიმი-ტიული ენა მძიმე ბგერებით არის დატვირთული. ეს გარემოება, მი-სი აზრით, საფუძველს იძლევა მტკიცებისათვის, რომ პრიმიტიულ ენას აქვს ძლიერი მუსიკალური აქცენტი, რომ გრძნობადი მეტყვე-ლება გაცილებით მუსიკალურია და რომ ცივილიზაცია პირიქით ასუსტებს გრძნობებს და მათ გამოთქმებსაც. ენების განვითარების ასეთი ხასიათის გამო თანამედროვე ენებში ზოგიერთმა წამოძახილმა და შორისდებულმა შესაძლოა დახმარება გაუწიოს ნიშნების გამოყე-

ნებას და მათ უშუალო გაგებინებას, მაგრამ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში კავშირი ნიშანსა და მნიშვნელობას შორის მხოლოდ უშუალობის გზით არ დგინდება. სიტყვების დიდი რაოდენობა ალბათ თვით სიტყვებისაგან წარმოიშვა. საერთოდ, მოზრდილი ადამიანის მეტყველება, ისევე როგორც ბავშვისა, დელაკრუას აზრით, განვითარდა ერთიანობიდან, რომელსაც ფრაზის გრამატიკული სტრუქტურა არ ჰქონდა, მაგრამ ჰქონდა მნიშვნელობა. გამარჯვების სიმღერა, რთული მელოდია, სიმღერა სიტყვების გარეშე, თანდათანობით გაანალიზდა, დანაწევრდა. მეტყველება ინტელექტუალიზირდება და შესაბამისად მისი ემოციური თვისებებიც თანდათანობით რეგრესირდება. მაგრამ ეს უკანასკნელნი დღესაც არ გამქრალან და სწორედ ისინი აძლევენ მეტყველებას ემოციურ კოლორიტს [1].

ასეთია დელაკრუას მოსაზრებები მეტყველების წარმოშობის შესახებ.

როგორც ვხედავთ, დელაკრუას მიხედვით მეტყველება იწყება მაშინ, როდესაც ნიშანი (ემოციის გამომხატველობითი მხარე) ცვლის ემოციის ბუნებრივ გამოსახვას, ხოლო ინტენცია — რეფლექსურ განტვირთვას, მაშინ როდესაც სუბიექტს შეუძლია განთავისუფლდეს მთლიანი ემოციის რეპროდუქციისაგან და ერთი ელემენტიდან (გამომხატველობითი მხარიდან) მთლიანობის (ემოციის) ნიშანი შექმნას. მაშასადამე, გამოდის, რომ პირველი სიტყვები ემოციის აღმნიშვნელი სიტყვები იყო, მეტყველების თავდაპირველი როლი ემოციური განცდების ურთიერთგაგებინებაში მდგომარეობდა. მაგრამ მისივე აზრით, ემოციების ურთიერთგაგებინება მეტყველების წარმოშობამდეც არსებობდა „ინტენციონალური კომუნიკაციის" სახითაც კი. მაშ, რამ განაპირობა მეტყველების აღმოცენება, რა დანიშნულებას ასრულებს იგი? მეტყველების წარმოშობის ძირითადი მიზეზი ნიშნის მოთხოვნილებაა და ეს მოთხოვნილება დელაკრუას მიხედვით ჩნდება აზროვნების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, იგი აზროვნების იმანენტური განვითარების პროდუქტია. აზროვნებას განვითარების გარკვეულ საფეხურზე ესაჭიროება მეტყველება საგნების მოწესრიგებისათვის, რათა მისი საშუალებით შეგრძნებათა ქაოსური მსოფლიო გააფორმოს ობიექტებისა და წარმოდგენების მსოფლიოდ. მართალია, დელაკრუა მიუთითებს კომუნიკაციის გარეგან საჭიროებაზეც, როგორც მეტყველების წარმოშობის ერთ-ერთ ნი-

---

[1] Delacroix, H. Le langage et la pensée, Paris, 1924.

შანზე, პირობაზე. მაგრამ მის თეორიაში საზოგადოებრივ გარემოს, საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობის მნიშვნელობა არსებითად მხოლოდ ნიშნის გაგების და ენობრივი სისტემის დახვეწის საშუალებად წარმოგვიდგება.

ამრიგად, მართალია მრავალი კრიტიკული შენიშვნა, რომელიც შორისდებულის და ხმაბაძვითი თეორიების წინააღმდეგ იყო წამოყენებული, ძალას კარგავს დელაკრუას თეორიის მიმართ, მაგრამ სამაგიეროდ რჩება საფუძველი სხვა არანაკლებად პრინციპული ხასიათის კრიტიკული შენიშვნებისათვის.

დელაკრუას თეორიაში არამართებულად წყდება საკითხი მეტყველების აღმოცენების გამაპირობებელი მიზეზების შესახებ. არასწორად არის გაგებული აზროვნებისა და მეტყველების როლი, მათი ფუნქცია; აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის საკითხი, კომუნიკაციის როლი და სხვა. შეუძლებელია დაეთანხმო მას იმაში, რომ პირველადი ლექსიკა მხოლოდ ემოციების ურთიერთგაზიარებას, ურთიერთგაგებინებას ემსახურებოდა, ისევე როგორც ძნელია გაიზიარო მისი დაშვება მეტყველების აღმოცენებამდე აზროვნების საკმაოდ მაღალი დონის და ასევე საკმაოდ მაღალი ფორმის კომუნიკაციის არსებობის შესახებ. მაგრამ საერთოდ, მეტყველების წარმოშობის თეორიების და, ამ შემთხვევაში, დელაკრუას თეორიის დეტალური განხილვა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს და თუ მასზე მაინც შედარებით ვრცლად შევჩერდით, ეს იმის ჩვენების საჭიროებით იყო ნაკარნახევი, რომ მეტყველების წარმოშობის თეორიათა დაჯგუფება, ცალკეულ ჯგუფებში გაერთიანებულ თეორიათა განზოგადებული სახით წარმოდგენა და მათი კრიტიკა ნაკლებად ეფექტურია და უმრავლეს შემთხვევაში თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს.

მეცხრამეტე საუკუნეში და შემდგომ წამოყენებულ მეტყველების წარმოშობის თეორიებში, განსხვავებით წინა პერიოდში წამოყენებული თეორიებისაგან, რომლებშიც წინა პლანზე იყო წამოწეული სახელდების საკითხი და ხშირად ამ უკანასკნელით ამოიწურებოდა, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი იმ პირობების გარკვევას, რამაც აუცილებლობით გააპირობა მეტყველების აღმოცენება. მეტყველების წარმოშობის საკითხისადმი მიდგომის ეს განსხვავებულობა აშკარად ჩანს ნუარესა და დელაკრუას თეორიებშიც.

მეცხრამეტე საუკუნეში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგრეთვე მეტყველების თანმხლებ კომპონენტებს—მიმიკასა და ჟესტიკულაციას. ამ უკანასკნელებზე საგანგებოდ ყურადღება პირვე-

შოშობის თეორია [1]. ამ მხრივ კი მის თეორიასა და ხმაბაძვის თეორიებს შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს. მის თეორიაშიც კავშირი სახელსა და მნიშვნელობას შორის მეტყველების აღმოცენების მომენტში ბუნებრივია, არსებითი ხასიათისაა. განსხვავება მათ შორის იმაშია, რომ თუ ხმაბაძვის და შორისდებულის თეორიების მიხედვით ბუნებრივი კავშირი არსებობს ბგერებსა და მათი საშუალებით აღნიშნულ მნიშვნელობებს შორის, ჟესტის ენის თეორიაში ეს კავშირი ნაცადია ჟესტსა და ჟესტით აღნიშნულ მნიშვნელობას შორის იქნეს მონახული.

ბგერითი წაბაძვის, შორისდებულების და ჟესტის ენის პირველადობის თეორიები და, მაშასადამე, მათში მოცემული სახელდების პრობლემის გადაწყვეტის სპეციფიკური ცდებიც, საბჭოთა და საზღვარგარეთულ ფილოსოფიურ, ენათმეცნიერულ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში წარმოადგენდა და წარმოადგენს არაერთგზის მრავალმხრივი კრიტიკის საგანს და დღეისათვის უკვე საკითხის კვლევაში განელილ ეტაპად არის მიჩნეული. მაგრამ, ამის მიუხედავად, თითოეული მათგანის ამა თუ იმ ვარიანტს დღესაც მრავალი საზღვარგარეთელი მკვლევარი იცავს. ასე მაგალითად, ჟესტის ენის პირველადობის თეორიას დღესაც იცავენ ისეთი მკვლევრები, როგორებიცაა რ. პადჟეტი, ვან გინეკენი, სტერტევანტი და მრავალი სხვა.

ეს გარემოება იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ აღნიშნული თეორიები კარგად ითვალისწინებენ იმ ძირითად სიძნელეს, რომელიც დგას მეტყველების წარმოშობის ყოველი თეორიის წინაშე — პირველადი სიტყვების უშუალოდ გასაგებობა, მათი დასწავლის გარეშე სხვებისათვის მისაწვდომობა. შესაძლებელია თვალსაჩინო გავხადოთ დღემდე არსებული ჟესტის ენის პირველადობის, ხმაბაძვითი და შორისდებულების თეორიათა ყველა ვარიანტის ნაკლოვანებანი. დავასაბუთოთ თითოეული მათგანის უმართებულობა, მაგრამ მანამ დამაკმაყოფილებლად არ გადაწყდება საკითხი, როგორაა შესაძლებელი ორი ჰეტეროგენული მოვლენის — ბგერათა კომპლექსისა და მნიშვნელობის ერთმანეთთან ისეთი დაკავშირება, რომ ეს კავშირი უშუალოდ გასაგები იყოს, ყოველთვის რჩება ამ თეორიათა ახალ-ახალი ვარიანტების გაჩენის შესაძლებლობა.

---

[1] ჟესტის ენის პირველადობის თეორიის კრიტიკული განხილვა თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერებების მონაცემებზე დაყრდნობით, იხ. დ. რამიშვილი, ხელითი ენის პირველადობის ფსიქოლოგიური შეუძლებლობის შესახებ ფსიქოლოგია, ტ. X, 1956 წ.

გზით; ენის წარმოშობაში ადამიანთა შეგნებულმა, მიზანდასახულმა მოქმედებამ შეასრულა დიდი როლი.

სახელდების პრობლემის მეორენაირმა გადაწყვეტამ ასახვა პოვა ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორიაში. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა დღეს უმთავრესად ენობრივი ნიშნის თეორიასთან უფროა დაკავშირებული, ვიდრე მეტყველების წარმოშობის თეორიასთან და ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება მისი ენობრივი ნიშნის თეორიასთან დაკავშირებით განხილვა.

თავი მეორე

სახელდების პრობლემა ენობრივი ნიშნის პიროგითოგის თეორიაში

ენობრივი ნიშნის პრობლემა უკვე რამდენიმე ათეული წელია დგას საზღვარგარეთული და საბჭოური ენათმეცნიერების ყურადღების ცენტრში. ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილია უზარმაზარი ლიტერატურა, იგი არაერთგზის ყოფილა ცხარე დისკუსიისა და პოლემიკის ობიექტი. პრობლემისადმი ესოდენ დიდი ყურადღება გამოწვეულია არა მხოლოდ იმით, რომ იგი ეხება ენათმეცნიერების ყველაზე არსებით პრობლემას — ენის ბუნების, მისი რაობის პრობლემას, არამედ იმითაც, რომ მასთან არის დაკავშირებული სხვა პირველხარისხოვან პრობლემათა რიგიც.

ენობრივი ნიშნის ბუნების საკითხში თანამედროვე ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის აზრთა პრინციპული სხვადასხვაობაა. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს არა მხოლოდ ის, რომ ცნება — ნიშანი შეიძლება სხვადასხვა ასპექტით იყოს განხილული, არამედ ისიც, რომ ენათმეცნიერთა შორისაც არ არის ამ ცნების ერთნაირი გაგება. ზოგჯერ ენობრივი ნიშანი გაგებულია როგორც მხოლოდ ბგერითი მასალისაგან შედგენილი ენობრივი ელემენტი, რომელიც, ფ. დე-სოსიურის ტერმინი რომ ვიხმაროთ, წარმოადგენს მხოლოდ აღმნიშვნელს. ამ თვალსაზრისის მიხედვით „აღმნიშვნელი უდრის ნიშანს, „აღმნიშვნელი" და „ნიშანი" სინონიმებია"[1]. უფრო ხშირად ენობრივი ნიშანი გაგებულია როგორც აღსანიშნისა და აღმნიშვ-

---

[1] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, ძირითადი პრობლემები, 1945 წ., გვ. 148.

ნელის, სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ერთობლიობა, მათი კომბინაცია. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც იმისდა მიხედვით, როგორ არის გაგებული აღსანიშნი და აღმნიშვნელი, ადგილი აქვს აგრეთვე აზრთა სხვადასხვაობას.

ასე მაგალითად, ფ. დე-სოსიურის მიხედვით „ენა ეს ნიშანთა სისტემაა, რომელშიაც ერთადერთ არსებითს წარმოადგენს აზრისა და აკუსტიკური ხატის შეერთება, ამასთან ნიშნის ორივე ეს ელემენტი თანაბრად ფსიქიკურია“.[1] „სტრუქტურალისტთა უმრავლესობა უკრიტიკოდ იღებს სოსიურის დებულებებს, რომ ნიშანი აერთიანებს აღსანიშნსა და აღმნიშვნელს და რომ ნიშნის ორივე შემადგენელი ნაწილი ფსიქიკურია“[2]. ფ. დე-სოსიურისა და სტრუქტურალისტთა უმრავლესობისათვის (ე. ბენვენისტი, ე. პიშონი, ე. ლერხი, ა. გარდინერი, ა. ნერინგი, ა. სეშე, შ. ბალი, ჰ. ფრაი) დამახასიათებელი ფსიქოლოგიზმი, სტრუქტურალიზმის ერთ-ერთ ნაირსახეობაში — გლოსემანტიკაში (ლ. იელმსლევი, ს. იოჰანსენი, ნ. ეგე), შეცვლილია ლოგიკიზმით. გლოსემანტიკოსები ენობრივ ნიშანს განსაზღვრავენ ბგერებში მისი გარეგანი გამოვლინებისაგან დამოუკიდებლად, როგორც ურთიერთმიმართებას (სოლიდარობას, სემანტიკურ ფუნქციას) „გამოხატულების ფორმასა“ და „მნიშვნელობის ფორმას“ შორის. ამასთან, „გამოხატულების ფორმა“ წარმოადგენს „გამოხატულების სუბსტანციის“ (ე. ი. ბგერების) ნიშანს, ხოლო „მნიშვნელობის ფორმა“—„მნიშვნელობის სუბსტანციის“ (ე. ი. ობიექტებისა და იდეების) ნიშანს. გლოსემანტიკოსები უგულებელყოფენ ენის სპეციფიკას და ენობრივ სისტემას უტოლებენ პირობით ნიშანთა ყველა სხვა სისტემებს[3].

ენობრივი ნიშნის გაგების საკითხში აზრთა სხვადასხვაობაა საბჭოთა მკვლევრებს შორისაც. ზოგიერთი მათგანი სრულიად უარყოფს მას და საბჭოთა მეცნიერებისათვის მიუღებლად მიაჩნია. სხვადასხვაგვარად არის გაგებული აგრეთვე აღსანიშნიც. ზოგიერთი ავ-

---

[1] Ф. де-Соссюр, Курс общей лингвистики, 1933 г., стр. 39.

[2] თ. შარაძენიძე, ენობრივი ნიშნის პრობლემა თანამედროვე ენათმეცნიერებაში, დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესია, 1957 წ., გვ. 14.

[3] იქვე.

ტორის მიხედვით აღსანიშნი საგანია, ზოგჯერ ასეთად ცნებაა მიჩნეული და სხვ [1].

მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა არსებითად ეხება სიტყვის, როგორც ენობრივი ელემენტის შემადგენელ ნაწილებს, მათ რაობას, ხოლო როდესაც ენის ნიშნისეულ ბუნებაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის, აღსანიშნისა და აღმნიშვნელობის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. ამრიგად, როგორც უნდა გადაწყდეს სიტყვის, როგორც ენობრივი ელემენტის, შემადგენელი ნაწილების, მათი რაგვარობის საკითხი, ენობრივი ნიშნის ბუნების რაობის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც იმას ენიჭება, თუ როგორ წყდება აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ბუნების საკითხი, როგორ წყდება სახელდების პრობლემა. მაშასადამე, სახელდების პრობლემის გადაწყვეტის რაგვარობას ენათმეცნიერებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და იგი, როგორც ენობრივი ნიშნის პრობლემის ძირითადი რგოლი, დაკავშირებულია ენის რაობის პრობლემასთან. ენის შესწავლისა და შესწავლის მიმართულების მეთოდოლოგიური პრინციპების განსაზღვრასთან, ენათმეცნიერების კვლევის კონკრეტულ მეთოდებთან და მრავალ სხვა თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტის მქონე საკითხთან.

მიუხედავად აზრთა იმ დიდი მრავალფეროვნებისა, რომელსაც ადგილი აქვს ენობრივი ნიშნის შემადგენელი ნაწილებისა და მათი რაობის შესახებ, თანამედროვე ენათმეცნიერთა უმრავლესობა, როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენშიც, ენობრივი ნიშნის ძირითად თავისებურებად თვლის აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის სრულ ნებისმიერობას, სიტყვის ბგერითი მხარისა და მის ლექსიკურ შინაარსს შორის შინაგანი მოტივირების არარსებობას. ამრიგად, ენათმეცნიერთა უმრავლესობის მიერ, მიუხედავად მიმდინარეობათა და მეთოდოლოგიური პრინციპების სხვადასხვაობისა, სახელდების საკითხი მეორენაირად წყდება — სახელსა და მნიშვნელობას შორის კავშირი ნებისმიერია, პირობითია, შემთხვევითია, მოცემული მნიშვნელობის აღმნიშვნელად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი შეიძლება გამოდგეს.

---

[1] ამასთან დაკავშირებით იხ. იმ დისკუსიის მასალები, რომელიც მიმდინარეობდა ჟურნალ „Вопросы философии"-ს ფურცლებზე 1959 წლიდან მოყოლებული რამდენიმე წლის განმავლობაში.

სახელდების პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა განსაკუთრებით ფ. დე-სოსიურის შემდეგ გავრცელდა. ამიტომ, ალბათ უფრო მართებული იქნება საკითხის ამგვარად გადაწყვეტის შესახებ მსჯელობაც ძირითადად ფ. დე-სოსიურის კონცეფციის საფუძველზე წარიმართოს.

„კავშირი, რომელიც აღსანიშნსა და აღმნიშვნელს აერთებს, წერს სოსიური, ნებისმიერია... ენობრივი ნიშანი ნებისმიერია". „ის (აღსანიშნი) შეიძლებოდა გამოგვეთქვა ნებისმიერი სხვა ბგერითი შედგენილობით" [1]. სხვადასხვა ენაში ერთი და იგივე აღსანიშნი სხვადასხვა აღმნიშვნელით აღინიშნება. ამიტომაც, ასკვნის სოსიური, „ნიშნის ნებისმიერობის პრინციპი არავისთვის არ არის სადავო" [2]. ნებისმიერობა არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ინდივიდს შეეძლოს სასურველი აღმნიშვნელის ხმარება. ენობრივი ნიშანი ნებისმიერია აღსანიშნის მიმართ და არა ენობრივი კოლექტივის ცალკეული წევრების მიმართ. სოსიური წინააღმდეგია, ენობრივი ნიშნის აღსანიშნავად ისეთი ტერმინი ვიხმაროთ, რომელიც ამ ნებისმიერობის მომენტს არ გამოკვეთს. „ენობრივი ნიშნის აღსანიშნავად, ანდა უფრო ზუსტად — იმისა, რასაც ჩვენ აღმნიშვნელს ვუწოდებთ, ზოგჯერ ხმარობენ სიტყვას ს ი მ ბ ო ლ ო. მისი მიღება არცთუ სავსებით მოხერხებულია სწორედ ჩვენი პირველი პრინციპის (ნებისმიერობის) ძალით. სიმბოლო ხასიათდება იმით, რომ იგი ბოლომდე ნებისმიერი არ არის; იგი არ არის სავსებით ცარიელი. მასში არის აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ბუნებრივი კავშირის რუდიმენტი. სამართლიანობის სიმბოლო — სასწორი, არ შეიძლება შეეცალოთ რითიც მოგხვდება — მაგალითად ეტლით" [3]. იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ: „ერთი აკუსტიკური მონაკვეთის არჩევა ამა თუ იმ იდეისათვის სავსებით ნებისმიერია. „...კავშირი იდეასა და ბგერას შორის ნებისმიერია თავისი არსებით" [4]. „ენა არსებობს მხოლოდ ერთგვარი ხელშეკრულების ძალით, რომელიც დადებულია კოლექტივის წევრების მიერ" [5]. ეხება რა წარმოებული სიტყვების საკითხს, წერს: „ნიშნის ნებისმიერობის ძირითადი პრინციპი ხელს არ გვიშლის ყოველ ენაში გავასხვაგოთ ის, რაც საფუძველშივე ნებისმიერია ე. ი. უმოტივაციოა, იმისაგან

---

[1] Ф. де-Соссюр, Курс общей лингвистики, 1933, стр. 79.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 113..

[5] იქვე, გვ. 39.

რაც მხოლოდ შედარებითაა ნებისმიერი. ნიშანთა მხოლოდ ნაწილია აბსოლუტურად ნებისმიერი; სხვებს კი ისეთი ნიშნები გააჩნიათ, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მივაკუთვნოთ ისინი ნებისმიერობის სხვადასხვა საფეხურს: ნიშანი შეიძლება იყოს შედარებით მოტივირებული"[1]. „ყველაზე ხელსაყრელ შემთხვევებშიც კი მოტივირება არასოდეს არ არის აბსოლუტური"[2]. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ენის პირველადი ძირეული მასალა არ არის მოტივირებული; სწორედ ეს განაპირობებს ენობრივი ნიშნის ნებისმიერ ხასიათს.

როგორია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის მექანიზმი? „...ცნობიერების მოვლენები, რომლებსაც ჩვენ ცნებებს ვუწოდებთ, ასოცირდებიან ენობრივი ნიშნის წარმოდგენებთან, ანუ აკუსტიკურ ხატებთან, რომლებიც მათ განითქმას ემსახურება"[3]. „ენობრივი ნიშნები მართალია თავისი არსებით ფსიქიკურნი არიან, მაგრამ ამის მიუხედავად ისინი აბსტრაქციები არაა; ასოციაციები გამტკიცებულია კოლექტიური შეთანხმებით, რომელთა ერთიანობა შეადგენს ენას"...[4] „...ენობრივ ნიშანში მოცემული ორივე მომენტი ფსიქიკურია და ჩვენს ტვინში უკავშირდებიან ასოციაციის საშუალებით... ამას ხაზს ვუსვამთ"[5]. „ენობრივი არსი (ენობრივი ფაქტი) არსებობს მხოლოდ აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ასოციაციის წყალობით"[6].

ასეთია მოკლედ სოსიურის შეხედულება ენობრივი ნიშნის შესახებ. სოსიურს უსაყვედურებენ ხოლმე ფსიქოლოგიზმს, რომ აღსანიშნიცა და აღმნიშვნელიც ფსიქიკურ ფაქტებად გამოაცხადა; უსაყვედურებენ არათანმიმდევრობას, რომ ერთი მხრივ იგი განსაზღვრავს ენობრივ ნიშანს, როგორც ცნებისა და აკუსტიკური ხატის ერთიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, ნიშნის ნებისმიერობაზე მსჯელობისას მხედველობაში აქვს სახელის მიმართება საგანთან და სხვა. ხოლო რაც შეეხება აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერ, არამოტივირებულ, შემთხვევით ხასიათს, — ეს დებულება მრავალი ენათმეცნიერის მიერ უყოყმანოდ არის გაზიარებული.

---

[1] Ф. де-Соссюр, Курс общей лингвистики. 1933, стр. 127.
[2] იქვე, გვ. 128.
[3] იქვე, გვ. 36.
[4] იქვე, გვ. 79.
[5] იქვე, გვ. 77.
[6] იქვე, გვ. 105.

თავისი არსებობის ყოველ მოცემულ პერიოდში ენა წარმოგვიდგება როგორც ელემენტების მკაცრად მოტივირებული სისტემა, რომელშიაც ყოველი ახალი წარმონაქმნი ყოველთვის მკაცრად არის განპირობებული იმ კანონზომიერი მიმართებებით, რომლებიც არსებობს ენის ელემენტებს შორის მის ყოველ კონკრეტულ სისტემაში. რა აუცილებლობა გვაიძულებს, გავაკეთოთ გამონაკლისი და ენის პირველქმნადობის პერიოდისათვის დავუშვათ სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის დაკავშირების არამოტივირება, ამ კავშირის ნებისმიერი, შემთხვევითი, პირობითი ხასიათი? სხვა სიტყვებით, რა არგუმენტაცია გააჩნია მტკიცებას სახელისა და მნიშვნელობის თავდაპირველი დაკავშირების ნებისმიერობის შესახებ.

„ყოველ ეპოქაში, რაოდენ ღრმადაც არ უნდა შევიჭრათ წარსულში, წერს სოსიური, ენა ყოველთვის გამოდის როგორც წინა ეპოქის მემკვიდრეობა. აქტი, რომლის ძალითაც გარკვეულ მომენტში სახელები მიეკუთვნა საგნებს, რომლის ძალითაც დაიდო ხელშეკრულება ცნებებსა და აკუსტიკურ ხატებს შორის, — ასეთი აქტი არასოდეს არ ყოფილა დადასტურებული, თუმცა მისი წარმოსახვა შესაძლებელია. აზრს, რომ ასე შეიძლებოდა მომხდარიყო (ცნებებსა და აკუსტიკურ ხატებს შორის დამყარებული ნებისმიერი შემთხვევითი კავშირი. ა. ბ.) გვიკარნახებს მხოლოდ ნიშნის ნებისმიერობის ჩვენი ძლიერ ფაქიზი გრძნობა“ [1].

ცხადია, არც სოსიური და არც სხვა ავტორები, რომლებიც ამ საკითხში მის თვალაზრისს იზიარებენ, არ კმაყოფილდებიან მხოლოდ გრძნობის კარნახით და ცდილობენ, სათანადო არგუმენტებით ნათელყონ მათი მტკიცების მართებულობა.

დებულება აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობის შესახებ ემყარება მრავალფენიანობის ფაქტს. აღსანიშნი „ხარი“ ენობრივი საზღვრის ერთ მხარეზე გამოითქმის აღმნიშვნელით bōf (ფრანგ. boeuf) და oks (გერმ. Ochs)—მეორე მხარეზე. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აღსანიშნი არავითარი შინაგანი აუცილებლობით არ არის დაკავშირებული აღმნიშვნელთან, რომ აღსანიშნი „ხარი“ შეიძლებოდა ყოფილიყო გამოთქმული სხვა, რომელიც გნებავთ, ბგერათა ერთობლიობით [2]. ასეთი მსჯელობა ტიპობრივია და უცვ-

---

[1] Ф. де-Соссюр, Курс общей лингвистики, 1933, стр. 81—82.

[2] Benveniste E., Nature du signe linguistique, „Acta linguistieca“, vol. 1, fasc. 1; 1939.

ლელად მეორდება სხვა ავტორებთანაც. ასე მაგალითად: ე. გალკინა-ფედორუკი წერს: „სიტყვა თევზი ხომ სავსებით პირობითად არის დაკავშირებული წყალში მცხოვრები ერთ-ერთი სახეობის ცოცხალ არსებებთან; ბგერათა კომპლექსი — მხოლოდ ნიშანია და არა სარკისებური ასახვა, არა ხატი, არა პირი (слепок), როგორც ეს საგნის შესახებ ცნებისათვის არის ნიშანდობლივი (!?): გერმანულად თევზი ეწოდება Fisch, ფრანგულად—poisson. რუსული სიტყვა стол გერმანულად ეწოდება Tisch, ფრანგულად — table, იტალიურად — mensa, ინგლისურად — table“ [1].

დებულება — კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ნებისმიერია, შემთხვევითია, პირობითია — ემყარება მრავალენიანობის ფაქტს და იმაზე მითითებას, რომ სახელი არ არის საგნის ასახვა.

როგორც ვხედავთ, ერთმანეთს უპირისპირდება სახელდების საკითხის ორგვარი გადაწყვეტა:

1. აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაკავშირება კანონზომიერი ხასიათისაა, იგი მოტივირებულია, მათ შორის კავშირი არ არის შემთხვევითი, ნებისმიერი, მოცემული აღსანიშნის აღმნიშვნელად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი არ გამოდგება.

2. აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაკავშირება არ არის მოტივირებული, ეს კავშირი შემთხვევითია, პირობითია, ნებისმიერია, მოცემული აღსანიშნის აღმნიშვნელად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი გამოდგება.

პირველნაირი გადაწყვეტა ემყარება ფაქტებს, რომელთა სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. სახელდობრ: ყოველ ენაში პიქტორალური მომენტების შემცველი სიტყვების საკმაოდ ოდენობით არსებობა, ბუნებრივი ენების სხვადასხვა კატეგორიის სიტყვებში ფონემათა სხვადასხვაგვარი განაწილება, მრავალმხრივ და მრავალრიცხოვან ექსპერიმენტულ გამოკვლევათა შედეგები და სხვ.

მეორენაირი გადაწყვეტა ემყარება მრავალენიანობის ფაქტს — ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღი-

---

[1] Е. М. Галкина-Федорук, Знаковость в языке с точки зрения марксистского языкознания, ж. «Иностранные языки в школе», № 2, 1952 г., стр. 8. ძნელია ვინმე დავთანხმოს ავტორის მტკიცებას, რომ ცნებისათვის ნიშანდობლივია სარკისებური ასახვა, რომ ცნება საგნის ხატია, მისი ასლია, მაგრამ ამ შემთხვევაში მოყვანილი ამონაწერი ამ თვალსაზრისით არ გვაინტერესებს.

ნიშნება, და იმაზე მითითებას, რომ ენობრივი ერთეულები თავიანთი ბგერებით არ ასახავენ საგნებს შეგრძნებათა. წარმოდგენათა და ცნებათა მსგავსად. რომელთა უარყოფაც ასევე შეუძლებელია.

სინამდვილის ერთი და იგივე ფაქტის მოცემულ შემთხვევაში აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის მიმართ გამოთქმული ორი ურთიერთსაპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავი დებულება არ შეიძლება თანაბრად მართებული იყოს. ერთ-ერთი მათგანი მცდარია. თუ საკითხის ამ ორიენტირი გადაწყვეტის არგუმენტაციას დავაკვირდებით, ნათელი გახდება, რომ როგორც სამართლიანად მიუთითებს დ. რამიშვილი, „... ეს ორი მოწინააღმდეგე თვალსაზრისი, რომელთაგან ერთი სიტყვას აცხადებს პირობით ნიშნად, ხოლო მეორე კატეგორიულად უარყოფს ამას, თავისი საბუთებით თითქოს აღარ უპირისპირდება ერთმანეთს. ეს გარემოება არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ერთ შემთხვევაში სიტყვის ქვეშ იგულისხმება მხოლოდ ბგერათა კომპლექსი, ხოლო მეორეში — ნიშნის მთელი სისტემა, ე. ი. ბგერათა კომპლექსი მის მნიშვნელობასთან ერთად. საქმე იმაშია, რომ ამ ორი თვალსაზრისის აზრთა სხვადასხვაობის ნამდვილი სათ.ვე არ მელავნდება საჭირო სიცხადით ამ კამათში“ [1]. თვალსაზრისი, რომელიც თვლის აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაკავშირებას კანონზომიერად, არსად არ ამტკიცებს, რომ ენობრივი ერთეულები თავიანთი ბგერებით შეგრძნებათა, წარმოდგენათა და ცნებათა მსგავსად ასახავენ საგნებს. ასევე „...პირობითი ნიშანი თავისთავად არ გულისხმობს, მაგრამ არც გამორიცხავს შინაარსობრივი კავშირის არსებობას აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის“ [2]. ამასთან დაკავშირებით ა. ჩიქობავა წერს: „...შორისდებულები — წამოძახილები და ხმაბაძვითი სიტყვები ყველაზე ნაკლებადაა პირობითი. და მაინც ვერ გამოვრიცხავთ პირობითობას ასეთი შემთხვევებისათვისაც: ერთი და იგივე განცდა, — მაგალითად, მწუხარებისა — ერთნაირ ბგერათა კომპლექსს არ აჩენს (შდრ. ფრანგ. hélas (ელა), რუს. увы!, ქართ. ეჰ!..) ქართულ მეტყველებაში გუგული გუ-გუ-ს იძახის, რუსულად კუ-კუ-ს...

---

[1] დ. რამიშვილი, ენობრივი ნიშნის პრობლემა საბჭოთა ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესია. 1957 წ., გვ. 8. იხ. აგრეთვე მისი „ნიშნის პრობლემა მეტყველების პრობლემის თვალსაზრისით“. „ფსიქოლოგია“, ტ. XI, 1957 წ., მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, თბილისი, 1963 წ.

[2] იქვე.

ენობრივი აპერცეფცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, განსხვავებულია.

ამრიგად ხმაბაძვითი სიტყვებისა და შორისდებულთა მიმართაც ენობრივი ნიშნის პირობითობის საკითხი ძალაში უნდა დარჩეს. ყოველ შემთხვევაში, იმ შორისდებულთა მიმართ, რომელნიც ნიშნად შეიძლება დავასახელოთ. ის შემთხვევები, სადაც საქმე გვაქვს რეფლექსთან, ვერ შეგვზღუდავს — აქ ნიშნის პირობითობის საკითხი არ დაისმის, რამდენადაც ნიშანთან არა გვაქვს საქმე" [1].

ამრიგად, აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაკავშირების საკითხის ორი ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტის სასარგებლოდ წარმოდგენილი არგუმენტები არც უპირისპირდებიან და არც გამორიცხავენ ერთმანეთს. ეს გარემოება, ზოგიერთი ავტორის აზრით, იმითაა განპირობებული, რომ მოცემულ შემთხვევებში საკითხი ორი სხვადასხვა თვალსაზრისით განიხილება: „საკითხის პირველნაირი გადაწყვეტა არის საკითხისადმი ემპირიული თვალსაზრისით განხილვის, ხოლო მეორენაირი — საკითხის ფილოსოფიურ, გნოსეოლოგიურ, ლოგიკურ ასპექტში განხილვის შედეგი.

მართალია, სახელდების პრობლემის ორივე აღნიშნული თვალსაზრისით განხილვა სავსებით კანონიერია, სავსებით შესაძლებელი და მართებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელდების პრობლემის ორივენაირი გადაწყვეტა ასევე მართებული და მისაღებია. ეს არ ნიშნავს, რომ მართებულია მტკიცება: თუ საკითხს გნოსეოლოგიური თვალსაზრისით განვიხილავთ, — კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის პირობითია, ნებისმიერია, შემთხვევითია, არამოტივირებულია; აღსანიშნი შეიძლება აღნიშნულ იქნეს ნებისმიერი ბგერათა კომპლექსით. მაგრამ თუ საკითხს ემპირიული თვალსაზრისით მივუდგებით, კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არ არის პირობითი, არ არის ნებისმიერი, არ არის შემთხვევითი, მოტივირებულია, კანონზომიერია, აღსანიშნი ნებისმიერი ბგერათა კომპლექსით არ შეიძლება იყოს აღნიშნული.

ავტორები, რომლებიც საკითხის აღნიშნულ ორივენაირ გადაწყვეტას კანონიერად თვლიან, არ ითვალისწინებენ, რომ „მეცნიერებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შესწავლის ობიექტით და არა თვალსაზრისით. ენგელსი მეცნიერებათა კლასიფიკაციას საფუძვლად

---

[1] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ II. ძირითადი პრობლემები, 1945 წ., გვ. 159.

ულებს მატერიის მოძრაობის ფორმებს. მეცნიერებათა განსხვავების საფუძველი ობიექტური ნიშანი უნდა იყოს და არა სუბიექტური თვალსაზრისი. თვალსაზრისს არ შეუძლია შექმნას ობიექტი და მისი კანონზომიერებანი. თვითონ თვალსაზრისი, თუ ის მართებულია, ობიექტით არის განპირობებული და თვალსაზრისთა სხვადასხვაობა მხოლოდ ობიექტთა სხვადასხვაობაზე მიუთითებს" [1], „ორ სხვადასხვა მეცნიერებას არ შეუძლია შეისწავლოს ერთი და იგივე კანონზომიერება: ერთ-ერთი მათგანი იქნება ზედმეტი" [2]. ზემოთქმული, ცხადია, არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა მეცნიერება სწავლობდეს სინამდვილის ერთი და იგივე ფაქტს. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც სხვადასხვა მეცნიერება სწავლობს ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვა მხარეს და, მაშასადამე, სხვადასხვაა მათი კვლევის საგანი. მსგავს შემთხვევებში საჭირო ხდება თითოეული მეცნიერების საგნის ზუსტი განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთი მეცნიერების თვალსაზრისის მეორე მეცნიერების კვლევის საგანზე გავრცელება და, მაშასადამე, სხვადასხვა მეცნიერების საგნის აღრევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ამა თუ იმ მეცნიერების თვალსაზრისით საკითხის განხილვა ნიშნავს ობიექტის მხოლოდ იმ მხარის განხილვას, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ამ მეცნიერების საგანს შეადგენს და არა მთელი ობიექტის განხილვას.

თუ მოყვანილი მსჯელობა სწორია, მაშინ სინამდვილის ერთი და იგივე ფაქტის — აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაკავშირების — გნოსეოლოგიური და ემპირიული თვალსაზრისით განხილვა გამართლებული იქნება მაშინ, თუ თითოეული ეს თვალსაზრისი ამ ფაქტის სხვადასხვა მხარეზე ვრცელდება, თუ სხვადასხვაა ფილოსოფიისა და ემპირიული მეცნიერებების კვლევის საგანი. ფილოსოფიას აინტერესებს აღმნიშვნელისა და აღსანიშნის კავშირის გნოსეოლოგიური მხარე, სახელდობრ: აღმნიშვნელი არის თუ არა აღსანიშნის ასახვა, მათ შორის არის თუ არა ორგანული კავშირი, ამასთან, მას აინტერესებს საკითხის ობიექტური მხარე — აღსანიშნი და აღმნიშვნელი თავისთავად. აქედან გამომდინარე აღსანიშნი და აღმნიშვნელი განიხილება უშუალოდ ერთმანეთთან მიმართებაში, ხდება ამ კავშირის აბსტრაგირება ადამიანისაგან, რომელშიაც ეს კავშირი არსებობს და რომელიც ამ კავშირს ამყარებს. აღსანიშნისა და აღმნიშვნელის გნოსეოლოგიურ, ლოგიკურ ასპექტში განხილვისას ირკვევა, რომ

[1] К. Бакрадзе, Логика, Тб., 1951 г., стр. 65.

[2] იქვე.

„სიტყვა ..., როგორც ბგერათა კომპლექსი არ წარმოადგენს საგნების ასლს, არ იმყოფება ორგანულ კავშირში ობიექტური სამყაროს თვისებებთან“ [1], რომ აღმნიშვნელის აღსანიშნთან დაკავშირება ორგანული კავშირებით არ არის დეტერმინირებული. მეტიც, ბგერათა კომპლექსი და საგანი (სიტყვის მნიშვნელობა) ჰეტეროგენული მოვლენებია და თუ მათ ადამიანისაგან აბსტრაგირებულად განვიხილავთ, საერთოდ მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. ეს შეეხება არა მხოლოდ ე. წ. თავდაპირველ ლექსიკურ ფონდს, არამედ წარმოებულ და პიკტორალური მომენტების შემცველ სიტყვებსაც.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის გნოსეოლოგიურ ასპექტში განხილვა საჭირო და აუცილებლია მისი პრინციპული თეორიული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობის გამო. მაგრამ როდესაც გნოსეოლოგიური თვალსაზრისი გადაინაცვლებს მეტყველების ფსიქოლოგიასა და ენათმეცნიერებაში ხან ფილოსოფიური არგუმენტაციით, ხან კი უმისოდ, თავს იჩენს ფილოსოფიის, ენათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიის საგანთა აღრევა.

საქმე იმაშია, რომ ფილოსოფიას აინტერესებს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ბუნება ობიექტური თვალსაზრისით. ხოლო თუ კავშირის ამ მხარეს განვიხილავთ, მაშინ მისი ბუნება მხოლოდ უარყოფითი პრედიკატებით ხასიათდება: აღმნიშვნელი არ წარმოადგენს აღსანიშნის ასახვას, აღმნიშვნელის აღსანიშნთან დაკავშირება ორგანული კავშირებით არ არის დეტერმინირებული. მაგრამ როდესაც აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ბუნებას დადებითი პრედიკატებით ვახასიათებთ, მაშინ ეს პრედიკატები მიეწერება იმ კავშირს, რომელიც არსებობს აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის, ე. ი. ადამიანში მოცემულ კავშირს და არა ობიექტურ კავშირს, რადგანაც ობიექტურად კავშირი არ არსებობს და არარსებულ კავშირზე დადებითი პრედიკატების მიწერა გაუმართლებელია. საქმის ვითარება არ იცვლება იმაზე მითითებით, რომ საკითხი ფილოსოფიურ ასპექტში [2] ანდა ლოგიკური თვალსაზრისით [3] განიხილება.

„სიტყვა, წერს ე. მ. გალკინა-ფედორუკი, აღნიშნავს რომელიმე საგანს ამ საგანზე ცნების მეოხებით. სიტყვა ცნების გარსია, ბგე-

---

[1] Проблемы мышления в современной науке, М., 1964 г., стр. 62.

[2] В. А. Звегинцев, Очерки по общему языкознанию, М., 1962 г., стр. 20.

[3] К. А. Левковская, Теория слова, принципы ее построения и аспекты изучения лексического материала. М., 1962 г., стр. 104.

რათა კომპლექსი საგანთან ჰხოლოდ პირობითად არის დაკავშირებული. სიტყვას შეუძლია აღნიშნოს რომელიც გნებავთ მოვლენა, საგანი, მოქმედება, თვისება, თვისობრიობა პირველადვე ნებისმიერად შერჩეული ბგერათა კომპლექსით...: ... ბგერათა კომპლექსი — მხოლოდ ნიშანია და არა სარკისებური ასახვა, არა ხატი, არა პირი, როგორც ეს საგნის შესახებ ცნებას ახასიათებს..." „...დავა სიტყვასა და აზრს შორის, საგანსა და მის სახელს შორის მიმართებასა და შესატყვისობაზე დაიწყო ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში. დავა მიმდინარეობდა იმის შესახებ, სიტყვებით საგნები აღინიშნება ამ უკანასკნელთა ბუნების შესატყვისად თუ საგნის სახელი ნებისმიერი წარმოშობისაა? და საოცარია, რომ მეოცე საუკუნეში კვლავაც საჭირო ხდება იმის დასაბუთება, რომ ბგერათა კომპლექსი, ე. ი. სიტყვის ფონეტიკური სახე, განსხვავებით შეგრძნებებისა და აღქმებისაგან, არ შეიძლება იყოს საგნის ან მოვლენის ასლი.

ასეთი ორგანული შესატყვისობა რომ არსებობდეს სიტყვასა და საგანს შორის, ე. ი. სიტყვები რომ ასახავდნენ საგნებს, მაშინ ყველა ენა ლექსიკურად ერთნაირი იქნებოდა, რადგანაც სიტყვა უშუალოდ გამოხატავდა საგნებსა და მოვლენებს" [1]. ანალოგიური ხასიათისაა ბ. ა. სერებრენიკოვის [2] და მრავალი სხვა ავტორის მსჯელობა. ჩვეულებრივ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ბუნების შესახებ მსჯელობის დროს იმოწმებენ კ. მარქსს, რომელიც კაპიტალის პირველ ტომში იხილავს რა ფულადი სახელწოდებებისა და ღირებულების დამოკიდებულების საკითხს, წერს: „ამა თუ იმ ნივთის სახელწოდება სრულიად გარეგნული რამაა მისი ბუნებისათვის. მე არაფერი ვიცი ამა თუ იმ ადამიანის შესახებ, თუ მარტო ის ვიცი, რომ მას იაკობი ჰქვია. ასევე ქრება ფულად სახელწოდებებში: გირვანქა, ტალერი, ფრანკი, დუკატი და სხვ. ღირებულებითი შეფარდების ყოველი ნაპაპი" [3]. კ. მარქსის მოყვანილ გამონათქვამში მითითებულია

---

[1] Е. М. Галкина-Федорук, Знаковость в языке с точки зрения марксистского языкознания, ж. «Иностранные языки в школе», № 2, 1952, стр. 8.

[2] Б. А. Серебренников, К выяснению сущности внутренних законов развития языка. Доклады и сообщения, V. Институт языкознания. აგრეთვე — Сравнительно-исторический метод и критика т. н. четырехэлементного анализа Н. Я. Марра, сб. Вопросы языкознания, 1952, მისივე — К вопросу о недостатках сравнительно-исторического метода в языкознании. Известия АН СССР, отд. литературы и языка. т. IX, вып. 3, 1950 г.

[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954 წ., გვ. 131.

მხოლოდ ის, რომ ნიეთის სახელწოდებასა და საგნის ბუნებას შორის არ არის ორგანული კავშირი, რომ თავისთავად სახელი იაკობი არ ასახავს ამ სახელის მატარებელ ინდივიდს, ისევე როგორც ფულად სახელწოდებებში: გირვანქა, ტალერი, ფრანკი, დუკატი და სხვა არ არის ასახული მათ შორის არსებული ღირებულებითი შეფარდებები. ამიტომ მარქსის დამოწმება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართებას გნოსეოლოგიურ ასპექტში ვიხილავთ, გამართლებულია, მანამ ვამტკიცებთ, რომ ბგერათა კომპლექსი არ არის საგნის „სარკისებური ასახვა", მათ შორის არ არის ორგანული კავშირი, სახელი არ არის საგნის „ხატი", „პირი". მაგრამ როდესაც არ ეკმაყოფილდებით თქმულით და ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ „სიტყვას შეუძლია აღნიშნოს რომელიც გნებავთ მოვლენა, საგანი, მოქმედება, თვისება, თვისობრიობა პირველადვე ნებისმიერად შერჩეული ბგერათა კომპლექსით", ამ შემთხვევაში მარქსის დამოწმება არ არის მართებული, რადგანაც ჩვენ უმართებულოდ ფილოსოფიური თვალსაზრისით ვიხილავთ ემპირიული მეცნიერებების საგანს, გნოსეოლოგიურ ასპექტში ვიხილავთ ემპირიული კვლევის ობიექტს, ვახდენთ ემპირიული მეცნიერებებისა და ფილოსოფიის საგანთა აღრევას, რის მსგავს რაიმეს არა აქვს ადგილი კ. მარქსის არც მოყვანილ გამონათქვამში და არც სხვაგან.

მაშასადამე, როდესაც აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართება განიხილება გნოსეოლოგიურ ასპექტში (ფილოსოფიური, ლოგიკური თვალსაზრისით), მაშინ ეს ურთიერთმიმართება შესაძლებელია დახასიათდეს მხოლოდ უარყოფითი პრედიკატებით — სახელი არ არის საგნის ასახვა, სახელი არ არის ორგანულად დაკავშირებული საგანთან, რადგანაც ობიექტურად ე. ი. თუ საგანს თავისთავად და სახელს თავისთავად ავიღებთ მათ შორის არაეითარი კავშირი არ არსებობს.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირი მხოლოდ ინდივიდშია მოცემული. „ეს რომ ასე არ იყოს, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დაკავშირება ადამიანის გარეშე იწარმოებდა, ე. ი. მნიშვნელობა მატერიალური სინამდვილის, გარე სამყაროს ფაქტი აღმოჩნდებოდა"[1]. ადამიანის, ინდივიდის გარეშე მათ შორის კავშირი არ არის,

---

[1] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ.II, ძირითადი პრობლემები, 1945 წ., გვ. 154.

ამიტომ ყოველგვარი დადებითი მსჯელობა, გამოთქმული აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ბუნების შესახებ არსებითად, გვაქვს ამის სურვილი თუ არა, მიმართულია ადამიანში წარმოდგენილი კავშირის დასახასიათებლად. მაშასადამე, არ უნდა იყოს სწორი თვალსაზრისთა სხვადასხვაობით გავამართლოთ სახელდების პრობლემის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო. ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტის არსებობა, არ უნდა იყოს მართებული ორივენაირი გადაწყვეტის თანაბარკანონიერად გამოცხადება. ყოველი დადებითი პრედიკატი, რომელიც აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ბუნების დასახასიათებლად გამოიყენება, მიეწერება არა მათ შორის ობიექტურ კავშირს, რადგანაც მათ შორის ობიექტურად არავითარი კავშირი არ არის, არამედ იმ კავშირს, რომელიც ადამიანშია, რომელსაც ადამიანი ამყარებს, რადგანაც ინდივიდის გარეშე ეს კავშირი არ არის.

ზემოაღნიშნულის გამო მართებული უნდა იყოს სახელდების მეორენაირი გადაწყვეტა, რომლის მიხედვითაც კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის პირობითია, ნებისმიერია. მოცემული მნიშვნელობის აღსანიშნავად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი შეიძლება გამოიყენოთ, განვიხილოთ როგორც სახელსა და მნიშვნელობას შორის ადამიანში მოცემული კავშირის დახასიათება და ვნახოთ, რამდენად მართებულია იგი. პირველ რიგში განვიხილოთ ლოგიკური თვალსაზრისით, ე. ი. ვნახოთ მოყვანილი არგუმენტებიდან რამდენად მართებულად არის გამოყვანილი აღნიშნული დასკვნა.

1. სახელდების პრობლემის მეორენაირი გადაწყვეტის ძირითად არგუმენტს წარმოადგენს მრავალენიანობის ფაქტი — ერთი და იგივე აღსანიშნი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა აღმნიშვნელით აღინიშნება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის შემთხვევითია, ნებისმიერია. მაშასადამე, მრავალენიანობის მიზეზი არის აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის არამოტივირება, მისი ნებისმიერობა. მრავალენიანობა არის ამ კავშირის ნებისმიერობის შედეგი. როგორც ვხედავთ, მრავალენიანობის ფაქტის, როგორც შედეგის, არსებობის საფუძველზე კეთდება დასკვნა მისი მიზეზის — აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობის არსებობის შესახებ. მაგრამ შედეგის არსებობიდან დასკვნა მიზეზის არსებობის შესახებ გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია, რომ ამ შედეგსა და ამ მიზეზს შორის ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა, თუ გარკვეულია, რომ ამ შედეგის გამოწვევა მხოლოდ ამ მიზეზით არის შესაძლებელი, ასეთი

ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება კი მრავალენიანობასა, როგორც შედეგსა და აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობას, როგორც მიზეზს შორის, დღემდე არავის დაუდგენია. და, მაშასადამე, დასკვნა ლოგიკური თვალსაზრისით მოკლებულია საკმაო საფუძველს.

ცხადია, თქმულიდან არ გამომდინარეობს, რომ დებულება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირის ნებისმიერობის შესახებ აუცილებლად მცდარია. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა. მაგრამ თუ აღნიშნულ დასკვნას ლოგიკური თვალსაზრისითაც ვიხილავთ, ეს მხოლოდ იმის სილუსტრაციოდ, რომ წინააღმდეგ ზოგიერთი ავტორის მტკიცებისა, აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის შემთხვევითობა, ნებისმიერობა, არ არის ისეთი თავისთავად ცხადი და მრავალენიანობის ფაქტიდან აუცილებლობით გამომდინარე, რომ საწინააღმდეგო მოსაზრების თვით არსებობაც კი გაოცებას იწვევდეს.

ე. წ. წარმოებული სიტყვები სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სიტყვებიდან არიან წარმოებულნი. ასე მაგალითად, ფრინველ „სტვენიას" სახელი ქართულში სტვენიდან არის წარმოდგენილი, იმავე ფრინველის სახელი რუსულ ენაში თოვლიდან არის ნაწარმოები (снегирь), სერბიულ ენაში — სიტყვა ზამთრიდან (зимовка), გერმანულ ენაში Gimpel წარმოებულია ხტუნვიდან (gümpel), ფრანგული სახელი le bouvreuil ნაწარმოებია ლათინური bovariolus-იდან (მწყემსი). ამ ფრინველის ფრანგული სახელი pivoine ვარაუდობენ, რომ მომდინარეობს ტყის ყაყაჩოს (პეონი) სახელიდან, მეცნიერული (ლათინური) სახელწოდება Pjrrhula (vulgaris) წითელი ფერის ბერძნული სახელიდან არის წარმოებული[1] და სხვ. მაშასადამე, ფრინველი ერთი და იგივეა, სხვადასხვა ენაში კი მისი სახელი სხვადასხვა სიტყვებიდან არის წარმოებული. მაგრამ სამოტივაციო სიტყვების სხვადასხვაობის ფაქტის საფუძველზე ალბათ არავინ გააკეთებს დასკვნას, რომ სამოტივაციო სიტყვის შერჩევა არ არის განსაზღვრული სახელსადები შინაარსის სპეციფიკით, რომ მოცემული მნიშვნელობის სახელის საწარმოებლად ნებისმიერი სიტყვის

[1] Л. А. Булаховский, Введение в языкознание, часть II, 1953 г., стр. 10.

ბგერითი მხარე შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომ სამოტივაციო სიტყვის როლის შესრულება ნებისმიერ სიტყვას შეუძლია. ასეთ დასკვნას არავინ გააკეთებს, რადგანაც ცნობილია, რომ წარმოებული სიტყვა აღნიშნავს არა მხოლოდ გარკვეულ მნიშვნელობას, არამედ ასახავს აგრეთვე ამ მნიშვნელობის სხვა მნიშვნელობებთან მიმართების გაგებასაც. ისე როგორც ისინი გაცნობიერებული იყო, ან ცნობიერდებოდა საზოგადოების მიერ, ხალხის მიერ გარკვეულ ეპოქაში. „სტვენა", „თოვლი", „ზამთარი", „ხტუნვა", „მწყემსი", „ტყის ყაყაჩო", „წითელი", რომლებიც სხვადასხვა ენაში საფუძვლად დაედო სტვენიას სახელს, არ არის შემთხვევითი, იგი სახელსადები ფრინველის სპეციფიკით არის განპირობებული, იგი სახელსადებით არის დეტერმინირებული.

ერთი და იგივე ფრინველი-სტვენია სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის მიერ მისი სახელდების მომენტში სხვადასხვა მოვლენებთან მიმართებაში იყო წარმოდგენილი, სხვადასხვანაირად იყო ასახული და შესაბამისად სამოტივაციო სიტყვადაც სხვადასხვა მოვლენის სახელი იქნა შერჩეული. ამრიგად, სადავო არ არის, რომ წარმოებული სიტყვების შემთხვევაში სამოტივაციო სიტყვას განსაზღვრავს სახელსადები შინაარსი, ხოლო სხვადასხვა ენის წარმოებულ სიტყვათა სამოტივაციო სიტყვის სხვადასხვაობა გაპირობებულია სახელსადები შინაარსის ასახვის სხვადასხვაობით.

თუ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ სინამდვილის ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღინიშნება, სოსიურისა და სხვა ავტორთა მსგავსად, დავასკვნით აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობაზე, სახელსადებით არგანსაზღვრულობაზე, მაშინ თუ თანამიმდევრობას გამოვიჩენთ და ისეთივე ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ, წარმოებული სიტყვების შემთხვევაშიაც უნდა დავასკვნათ, რომ სამოტივაციო სიტყვასა და აღსანიშნს შორის კავშირი შემთხვევითია, რომ სამოტივაციო სიტყვა აღსანიშნით არ არის განსაზღვრული, რადგანაც ფორმალურად მდგომარეობა ორივე შემთხვევაში ერთნაირია. პირველ შემთხვევაში გამოსავალი დებულებაა — ერთი და იგივე აღსანიშნი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა აღმნიშვნელით აღინიშნება. მეორე შემთხვევაშიც გამოსავალი დებულება ანალოგიურია — ერთი და იგივე აღსანიშნი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სამოტივაციო სიტყვით

იწარმოება. პირველი დებულების საფუძველზე კეთდება დასკვნა — კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არ არის მოტივირებული; მეორე შემთხვევაში კი არ ხერხდება დაკასკვნათ, რომ სამოტივაციო სიტყვა აღსანიშნით არ არის დეტერმინირებული, რადგანაც ფაქტიური ვითარება საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. ეს გარემოება ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ პირველ შემთხვევაშიაც დასკვნა გამოსავალი დებულებიდან აუცილებლობით არ გამომდინარეობს, რომ ეს არ არის დასკვნის ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტი?

„ყოველი ენა, — წერს ა. ჩიქობავა, — ასახავს სინამდვილეს, მაგრამ არა ერთნაირად. სინამდვილის მოვლენები, მათი კავშირი თავისებური სახით დაჩნდება სხვადასხვა ენაში. ერთ შემთხვევაში აღსანიშნის ერთი მხარეა ამოსავალი, მეორეში — სხვა ... აღსანიშნთა შორის ურთიერთობა ერთგან ასეა წარმოდგენილი, სხვაგან — სხვაგვარად, ...ზოგჯერ თავისებურება ისე შორს მიდის, რომ ერთი ენის გამოთქმა პირდაპირ არც ითარგმნის: გული მოუვიდა — „сердце пришло к нему (!)", „აქ ქარი იცის" — „здесь ветер знает (!)"...

დებულება: ყოველი ენა ნაოფლსნედველობაა, სწორია იმ გაგებით, რომ ყოველ ენაში, როგორც ნიშანთა თავისებურ სისტემაში, სინამდვილე (აღსანიშნი) მეტნაკლების ნაირ-ნაირობითაა წარმოდგენილი („ასახული)" [1]. ყოველი ენა მეორის თვალსაზრისით — წერს რ. ბოასი — მეტისმეტად ნებისმიერია თავის კლასიფიკაციებში. ის რაც ერთ ენაში წარმოგვიდგება ერთიან მარტივ იდეად, მეორეში შეიძლება იღეების მთელი სერიით იყოს წარმოდგენილი [2]. „ყოველ ენას შეესატყვისება გამოცდილების მონაცემების განსაკუთრებული ორგანიზაცია. შეისწავლო უცხო ენა — არ ნიშნავს ახალი იარლიყი ჩამოკიდო ნაცნობ ობიექტებს. ენის დაუფლება ნიშნავს ივის სხვაგვარად გაანალიზების სწავლას, რაც ენობრივი კომუნიკაციის საგანს შეადგენს" [3]. „სინამდვილის შემეცნების შედეგების სიტყვის მნიშვნელობაში ფიქსირებისას, ყოველი ენა თავისებურად აანალიზებს მათ,

---

[1] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, ძირითადი პრობლემები, 1945 წ., გვ. 185—186.

[2] P. Боас, Введение к «руководству по языкам американских индейцев». См. Б. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, ч. II, 1965 г., стр. 172.

[3] А. Мартине, Основы общей лингвистики. იხ. В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, ч. II, 1965 г., стр. 408—409.

ანალიზით გამოყოფილი სინამდვილის მხარეების თავისებურ სინთეზირებას ახდენს სიტყვის მნიშვნელობაში, ახდენს მათ თავისებურ დიფერენციაციასა და განზოგადებას იმ პირობებისდა მიხედვით, რომელშიაც ფორმირდებოდა ეს ენა“ [1].

სინამდვილის სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად ასახვის ფაქტიალბათ არავისათვის არ არის სადავო და ამიტომ საგანგებო მაგალითებით მისი ილუსტრირების საჭიროება არ არის. მაგრამ ამ უდავო ფაქტის საფუძველზე ალბათ არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ენის სემანტიკური მხარე სინამდვილის ხასიათით არ არის განსაზღვრული. მეტი სიცხადისათვის მოვიყვანთ ავგუსტ ფრიდრიხ პოტის მიერ მითითებულ კლასიკურ მაგალითს: უნგრულ ენაში უფროსი ძმის აღსანიშნავად იყენებენ სპეციალურ სახელს (bâtya), უმცროსი ძმისათვის — სხვას (öces), უფროსი და აღინიშნება სახელით nêne, უმცროსი და—hûg. ფრანგულ ენაში უფროსი და უმცროსი ძმის აღსანიშნავად იხმარება ერთი სახელი (frére), ასევე უმცროსი და უფროსი დის აღსანიშნავად — სახელი soeur. მალაიურ ენაში უფროსი და უმცროსი და, უფროსი და უმცროსი ძმა აღინიშნება ერთი სახელით — sudarā[2]. როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, სინამდვილის ერთი და იგივე სფერო უნგრულ, ფრანგულ და მალაიურ ენებში სხვადასხვანაირად არის ასახული. თითოეული ეს კლასიფიკაცია თანაბრად მართებულია, რადგანაც ემყარება ობიექტურ სინამდვილეს, თუმცა კლასიფიკაციის პრინციპი სხვადასხვაა. ცხადია, ამ სხვადასხვაობის გამო არ იქნებოდა მართებული დასკვნა, რომ კლასიფიკაცია სინამდვილით არ არის მოტივირებული, რომ კლასიფიკაცია ნებისმიერი და შემთხვევითია, რომ კლასიფიკაცია სინამდვილის სპეციფიკურობას არ ითვალისწინებს.

ამრიგად, სინამდვილე სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირად არის ასახული, მაგრამ ამის მიუხედავად, ენის ლექსიკური მნიშვნელობა სინამდვილის მოვლენებთან უშუალო დამოკიდებულებაში ყალიბდება და ვითარდება, ენის ლექსიკის სემანტიკური მხარის სპეციფიკა სინამდვილის მოვლენების სპეციფიკით არის გაპირობებული.

ამრიგად, საკმაოდ შესაძლებელია, რომ სინამდვილის ერთი და

---

[1] С. Л. Рубинштейн, Принципы и пути развития психологии. 1959 г., стр. 106.

[2] Л. Ельмслев, Можно ли считать, что значения слов образуют структуру? «Новое в лингвистике», вып. II, М., 1962, стр. 127.

იგივე ფაქტი სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად იყოს წარმოდგენილი და ამავე დროს მისი სპეციფიკა ამ ფაქტით იყოს გაპირობებული. ეს გარემოება იმაზე ხომ არ მიუთითებს, რომ მრავალენიანობაც არ არის ისეთი ფაქტი, რომლიდანაც დასკვნა აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობის, არამოტივირებულობის შესახებ აუცილებლობით გამომდინარეობდეს?

2. თეზისის — სიტყვის ბგერით მხარესა და მის ლექსიკურ მნიშვნელობას შორის კავშირი არ არის მოტივირებული, ნებისმიერია, პირობითია — დასაბუთების მიზნით მიუთითებენ, რომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღინიშნება, რომ მაგალითად, „... რუსული სიტყვა — стол გერმანულად ეღერს — Tisch, ფრანგულად — table, იტალიურად — mensa, ინგლისურად — table“ [1].

დასაბუთების ეს ფორმა ლოგიკურ შეცდომას შეიცავს, რომელსაც თეზისის იგნორირებას, ignoratio elenchi-ს უწოდებენ. იმ ფაქტზე მითითება, რომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღინიშნება, არ ასაბუთებს თეზისს — კავშირი სიტყვის ბგერით მხარესა და მის ლექსიკურ მნიშვნელობას შორის ნებისმიერია —, რადგანაც სხვადასხვა სახელით აღინიშნება არა ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობა, არამედ ერთი და იგივე საგანი. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა და ამ სიტყვით აღნიშნული საგანი ერთი და იგივე არ არის. ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღინიშნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ სხვადასხვა სახელით აღნიშნული ლექსიკური მნიშვნელობებიც ერთი და იგივეა. ამ დებულების მართებულობის სასარგებლოდ სპეციალური ლიტერატურიდან მრავალრიცხოვანი ფაქტების დასახელება შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ მის საილუსტრაციოდ ისევ სიტყვა „მაგიდას“ მივმართოთ. „...თავისი ლექსიკური მნიშვნელობით რუსული სიტყვა — стол არ არის ინგლისური — table-ის ერთმნიშვნელოვანი. ინგლისურად არ შეიძლება სიტყვა table ხმარებულ იქნეს დაწესებულების განყოფილების აზრით: личный стол (ინგლისურად personnel office), адресный стол (ინგლისურად—adress bureau), стол заказов (ინგლისურად — preliminary — orders depart-

---

[1] Е. М. Галкина-Федорук, Знаковость в языке с точки зрения марксистского языкознания, ж. «Иностранные языки в школе», № 2, 1952 г., стр. 8.

ment) და ა. შ. ინგლისურში აგრეთვე მნიშვნელობისათვის „питания“ უპირატესად გამოიყენება არა table, არაუნედ სიტყვა — board ანდა cookery (стол и квартира — bo'ard and logging, домашний стол — plain cooking, диетический стол — invalid cookery). მეორე მხრივ, ინგლისური table იხმარება ისეთი მნიშვნელობებით, რომელიც უცხოა რუსული სიტყვა стол-ისათვის: 1) ქვის, ლითონის ან ხის ფირფიტა წარწერით, აქედან თვითონ წარწერაც (the table of law); 2) ცხრილი (table of contents of a book; tables of weights and measures; mathematical tables და ა. შ.)[1].

ანალოგიურ, სინამდვილის ერთი და იგივე ფაქტის სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სიტყვით აღნიშვნის ფაქტი საფუძველს არ იძლევა დასკვნისათვის, რომ კავშირი სიტყვის ბგერითი მხარესა და მის ლექსიკურ მნიშვნელობას შორის ნებისმიერია, არამოტივირებულია, რაღგანაც საგანი კი ერთია, მაგრამ სხვადასხვაა ლექსიკური მნიშვნელობები.

ე. ბენვენისტი, ე. პიშონი, ე. ლარხი და სხვები არსებითად იგივე საყვედურს გამოთქვამენ სოსიურის მიმართ, როდესაც მიუთითებენ მის არათანამიმდევრობაზე და აღნიშნავენ, რომ ერთი მხრივ სოსიური განსაზღვრავს ენობრივ ნიშანს, როგორც ცნებისა და აკუსტიკური ხატის ერთიანობას, სოლო, მეორე მხრივ, ენობრივი ნიშნის ნებისმიერობაზე მსჯელობისას მხედველობაში აქვს სახელის მიმართება საგანთან[2].

თეზისის იგნორირებას, არათანამიმდევრობას ვერ ვუსაყვედურებთ იმ ავტორებს, ვინც იმ თვალსაზრისზე დგას, რომ „ენობრივი ნიშანი, როგორც ენის ელემენტი, ბგერითი მასალისაგან შედგება და წარმოადგენს მხოლოდ აღმნიშვნელს, აღსანიშნი კი არის არა ჩვენი სუბიექტური წარმოდგენები ან თუნდაც ცნებები საგნებისა და მოვლენათა შესახებ, არამედ თვით ეს საგნები და მოვლენები, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური სამყაროს სხვადასხვა ფაქტები, აგრეთვე მათ შორის მიმართებები“[3]. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ ამ შენიშვნას, ხოლო რამდენადაც ამ თვალსაზრისზე მდგომნიც თეზისის —

---

[1] В. А. Звегинцев, Очерки по общему языкознанию, 1962 г., стр. 32.

[2] იხ. თ. შარაძენაძე, ენობრივი ნიშნის რაობის პრობლემა თანამედროვე ენათმეცნიერებაში. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის XIII საჩეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, 1957 წ. გვ. 14.

[3] იქვე, გვ. 15.

კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ნებისმიერია, არამოტივირებულია — დასასაბუთებლად აგრეთვე მრავალენიანობის ფაქტზე მიუთითებენ, ყველა სხვა მოყვანილი კრიტიკული შენიშვნა ამ თვალსაზრისის მიმართაც ინარჩუნებს ძალას.

3. მრავალენიანობის ფაქტსა, როგორც შედეგსა, და აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობას, არამოტივირებას, როგორც მიზეზს შორის არ არის ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება. ამის შესახებ მითითებას, როგორც უკვე აღნიშნული იყო, პლატონის „კრატილშიც" ვნახულობთ.

„კრატილში" ვხვდებით მითითებას იმის შესახებ, რომ ის ფაქტი, რომ სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი საგანს სხვადასხვა სახელს უწოდებენ, ვერ გამოდგება სახელთა მართებულობის (მოტივირების) საპირისპიროდ. ერთი და იგივე საგნის სახელის შესაქმნელად სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ბგერითი მასალის გამოყენება არ ნიშნავს, რომ სახელი არ შეესატყვისება საგანს. დურგალი, როდესაც ამზადებს მაქრს, ითვალისწინებს იმ ქსოვილს, რომლის მოსაქსოვადაც უნდა იქნეს გამოყენებული ეს მაქრ, მაქრ საქსოვი მასალის შესაფერისი, შესატყვისი უნდა იყოს. მაგრამ მაქრ შესაძლოა, სულ სხვადასხვა მასალისაგან დამზადდეს და ყოველთვის იყოს საქსოვი მასალის შესაფერისი, შესატყვისი. ასევე, საგანთა სახელებიც შესაძლებელია სხვადასხვა მასალით — მარცვლებით იქნეს შედგენილი და ამის მიუხედავად ყველა შემთხვევაში საგნის შესატყვისი აღმოჩნდეს. „კრატილში" გამოთქმული ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით, შესაძლოა, პრიმიტიულად მოგვეჩვენოს. მაგრამ ამის მიუხედავად, როგორც სახელდების პრობლემის ექსპერიმენტულმა კვლევამ ნათელყო, ძირითადად მართებულია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ეს მოსაზრება ამჟამად გვაინტერესებს მხოლოდ. იმის საილუსტრაციოდ, რომ მრავალენიანობასა, როგორც შედეგსა, და აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის არამოტივირებას, როგორც მიზეზს, შორის არ არის ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება, რომ ერთი და იგივე საგნის სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღნიშვნის ფაქტიდან გამომდინარე დასკვნას ერთადერთი ვარიანტი არ არის აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირის ნებისმიერობა.

ზემოთქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თეორიებში, რომლებშიც აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირი კანონზომიერად არის მიჩნეული, ნაცადია მრავალენიანობის ფაქტის ახსნაც. ამ თეორიების მიხედვით, მრავალენიანობის მიზეზი არა აღსანიშნისა და

აღმნიშვნელის ნებისმიერობაში უნდა ვეძიოთ, არამედ სახელსადები მოვლენის ასახვის სხვადასხვაობაში, ამის შესახებ ჯერ კიდევ ეპიკურე მიუთითებდა. ჰუმბოლდტი აღნიშნავდა, რომ „ადამიანის ბუნება სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებოდა სხვადასხვა გავლენის ქვეშ, ამიტომ საგანზე აღმოცენდა სხვადასხვა შეხედულება და რომ ეს სხვადასხვა შეხედულება და მოვლენები მოქმედებენ განსაკუთრებულად ყოველი ნაციის სიტყვების წარმოთქმაზე" [1].

ჰუმბოლდტს თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მოყავდა მასალები ძველი ინდური ენიდან — სანსკრიტიდან. სანსკრიტში სპილოს რამდენიმე სახელი ეწოდება: მას ხან „ორჯერ მსმენელს" უწოდებენ, ხან „ორკბილას", ხან „ცალხელას". ჰუმბოლდტის აზრით, ეს დაკვირვება, როგორც დ. უზნაძე წერს, იმაზე მიუთითებს, რომ „სიტყვა გრძნობადად მოცემული საგნის ეკვივალენტი როდია, არამედ მისი ასახვისა — სიტყვის მონახვის გარკვეულ მომენტში, და რომ იგი არა თვითონ საგანს, არამედ ცნებას ახასიათებს. ჰუმბოლდტი დარწმუნებულია, რომ ერთი და იგივე საგნის სხვადასხვა სიტყვით აღნიშვნის ფაქტი ამით უნდა იქნეს ახსნილი" [2].

დ. უზნაძე ეთანხმება ჰუმბოლდტის ამ მოსაზრებას და აღნიშნავს: „საგნის სახელდების სხვადასხვაობას მართლაც ასახვის სხვადასხვაობა უდევს საფუძვლად" [3]. ასახვის სხვადასხვაობა ფაქტია, მისი უარყოფა არ შეიძლება და არც არავინ უარყოფს. ეს კი უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ მრავალენიანობა, როგორც შედეგი, არ არის ერთმნიშვნელოვნად დაკავშირებული აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობასთან, როგორც მიზეზთან, რომ მრავალენიანობის ფაქტიდან დასკვნა აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერ ხასიათზე აუცილებლობით არ გამომდინარეობს.

4. ერთი და იგივე აღსანიშნი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღინიშნება, მაგრამ ამ ფაქტის საფუძველზე, როგორც ვნახეთ, დასკვნა, რომ კავშირი სახელსა და მნიშვნელობას შორის, სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის, ნებისმიერია, არამოტივირებული, ლოგიკური თვალსაზრისით გამართლებული არ უნდა იყოს. მართალია, ამ მოსაზრების ნათელსაყოფად ჩვენ ვცდილობდით მაგალითები ენობრივი სინამდვილიდან.

---

[1] М. Мюллер, Наука о языке, 1868 г., стр. 291.

[2] დ. უზნაძე, ენის შინაფორმა, „ფსიქოლოგია", 4, გვ. 178.

[3] იქვე.

ისინი ნებისმიერობის სხვადასხვა საფეხურს. ნიშანი შეიძლება იყოს შედარებით მოტივირებული"[1]. „გადამწყვეტი, პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ენის პირველადი ძირითადი მასალა არაა მოტივირებული; ამითაა შეპირობებული ენობრივი ნიშნის ნებისმიერი ხასიათი"[2]. რაკი აბსოლუტურად ნებისმიერი მხოლოდ ენის პირველადი ძირითადი მასალაა და ლექსიკის უმეტესი ნაწილი კი შედარებით ნებისმიერი, რომელთა ნებისმიერობაზე მხოლოდ იმის გამო შეიძლება ლაპარაკი, რომ ისინი ამ აბსოლუტურად ნებისმიერი პირველადი ენობრივი მასალიდან არის წარმოებული, ბუნებრივია, რომ სხვადასხვა ენაში სინამდვილის ერთი და იგივე ფაქტის სხვადასხვა სახელით აღნიშვნის საილუსტრაციოდ არ გამოდგება ისეთი სიტყვების დასახელება, რომლებიც სხვა სიტყვებიდან არიან წარმოებულნი. ასე მაგალითად, დებულების — კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ნებისმიერია, არამოტივირებულია — დასამტკიცებლად არავინ დაასახელებს ფაქტს, რომ ერთი და იგივე ფრინველი ქართულ ენაში იწოდება სტეენიად, რუსულში снегирь, სერბიულ ენაში зимовка და ა. შ., რადგანაც ამ ფრინველის სახელები მოტივირებულია და სახელის რაკვარობა გაპირობებულია არა მხოლოდ მისი კავშირით იმ ფუძისეულ სიტყვასთან, რომლიდანაც იგია წარმოებული, და სიტყვაწარმოების გარკვეულ ტიპთან კავშირით, არამედ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, თვით ამ ფრინველის სპეციფიკითაც, მისი ენაში უკვე სხვა სიტყვებით აღნიშნულ საგნებთან და მოვლენებთან მიმართების ხასიათითაც, როგორც ის გაცნობიერებული იყო ენობრივი კოლექტივის მიერ მისი სახელდების ეპოქაში. მაშასადამე, აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობა, არამოტივირება წარმოებული სიტყვების მაგალითზე ვერ დასაბუთდება. ამიტომაა, რომ ასახელებენ ხოლმე ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ხარი" (სოსიური, ბენვენისტი), „თევზი", „მაგიდა" (გალკინა-ფედორუკი) და სხვა. მაგრამ, როგორც ცნობილია, დროთა განმავლობაში სიტყვა, რომელიც სხვა სიტყვიდან იყო წარმოებული, განიცდის დეეტიმოლოგიზაციას და იკარგება ის სემანტიკური კავშირები, რომლებითაც იგი აღმოცენების მომენტში ხასიათდებოდა. ამის გამო ამა თუ იმ სიტ-

---

[1] Ф. де-Соссюр. Курс общей лингвистики. 1933, стр. 127.

[2] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, ძირითადი პრობლემები, 1945 წ., გვ. 81.

ყვის ეტიმოლოგიური ძირების დადგენა დიდ სიძნელესთან არის დაკავშირებული და ძალიან ხშირად შეუძლებელიც. ალბათ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დღეისათვის ძნელია რომელიმე სიტყვაზე ვთქვათ, რომ მას არ განუცდია დეეტიმოლოგიზაცია, ძნელია დავასახელოთ რომელიმე ისეთი სიტყვა, რომლის მიმართაც გვექნება რწმენა, რომ ის სხვა სიტყვიდან არ არის წარმოებული, რომ ეს სიტყვა თავდაპირველი ფუძისეული სიტყვაა.

არნ. ჩიქობავა, ეხება რა შედარებითი ენათმეცნიერების ნაკლოვანებებს, მიუთითებს, რომ ერთ-ერთი ასეთი ნაკლია „... მისწრაფება აღდგენილ იქნეს — შედარების გზით — ფუძე-ენის („პრაენის") ფაქტები.

ერთია აღიარო ფუძე-ენა, როგორც რ ე გ ულ ა ც ი უ რ ი ცნება, რომლის აუცილებლობა პოსტულირებულია მონათესავე ენათა ცნების რ ე ა ლ ო ბ ი თ. სულ სხვაა ცდილობდე ამ ფუძე-ენის აღდგენას, მიაწერო ამ უტყვ არსებას ჩვენი დასკვნები, რომლებიც ვარსკვლავებითაა აღჭურვილი. ისტორიიდან ცნობილ, რეალურად არსებულ ისეთ ფუძე-ენასაც კი, როგორიცაა ხალხური ლათინური, მისი ძეგლები რომ არ იყოს მოღწეული, ვერ აღვადგენდით რომანულ ენათა შედარების გზით.

მონათესავე ენათა შედარების მიზანია არა ფუძე-ენის (მაგ., ინდოევროპულ ენათა პრაენის) რეკონსტრუქცია, არამედ ისტორიის უფრო ძ ვ ე ლ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი ს გ ა მ ო ვ ლ ე ნ ა, ვიდრე შესადარებელი მონაცემებია" [1].

თუ ეს ასეა და მის ჭეშმარიტებაში დაეჭვების საფუძველი ნაკლებად არის, მაშინ მდგომარეობა ისე ხომ არაა, რომ ენის თავდაპირველადი ლექსიკის აბსოლუტური ნებისმიერობის თეზისის დასასაბუთებლად ჩვენ მოგვყავს მაგალითები, რომელთა არამოტივირებაში არა ვართ დარწმუნებული, ხომ არაა, რომ მოტივირებული სიტყვების საშუალებით ვცდილობთ დავასაბუთოთ სახელისა და მნიშვნელობის დაკავშირების აბსოლუტური ნებისმიერობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ განუწყვეტლად იცვლება სიტყვის ბგერითი მხარე და მნიშვნელობა და ეს ცვლილებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად წარმოშობის მიხედვით ერთიანობისა,

---

[1] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების გზებიკრებ. თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, ტ. 1, 1966 წ., გვ. 184.

უნათა ერთ ჯგუფში გაერთიანებული ენები ისე დასცილდნენ ერთმანეთს, რომ მათი ნათესაობის დადგენა ხშირად დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და აზრთა სხვადასხვაობასაც კი იწვევს, გასაგები გახდება, რაოდენ არასაიმედოა ცდა, ერთი და იგივე საგნის სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღნიშვნის ფაქტის საფუძველზე დავასკვნათ თავდაპირველადი ლექსიკის აბსოლუტური ნებისმიერობა.

6. სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთკავშირის ნებისმიერობის, არამოტივირების, პირობითობის, შემთხვევითობის სასარგებლოდ ჩვეულებრივ მიუთითებენ ხოლმე აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ სახელი — ბგერათა კომპლექსი — არ ასახავს ამ სახელით აღნიშნულ სინამდვილის მოვლენებს, საგნებს. „ყოველ კონკრეტულ ენაში, წერს ბ. ა. სერებრენიკოვი, ბგერათა კომპლექსი მხოლოდ უკავშირდება ამა თუ იმ საგანს ან მოვლენას. მაგრამ დაკავშირება არ არის საგნებისა და მოვლენების ნიშნებისა და თვისებების ასახვა“ [1]. „...ბგერათა კომპლექსი, გარდა უმნიშვნელო რაოდენობის ხმაბაძვითი სიტყვებისა, არსად არ არის მოტივირებული იმით, რომ ის რაიმე ხარისხით ასახავდეს მის მიერ აღნიშნულ საგანს“ [2]. „თანამედროვე ენათმეცნიერებაში დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ენობრივი ერთეულები თავიანთი ბგერებით კი არ ასახავენ საგნებს (შეგრძნებათა, წარმოდგენათა, ცნებათა... მსგავსად), არამედ პირობითად აღნიშნავენ მათ. მაშასადამე, ენობრივი ნიშანი ნებისმიერია აღსანიშნის მიმართ“ [3]. „თუ საგანსა და მის ასლს, ე. ი. ცნებას შორის არ არის იგივეობა, არამედ გარკვეული შესატყვისობა, მიუთითებს ე. მ. გალკინა-ფედორუკი, ბგერათა კომპლექსსა, რომელიც საგნისა და მოვლენის სახელს წარმოადგენს და იმ საგანსა და მოვლენას შორის, რომელსაც ეს კომპლექსი ასახელებს, არ არის არა მარტო იგივეობა, არამედ შესატყვისობაც კი. ...სიტყვის ფონეტიკური სახე, განსხვავებით შეგრძნებისა და აღქმისაგან, არ შეიძლება იყოს საგნის ან მოვლენის ასლი.

---

[1] Б. А. Серебренников. Сравнительно-исторический метод и критика т. н. четырехэлементного анализа Н. Я. Марра. Сб. «Вопросы языкознания». Изд. МГУ, 1952, стр. 247.

[2] იქვე, გვ. 248.

[3] თ. შარაძენიძე, ენობრივი ნიშნის რაობის პრობლემა თანამედროვე ენათმეცნიერებაში. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიის თეზისები, 1957 წ., გვ. 15.

სიტყვასა და საგანს შორის ასეთი ორგანული შესატყვისობა რომ არსებულიყო, ე. ი. სიტყვები რომ საგნებს ასახავდნენ, მაშინ ყველა ენა ლექსიკურად ერთნაირი იქნებოდა, რადგანაც მაშინ სიტყვა უშუალოდ გამოხატავდა საგნებსა და მოვლენებს.

ყოველი სიტყვა რომ თავისი იერით (обликом) ასახავდეს საგნების ბუნებრივ თვისებებს, სიტყვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო განზოგადება, რადგანაც ყოველი საგანი სპეციფიკურად განსხვავებულია სხვებისაგან და სიტყვას უნდა აესახა ყოველი ნაძვისხის, ყოველი არყისხის სპეციფიკა და განმაზოგადებელი სიტყვა „ხე" არც შეიძლება ყოფილიყო.

ყოველი სიტყვა რომ თავისი იერით საგნების ბუნებრივ თვისებებს ასახავდეს, არ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი სიტყვის მნიშვნელობის გატანას, არც მნიშვნელობის შეეიწროებას ან გაფართოებას. როგორ შეიძლებოდა გვეწოდებინა კალამი მოხრილი წვერწამახვილებული ფოლადის ფირფიტისათვის, რომელსაც ფუნქციის გარდა არაფერი არა აქვს საერთო ბატის კალამთან? თუ დავუშვებთ, რომ ენა, ისევე როგორც ჩვენი ცნობიერება, ასახავს სინამდვილის მოელენებს, ამით ჩვენ გავაიგივებდით ენასა და აზროვნებას" [1]. სახელისა და მნიშვნელობის კავშირის ნებისმიერობის დასასაბუთებლად ამ არგუმენტს სხვა ავტორებიც მიმართავენ.

დასახელებულ ავტორთა მიხედვით გამოდის, რომ პრინციპში სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის, ანდა უფრო ზუსტად, აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაკავშირების მხოლოდ ორი შესაძლებლობა არსებობს: 1) კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ნებისმიერია, პირობითი, არამოტივირებული და 2) სახელი საგნის ასახვას წარმოადგენს. რაკი საკითხის გადაწყვეტის მხოლოდ აღნიშნული ორგვარი გადაწყვეტის შესაძლებლობა არსებობს და რაკი აშკარაა, რომ სახელი საგნის ასახვას არ წარმოადგენს, მაშინ რჩება მხოლოდ ერთი შესაძლებლობა — კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არამოტივირებულია, ნებისმიერია. ასეთია მსჯელობის სქემა, რომელსაც გარდა აღნიშნული ავტორებისა, სხვებიც იყენებენ.

ზემომოყვანილ ამონაწერებში და, მაშასადამე, მსჯელობის ამ მსვლელობაშიც ბევრი რამ დაზუსტებას საჭიროებს, რის გამოც მი-

[1] Е. М. Галкина-Федорук, Знаковость в языке с точки зрения марксистского языкознания, ж. «Иностранные языки в школе», № 2, 1952 г., стр. 10.

ღებული დასკვნის აუცილებლობა ისე თავისთავად ცხადად არ გვეჩვენება, რომ მისმა არგაზიარებამ ვინმეში გაოცება გამოიწვიოს. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთ მომენტზე შევჩერდებით. სახელდობრ, რამდენად მართებულია გამოსავალი დებულება, რომ საკითხის გადაწყვეტის მხოლოდ აღნიშნული ორი შესაძლებლობა არსებობს.

ალბათ, ძნელია მოინახოს ისეთი ავტორი, რომელიც უარყოფს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობას, არამოტივირებას და ამავე დროს ამტკიცებდეს, რომ აღმნიშვნელი აღსანიშნის ისეთი თვალსაჩინო ხატოვანი სახის ასახვას წარმოადგენს, როგორზედაც მითითებას ზემომოყვანილ ამონაწერებში ვნახულობთ. დაწყებული ანტიკური პერიოდიდან დღემდე მრავალი ავტორის დასახელება შეიძლება, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის კანონზომიერი ხასიათი, მათი დაკავშირების მოტივირება და ამავე დროს უარყოფს როგორც კავშირის ნებისმიერობის, ასევე აღმნიშვნელის მიერ აღსანიშნის ასახვის დებულებას. მაშასადამე, აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშორის ნებისმიერობის უარყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმის აღიარებას, რომ აღმნიშვნელი ასახავს აღსანიშნს და პირიქით, როგორც სამართლიანად მიუთითებენ ვ. ზვეგინცევი, ა. შაფი და სხვ.[1] ამრიგად, არსებობს საკითხის გადაწყვეტის სხვაგვარი შესაძლებლობაც და ამიტომ ზემოთ მითითებული ორგვარი გადაწყვეტის შესაძლებლობის ალტერნატიულად წარმოდგენა არ უნდა იყოს მართებული.

7. ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით მითითებას იმის შესახებ, რომ შედარებით-ისტორიული მეთოდის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის თავდაპირველი დაკავშირების ნებისმიერობა, არამოტივირება. მიუთითებენ, რომ ამ მეთოდით წარმატებით ხერხდება ენათა ნათესაობისა და ენობრივი ოჯახების გამოყოფა და, მაშასადამე, ენობრივი კვლევის პრაქტიკამ ნათელყო დებულების — აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობის — მართებულობა.

„ენაში გამოთქმული აზრები რომ მათ აღმნიშვნელ ბგერებთან თავიანთი ბუნებით ცოტად თუ ბევრად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, ე. ი. რომ ლინგვისტურ ნიშანს თავისი არსებით, ტრადიციისაგან დამოუკიდებლად, ასე თუ ისე გამოეწვია გარკვეული ცნე-

---

[1] В. А. Звегинцев, Очерки по общему языкознанию, 1962, стр. 28. А. Шафф, Введение в семантику, М., 1963 г., стр. 208.

ბა, მაშინ ენათმეცნიერისათვის შედარების ერთადერთი საჭირო ტიპი იქნებოდა საერთო ტიპი და ენების ისტორია როგორიც არ უნდა იყოს იგი, შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ სინამდვილეში ენობრივი ნიშანი ნებისმიერია: მას მნიშვნელობა მხოლოდ ტრადიციის ძალით აქვს... მეტყველებითი ნიშნის აბსოლუტურად ნებისმიერი ხასიათი აპირობადებს შედარებითი მეთოდის გამოყენებას"[1]. ანალოგიურ მოსაზრებას იცავს ზოგიერთი საბჭოთა ენათმეცნიერიც.

მაგრამ, როგორც სავსებით მართებულად მიუთითებს ვ. ა. ზვეგინცევი,[2], აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობა არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას შედარებით-ისტორიული მეთოდის გამოყენებისათვის. ეს თეორია შედარებით-ისტორიულ მეთოდთან ხელოვნურად არის დაკავშირებული და მის სამუშაო ხერხებში ვერ ნახულობს თავის ასახვას.

ამრიგად, სახელისა და მნიშვნელობის, აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობის, პირობითობის, შემთხვევითობის, არამოტივირებულობის დებულების სასარგებლოდ წამოყენებულ არგუმენტებს შორის ანგარიშგასაწევია შემდეგი: 1) ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელით აღინიშნება, 2) სახელი არ წარმოადგენს საგნის ასახვას და 3) შედარებით-ისტორიული მეთოდი, რომელმაც კვლევის პრაქტიკით გამართლება ნახა, ეფუძნება სახელისა და მნიშვნელობის დაკავშირების ნებისმიერობის დებულებას.

როგორც ვნახეთ, არც ერთი აღნიშნული არგუმენტთაგანი ცალ-ცალკე და აღებული ერთად არ ეძლევა საკმაო ლოგიკურ საფუძველს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობაზე დასკვნისათვის. ამ არგუმენტების საფუძველზე გაკეთებული დასკვნა ლოგიკური თვალსაზრისით არ არის მართებული. ეს, ცხადია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ დებულება — კავშირი სახელსა და მნიშვნელობას შორის ნებისმიერია—აუცილებლად მცდარია, იგი მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურ საფუძველს მოკლებულია, თავისთავად სავსებით შე-

---

[1] А. Мейе. Сравнительный метод в историческом языкознании. М., Л., М., 1954, стр. 11—12. იხ. აგრეთვე, Б. А. Серебренников, Сравнительно-исторический метод и критика т. н. четырехэлементного анализа Н. Я. Марра. «Вопросы языкознания». 1952 г. А. Г. Волков, Язык как система знаков. 1966 г., стр. 54.

[2] В. А. Звегинцев. Очерки по общему языкознанию,, 1962 г., стр. 37—40.

საძლებელია მართებული, ჭეშმარიტი დებულება იყოს. ამიტომაც აუცილებელია ეს დებულება თავისთავადაც განვიხილოთ და ვნახოთ მხოლოდ ლოგიკურ საფუძველს არის მოკლებული იგი თუ სხვა მხრივაც იძლევა საფუძველს მის მართებულობაში ეჭვი შევიტანოთ.

დებულება — აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაკავშირება პიროპბითია, ნებისმიერია; მოცემული აღსანიშნის აღმნიშვნელად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული — არა მხოლოდ ლოგიკური თვალსაზრისით არ გამოიყურება უნაკლოდ, თავისთავადაც არ უნდა იყოს მართებული:

1. მოცემული მნიშვნელობის აღმნიშვნელად, წინააღმდეგ ნიშნის ნებისმიერობის თეორიისა, ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი არ გამოდგება ჯერ ერთი იმიტომ, რომ სიტყვის ბგერითი გარსის კონსტრუირება ხდება არა ნებისმიერი ბგერებისაგან, არამედ გარკვეული ენის ბგერებისაგან, რომლებიც მის ფონოლოგიურ სისტემას ქმნიან და ამიტომ იმყოფებიან გარკვეულ ურთიერთმიმართებაში როგორც ერთმანეთთან, ასევე ენის სხვა სტრუქტურულ ელემენტებთან. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სიტყვის ბგერითი გარსი ჩვენთვის არ წარმოადგენს მონოლითურ და ჰომოგენურ წარმონაქმნს. ჩვენ მათში გამოვყოფთ ბგერათა კომპლექსებს, რომლებსაც ჩვენ განვსაზღვრავთ როგორც სიტყვის ცალკეულ კომპონენტებს (ფესვი, ფუძე, დაბოლოება და სხვა) და რომლებსაც, ყოველ შემთხვევაში, თავის ნაწილში (პრეფიქსი, სუფიქსი, ფლექსია) მკაცრად განსაზღვრული ბგერითი სახე აქვთ. ეს კი ახალი მხრიდან აპირობებს სიტყვის ბგერით მხარესა და მის ლექსიკურ მნიშვნელობას შორის დამოკიდებულებას, რადგანაც ამ მნიშვნელობის ხასიათისდა მიხედვით (ე. ი. გარკვეული მნიშვნელობის სიტყვების მიკუთვნება სახელების ანდა ზმნების რიცხვისადმი) სიტყვამ შეიძლება მიიღოს ფლექსიის, პრეფიქსის ანდა სუფიქსის სახით (ფლექსიურ და აგლუტინაციურ ენებში) მკაცრად განსაზღვრული ბგერითი კომპლექსები [1].

2. მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის განვითარების შედეგად ენა სულ ახალ-ახალი ტერმინებითა და სიტყვებით ივსება. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, „ხელოვნური" სიტყვების შექმნა ძალიან იშვიათი მოვლენაა. არის მისი მხოლოდ რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ჩვეულებრივ მოყავთ როგორც კურიოზები;

---

[1] В. А. Звегинцев, Очерки по общему языкознанию, 1962 г., стр. 28—29.

მეცნიერული და ფსიქოლოგიური კვლევის პრაქტიკა, სხვადასხვა ენების ურთიერთშედარება, განვითარებული თანამედროვე ენებისა და განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფი ენების ურთიერთშედარება და სხვა, ემპირიული მეცნიერებების განკარგულებაში არის მრავალი ისეთი მონაპოვარი, რომელსაც სახელდების საკითხის გადაწყვეტისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. უდავოდ მნიშვნელოვანი მასალების მოწოდება შეუძლია მეტყველების ბიოლოგიური წანამძღვარების მიმართულებით წარმოებულ და პირველ რიგში ე. წ. ცხოველთა მეტყველების კვლევასაც[1]. თანამედროვე ცხოველთა ფსიქოლოგიაში ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯებიც კი მრავლისმეტყველია. ასევე მნიშვნელოვანი შედეგებია მოსალოდნელი ცხოველების მიერ ადამიანური მეტყველების დაუფლების მიმართულებით წარმოებული ექსპერიმენტებისაგან, რომლებსაც ამ უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ. არ შეიძლება უგულებელვყოთ აგრეთვე სოციალური იზოლაციის პირობებში აღზრდილ ადამიანთა ფსიქოლოგიური შესწავლის მონაცემების მნიშვნელობაც სახელდების პრობლემასთან დაკავშირებით.

ბავშვის მიერ მშობლიური ენის, ხოლო მოზრდილის მიერ უცნობი ენის დაუფლების პროცესი და სახელდება ფსიქოლოგიურად სხვადასხვა ბუნებისაა. ბავშვიც და მოზრდილიც, მოცემულ შემთხვევაში, სწავლობს სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის უკვე არსებულ კავშირებს, ერთიც და მეორეც ითვისებს მზაზზარეულ ენას. სახელდება კი სიტყვის ქმნადობას, სახელისა და მნიშვნელობის პირველდაკავშირებას გულისხმობს. მიუხედავად იმ პრინციპული განსხვავებისა, რომელიც სიტყვის შეთვისებასა და მათ პირველქმნადობას შორის არსებობს, სახელდების პრობლემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მასალების მოწოდება შეუძლია როგორც ბავშვის მიერ მშობლიური ენის, ასევე მოზრდილის მიერ უცნობი ენის დაუფლების პროცესის შესწავლას[2].

---

[1] გამოკვლევები, რომლებიც უმაღლესი მაიმუნების ქცევის შესწავლის მიმართულებით წარმოებს, ე. სეპირს მიაჩნია საიმედო გზად წინაისტორიული ადამიანის შესახებ დასკვნების გასაკეთებლად. იხ. Э. Сепир — Язык, Введение в изучение речи, 1934 г.

[2] ზოგიერთი ავტორი (მაგ., Жорж Фонсегрив. იხ. Элементы психологии, 1906 г.) ბავშვის მიერ ადამიანური მეტყველების შესწავლას თვლის ყველაზე უფრო მიზანშეწონილ მეთოდად ენის წარმოშობის და, მაშასადამე, სახელდების საკითხის გადასაწყვეტად.

ასეთებია „გაზი“, გამოგონილი მეჩვიდმეტე საუკუნეში, სიტყვა „როკოკო“ და სხვ [1]. ასეთი სიტყვები მსოფლიოს ყოველ ენაში ერთ ათეულს არ აღემატება და ზოგიერთი მათგანის ხელოვნურობა სადავოდაც არის გადაქცეული. თუ მოცემული მნიშვნელობის აღსანიშნავად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი გამოდგება, როგორც სოსიური მიუთითებს და მის შემდგომ მრავალი ენათმეცნიერი იზიარებს ამ აზრს, მაშინ გაუგებარია ენებში ე. წ. ხელოვნური სიტყვების ესოდენ მცირე რაოდენობით არსებობა, გაუგებარია, რატომაა რომ ენები ძირითადად ვითარდებიან საკუთარი ელემენტების გარდაქმნისა და არა ახლის შექმნის გზით.

ფრანგული სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელი ჟ. ვანდრიესი, ისევე როგორც ამ სკოლის ფუძემდებელი სოსიური, იცავს აზრს, რომ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთკავშირი ნებისმიერია, რომ ნებისმიერი ბგერათა კომპლექსით ნებისმიერი აღსანიშნის აღნიშვნა არის შესაძლებელი. ამის მიუხედავად, იგი იძულებულია აღიაროს რომ: „...ძნელია მათი (ხელოვნური სიტყვების) შექმნა. საეჭვოა იყოს უფრო ძნელი პროცესი, ვიდრე სიტყვების შექმნა, სიტყვაწარმოების ჩვეული ხერხების გარეშე. ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ა რ ი ს რ ა ღ ა ც, რ ა ც ა რ ჩ ე ვ ა ნ ს წ ი ნ ა ს წ ა რ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს“ [2]. ასეთ სიძნელეს კი ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუ სახელსა და მნიშვნელობას შორის კავშირი ნებისმიერია, ისევე როგორც არ უნდა არსებობდეს „რაღაც, რაც არჩევანს წინასწარ განსაზღვრავს“.

ენაში ხელოვნური სიტყვების არარსებობა არ შეიძლება აიხსნას მათი გაგებინების სიძნელით, როგორც ამას ცდილობს ვანდრიესი. იგი წერს: „არ შეიძლება შეექმნათ ასეთი სიტყვების რიგი ისე, რომ ენის გასაგებობა საფრთხეში არ ჩავაგდოთ. ეს სიტყვები საკუთარი სახელების მსგავსია, რომლებიც არ იწვევენ არავითარ ზუსტ წარმოდგენას მოლაპარაკის ტვინში, თუ ადრევე არ იცნობს იმას, ვისაც ეს საკუთარი სახელი ეკუთვნის. ისინი კონტექსტში უნდა მოვათავსოთ, რომლებიც მათთვის ამხსნელი კომენტარების სამსახურს გასწევს. მაშასადამე, მათი რიცხვის ზრდა სიფრთხილით უნდა მოხდეს“ [3].

ასეთი ახსნა არ არის დამაკმაყოფილებელი იმიტომ, რომ ყოველი ახალი სიტყვა, აღებული იზოლირებულად — გაუგებარია. ახალი

---

[1] Ж. Вандриес. Язык. Лингвистическое введение в историю, 1937 г., стр. 214.

[2] იქვე, გვ. 215.

[3] იქვე.

სიტყვა რომ გასაგები გახდეს, აუცილებელია იგი, ვანდრიესის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისეთ კონტექსტში მოვათავსოთ, რომელიც მისთვის ამხსნელი კომენტარების სამსახურს გასწევს". ეს გაუგებრობა კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც ენაში უცხო ტერმინი შემოდის. ამის შესახებ კარგად აქვს ნათქვამი ი. ჭავჭავაძეს: „რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდაც წმინდა ქართულიც იყოს, რაკი ამ სიტყვას ახალ მნიშვნელობას მისცემ, იგი ისევე გაუგებარი იქნება, ჯერ ხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა" [1].

ახალი სიტყვების შემოტანისას სირთულეს რომ მართლაც ეხოლოდ მათი გაგებინება არ ქმნის, ეს კარგად ჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ ესა თუ ის ენობრივი კოლექტივი ხშირად უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვას უფრო მეტ უპირატესობას აძლევს, ვიდრე მშობლიურ ენაზე არსებულ, ამ ენისათვის სპეციფიკური გზებით წარმოებულ სიტყვას. ასე მაგალითად, რუსულმა ენამ სხვა ენებიდან ისესხა ისეთი სიტყვები, როგორიცაა: **галоши, тротуар, биллиардный кий, фортепьяно** და სხვ. თავდაპირველად რუსი ადამიანისათვის ეს სიტყვები არაფრისმთქმელი იყო და ამიტომ ზოგიერთმა მაშინვე წამოაყენა ახალი, რუსული ენის სიტყვებიდან ნაწარმოები სიტყვები, რომლებიც ამ ნასესხებ სიტყვებთან შედარებით გაგებინების მეტი შესაძლებლობის მქონენი იყვნენ. ასე მაგალითად: **галоши**-ს ნაცვლად **мокроступы, тротуар — топталищé, биллиардный кий — шаротык, фортепьяно — тихограмы** [2] და სხვ. ეს ახალი „სიტყვები" უნდა ვიფიქროთ, რომ რუსი ადამიანისათვის ბევრად უფრო გასაგები იქნებოდა, ვიდრე ეს ნასესხები სიტყვები, მაგრამ ენამ ნასესხები შეინარჩუნა და რუსული სიტყვებიდან წარმოებული უარყო. ამ ფაქტის შესაძლო ახსნა, რომ ეს ნასესხები სიტყვები ენობრივი კოლექტივის მიერ უკვე სანქციონირებული იყო და ამიტომ ახალმა სიტყვებმა ვეღარ შეძლეს მათი დაძლევა, არ გამოგვადგება, რადგანაც არც თუ იშვიათია ისეთი ფაქტებიც, როდესაც დავიწყებას მისცემია ენობრივი კოლექტივის მიერ სანქციონირებული თუ არა, ყოველშემთხვევაში ხმარებაში მყოფი სიტყვები და მათ ნაცვლად ახალი სიტყვები შექმნილა. ასე მაგალითად, „ამ უკანასკნელ დროს — წერს ი. ჭავჭავაძე — რამდენი ახალი სიტყვა შედგა წმინდა ქართუ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნიხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. II, 1941 წ., გვ. 633.

[2] Ш и ш к о в, Рассуждение о старом и новом слоге 1803 г.

ლი: შიგმდებარება (содержание), მიქცევ-მოქცევა (отношение, не в смысле математического отношения), წარტოლვილი (отвлеченный), მოთხოვნილება (требование), გავლენა (влияние), მიმართულება (направление), მეცნიერება (наука), ...ეი ეს სიტყვები ხომ წმინდა ქართულია, მაგრამ მაინც კიდევ ადვილად გასაგებნი არ არიან, იმიტომ, რომ ახლები არიან, ე. ი. ახალი აზრით და შხიშვნელობით იხმარებიან".[1]

ილიას მიერ მითითებული სიტყვებიდან მხოლოდ ნაწილი შემორჩა ენას. უმრავლესობა კი ახალი სიტყვებით შეიცვალა. ოცდაათიოდე წლის წინ კ. კაპანელი წერდა: „წინანდელ ჩვენ ნაწერებში ჩვენ შემოვიტანეთ მთელი რიგი ახალი სიტყვები — გადანაშთი, გააზრება, შეცნაურება და მრავალი სხვა, რომელნიც ამჟამად ხმარებაშია ჩვენს მეცნიერებასა და ლიტერატურაში (ხაზგასმა ჩვენია — ა. ბ.). ამ ნაშრომშიც კულტურის მოთხოვნილებამ შემოგვატანია ახალი სიტყვები: განსახეობა — воображение, წარმოსახვა — изображение, ძლევადი — доминанта, ამყოლეობა — резонанс, ყოვლადობა — всеобщность, გასაგნება — опредмечивание, გადასაგნება — распредмечивание, აყოვლადება — обобщение"[2].

მითითებული სიტყვებიდან მხოლოდ ზოგიერთი შემორჩა ენას. ზოგიერთი მათგანი კი სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე კაპანელი გვთავაზობს.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ენაში ახალი სიტყვების შემოტანა რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული და მხოლოდ გაგებინების სიძნელე-სიადვილე ვერ გადაწყვეტს სიტყვა იქნება თუ არა სანქციონირებული ენობრივი კოლექტივის წევრების მიერ. ხშირად მშობლიური ენის სიტყვებიდან წარმოებული „ადვილად გასაგები" სიტყვა უარიყოფა და მის ნაცვლად ენაში უცნობი ენის „არაფრისმთქმელი" სიტყვა მკვიდრდება. ზოგჯერ უკვე ხმარებაში მყოფი, ენობრივი კოლექტივის მიერ სანქციონირებული სიტყვა იცვლება ახლით, როგორც ამას ადგილი აქვს მაგალითად ევფემიზმისა და ტაბუს შემთხვევაში. ზოგჯერ ძველი, უარყოფილი სიტყვა იმავე ფუძიდან არის ნაწარმოები, რომლიდანაც ახალი სიტყვა, განსხვავება მხოლოდ მაწარმოებელ სუფიქსებშია, თუმცა ორივე ეს სიტყვა

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. II, 1941 წ., გვ. 633.

[2] კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, მეტყველებისა და ლიტერატურის პრობლემები, 1938 წ., გვ. 120.

სიტყვაწარმოების წესების თვალსაზრისით სავსებით მართებული და კანონიერია[1] და სხვა.

მაშასადამე, წინააღმდეგ ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის თეორიისაა, ენის ახალი სიტყვებით შევსების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელთა შერჩევისას „ყოველთვის არის რაღაც, რაც არჩევანს წინასწარ განსაზღვრავს", სახელდებისას ყოველთვის დგას საკითხი, სახელის უკეთეს-უარესობის შესახებ, ყოველთვის არის რაღაც, რაც შეუძლებელს ხდის ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი ნებისმიერი აღსანიშნის სახელად იქნეს გამოყენებული.

3. სოსიური აღნიშნავს, რომ ყოველ ენაში არსებობს ენობრივი ნიშნები, რომლებიც „საფუძველშივე ნებისმიერია, ე. ი. უმოტივაციოა" და არსებობს „შედარებით ნებისმიერი" ე. ი. წარმოებული სიტყვები.

წარმოებული სიტყვები ნებისმიერია იმის გამო, რომ ისინი წარმოებული არიან აბსოლუტურად ნებისმიერი ნიშნებისაგან, მაგრამ ეს ნებისმიერობა შედარებითია, განსხვავებით თავდაპირველი ლექსიკური ფონდის აბსოლუტური ნებისმიერობისაგან. ყველა ავტორი, რომელიც აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობის აზრს იცავს, არსებითად იზიარებს სოსიურის ამ მოსაზრებას.

მაშასადამე, აღნიშნული მოსაზრების მიხედვით კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის „საფუძველშივე ნებისმიერია", თავდაპირველი ლექსიკური ფონდი აბსოლუტურად ნებისმიერია. თუ რაოდენ უმართებულოა აღნიშნული მტკიცება, ეს კარგად ჩანს იმ წინაპირობების დაშვების შეუძლებლობიდან, რასაც საკითხის ამგვარი გადაწყვეტა აუცილებლობით გულისხმობს.

თავდაპირველი ლექსიკური ფონდი თუ აბსოლუტურად ნებისმიერია, მაშინ პირველადი სიტყვების ბგერითი მხარე არ უნდა ყოფილიყო არც ამ საგნის მიერ გამოცემული ბგერების მიმსგავსება, არც საგანთან დაკავშირებული ემოციური წამოძახილები და არც შრომის პროცესში ამ საგნებზე ადამიანის ზემოქმედების დროს და-

---

[1] მაგალითად, პოეტი ვ. ხლებნიკოვი XX ს. დასაწყისში გვთავაზობდა ავიაციის დაბადებასთან დაკავშირებით ასეთ სიტყვებს: летьбище (აეროდრომი), летоба (ავიაცია), летавица (მფრინავი ქალი). ენაში ეს სიტყვები არ დამკვიდრდა, მაგრამ დამკვიდრდა მრავალი ამავე ფუძიდან წარმოებული სიტყვები: «летчик», «летный, «вылетаться», подлетнуть» და სხვ. იხ. В. Хлебников, Собр. произведений, т. V, 1933 г., стр. 253—254. აგრეთვე Л. Успенский, Слово о словах, М., 1952 г., და Е. Земская, Как делаются слова, М., 1963 г.

ძაბულობით გამოცემულ ბგერათა მიმსგავსება, რადგანაც ამ შემთხვევაში ადამიანის განცდაში მათი დაკავშირება საგნის თავისებურებით იქნებოდა გაპირობებული, ანდა, სოსიურის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ბოლომდე ნებისმიერი არ იქნებოდა; იგი არ იქნებოდა სავსებით ცარიელი. მასში იქნებოდა აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის „ბუნებრივი კავშირის რუდიმენტი" მაინც.

აღსანიშნს უნდა დაკავშირებოდა ბგერათა კომპლექსი, რომელიც განყენებული იქნებოდა ყოველგვარი ბუნებრივი კავშირებისაგან. ე. ი. პირველყოფილ ადამიანს, იმისათვის, რომ სახელდება მოეხდინა, წინასწარ უნდა ჰქონოდა სახელსადები შინაარსი გაცნობიერებული. სახელდების მიზნით მას უნდა მოეხდინა ბგერების აბსტრაქცია იმ ბუნებრივი კავშირებიდან, რომლებშიაც ბგერები არსებობდნენ და როგორც მან ისინი განიცადა, და დაეკავშირებინა საგანთან, რომლის თავისებურებაც ამ კავშირის აუცილებლობას სრულიადაც არ განაპირობებს. გამოდის, რომ პირველყოფილ ადამიანს, რომელსაც ჯერ კიდევ მეტყველება არ გააჩნდა, უნდა მოეხდინა აღქმული შინაარსის ანალიზი, აქედან ბგერების აბსტრაგირება და სულ სხვა მოვლენასთან მისი დაკავშირება. ერთი სიტყვით, შეუძლებელია დამყარდეს სახელსა და მნიშვნელობას შორის პირობითი, ნებისმიერი კავშირი, თუ არ დავუშვებთ, რომ ადამიანს აქვს განვითარებული აბსტრაქტული აზროვნების უნარი. გარდა ამისა, რადგანაც ეს კავშირი ადამიანის მიერ დამყარებულია ყოველგვარ კავშირს მოკლებულ ორ მოვლენას შორის, ასეთი დაკავშირება შეუძლებელია დაშვებულ იქნეს ცნობიერების მონაწილეობის გარეშე, მაგრამ ადამიანი შეგნებულად, ცნობიერად ორ ჰეტეროგენურ მოვლენას არ დააკავშირებს, თუ მიზანი, რისთვისაც ეს ხდება, მისთვის ცნობილი არ არის. ამრიგად, ასეთ სურათს ვღებულობთ: ადამიანმა გააცნობიერა თავის ცნობიერებაში ასახული შინაარსის სხვისთვის გაზიარების საჭიროება, ამ მიზნით მან გამოყო ბგერები მათი ბუნებრივი კავშირებიდან და დაუკავშირა თავის ცნობიერებაში წარმოდგენილ სულ სხვა შინაარსს.

მაშასადამე, ნებისმიერი ბგერების ნებისმიერ შინაარსთან დაკავშირების დაშვება აუცილებლობით მოითხოვს არა მარტო აბსტრაქტული აზროვნების უნარის დაშვებას, არამედ დაშვებას, რომ ენა შეგნებული ქმნადობის შედეგია, რაც თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს ეწინააღმდეგება.

4. დავუშვათ, პირველყოფილმა ადამიანმა დაამყარა კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა

არა აქვს იმას. ცნობიერად მოხდა ეს დაკავშირება თუ არა, ანდა აბსტრაქტულ აზროვნებით ოპერაციებს ჰქონდა ადგილი თუ არა, ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. საჭიროა ამ კავშირის გამოყენება, კომუნიკაციის დამყარება; მაგრამ როგორ შეეძლო პირველყოფილ ადამიანს პირობით კავშირში მყოფი აღმნიშვნელის კომუნიკაციის მიზნით გამოყენება?

იმის გამო, რომ კავშირი ნებისმიერია, პირობითია, ცხადია, ამ საზოგადოებრივი ჯგუფის ყოველ წევრს შეეძლო განსხვავებული ბგერათა კომპლექსი დაეკავშირებინა ამ შინაარსთან — ეს კი ურთიერთგაგებას შეუძლებელს გახდიდა. მდგომარეობა არ იცვლება მაშინაც, თუ დავუშვებთ, რომ პირველად სახელდება მოახდინა ერთმა ადამიანმა, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა ეს კავშირი მისგან შეითვისეს, რადგანაც იმისათვის, რომ სხვა წევრებმა შეითვისონ, საჭიროა ეს კავშირი სახელმდებელმა მათ გაუზიაროს. სოსიური გრძნობს ამ სიძნელეს და სწორედ ამიტომ მიუთითებს, რომ „ენა არსებობს მხოლოდ ერთგვარი ხელშეკრულების ძალით, რომელიც დადებულია კოლექტივის წევრების მიერ“ [1]. ენობრივი ნიშნები ასოციაციებია, განმტკიცებული კოლექტიური შეთანხმებით [2]. გამოდის, რომ ამა თუ იმ აღმნიშვნელის ჯგუფის ყველა წევრისათვის საერთო სავალდებულო მნიშვნელობა შეთანხმების გზით მიიღწევა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, როგორც სამართლიანად მიუთითებს ტ. პავლოვი, „უხეში ფორმალურ-ლოგიკური წინააღმდეგობით არის დაავადებული, რადგანაც, იმისათვის, რომ ერთმანეთში შეთანხმდნენ და მოილაპარაკონ, ადამიანებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთთან ლაპარაკი და ერთმანეთის გაგება, ხოლო მოცემულ შემთხვევაში სწორედ ეს უნდა გამოგვერკვია. დაშვება, რომ „შეთანხმება“ უსიტყვოდ მიიღწევა, ე. ი. წმინდა ინტუიტურად, რაღაც ტელეპატიურად სხვისი აზრების კითხვის გზით — ნიშნავს საერთოდ უარი ვთქვათ ამ საკითხის მეცნიერულ დაყენებასა და გადაწყვეტაზე და პრინციპში უარვყოთ ენაზე მოთხოვნილება, რომელიც ზედმეტ ფუფუნებად იქცევა ასეთ ტელეპატიურ-ინტუიტურად ადამიანების მიერ ურთიერთგაგების შესაძლებლობისას“ [3]. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ა. პოტებნიაც: „დავუშვათ, რომ მიმიკის საშუალებით შეიძლება შეთანხმება,

---

[1] ფ. დე-Соссюр, Курс общей лингвистики, 1933 г., стр. 39.

[2] იქვე.

[3] Т. Павлов, Теория отражения, 1949 г., стр. 505.

რომ მაგიდას ვუწოდოთ მაგიდა, მაგრამ მაშინ უნდა მივიღოთ, რომ წინასწრეს სხვა შემთხვევაში კავშირი დანაწევრებულ ბგერებსა და აზრს შორის უშუალოდ გასაგები იყო, ე. ი. რომ ნებისმიერად გამოგონილი და ნებისმიერი სიტყვების გვერდით ენაში იყო არანებისმიერი და ყველასათვის ერთნაირად გასაგები, არა ხელშეკრულების გზით მიღებული სიტყვები. ეს ძირს უთხრის ძირითად დებულებას, რომ ენა არის ხელშეკრულების შედეგი, პირობითი ნიშნების კრებადობა" [1].

5. თუ პირველი სემანტიკური გამონათქვამები რეფერენტებთან ნებისმიერად იყო დაკავშირებული, ძლიერ ხანგრძლივი იქნებოდა მისი დასწავლის პროცესი. როგორ სიტუაციაშიც არ უნდა ყოფილიყო წარმოთქმული ეს კავშირი, მსმენელებისათვის ძნელი გასაგები იქნებოდა, თუ სიტუაციის რომელ ასპექტს დაუკავშირა ეს სახელი სახელმდებელმა. იმისათვის, რომ გაგებული ყოფილიყო სახელის კავშირი თავის რეფერენტთან, აუცილებელი იქნებოდა მრავალნაირ სიტუაციაში ყოფილიყო განმეორებული მუდმივი ელემენტი. ეს კი მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. საქმე იმაშია, რომ როგორც პაული მიუთითებს, ნიშნის ნებისმიერობის თეორია გულისხმობს არა მარტო დაკავშირების ნებისმიერობას, არამედ ბგერათა კომპლექსის წარმოთქმის ნებისმიერობასაც. ბგერათა კომპლექსის ნებისმიერად წარმოთქმა კი საჭიროებს სათანადო მოტორული გრძნობის არსებობას. როგორც ბავშვის მიერ ენის დაუფლების პრაქტიკა გვიჩვენებს, ბგერით ხატებთან დაკავშირებული მეტყველების მოტორული შეგრძნება შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ თანდათანობითი მეტყველების ორგანოს ხანგრძლივი და მრავალგვარი ვარჯიშის წყალობით. მოტორული გრძნობის გამომუშავება საჭიროა არა მარტო იმისათვის, რომ განმეორდეს გაგონილი ბგერა, არამედ იმისათვისაც, რომ თვითონ ინდივიდმაც გაიმეოროს ნებისმიერად მის მიერ ადრე გამოცემული ბგერა [2].

ამრიგად, სახელისა და რეფერენტის ნებისმიერი კავშირის დასწავლისათვის აუცილებელია ამ კავშირის მრავალნაირ სიტუაციაში მრავალჯერადი განმეორება. ეს უკანასკნელი გულისხმობს ბგერათა კომპლექსის ნებისმიერად წარმოთქმის უნარის არსებობას, რაც სათანადო მოტორული გრძნობის ქონების გარეშე შეუძლებელია, ხო-

---

[1] А. А. Потебня, Мысль и язык, изд. 2, 1892 г., стр. 7.

[2] Г. Пауль, Принципы истории языка, 1960 г., стр. 225—226.

ლო ნებისმიერი ბგერათა კომპლექსის მიმართ ასეთი გრძნობის არსებობის დაშვება შეუძლებელია.

6. ფ. სოსიური განიცდის ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის გავლენას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს, როდესაც იხილავს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დამაკავშირებელ მექანიზმს. იგი მიუთითებს, რომ „... ენობრივ ნიშანში მოცემული ორივე მომენტი ფსიქიკურია და ჩვენს ტვინში უკავშირდება ასოციაციის საშუალებით... ამას ხაზს ვუსვამთ"[1]. „ენობრივი არსი (ენობრივი ფაქტი) არსებობს მხოლოდ აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ასოციაციის წყალობით" [2]. სახელისა და მნიშვნელობის, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დამაკავშირებელ მექანიზმად ასოციაციის აღიარება დამახასიათებელია არა მხოლოდ სოსიურისათვის, არამედ მრავალი სხვა მკვლევრისათვისაც, ვინც სახელისა და მნიშვნელობის კავშირს ნებისმიერად, პირობითად, არამოტივირებულად მიიჩნევს. ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთი, განსაკუთრებით საბჭოთა მკვლევრები სახელისა და მნიშვნელობის კავშირის ახსნას ცდილობს პირობითი რეფლექტორული მექანიზმებით.

განვიხილოთ რამდენად გამართლებულია სახელისა და მნიშვნელობის დამაკავშირებელ მექანიზმად მივიჩნიოთ ასოციაცია. ორ მოვლენას შორის ასოციაციური კავშირი რომ დამყარდეს, აუცილებელია ასოციაციის დამყარებამდე ეს ორი მოვლენა ადამიანის ცნობიერებაში ცალ-ცალკე იყოს მოცემული. ასოციაცია მყარდება ამ ორი მოვლენის დროში მეზობლად რამდენჯერმე, ან უკიდურეს შემთხვევაში ერთხელ მაინც, განცდის შედეგად. ასოციაციური კავშირი გამოწვეულია დროში მეზობლობით და არა შინაგანი კავშირით. ასოციაციის წევრებს შორის მხოლოდ მექანიკური, გარეგანი კავშირია. ისინი არსებობენ არა მხოლოდ ამ ასოციაციურ კავშირში, არამედ ასოციაციის დამყარების შემდეგაც არ კარგავენ დამოუკიდებელ არსებობას.

იმის გამო, რომ ასოციაციურ კავშირში ასოციაციის წევრები დამოუკიდებელ არსებობას ინარჩუნებენ, აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ასოციაციური კავშირის დაშვებით ვღებულობთ, რომ აღსანიშნი და აღმნიშვნელი ადამიანის ცნობიერებაში ცალ-ცალკე არსებობს, ცალ-ცალკე აღმოცენდება; რომ ბგერათა კომპლექსი და ცნე-

---

[1] Ф. де-Соссюр, Курс общей лингвистики, 1933 г., стр. 77.

[2] იქვე, გვ. 105.

ბა ადამიანის მიერ დამოუკიდებელი შინაარსების სახით განიცდება, რომ ცნობიერებაში ცნება აღმნიშვნელის, ბგერათა კომპლექსის გარეშე აღმოცენდება. . ვღებულობთ, თითქოს ბგერათა კომპლექსი გვაგონებს მასთან დაკავშირებულ ცნებას, „ზუსტად ისევე, როგორც ნაცნობი ადამიანის პალტო გვაგონებს იმ ადამიანს, ანდა შენობის ხედი მასში მცხოვრებლებს გვაგონებს"[1]. სხვა სიტყვებით, თუ დავუშვებთ, რომ აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არსებული კავშირი ასოციაციური კავშირია, მაშინ ვღებულობთ, რომ მეტყველება ნიშანთა ერთობლიობაა, რომელიც გვაგონებს ამ ნიშნებთან დაკავშირებულ მნიშვნელობებს, აზრებს, რომ არავითარი აუცილებლობით არ არის განპირობებული მეტყველების უნარის მქონე ადამიანებშიც კი აზროვნება მხოლოდ მეტყველებაში გამოვლინდეს. მიედივართ დასკვნამდე, რომ აზროვნებას თავისი დამოუკიდებელი არსებობა აქვს და იგი არავითარი შინაგანი კავშირით არ არის დაკავშირებული მეტყველებასთან. ეს დასკვნა კი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს ეწინააღმდეგება.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტულად დასაბუთებულია და უკვე აზრთა სხვადასხვაობას აღარ იწვევს, „რომ ბგერათა კომპლექსებისა და გარკვეული ობიექტების ასოციაციურ დაკავშირებას არასოდეს არ შესწევს ძალა ბგერების კომპლექსი ობიექტის სახელად აქციოს: ამ ნიადაგზე, საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლოა, ბგერამ სიგნალის მნიშვნელობა მოიპოვოს"[2], სიტყვა კი სიგნალი არ არის. „სიტყვას ჩვენ უშუალოდ მის მნიშვნელობასთან ერთად მთლიანობაში განვიცდით, სიტყვის აღქმაში მის მნიშვნელობასაც ვიჭერთ. ეს ორი მომენტი — ბგერათა კომპლექსი (ან ასოები) და სიტყვის მნიშვნელობა, — ერთი შინაარსის სახით განიცდება.

როდესაც ჩვენ გვესმის რაიმე სიტყვა ვთქვათ, მაგიდა, ან ვკითხულობთ ამ სიტყვას, ამ ბგერების ან ასოების კომპლექსის აღქმასთან ერთად, მისი მნიშვნელობაც გვესმის: იმისათვის, რომ გავაცალკეოთ ბგერათა კომპლექსი მნიშვნელობისაგან, სპეციალური ანალიზი გვჭირდება. უშუალო განცდაში ეს ორი მომენტი ერთ მთლიანობაშია მოცემული. განცდის ეს მთლიანობა აზრმდებლობის შედეგია... აზრმდებლობის შედეგად სიტყვა, როგორც ბგერა ან როგორც ფორმა (ასოების კომპლექსი),

---

[1] Л. В. Выготский, Мышление и речь, 1937 г., стр. 262.

[2] დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940 წ., გვ. 392.

ჰკარგავს თავის დამოუკიდებელ არსებობას. იგი აღარ წარმოადგენს მხოლოდ თვალსაჩინო შინაარსს (ბგერას ან ფორმას), იგი მნიშვნელობის მატარებელი ხდება. მხოლოდ ამის შემდეგ გადაიქცევა ბგერა სიტყვად. მხოლოდ ამის შემდეგ ქმნიან ბგერები მეტყველებას"[1].

ყოველივე, რაც ასოციაციური კავშირის შესახებ ითქვა, ვრცელდება პირობით რეფლექტორულ მექანიზმებზეც და საერთოდ ყოველგვარ მექანიზმზე, რომლის საშუალებითაც პირობითი ნიშნის თეორია შეეცდება დაახასიათოს სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთკავშირის ბუნება, რადგანაც როგორც სამართლიანად მიუთითებს ლ. რანიშვილი „სიტყვის პირობით ნიშნად აღიარება ძირითადად გულისხმობს სიტყვის ორივე არსებითი მომენტის, ბგერისა და მნიშვნელობის წინასწარ ფოცემულობას სუბიექტისათვის. ის გულისხმობს, რომ ეს მომენტები სუბიექტის. სახელდობრ, მისი ცნობიერების წინასწარი კუთვნილებაა. სწორედ ეს იგულისხმება სიტყვის კონვენციონალობაში. ამის გამო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით (და არა მარტო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით — ა. ბ.), არ არის მართებული სიტყვის პირობით ნიშნად მიჩნევა, ვინაიდან სიტყვის გამოყენების კანონზომიერება არ ეყრდნობა აღმნიშვნელისა და აღსანიშნის წინასწარ დაუფლებას ცნობიერების მიერ, სულ ერთია, — ამ ცნობიერების სუბიექტად ცალკეულ პიროვნებას მივიჩნევთ თუ საზოგადოებას"[2].

7. ხმაბაძვის, შორისდებულების და სხვა თეორიები, რომელთა მიხედვითაც კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კანონზომიერი ხასიათისაა, თავიანთ მტკიცებას აფუძნებენ ფაქტებზე, რომელთა უარყოფაც არ შეიძლება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ყოველ ენაში ე. წ. პიქტორალური სიტყვების არსებობის ფაქტი. ის ვინც სახელსა და მნიშვნელობას შორის არსებულ კავშირს ნებისმიერად, პირობითად აცხადებს, ვალდებულია ეს ფაქტები ახსნას თავის პრინ-

---

[1] რ. ნათაძე. ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო, 1945 წ., გვ. 165—166.

[2] დ. რამიშვილი, ენობრივი ნიშნის პრობლემა საბჭოთა ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესია, თეზისები, გვ. 12.

ცეპებზე დაყრდნობით. მაგრამ, როგორც წესი, ამ თეორიების მოწინააღმდეგენი კმაყოფილდებიან თეორიების კრიტიკით და ვერ იძლევიან ამ ფაქტების დამაკმაყოფილებელ ახსნას. აბე მაგალითად, ამასთან დაკავშირებით ფრანგული სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელი ჟ. ვანდრიესი წერს: „სხვადასხვა ბგერებს და მათ სხვადასხვა შეკავშირებებს ახასიათებს სხვადასხვა გამომხატველობითი ძალა. ამაშია ბგერითი წაბაძვის წარმონაქმნთა საიდუმლოება... ყველა მუსიკოსმა იცის, რომ სხვადასხვა ტონალობა უკეთესად ან უარესად გამოდგება სხვადასხვა გრძნობების გამოსახატავად; ერთი გამა უფრო გამოდგება სოფლური გულუბრყვილობის გადმოსაცემად, მეორე ალერსისა და ნეტარების გადმოსაცემად, მესამე — ვეჟაკაცური და უხეში ძალისათვის. სარგებლობს რა თავისი ალღოთი, კომპოზიტორი ყოველთვის შესატყვის ტონალობას ირჩევს; სავსებით სწორია მტკიცება, რომ ტრანსპონირება ზოგჯერ ამახინჯებს მუსიკალური პიესის ხასიათს. მაგრამ ცხადია, არ შეიძლება მტკიცება, რომ გენიალურ კომპოზიტორს არ შეუძლიან ნებისმიერი ტონალობით გამოხატოს სასურველი გრძნობა... ყოველი სიტყვა ყოველთვის ჩვენს ცნობიერებაში იწვევს რაიმენაირ წარმოდგენას, რაღაცა მხიარულის ან მწუხარესი, სასიამოვნოსი ან საშინელის, დიდის ან პატარის, საკვირველის და სასაცილოსი. ეს ხდება სიტყვის აზრისაგან დამოუკიდებლად და ხშირად მანამდე, სანამ ეს აზრი ჩვენთვის გასაგები გახდება... ჩვენი წარმოდგენები საგნებზე ექვემდებარებიან უშუალო შთაბეჭდილებებს, რომლებსაც სიტყვებისაგან ვღებულობთ, რომლებიც მათ აღნიშნავენ“ [1]. (ხაზგასმა ჩვენია — ა. ბ.).

ვანდრიესი აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის საკითხში სავსებით იზიარებს სოსიურის შეხედულებას, მაგრამ როდესაც ის დადგა პიქტორალური მომენტების შემცველი სიტყვების ახსნის აუცილებლობის წინაშე, როგორც ეხედავთ, იძულებული ხდება დაუშვას, რომ ბგერებს გარკვეული სიტყვის აზრისაგან დამოუკიდებელი გამომხატველობითი თვისებები ახასიათებთ, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაკავშირების პირობითობის, ნებისმიერობის თეორიას.

---

[1] Ж. Вандриес, Язык. Лингвистическое введение в историю, 1937 г., стр. 175.

სახელისა და მნიშვნელობის დაკავშირების ნებისმიერობის თეორიის წარმომადგენლები ვერ ახერხებენ თავიანთ პრინციპებზე დაყრდნობით ახსნან პიქტორალური სიტყვები და საბოლოოდ იძულებულნი ხდებიან ენის ლექსიკა ორი კატეგორის სიტყვებად დაყონ, რაც უკვე თავისთავად საკითხის გადაწყვეტის სისუსტეზე მიუთითებს.

ამრიგად, ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორიაში სახელდების საკითხის გადაწყვეტის კრიტიკული განხილვა ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი მრავალი სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება, რაც შეუძლებელს ხდის მის გაზიარებას.

თუ ზემოთქმულს იმასაც დავუმატებთ, რომ ენაში მრავლად მოიპოვება ისეთი ფაქტები, რომლებიც სახელდების კანონზომიერ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს [1], რომ არაფერი ვთქვათ სახელდების ექსპერიმენტული კვლევის შედეგებზეც კი [2], ნათელი გახდება, რაოდენ ძნელი დასაცავია მრავალი მკვლევარის მიერ თავისთავად ცხად შეშმარიტებად მიჩნეული დებულება — „მეტყველების ყველა ბგერა ან ბგერათა კომპლექსი თავისთავად ერთნაირად უნარის ჰქონეა აღნიშნოს ყოველი მნიშვნელობა ენაში“ [3].

---

[1] იხ. ნაშრომის IV თავი.

[2] იხ. ნაშრომის III, IV და V თავები.

[3] Ф. Ф. Фортунатов, Сравнительное языковедение (общий курс). Избранные труды, т. I, 1956 г., იხ. В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, ч. I, 1964 г., стр. 247.

თავი მესამე

სახელდების პრობლემა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში

1. სახელდების ექსპერიმენტული კვლევა უაზრო სახელსადები მასალით

სახელდების პრობლემის ექსპერიმენტული კვლევა ჩვენი საუკუნის ოცეანი წლებიდან იწყება. ჯ. ინგლიშმა (კორნელის ლაბორატორია) 1916 წელს გამოაქვეყნა ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა გაერკვია „საკუთარი სახელების ფიზიოგნომიის" როლი ამ სახელების მატარებელ უცნობ ინდივიდებზე შემუშავებულ წარმოდგენების რაგვარობაში[1]. ეს გამოკვლევა საწყისს იღებს კ. კოლარიტსისა და ე. კლაპარედის[2] გამოკვლევებიდან და ამიტომ მიზანშეწონილია მოკლედ მათზედაც შევჩერდეთ. კ. კოლარიტსი საკუთარი და სხვათა დაკვირვების მასალების ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ უცნობ ინდივიდებზე, ლიტერატურულ გმირზე ან უცნობ ადგილმდებარეობაზე ჩვენ მიერ შემუშავებული ვიზუალური ხატი შეიძლება განსაზღვრული იყოს მისი აზრებით, სტილით. ნაციონალობით, მისი სახელის ან პროფესიის მსგავსებით ნაცნობ პიროვნებასთან და სხვა.

ე. კლაპარედი კოლარიტსის ამ გამოკვლევის განხილვისას მიუთითებს, რომ ასეთი ვიზუალური ხატების რაგვარობა სხვა ფაქტორებ-

---

[1] G. English, On the Psychological Response to Unknown Proper Names. American Journal of Psychology. 27; 1916.

[2] K. Kollarits, Observations de psychologie quotidienne: 1. Sur les images qui accompagnent la réprésentation des individus et des lieux inconnus. Archiv de Psychologie. 14. 1914. E. Claparede, Sur la réprésentation des personnes inconnues et des lapsus linguál. Archiv de Psychologie. 14. 1914.

თან ერთად მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული აგრეთვე „საკუთარი სახელების ფიზიოგნომიითაც“ — სახელის ეღერადობას აქვს აფექტური ტონი, რომელიც მონაწილეობს ამ სახელის მატარებელი ინდივიდის შესახებ გონებრივი ხატის შემუშავებაში. ყველა თანაბარი პიროპების შემთხვევაში, მიუთითებს იგი, სახელი მძიმე ან განმეორებული მარცვლებით აღძრავს დაბალი, ჩასქელებული, ცოტა სასაცილო ინდივიდის ხატს; მოკლე და მჟღერი სახელი აღძრავს ცოცხალი, თხელი, მაღალ-მაღალი და ა. შ. პიროვნების ხატს. ასე მაგალითად, პატაპუფარი სულ სხვა ტიპისა იქნება, ვიდრე ფლი. ამ მოსაზრების სისწორე იქიდანაც ჩანს, დასძენს იგი, რომ ლიტერატორები თავიანთ პერსონაჟებს მიაკუთვნებენ ისეთ ფიზიონომიას, როგორიც მათ უნდათ, რომ ამ სახელებმა გამოიწვიონ მათი მკითხველების წარმოსახვაში. ამ მოსაზრებით შექმნა ალბათ სახელი ტარტარენი ა. დოდემ, პიკვიკი — ჩ. დიკენსმა, ბევარ და პეკიშე — გ. ფლობერმა და სხვა. საკუთარი სახელების ფიზიოგნომია, კლაპარედის აზრით, არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური ფაქტორი, რადგანაც ეს სახელები ყველა მკითხველში ანალოგიურ ეფექტს იწვევს.

ჯ. ინგლიში მიზნად ისახავს ექსპერიმენტულად შეამოწმოს ე. კლაპარედის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება.

ჯ. ინგლიშმა ცდების სამი ვარიანტი ჩაატარა: 1. ცდისპირებს აძლევდა მათთვის უცნობი ადამიანების სახელებს და სთხოვდა აღეწერათ ამ სახელების მატარებელი ინდივიდები; 2. ადამიანთა სახელების ნაცვლად ცდისპირებს ეძლეოდათ უაზრო ბგერათა კომპლექსები და ევალებოდათ აღეწერათ ადამიანები, რომლებსაც შეიძლებოდა ჰქონოდათ ზუსტად ასეთი სახელი; 3. ცდისპირებს აჩვენებდნენ უცნობი ინდივიდების სურათებს და ავალებდნენ სახელი შეერჩიათ მათთვის.

ჯ. ინგლიშის ექსპერიმენტებში, როგორც ავტორი მიუთითებს, სახელთა ფიზიოგნომიის მჩოლოდ რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა. ასე მაგ., ბგერათა კომპლექსი klemm-ი ცდისპირმა დაახასიათა როგორც „მკაცრი სიტყვა,“ ხოლო Ponsonly „მძიმე სიტყვა“. ცდის მასალების ანალიზის შედეგად ავტორი ასკვნის: თუ ავიღებთ მთლიანად 500 ჩვენებას, შედეგები ნეგატიურია. არ არსებობს რაიმე კონსტანტური ან მუდმივი ერთგვაროვანი ტენდენცია ცდისპირებს შორის არც ერთი და იგივე სახელისათვის მსგავსი ადამიანის ტიპის წარმოდგენაში, არც ერთი და იმავე სურათისათვის მსგავსი სახელის მიცემაში.

ე. ალსპაჩი იმავე კორნელის ლაბორატორიიდან აგრძელებს ინგლიშის მიერ წამოწყებულ კვლევას[1]. მან თავის ერთადერთ ცდისპირს, რომელიც ადრე ინგლიშის ცდებშიაც მონაწილეობდა, წაუკითხა 50 უაზრო სიტყვა და დაავალა აღეწერა პიროვნება, რომელსაც შეიძლება რქმეოდა ეს სახელი. ცდისპირის თვითდაკვირვების მასალებიდან ირკვევა, რომ მიწოდებულ „სახელთაგან" ზოგიერთი „მიუთითებდა" ნაციონალობაზე, ზოგიერთი კი უფრო კონკრეტული პიროვნების სახელად განიცდებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობები ენიჭებოდა ასოციაციებსაც. ასე მაგ., „Gronch" ცდისპირისათვის ნიშნავდა გულჩახვეულ „უხასიათო, ჯიუტ, ეგოისტ, თვითდაჯერებულ ლატაკს, რომელსაც მსხვილი, მძიმე ულვაშები და ცუდი ენა აქვს". იგი მიუთითებს, რომ ამ სიტყვის კითხვისას იგი ფიქრობდა სიტყვებზე grouch და grounts. ხშირ შემთხვევაში ცდისპირის ქცევის განმსაზღვრელი იყო „სიტყვის" ბგერითი შედგენილობა. ინგლიშთან ასეთი შემთხვევები 25%-ს შეადგენდა, ალსპაჩთან კი 35%-მდე გაიზარდა. ალსპაჩმა 15 თვის შემდეგ ჩაატარა განმეორებითი ცდები, რის შედეგადაც გამოირკვა, რომ შესატყვისობა ადრინდელ და ბოლო ჩვენებებს შორის იყო იმაზე უფრო დიდი, ვიდრე ეს შემთხვევითობით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული.

ჯ. ინგლიშისა და ე. ალსპაჩის გამოკვლევებში საკვლევი პრობლემა საკმაოდ კონკრეტულია — რა სახის განცდებს იწვევს უცნობი ინდივიდების სახელები. მიღებული შედეგები მათ მიერ არ განიხილება სახელდების პრობლემასთან მიმართებაში. და თუ მაინც სახელდების პრობლემის ექსპერიმენტული კვლევის ისტორიის მიმოხილვას ამ გამოკვლევებით ვიწყებთ, ეს იმითაა განპირობებული, რომ მათში პირველად გამოვლინდა ფაქტი, რომელსაც სახელდების პრობლემის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. სახელდობრ, ცდისპირების მიერ ბგერათა კომპლექსი, რაიმე ცნობიერი სემანტიკური და ასოციაციური კავშირების გარეშე, განიცდება ისეთი თვისებების მატარებლად, რომლებიც რაღაცნაირად შეესატყვისებიან იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ცდისპირში ესა თუ ის ინდივი-

---

[1] E. M. Alspach. On the Psychological Response to Unknown Proper Names. American Journal of Psychology. 28. 1917.

დი იწვევს. აქასთან ერთად დადგინდა, რომ ბგერათა კომპლექსით გამოწვეული ეს შთაბეჭდილებები ხასიათდებიან ერთგვარი ინტრაინდივიდუალური კონსტანტობით.

ინგლიშისა და ალსპაჩის აღნიშნულ გამოკვლევათა მსგავსად სახელდების პრობლემის გადაწყვეტისათვის მეტად საგულისხმო ფაქტს გვაწვდის ზ. ფიშერის გამოკვლევებიც, თუმცა უშუალოდ სახელდების პრობლემის კვლევა არც ამ გამოკვლევების მიზანს შეადგენდა.

ზ. ფიშერი მიზნად ისახავს იკვლიოს: „როგორ და რა პირობებშია საზოგადოდ შესაძლებელი, რომ ბგერათა კომპლექსმა საგნის წარმომადგენლობა აიღოს თავისთავზე, როგორ ხდება კომპლექსი საგნის სახელად“ [1].

იგი თავის 5 ცდისპირს, რომელთა შორისაც იყვნენ კარლ და შარლოტა ბიულერები, თანამიმდევრობით აწვდიდა უაზრო ნახაზებს და მათ „სახელებს“ — უაზრო ბგერათა კომპლექსებს. ცდაში სულ გამოყენებული იყო 6 ფიგურა, რომელთაგან თითოეულის ექსპონირება 5 სეკუნდს გრძელდებოდა. მეორედ მიწოდებისას ფიგურათა თანამიმდევრობა იცვლებოდა. ხუთწუთიანი გარეშე საუბრით შევსებული პაუზის შემდეგ ცდისპირებს ეძლეოდათ უაზრო ნახაზი და მათ უნდა დაესახელებინათ ის ბგერათა კომპლექსი, რომელთან კავშირში ეძლეოდათ იგი წინა ექსპონირებისას (1 სერია). ცდების მეორე სერიაში უაზრო ნახაზების ნაცვლად გამოყენებული იყო ადამიანთა ფოტოგრაფიული სურათები (სულ 13) და მათთვის ასევე ნებისმიერად შერჩეული სახელები — უაზრო ბგერათა კომპლექსები.

ცდის დასასრულს ექსპერიმენტატორი ეკითხებოდა ცდისპირს, ჰქონდა თუ არა აღქმული ესა თუ ის სიტყვა, როგორც ფიგურის სახელი. როგორც ვხედავთ, ფიშერი ცდისპირებს აწვდის მზა კავშირს უაზრო ბგერათა კომპლექსსა და იმ შინაარსს შორის, რომლის სახელადაც უნდა გადაიქცეს ეს ბგერათა კომპლექსი. მისი კვლევის მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ იძენს ბგერათა კომპლექსი აღმნიშვნელობის ფუნქციას და არა ის, თუ როგორ მყარდება კავშირი სახელსა და მნიშვნელობას შორის. ამის მიუხედავად ამ ექსპერიმენტებში გამოვლინდა სახელდების პრობლემისათვის ერთი მეტად მნიშვნე-

---

[1] S. Fischer, Über das Entstehen und Verstehen von Namen, mit einem Beitrage zur Lehre von den transkortikalen Aphasien. Arch. f. d. ges. Psychol. 1921, N 42; 1922, N 43.

ლოვანი რამ. სახელდობრ აღწერილი წესით უაზრო ნახაზთან ან ფოტოგრაფიულ სურათზე გამოხატულ ადამიანთან დაკავშირებული უაზრო ბგერათა კომპლექსები ცდისპირების მიერ ყოველთვის არ განიცდებოდნენ ამ ობიექტების სახელებად. როდესაც ბგერათა კომპლექსი გვევლინებოდა როგორც სახელი, იგი ძლიერ თავისებურად, სხვა ბგერათა კომპლექსისაგან განსხვავებულად განიცდებოდა. მისი მოსმენის ან წარმოთქმის დროს დამკვირვებელს „მხედველობაში ჰქონდა" ობიექტი, ანდა თვითონ იყო შიმართული მისკენ.

ის ფაქტი, რომ ბგერათა კომპლექსებისა და ობიექტების კავშირების ცდისპირებზე ერთნაირი ხანგრძლივობით ზემოქმედების პირობებში, მათ მიერ ზოგიერთი ბგერათა კომპლექსი განიცდება როგორც მათთან დაკავშირებული ობიექტების სახელები, ზოგიერთს კი არ ახლავს თან ასეთი განცდა, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ბგერათა კომპლექსი რომ სახელად გადაიქცეს, არ არის საკმარისი იგი რაიმე შინაარსთან დავაკავშიროთ და ეს კავშირი მრავალჯერადად განვიცადოთ. როგორც ჩანს, იმისათვის, რომ აზრდება განხორციელდეს, რომ ბგერათა კომპლექსი ამ შინაარსის სახელად განიცდებოდეს, გარდა მნიშვნელობასთან კავშირისა, უნდა აკმაყოფილებდეს კიდევ რაღაც სხვა მოთხოვნებს.

თუმცა ინგლიშის, ალსპაჩის და ფიშერის გამოკვლევები სახელდების პრობლემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მომენტების შემცველნი არიან, ისინი არ შეიძლება ჩაითვალონ სახელდების ექსპერიმენტული კვლევის პიონერებად.

სახელდების პრობლემის ექსპერიმენტული კვლევის პირველი ცდა დ. უზნაძეს ეკუთვნის[1]. მის ექსპერიმენტებში ცდის მასალად გამოყენებული იყო 6 უაზრო ნახაზი. „თითოეული მათგანი ისე იყო შედგენილი, რომ შეძლებისდაგვარად არც ერთი ნაცნობი საგნის წარმოდგენა არ უნდა გამოეწვია ასოციატურად. დამსადებული იყო

---

[1] დ. უ ზ ნ ა ძ ე, სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები, დ. უზნაძე, შრომები, ტ. 1. იგივე შრომა გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე. Ein experimenteller Beitrag zum Problem d. psychologischen Grundlagen der Namengebung. Psychol. Forschung., 1924, B. 5, 24—43.

აგრეთვე ექვსი ცალკე ფურცელი, რომლებზეც უაზრო სამმარცვლიანი სიტყვები იყო ჩამოწერილი (თითოზე — რვა). მაგალ.: იზაყუჯ, უბერიფ, ლაყოზუ და სხვა. ...ცდისპირს ეძლეოდა 5 წამით თითოეული ნახაზი, იგი უნდა ჩაჰკვირვებოდა მას და შეძლებისდაგვარად ნათლად აღექვა. მას წინასწარ ეძლეოდა განმარტება, რომ თითოეული ეს ნახაზი მაგიური ნიშანი იყო და თითოეულ მათგანს თავისი სახელი ჰქონდა, რომელიც მას უაზრო სამმარცვლოვანი კომპლექსებიდან უნდა ამოერჩია, ცდისპირს უნდა გადაეკითხა ის ფურცელი, რომელიც მას თითოეული ნახაზის ექსპოზიციის შემდეგ ეძლეოდა და შესაფერისი კომპლექსი ამოერჩია. დრო აქაც ე. წ. წამის საათით იზომებოდა. სახელის ამორჩევის შემდეგ თითოეული ცდისპირი იძლეოდა ანგარიშს თავის განცდათა შესახებ, რომლის დაწვრილებითი ოქმიც იქნე დაგებოდა. ცდაში მონაწილეობა მიიღო ათმა პირმა, ხნოვანებით 19-დან 37-წლამდე" [1].

ექსპერიმენტების შედეგად გამოირკვა, რომ „სიტყვა შემთხვევით კი არ უკავშირდება ობიექტს და, მაშასადამე, იგი შემთხვევით კი არ ღებულობს სახელწოდების ფუნქციას თავის თავზე, არამედ, ჩვეულებრივ, სიტყვისა და ობიექტის წარმოდგენათა მიმართების მონაცემ შესაფერისობას ემყარება, რომელშიც სიტყვისა და ობიექტის მნიშვნელობა ურთიერთს ხვდება. ამ მნიშვნელობის ცნობიერებაში ორთავე დასახელებული კომპონენტის შეხვედრა ზოგადად ოთხი განსხვავებული გზით წარმოებს: 1. არსებულის ცნობილი ენის სიტყვების — სახელთა მიმსგავსების გზით განზრახულს ბგერით კომპლექსთან; 2. სახელსადები ობიექტისა და ბგერითი კომპლექსის მოყვანილობათა შეთანხმებულობის ცნობიერების გზით; 3. მათი ემოციონალური კომპონენტების შედარების გზით; 4. იმ თავისებური მდგომარეობის განცდის შესაფერისობის გზით, რომელიც თან ახლავს ორთავე რელატის აღქმას, და რომელსაც ცდისპირნი საერთო შთაბეჭდილების სახელწოდებით ახასიათებენ, ან უფრო გაურკვევლად — არა თვალსაჩინო აზრის საშუალებით, ან კიდევ უფრო გაურკვევლად: მარტო მიახლოებითი შესაფერისი სახელწოდების აღნიშვნით, ანდა დასასრულ, სრულიად გაურკვევლად, უილუსტრაციოდ, დაუხასიათებლად, უდადებითშინაარსიან სიტყვით: „არ ვიცი

---

[1] დ. უ ზ ნ ა ძ ე, სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები, დ. უ ზ ნ ა ძ ე. ნაშრომები, ტ. 1, 1956 წ., გვ. 5.

რატომ", — ამბობენ იგინი. ამ გზათა შორის უფრო მტკიცე საფუძველს სახელდების აქტისათვის სამი უკანასკნელი გზა იძლევა. პირველი, ნაცნობი ენის შუამავლობა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე უფრო ჩვეულებრივი და თითქმის დღევანდელი ადამიანისათვის ყველაზე უფრო ბუნებრივი გზაა, მტკიცე შესაფერისობის განცდას ყველაზე ნაკლებად გვაძლევს"[1]. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩატარდა იგივე ცდები (მეორე სერია) იმავე ცდისპირებიდან რამდენიმეზე და გამოირკვა: „ერთისა და იმავე ცდისპირის სახელდების საფუძვლებიცა და მაშ მისი რელატებიც მყარის, შედარებით უცვლელი ბუნებისა ჩანს. უნდა ითქვას მხოლოდ, რომ მაშინ როდესაც პირველი გზით ნახელმძღვანელი სახელდება მხოლოდ ნაწილობრივაა მტკიცე და საერთოდ კი ცვალებადისა და არა საიმედო ბუნებისაა, განსაკუთრებით მეორე და დანარჩენი გზებიც მეტის სიმტკიცით ხასიათდებიან"[2].

„აქვთ თუ არა ბგერით კომპლექსებს მტკიცე სახელდების ფუნქციონალური დამოკიდებულება განსაზღვრულ ნაკვეთებთან, მიუხედავად იმისა თუ ვინ და რა ვზით ირჩევს მას ამ მიზნით? ანდა შეიძლება ისიც იყოს, რომ ყოველ შესაძლო ბგერათა კომპლექსიდან თუ გარკვეული საგნის სახელად არა, საზოგადოდ ამა თუ იმ ობიექტის სახელად მაინც მხოლოდ ზოგიერთია უფრო გამოსადეგი, სხვები კი ნაკლებ? თუ აღმოჩნდა პირველი და მაშასადამე მეორეც, მაშინ ეს ალბად ზედმეტი დასამტკიცებელი საბუთი იქნება იმისა, რომ ბგერით კომპლექსს მართლა აქვს თავისი მტკიცე შინაგანი ბუნება, რომელიც საფუძვლად უდევს მის სახელწოდებად არჩევის ფაქტს, და სახელდების აქტი შემთხვევითის კი არა, კანონზომიერის ბუნებისაა.

ჩვენი მასალა ქვანტიტატური დამუშავებისათვის არ არის საკმარისი, მაგრამ ამის მიუხედავად მისი შედეგებიც საკმაოდ საგულისხმოა.

პირველ ნაკვეთისათვის ათი ცდისპირიდან ოთხს ერთი და იგივე სახელი აქვს ამორჩეული; მეორე ნაკვეთისათვის ამორჩეულია ყველას მიერ მხოლოდ 3 სხვადასხვა სახელი, იგივე ითქმის მეოთხე და მეექვსე ნაკვეთის შესახებაც, თუ მცირეოდენ განსხვავებას არ მივიღებთ მხედველობაში. ხოლო მესამისა და მეხუთე ნაკვეთის სახელდებაში მხოლოდ ორი და სამი პირი ეთანხმება ურთიერთს.

---

[1] დ. უზნაძე. სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები. დ. უზნაძე. შრომები, ტ. I. 1956 წ., გვ. 24.

[2] იქვე, გვ. 27

როგორც ვხედავთ, შეთანხმებულობა საკმაოდ საგრძნობი ჩანს, იმდენად საგრძნობი მაინც, რომ ძნელია ეს მხოლოდ შემთხვევით ავხსნათ: უნდა ჰქონდეს ბგერითი კომპლექსს რაღაც, რაც მისი სახელდებითი ფუნქციის მტკიცე კოეფიციენტად უნდა ჩავთვალოთ (ხაზგასმა ჩვენია — ა. ბ.).

რაც შეეხება მეორე საკითხს, აქვს თუ არა ამ კომპლექსებს საზოგადოდ სახელსადები ფუნქციის რაიმე მტკიცე ღირებულება, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და რისი სახელდებისათვის ირჩევს მას, მისი პასუხი შემდეგი მარტივი აღრიცხვიდან ჩანს:

სულ ცდაში მოცემული იყო 42 განსხვავებული ბგერის კომპლექსი. აქედან ვამოყენებულ იქნა სახელდების მიზნით 29 სიტყვა ე. ი. 68%. დანარჩენი 32% ამ მიზნისათვის შეუფერებლად იქნა მიჩნეული, თუმცა თითოეული მათგანი ექვსჯერ ჰქონდათ ხელთ 10 განსხვავებულ პირს, ე. ი. 60-ჯერ. — დასკვნა ცხადია: შემთხვევითობა უნდა უარყოფილ იქნეს.

...როგორც ქვალიტატური, ისე ქვანტიტატური ანალიზი საკმაო სიცხადით ამტკიცებს, რომ ბგერითი კომპლექსის სახელდების მიზნით გამოყენება შეუძლებელია შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს. მას აქვს თავისი ფსიქოლოგიური საფუძვლები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით ბუნებრივად და, მაშასადამე, პირველადად ის ზოგადი შთაბეჭდილება, ემოციონალური ტონი და, დასასრულ, მოყვანილობა უნდა ჩაითვალოს, რომელშიც სახელსადები ობიექტი და ბგერითი კომპლექსი ურთიერთს ხვდება"[1].

დ. უზნაძის მიერ დასახული მიმართულებით შემდგომ მრავალი გამოკვლევა იქნა შესრულებული, რომლებშიაც მრავალ საგულისხმო მომენტზე იქნა გამახვილებული ყურადღება, მაგრამ მისი გამოკვლევის ძირითადი შედეგები ყველა მათგანში დადასტურდა, მიუხედავად იმისა, რომ ცდები ტარდებოდა სხვადასხვა ენისა და ასაკის ცდისპირებზე. სახელდობრ, დ. უზნაძის ექსპერიმენტებით გამოვლინდა.

1. ბგერათა კომპლექსი ცდისპირის მიერ გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად გაინიცდება. მაშასადამე, გამოირკვა, რომ ჯ. ინგლიშისა და ე. ალსპაჩის ექსპერიმენტებში გამოვლენილი ფაქტი ზოგადი ხასიათისაა

[1] დ. უზნაძე, სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები, დ. უზნაძე, შრომები, ტ. I, 1956 წ., გვ. 28—29.

და არ წარმოადგენს სპეციფიკურს მხოლოდ საკუთარი სახელებისათვის[1].

2. ბგერათა კომპლექსსა და მნიშვნელობას შორის კავშირი რომ დამყარდეს, სახელდება რომ განხორციელდეს, საჭიროა ბგერათა კომპლექსი სახელმდებლის მიერ სახელსადები შინაარსის შესატყვისი სახელის ფუნქციის მატარებლად განიცდებოდეს. მაშასადამე, ზ. ფიშერის ცდებში გამოვლენილმა ფაქტმა, რომ მოცემული შინაარსის სახელად ყველა ბგერათა კომპლექსი ვერ გადაიქცევა, დ. უზნაძის ექსპერიმენტებში შემდგომი დაზუსტება და დადასტურება ნახა.

3. ცდისპირების მიერ უაზრო ბგერათა კომპლექსების სიიდან მოცემული სახელსადები შინაარსისათვის შერჩეულ სახელთა დამთხვევის ხარისხი იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია იგი შემთხვევითობით იყოს განპირობებული. მაშასადამე, წინააღმდეგ ინგლიშისა და ალსპაჩის ვარაუდისა, ამა თუ იმ ბგერათა კომპლექსის გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად განცდა ინტერინდივიდუალური კონსტანტობით უნდა ხასიათდებოდეს.

4. ცდისპირები, ცდებს შორის ხანგრძლივი ინტერვალის პირობებში, იმის მიუხედავად, რომ უკვე აღარ ახსოვთ მათ მიერ სახელსადები შინაარსებისათვის ადრე შერჩეული სახელები, განმეორებით ცდებში ავლენენ გარკვეულ ტენდენციას მიწოდებული სიიდან აირჩიონ იგივე სახელები, რომლებიც ადრე შეარჩიეს. მაშასადამე, ბგერათა კომპლექსის გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად განცდა ინტრაინდივიდუალური კონსტანტობითაც ხასიათდება. ამრიგად, უზნაძის ცდებში დადასტურდა ე. ალსპაჩის შედეგებიც.

3. კოლერს სახელდების ექსპერიმენტული კვლევა სპეციალურად არ უწარმოებია. მაგრამ მას ხსვადასხვა გრძნობის ორგანოებიდან მიღებულ შთაბეჭდილებათა მსგავსების საკითხის განხილვის დროს მოყავს მეტად საგულისხმო ექსპერიმენტი და გამოთქვამს მოსაზრებას, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა სახელდების შემდგომ ექსპერიმენტულ შესწავლაზე[2]. იგი გვთავაზობს ორი დახშული

---

[1] ჯ. ინგლიშისა და ე. ალსპაჩის აღნიშნული გამოკვლევები დ. უზნაძისათვის. არ იყო ცნობილი.

[2] W. Köhler, Gestaltpsychology. London. 1930.

ფიგურის ნახაზს, რომელთაგან ერთი შედგენილია ტეხილი, ხოლო მეორე მრუდი ხაზებისაგან (იხ. გვ. 105). მოყავს აგრეთვე ორი უაზრო ბგერათა კომპლექსი ტ ა კ ე ტ ე და მ ა ლ უ მ ა და დასძენს — მკითხველისათვის ალბათ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, გადაწყვიტოს, ამ ფიგურებიდან რომელს უწოდოს ტაკეტე და რომელს მალუმა[1]. იგი მიუთითებს, რომ პრიმიტიული ენებიდან ბევრი საბუთის მოყვანა შეიძლება იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ საგნებისა და მოვლენების სახელები ხშირად წარმოშობილია მხედველობით ან შეხებით აღქმულ მათი თვისებების და გარკვეული ბგერების ან სმენითი გეშტალტების მსგავსების საფუძველზე. რაც შეეხება თანამედროვე ენებს მათში. მისი აზრით, სახელების უმრავლესობას დაუკარგავს ამ თვისების (მსგავსების) დიდი ნაწილი. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მას მოყავს მრავალი ენობრივი საბუთი, რომელთა ჩამოთვლასა და განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით.

იმ გამოკვლევათა შორის, რომლებიც დ. უზნაძის შედეგების შემდეგომ დაზუსტებას ისახავენ მიზნად, განსაკუთრებით საგულისხმოა ჩ. ფოქსის გამოკვლევა[2]. ფოქსის აზრით დ. უზნაძის შედეგებიდან დაზუსტებასა და შემდგომ კვლევას საჭიროებენ: 1. განზოგადების მართებულობა, რადგანაც ცდათა რაოდენობის სიმცირე საეჭვოს ხდის მას.

2. თვითდაკვირვების მონაცემები, რადგანაც თითოეულ ცდისპირს ცდების ისე მცირე რაოდენობისას უხდებოდა თვითდაკვირვება, რომ ვერ მოახერხებდნენ გაწაფვას.

3. დებულება, რომ სახელდების ნამდვილი საფუძვლები ცდისპირთა ჩვენებაშია მითითებული, რადგანაც იგი ავტორის მიერ წინასწარ, შემოწმების გარეშეა მიღებული. დ. უზნაძემ, ფოქსის აზრით, ანგარიში არ გაუწია იმ გარემოებას, რომ შესაძლოა ცდისპირთა მიერ ფიგურებისათვის სახელის შერჩევის რეალურმა საფუძვლებმა

---

[1] ამ ექსპერიმენტის აღწერის შემდეგ ვ. კოლერი მიუთითებს დ. უზნაძის ზემოდასახელებულ შრომაზე. აღწერილი ექსპერიმენტისა და დ. უზნაძის ექსპერიმენტების მრავალი მომენტის მსგავსება საფუძველს იძლევა ვიეარაუდოთ, რომ კოლერის მიერ აღწერილი ექსპერიმენტი არის მის მიერვე შედგენილი დ. უზნაძის ექსპერიმენტების ილუსტრაცია. ეს ფიგურები და ბგერათა კომპლექსები შემდგომ არაერთმა მკვლევარმა გამოიყენა და ცნობილია ვ. კოლერის ფიგურების სახელით.

[2] Ch. Fox, An Experimental Study of Naming. American Journal of Psychology. vol. 47. no. 4. 1935.

ან მოტივებმა სრულიად ანდა ნაწილობრივად ვერ ნახოს ასახვა ცდისპირთა ჩვენებებში, რომ შესაძლებელია ცდისპირებმა მოგვაწოდონ რაციონალიზებული ჩვენებები.

4. სტატისტიკური მონაცემები, რადგანაც ისინი მცირეა და ზოგიერთი დასკვნისათვის არაა საკმარისი და სხვ.

ამ მიზნით, რომ პასუხი გაეცა ზემომოყვანილ საკითხებზე ფოქსმა ჩაატარა ცდების ათი სერია.

ჩ. ფოქსის ექსპერიმენტებში ძირითადად დადასტურდა დ. უზნაძის შედეგები, მაგრამ მან ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ზოგიერთ ისეთ მნიშვნელოვან მომენტებზე, რომლებიც სხვა მკვლევართა მიერ საგანგებო ყურადღების საგანი არ გამხდარა. ასე მაგალითად:

1. გამოირკვა, რომ ცდისპირები ცალკეული ნახაზისათვის სახელის შერჩევის დროს გაცილებით უფრო ხშირად ირჩევენ ერთსა და იმავე სიტყვას, ვიდრე ავლენენ შეთანხმებულობას არჩევანის საფუძვლების დასახელებისას. იყო შემთხვევები, როდესაც ხუთივე ცდისპირი მოცემული ფიგურისათვის სახელად სამი სიტყვიდან ერთ სიტყვას ირჩევდა (მეშვიდე სერია), მაგრამ სრულიად არ ჩანდა შეთანხმებულობა არჩევანის დასახელებულ საფუძველში ან მიზეზში. ამიტომ, ფოქსის აზრით, საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ სახელდების რეალური საფუძველი და ის „მიზეზები", რომლებსაც ცდისპირები ასახელებენ თავიანთი არჩევანის საფუძვლად. ეს უკანასკნელნი ხშირად მხოლოდ „რაციონალიზაციებს" წარმოადგენენ, რომლებიც ხელს უწყობენ უკვე არჩეული სახელის ვარგისობის დასაბუთებას. ამიტომ ობიექტისათვის სახელის შერჩევის პროცესი არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, თითქოს ცდისპირი პოულობს სიტყვას, რომელიც გარკვეულ მიმართებაში შეესატყვისება მოცემულ ფიგურას და რამდენადაც ეს შესატყვისობა არსებობს, ის ასკვნის, რომ სიტყვა კარგი სახელი იქნებოდა ობიექტისათვის. ხოლო თუ ამის შემდეგ მოსთხოვენ, მას შეუძლია დაადგინოს ის მიზეზები, რომლებმაც მისი არჩევანი წარმართეს. ფოქსის აზრით, უფრო მართებული იქნება პროცესი ასე წარმოვიდგინოთ: ცდისპირი, იმის ცოდნის გარეშე თუ რატომ, ობიექტის სახელად ირჩევს ცალკეულ ბგერათა კომპლექსს. ამის შემდეგ შესაძლებელია შინაგანი კავშირის ძიების პროცესი რაციონალიზირების გზით წარიმართოს, და „აღმოჩენილ იქნეს" გარკვეული „ფონეტიკური სიმბოლიზმი", ლინგვისტური ასოციაციები და სხვა და სხვა. ფიგურასა და სიტყვას

შორის ‘ძესატყვისობის ეს „გამდიდრება“ ცდისპირის მიერ შემდგომ ალიარებულია როგორც მის მიერ წარმოებული არჩევანის რეალური საფუძველი. სახელის არჩევის ასეთ „საფუძვლებს“ მცირე კავშირი აქვს ანდა სრულიად არა აქვს კავშირი სახელის შერჩევის რეალურ საფუძველთან. ანალოგიური მდგომარეობაა, მიუთითებს ჩ. ფოქსი, ცოცხალ ენებშიც. მრავალი პიროვნებისათვის ესა თუ ის სიტყვა ფიზიოგნომიკურობით ხასიათდება. ისე მაგ., სიტყვა cool არა მხოლოდ ზომიერად დაბალ ტემპერატურას ნიშნავს, არამედ „თვითონ გამოიყურება სიცივის მსგავსად“, მაგრამ ამ შემთხვევაში ბგერათა კომპლექსის ფიზიოგნომიკურმა შეფერადებულობამ კი არ გადააქცია იგი სახელად, არამედ სიტყვამ ფიზიოგნომიკურობა მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ის მიღებულ იქნა როგორც სახელი. ასევე, შინაგანი კავშირი, ლინგვისტური ასოციაციები და სხვა აღმოცენდებიან მას შემდეგ, რაც ბგერათა კომპლექსი უკვე შეირჩა სახელსადები შინაარსის სახელად.

სახელდების რეალურ და ცდისპირთა მიერ ასეთად მიჩნეულ საფუძვლებს შორის შეუსატყვისობამ, ფოქსის აზრით, შეუძლებელი გახადა სახელდების რეალური საფუძვლების სისტემატური კვლევა. ყოველ შემთხვევაში ის მეთოდი, რომელიც მის მიერ გამოიყენებოდა, მას მიაჩნია, რომ არ იყო ადეკვატური სახელდების რეალური საფუძვლების შესაჯერებლად. ამ მიზნებისათვის ფოქსს უფრო შესაფერისად მიაჩნია სეპირის, ნიუმენის, ბენტლეისა და ვარონის მიერ გამოყენებული მეთოდები [1].

2. დ. უზნაძის შედეგებისგან განსხვავებით, ფოქსის მონაცემების მიხედვით არ შეინიშნება, რომ სიტყვები, რომლებიც შეირჩნენ „შინაგანი“ კრიტერიუმებით განმეორებით ცდებში, რეპროდუცირებულნი არიან უფრო მეტი სიზუსტით, ვიდრე ასოციაციური კრიტერიუმით შერჩეული სიტყვები. მას მიაჩნია, რომ თავის და უზნაძის მონაცემებს შორის სხვაობა შეიძლება გამოწვეული იყოს უზნაძის ცდისპირთა სიმცირით.

3. აღმოჩნდა დადებითი კორელაცია იმ ცდისპირების რაოდენობასა, რომლებმაც აირჩიეს სიტყვა, და სიზუსტეს შორის, რომლითაც იგივე სიტყვა იყო აღდგენილი იმავე ცდისპირების მიერ ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ განმეორებით ცდებში.

---

[1] ამ მეთოდების შესახებ დაწვრილებით იხილეთ მეხუთე თავში.

როგორც ვხედავთ, ჩ. ფოქსის გამოკვლევა რამდენიმე მნიშვნელოვან ახალ მომენტზე მიუთითებს, რომელსაც სახელდების ფსიქოლოგიური ბუნების გარკვევისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელდების რეალური საფუძვლისა და იმის ერთმანეთისაგან განსხვავების აუცილებლობა, რასაც ცდისპირები ასეთად ასახელებენ. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აძნელებს სახელდების რეალური საფუძვლის გამოვლენის შესაძლებლობას, მაგრამ შეუძლებელს ვერ ხდის მას. ამ შესაძლებლობას არც ფოქსი უარყოფს.

ცალკეულ შემთხვევებში მას შესაძლებლად მიაჩნია ერთგვარი შესატყვისობა ცდისპირთა არჩევანის რეალურ საფუძვლებსა და ცდისპირების მიერ დასახელებულ საფუძვლებს შორის. ფოქსი მიუთითებს, რომ ზოგიერთი ასო (როგორიცაა i, z და k) უფრო მეტად შესაძლებელია შედიოდეს იმ სიტყვებში, რომლებიც შეირჩა სახელად ისეთი ფიგურებისათვის, რომლებსაც თვითონ ცდისპირები ახასიათებენ როგორც მსხვილს ან კუთხოვანს, ვიდრე მრგვალი ან გლუვი ფიგურებისათვის შერჩეულ სახელებში. სხვა ასოები (განსაკუთრებით m, u, l და b) უფრო მეტად შესაძლებელია იყოს ისეთი ფიგურების სახელებში, რომლებიც სიმრგვალით ხასიათდებიან, ვიდრე სხვა სახის ფიგურათა სახელებში და სხვა.

როგორც ვნახეთ, ზემოდასახელებულ ექსპერიმენტებში ცდისპირები ორ ჰეტეროგენულ მოვლენას — ვიზუალურ ხატსა და აკუსტიკურ შთაბეჭდილებას — ერთიმეორის შესატყვისად, ერთიმეორის მსგავსად განიცდიან. იმის გასარკვევად, თუ რით არის განპირობებული ეს მდგომარეობა, მნიშვნელობა აქვს დადგინდეს — ყველა ასაკისათვის არის დამახასიათებელი თუ არა ჰეტეროგენული მოვლენების ურთიერთშესატყვისად განცდის უნარი. ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში კი საჭიროა იმის გარკვევა, თუ სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურებზე რა თავისებურებებით ხასიათდება იგი.

ეს საკითხი ინტელექტის განვითარების პრობლემასთან კავშირში იკვლიეს ფ. ირვინმა და ნიულენდმა [1]. ისინი გამოდიან უ. ჯემსის დებულებიდან, რომ გენიოსი ხასიათდება განსხვავებულ მოვლენებს შორის მსგავსების შენიშვნის უნარით. აქედან გამომდინარე ვარაუდობენ, რომ სახელდების ექსპერიმენტებში ვიზუალურ ხატსა და

---

[1] F. W. Irwin and E. Newland, A Genetic Study of the Naming of Visual Figures. The Journal of Psychology, 9, 1940.

აკუსტიკურ შთაბეჭდილებას შორის მსგავსებას მეტად შენიშნავს განვითარებული ინტელექტის მქონე ადამიანი. მაშასადამე, სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე მოსალოდნელია შედეგთა სხვადასხვაობა, ამასთან ასაკის ზრდასთან ერთად მსგავსების შენიშვნის შემთხვევები პროპორციულად უნდა გაიზარდოს. ჩვენ არ შეუუდგებით იმის გარკვევას, თუ რამდენად მართებულია ამ ავტორთა ვარაუდი. ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ მათ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები სახელდების პრობლემასთან კავშირში და არა ინტელექტის განვითარების პრობლემასთან მიმართებაში.

მათ ექსპერიმენტები ჩაატარეს 299 ბავშვზე 4-დან 18 წლის ასაკამდე. მათ აიღეს 4 წყვილი უაზრო ნახაზი და 4 წყვილი ისეთი უაზრო ბგერათა კომპლექსი, რომლებიც ცდის ხელმძღვანელებს ცალკეული ფიგურებისათვის შესაფერისად ეჩვენებოდათ. ამ მასალას დაუმატეს კოლერის ფიგურები და სიტყვები. წინასწარ ცდებში, რომლებიც 23 მოზრდილზე ჩატარდა, შემოწმდა, თუ რამდენად ზოგადი ხასიათისა იყო ექსპერიმენტატორების შთაბეჭდილება ცალკეულ სიტყვათა და ნახაზთა ურთიერთშესაფერისობის შესახებ. ცდისპირს აწვდიდნენ წყვილ ფიგურას და წყვილ სიტყვას. მათ, რაც შეიძლება სწრაფად, ერთი სიტყვა ერთი ფიგურისათვის უნდა მიეკუთვნებინათ და მეორე მეორისათვის. არჩევანთა 78% შემთხვევაში ცდისპირები „სტანდარტულ პასუხებს" იძლეოდნენ, ე. ი. ცდისპირთა არჩევანი დაემთხვა ექსპერიმენტატორების ჩანაფიქრს. ცდების შედეგად გამოირკვა:

1. ცხრა წლის ასაკამდე ცდისპირთა პასუხების განაწილება ალბათობით მოსალოდნელის ფარგლებში თავსდება. მაგრამ სტანდარტული პასუხების პროცენტული მაჩვენებლების სწრაფი ზრდა 5-დან 9 წლამდე (50%-დან 80%-მდე) გვაიძულებს, მიუთითებენ ავტორები, დავუშვათ არაშემთხვევითი ფაქტორების არსებობა. 9 წლის შემდეგ სტანდარტული პასუხები მაქსიმუმს აღწევს და ჩერდება 88%-ზე.

2. სტანდარტულ პასუხთა რაოდენობაზე გავლენას ახდენს მასალის მიწოდების თანამიმდევრობა. გარკვეული თანამიმდევრობით მიწოდებული მასალის პირობებში სტანდარტული პასუხების პროცენტული მაჩვენებლები გაცილებით უკეთესია, ვიდრე სხვაგვარი ვანლაგების დროს.

3. ცდისპირები თავიანთი არჩევანის საფუძვლად ასახელებდნენ ზოგად შთაბეჭდილებას, ბგერათა კომპლექსისა და ფიგურის თვისე-

შეეიჩნიოთ, რადგანაც, როგორც წესი, ცდისპირთა უმეტესობა ერთნაირ არჩევანს აკეთებდა, მაგრამ დასახელებული ასოციაციური მიზეზები იმდენად დაცილებული იყო ერთმანეთისაგან, რომ მათ საფუძველზე შეუძლებელი ხდება აიხსნას შედეგების ერთგვაროვნობა. გარდა ამისა, როგორც ჩ. ფოქსი მიუთითებს და მის აზრს შრავალი სხვა ავტორიც იზიარებს, ცდისპირთა ჩვენებებში ყოველთვის ვერ ვლინდება სახელდების რეალური საფუძველი. ამიტომ სარისკოა გავიზიაროთ ცდისპირთა მტკიცებები მათ მიერ წარმოებული არჩევანის საფუძვლების შესახებ.

მაგრამ საკითხი—ხომ არაა ცდისპირთა არჩევანი განპირობებული უკვე სახელდებულ შინაარსთა მონაწილეობით — იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გარკვევისათვის უფრო საიმედო მონაცემებია საჭირო. ამ მხრივ განსაკუთრებით ღირებულია სხვადასხვა ენის წარმომადგენლებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები. ასეთი ხასიათის კვლევა ჩაატარა რ. დეევისმა[1]. 1959 წელს იგი მონაწილეობდა ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ ტანგანიკაში მოწყობილ ექსპედიციაში. ექსპედიციის რაიონი იყო ტანგანიკის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ნახევარკუნძული, რომელიც იზოლირებული იყო სხვა რაიონებისაგან ერთი მხრივ მაჰალის მთებით და მეორე მხრივ კი ტბით. მოსახლეობაზე ევროპული გავლენა უმნიშვნელო იყო. ცდები ტარდებოდა 8—14 წლის ასაკის ბავშვებზე, რომლებიც ლაპარაკობდნენ ბანტუს ტიპის დიალექტზე (კიტონგვე), ხოლო სკოლაში სწავლობდნენ სვაჰილის ენაზე. ინგლისური ენა მათთვის სავსებით უცნობი იყო.

ცდის მასალად გამოყენებულ იქნა კოლერის ფიგურების მსგავსი ნახატები და „სიტყვები", იმ განსხვავებით, რომ „მალუმა". შეცვლილ იქნა „ულუმუ"-თი. ძირითად ექსპერიმენტს წინ უსწრებდა წინასწარი ექსპერიმენტი, რომლის მიზანსაც შეადგენდა ექსპერიმენტული სიტუაციისადმი ბავშვების მიჩვევა. წინასწარ ექსპერიმენტში გამოიყენებოდა ნახატების სხვა წყვილი—სახელდობრ „ჭინძისთავა კაცები". ერთ მათგანს ჰქონდა წრიული თავი, ხოლო მეორეს—კვადრატული, სხვა მხრივ კი ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ. ინსტრუქცია წინასწარ ექსპერიმენტებში იყო შემდეგი: „დაეუშვათ, ერთ-ერთი ამათგანი არის მამაკაცი და მეორე ქალი. დაწე-

---

[1] R. Davis, The Fitness of Names to Drawings. A Cross-cultural Study in Tanganyika. British Journal of Psychology, 52; 1961.

რეთ მამაკაცი იმ ნახაზის ქვეშ, რომელიც თქვენი აზრით არის მამაკაცი და ქალი იმ ნახაზის ქვეშ, რომელიც თქვენ ქალად მიგაჩნიათ". წინასწარი ექსპერიმენტის შემდეგ ცდისპირებს ეძლეოდათ დაფიდან გადასახატავად კოლერის ტიპის ნახაზები. გადახატვის შემდეგ დაფაზე შლიდნენ ფიგურებს და მის ნაცვლად წერდნენ უაზრო სიტყვებს „ტაკეტე" და „ულუმუ". ცდისპირებს მიუთითებდნენ, რომ ეს ორი სიტყვა არის ნახაზების შესაძლო სახელები და ამეორებინებდნენ მანამდე, სანამ ბავშვები არ მოახერხებდნენ მათ უშეცდომოდ რეპროდუქციას. ამის შემდეგ კი სთხოვდნენ, შეეხედათ თავიანთი ნახაზებისათვის და განესაზღვრათ, თუ თითოეული მათგანისათვის რომელი იყო საუკეთესო სახელი. საკონტროლო ექსპერიმენტები, როგორც ძირითადი, ასევე წინასწარიც, ჩატარებულ იქნა 281 ინგლისელ ბავშვზე 11-დან 14 წლის ასაკამდე, ზუსტად ისევე, როგორც აფრიკელ ბავშვებზე.

ცდების შედეგების ურთიერთშედარებამ ნათელყო, რომ აფრიკელი ბავშვებიც იმავე გზით ახდენენ სახელების შერჩევას ნახაზებისათვის, როგორც ინგლისელები. ცდების შედეგების დამთხვევა საფუძველს გვაძლევს დაშვებისათვის, რომ ნახაზებისათვის სახელების მიკუთვნება არ შეიძლება ყოფილიყო განხორციელებული რაიმე ასოციაციის საფუძველზე, რადგანაც ძნელი სავარაუდოა ერთნაირი ასოციაციების აღმოცენება აფრიკელ და ინგლისელ ბავშვებში, იმ დროს, როდესაც მათი არჩევანის შედეგები ერთნაირია.

ზემოთ დასახელებულ გამოკვლევებში გამოყენებული ექსპერიმენტული მეთოდების ზოგადი სქემა ასეთია: ცდისპირს ეძლევა უაზრო ნახაზი (ორი ნახაზი) და მან მათ სახელი (სახელები) უნდა შეუჩიოს მიწოდებული უაზრო ბგერათა კომპლექსების სიიდან (წყვილებიდან) [1].

აღნიშნული მეთოდის ღირსება იმაშია, რომ სახელდების ამოცანის გადაწყვეტა ხორციელდება ექსპერიმენტის პროცესში და, მაშასადამე, დაკვირვების ობიექტი უშუალოდ სახელდების პროცესია და არა მისი შედეგი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზ. ფიშერის და სხვათა ექსპერიმენტებში. სწორედ ამ გარემოებითაა განპირობებული

---

[1] გამონაკლისს შეადგენს ე. ალსპაჩისა და ზ. ფიშერის ექსპერიმენტები, რომლებშიაც ცდისპირებს არ უხდებოდათ სახელდების ამოცანის გადაწყვეტა და ჯ. ინგლიშის ექსპერიმენტები, რომლებშიაც ცდისპირებს ევალებოდათ სახელი შეერჩიათ ფოტოსურათზე გამოსახული ადამიანებისათვის.

ის მნიშვნელოვანი შედეგები, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა და რომლებიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. ბგერათა კომპლექსი ცდისპირთა მიერ განიცდება გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად;

2. სახელდებისათვის საჭიროა ბგერათა კომპლექსი სახელმდებლის მიერ სახელსადები შინაარსის შესატყვისი სახელის ფუნქციის მატარებლად განიცდებოდეს.

3. ბგერათა კომპლექსის გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად განცდა ინტერ-და ინტრაინდივიდუალური კონსტანტობით ხასიათდება.

4. ბგერათა კომპლექსის ვარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად განცდა არ უნდა იყოს ამ ბგერათა კომპლექსით გამოწვეული ასოციაციების და საერთოდ ენის შუალობის შედეგი, რასაც მოწმობს სხვადასხვა ენისა და კულტურის დონის მქონე ცდისპირთა შედეგების დამთხვევის მაღალი ხარისხი.

5. დასტურდება დადებითი კორელაცია იმ ცდისპირების რაოდენობასა, რომლებმაც აირჩიეს სიტყვა, და იმ სიზუსტეს შორის, რომლითაც იგი იყო არჩეული იმავე ცდისპირების მიერ ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ განმეორებით ცდებში.

6. 4 წლის ასაკში სახელსადები შინაარსისათვის სახელის შერჩევა შემთხვევით ხასიათს ატარებს, 5-დან 9 წლამდე სახელების შერჩევა უპირატესად „არა შემთხვევითი ფაქტორების" საფუძველზე ხორციელდება, ხოლო 9 წლის შემდეგ იგი საკმაოდ გამოკვეთილ კანონზომიერ ხასიათს ღებულობს.

7. ავტორთა უმეტესობის აზრით სახელდების პროცესი მოტივირებულია ზოგადი შთაბეჭდილებით, ატრიბუტული და ასოციაციური ფაქტორებით ეს უკანასკნელი უმრავლესობის მიერ უმნიშვნელო ღირებულების მქონედ არის მიჩნეული. მაგრამ, როგორც ირკვევა, სახელდების რეალური საფუძველი და ის, რასაც ასეთად ასახელებენ ცდისპირები, ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს უკანასკნელნი ხშირად წარმოადგენენ რაციონალიზაციის შედეგს, რომლებიც ფაქტიურად მხოლოდ ხელს უწყობენ უკვე არჩეული სახელის ვარგისობის დადასტურებას.

მიღებული შედეგების დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, თითქმის ყველა აღწერილი ექსპერიმენტი რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება, რაც აუცილებელს ხდის საკითხის შემდგომ კვლევასა და მიღებული შედეგების დაზუსტებას.

1. ვერ მოხერხდა ექსპერიმენტატორთა მიზანდასახულობის განხორციელება — რაც შეიძლება მეტად ყოფილიყო მიახლოებული სახელდების ექსპერიმენტული პირობები პირველად სახელდებასთან.

იმის გამო, რომ ექსპერიმენტები თანამედროვე ადამიანებზე ტარდებოდა და ექსპერიმენტატორები მიზნად ისახავდნენ გამოერიცხათ სახელდების პროცესში უკვე სახელდებული შინაარსებისა და მათ სახელთა მონაწილეობა, სახელსადები შინაარსიცა და ბგერათა კომპლექსებიც, დ. უზნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...ისე იყო შედგენილი, რომ შეძლებისდაგვარად არც ერთი ნაცნობი საგნის წარმოდგენა არ გამოეწვია ასოციატურად". ამიტომ გამოყენებული ბგერათა კომპლექსებიცა და სახელსადები შინაარსებიც იყო უაზრო. ამის შედეგად კი სახელდების ექსპერიმენტული პირობები სახელდების, თუნდაც პირველადის, ბუნებრივი პირობებისაგან უაღრესად განსხვავებული აღმოჩნდა.

საქმე იმაშია, რომ სახელდების შედეგი სიტყვაა. სიტყვა კი, როგორც ცნობილია, უაზრო ბგერათა კომპლექსისაგან იმით განსხვავდება, რომ მას აქვს მნიშვნელობა, რომ იგი გარკვეულ შინაარსს, გარკვეულ აზრს აღნიშნავს. სიტყვა, ჩვენი აზროვნების პროდუქტის — ცნების შინაარსის ობიექტივაციის შესაძლებლობას იძლევა: ჩვენი აზრი ობიექტურ მოცემულობად სიტყვაში იქცევა და ამით იგი არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ სხვისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება. ადამიანი სახელდების ამოცანის წინაშე დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გარკვეული შინაარსის ობიექტივაციას ახდენს და აცნობიერებს, რომ ეს შინაარსი ენაში სიტყვით არ არის ფიქსირებული. თავისი აზრის სხვისთვის გაზიარების საჭიროება აიძულებს მას მოახდინოს სახელდება, რათა აზრი ობიექტურ მოცემულობად, სიტყვად აქციოს და ამ გზით მის მიერ შემეცნებული შინაარსი სხვებისათვისაც ხელმისაწვდომი გახადოს. უაზრო მასალის სახელდების წინაშე თანამედროვე ადამიანი არასოდეს არ დგას და წარმოუდგენელია, რომ ასეთი ამოცანის წინაშე ის როდისმე მდგარიყო. ის, რაც უაზროა, არც ობიექტივაციას საჭიროებს და არც კომუნიკაციის მიზნებისათვის არის გამოსადეგი. ამრიგად, ზემოდასახელებულ ექსპერიმენტებში უაზრო ცდის მასალის გამო ცდისპირები სახელდების არაბუნებრივი ამოცანის წინაშე დგანან და ბუნებრივია ასეთმა ექსპერიმენტმა არ შეიძლება ამომწურავი ცნობები მოგვცეს სახელდების ბუნებრივი პროცესის შესახებ.

2. სინამდვილის საგნები და მოელენები, როგორც ცნობილია, ერთიან სისტემას ქმნიან, ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი და ერთმანეთს განაპირობებენ. ჩვენი ცნებები წარმოადგენენ რა სინამდვილის ასახვას, თავის მხრივ ქმნიან ცნებათა ერთიან სისტემას, რომელიც სინამდვილის ერთიანი სისტემის ასახვას წარმოადგენს. ამიტომ ყოველი ცნება გარკვეულ კავშირშია. გარკვეულ მიმართებაშია ყველა დანარჩენებთან. იგივე ითქმის სახელსადებ შინაარსზედაც. ნორმალურ პირობებში სახელსადები შინაარსი არასოდეს არ არის მოცემული ადამიანის ცნობიერებაში იზოლირებულად, იგი ყოველთვის არის ჩართული სხვა, უკვე სახელდებულ შინაარსებთან კავშირში. ამ კავშირებმა კი არ შეიძლება სპეციფიკური დაღი არ დაჩნიოს სახელდების პროცესის მიმდინარეობას. უაზრო მასალის პირობებში კი სახელსადები მოკლებულია უკვე სახელდებულ შინაარსებთან ასეთ კავშირს და, მაშასადამე, ამის გამო სახელდების ექსპერიმენტული მიმდინარეობა მნიშვნელოვნად შორდება მის ბუნებრივ მიმდინარეობას.

3. უაზრო მასალის გამოყენება ცდაში მიზნად ისახავდა ცდის პროცესიდან გამორიცხული ყოფილიყო ნაცნობი, სახელდებული შინაარსების მონაწილეობა. მაგრამ ცდის მასალების ანალიზის დროს გამოირკვა, რომ, როგორც წესი, ცდისპირები ამ თავისთავად უაზრო ნახაზებს გარკვეული აზრისა და შინაარსის მქონედ განიცდიდნენ. „საექსპოზიციო (სახელსადები — ა. ბ.) მასალის აღქმის დროს, — წერს დ. უზნაძე, — ცდისპირის ცნობიერების წინაშე ასეთი ამოცანა დგას: მან უნდა აღიქვას მიწოდებული ობიექტი და შემდეგ სათანადო სახელი გამოუნახოს. მაგრამ მეტყველი ადამიანისათვის სიტყვა უთუოდ რაიმე მნიშვნელობას გულისხმობს (ხაზგასმა ავტორისაა—ა. ბ.), ხოლო აღქმული ობიექტი, ნახატი, არაფერს არ გამოხატავს, და სწორედ ეს უარყოფა მნიშვნელობისა სიტყვის მნიშვნელობად არის მოცემული. სრულიად ბუნებრივია, რომ ცდისპირთა ცნობიერება ასეთი მდგომარეობიდან გამოსასვლელად მარტივ გზას მიმართავს: იმ შეგრძნებათა კომპლექსში, რომელსაც მას მიწოდებული მასალა, ამ შემთხვევაში ნახაზი აღუძრავს, იგი რაიმე მნიშვნელობის ამოკითხვას (ხაზგასმა ავტორისაა—ა. ბ.) ცდილობს. ეს მნიშვნელობაა, რომ შეგრძნებათა ქაოსს, რომელიც, რა თქმა უნდა, მოყვანილობის აღქმასთანაა ერთად მოცემული, მთლიანობას აძლევს და ნამდვილ აღქმად აქცევს. ამიტომ ხდება, რომ ყველა ჩვენი ცდისპირი, ნახაზის ექსპოზიციის

დროს, მისთვის რაიმე მნიშვნელობის მიცემას ლამობს, მის რაიმე საგნისადმი მიმსგავსებას ცდილობს (ხაზგასმა ჩვენია — ა. ბ.). ეს ტენდენცია იმდენად ძლიერი იყო, რომ ზოგიერთი მათგანი ორიოდე ექსპოზიციის შემდეგ უკვე წინასწარ იმუშავებდნენ გეგმას, ნახაზში რაიმე მარტივი, გასაგები მნიშვნელობის მატარებელი ელემენტი აღმოეჩინათ"[1]. ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება სხვა ავტორების ცდებშიც. „საპერცეფციო მასალა (თუ რომ ამ სახელწოდების ქვეშ ცნობიერებაში აღძრულს, მიმსგავსებულ წარმოდგენებს ან, ერთი სიტყვით, მნიშვნელობას ვიგულისხმებთ), რომელსაც ცდისპირი საექსპოზიციო ნახაზთა ან ნაწილის, და ან მთლიანის საშუალებით იწვევს თავის ცნობიერებაში"[2] (ხაზგასმა ჩვენია — ა. ბ.). ჩვეულებრივ, ცდისპირისათვის კარგად ცნობილი შინაარსებია, რომლებიც მის ლექსიკურ ფონდში შემავალი გარკვეული სახელებით არის ფიქსირებული. როგორც ეხედავთ, ცდისპირები მიწოდებულ უაზრო ნახაზებს უაზროდ კი არ განიცდიდნენ, არამედ გარკვეული, მათთვის კარგად ცნობილი და სიტყვით ფიქსირებული მნიშვნელობის მქონე შინაარსებად. ამიტომ უაზრო ბგერათა კომპლექსების სიიდან სახელის ძიების პროცესში შუამავალ რგოლად, ცხადია, ამ „ამოკითხული" მნიშვნელობის სახელი გამოდიოდა და ფაქტიურად, ამ ამოკითხული მნიშვნელობის სახელის მსგავს უაზრო ბგერათა კომპლექსს ეძებდნენ. ასეთი ჩვლელობა სახელდების ბუნებრივი პროცესისათვის, ცხადია, არ შეიძლება იყოს დამახასიათებელი და გამოწვეული უნდა იყოს ცდის მასალის სპეციფიკით. მაშასადამე, ცდაში უაზრო სახელსადები მასალის შემოტანამ თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა.

4. ყველა ცდისპირს სახელსადებად ერთი და იგივე შინაარსი ეძლეოდა, მაგრამ მასალის უაზრობის გამო ერთსა და იმავე სახელსადებ შინაარსში სხვადასხვა ცდისპირი სხვადასხვა შინაარსს „პოულობდა", სხვადასხვა „მნიშვნელობას" დებდა. ასე მაგალითად:

„ა. შ. 11. სურათის დანახვამ ვერავითარი ასოციაცია ვერ აღძრა. მინდოდა კი უთუოდ რისთვისმე დამეკავშირებია, რათა ეს სიტყვების არჩევის დროს გამომეყენებია. მაგრამ მთლიანად

---

[1] დ. უზნაძე. სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები. დ. უზნაძე. შრომები, ტ. 1, 1956 წ., გვ. 7.

[2] იქვე, გვ. 9.

ვერაფერს დავუახლოვე და ამიტომ განზრახ სრულიად შეგნებულად, ნაწილზე გადავედი, რათა ამათი საშუალებით მაინც მოვეხერხებია რაიმე ასოციაციის დაწესება. ერთმა ნაწილმა კლდის ქანი მომაგონა"[1].

„ბ. ჩ. 11. სურათი რომ დავინახე პეპელა მომაგონდა"[2].

„შ. უ. 11. სურათს ყოველთვის რასმე ვამსგავსებდი და აქაც ცხადად ქართული ლასის სახე გაჩნდა ჩემს ცნობიერებაში... თუმცა ეხლა ვხედავ, რომ იგი უფრო ღან-ს ჰგავდა, ვიდრე ლასს..."[3].

„მ. ხ. 11. სურათმა გაბმული მავთულის წარმოდგენა აღძრა და ჯამბაზის სვლა მასზე. ავთანდილის სიტყვები მომაგონდა: ჯამბაზობას ვიყავ ნაჩვევიო და ყველაფერი ეს ინდოეთის ატმოსფეროში, მისი მაგიით".[4]

„ს. ბ. 11. სურათი ჯოხს დავამსგავსე, რომელზედაც ბაწარია მიმაგრებული. ამ წარმოდგენამ სიტყვების არჩევანის დროს ჩემი გულისყური ქეტითზე შეაჩერა: ქეტითი სიტყვა ქეტითს ერთ-ერთ ბრუნებად მომეჩვენა—ბაწარი ქეტით—ვიფიქრე მე; ამაზე უკეთესი სიტყვა ნაჩვენები სურათისათვის ძნელი საპოვნელია-მეთქი" [5].

ანალოგიური ამონაწერების მოტანა შეიძლებოდა სხვა ავტორთა შრომებიდანაც.

როგორც ოქმების მოყვანილი ამონაწერები გვიჩვენებს, ერთსა და იმავე ნახაზში 5 სხვადასხვა ცდისპირი 5 სხვადასხვა „მნიშვნელობას პოულობს" და, მაშასადამე, ფაქტიურად ხუთი სხვადასხვა სახელსადები შინაარსის სახელდების ამოცანის წინაშე დგას. ცხადია, ასეთ პირობებში ცდის მიმდინარეობის ერთგვაროვნობა ირღვევა და ამიტომ ცდისპირთა მონაცემების ურთიერთშედარებასა და მათი მონაცემების დამთხვევა არდამთხვევის შესახებ მსჯელობას ეცლება საფუძველი.

5. ზემოდასახელებულ ექსპერიმენტებში ავტორები მიზნად ისახავდნენ ისეთი ბგერათა კომპლექსები შეერჩიათ, რომ მათ „შეძლებისდაგვარად არც ერთი ნაცნობი სიტყვა არ გამოეწვიათ ასოციატუ-

---

[1] დ. უზნაძე, სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები, დ. უზნაძე, შრომები, ტ. 1, 1956 წ., გვ. 8.

[2] იქვე, გვ. 9.

[3] იქვე, გვ. 10.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 13.

ვით და არც სამოტივაციო სიტყვაა ცუდად შერჩეული, რაც იმით დასტურდება, რომ ხშირად ახალი სიტყვა, რომელმაც ენობრივი კოლექტივის სანქცია მიიღო, იმავე სიტყვიდან არის წარმოებული, რომლიდანაც იწარმოებოდა უარყოფილი სიტყვა. აღნიშნული და მრავალი სხვა ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ თვით ენობრივი ელემენტებიდან სიტყვაწარმოების წესებით წარმოებულ სიტყვებშიაც საკმაოდ არ უნდა იყოს გამორიცხული სახელისა და მნიშვნელობის უშუალო მიმართება; ენობრივი ელემენტებიდან წარმოებული ბგერათა კომპლექსი სიტყვაქმნადობაში მონაწილეობს არა მხოლოდ თავისი სემანტიკური კავშირებით, არამედ უშუალოდაც, როგორც ბგერათა კომპლექსი. ახალი სიტყვა ენობრივი კოლექტივის სანქციას მიიღებს თუ არა, ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ სხვა სიტყვებთან არსებულ მის სემანტიკურ კავშირებზე, არამედ თვით ბგერათა კომპლექსის რაგვარობაზედაც. თუ ეს ასეა, და ასეთი დაშვება კი არ არის გამორიცხული, მაშინ ენობრივი ლექსიკის ორი ურთიერთგამომრიცხავი პრინციპებით შედგენილი კატეგორიის სიტყვებად დაყოფა არ იქნებოდა მართებული.

რაკი სიტყვათა პირველქმნადობა თანამედროვე ენებისთვისაც არის დამახასიათებელი და არის საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მისი ელემენტების მონაწილეობა არ უნდა იყოს გამორიცხული თვით სიტყვაწარმოების ჩვეულებრივი გზით მიღებული სიტყვების სახელდებისასაც, სახელდების პროცესის ექსპერიმენტული კვლევა საკმაოდ გამართლებულია. ყოველ შემთხვევაში სახელდების პროცესის ექსპერიმენტული კვლევის მართებულობა-უმართებულობა, მისი შედეგების ადგილისა და მნიშვნელობის როლის განსაზღვრა, უნდა გადაწყდეს ამ კვლევის შედეგების საფუძველზე და არა წინასწარ მიღებულ თეორიულ მოსაზრებათა მიხედვით.

ამრიგად, სახელდების პრობლემის გადაწყვეტა გარდა თეორიული, პრინციპული ხასიათის მოსაზრებებისა, შესაძლებელია დაფუძნებულ იქნეს სხვადასხვა ემპირიულ მეცნიერებათა მრავალრიცხოვან მონაცემებზედაც. მაგრამ თუ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შემოვისაზღვრეთ სახელდების პროცესის ექსპერიმენტული კვლევის შედეგების განზოგადებით და შეძლებისდაგვარად მათი ენობრივი მონაცემების განმტკიცებით, ეს იმით აიხსნება, რომ ნაშრომი არსებითად წარმოადგენს სახელდების მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული კვლევის შედეგების სისტემატიზაციისა და განზოგადების პირველ ცდას, რაც თავისთავადაც მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებუ-

რად". მაგრამ ცდის მასალებზე ზერელე თვალმოგადავლებაც საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს მიზანდასახულობაც მიუღწეველი დარჩა. სხვაგვარი შედეგის მოლოდინი არც უნდა გვქონოდა, რადგანაც როგორც ა. გლეიზის, კ. ჰალის და სხვათა სპეციალური გამოკვლევებიდან ირკვევა, ისეთი უაზრო ბგერათა კომპლექსების შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნება რაიმე ასოციაციებისაგან, საკმაოდ დიდ სიძნელესთან არის დაკავშირებული[1].

მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ სახელდების ექსპერიმენტებისათვის ყოველგვარი უაზრო ბგერათა კომპლექსი არ გამოდგება. ამ მიზნებისათვის გამოყენებული უაზრო ბგერათა კომპ-ლექსი უნდა შეეფერებოდეს მოცემული ენის ორთოგრაფიასა და ფონოლოგიას. ასე მაგალითად, ინგლისური ენის სიტყვები, როგორც რ. ბრაუნი მიუთითებს[2], არ იწყება ისეთი თანხმოვნების ჯგუფებით, როგორიცაა mle ან lme. ინგლისურად მოლაპარაკის მიერ ასეთი ბგერითი კრებადობა წარმოსათქმელად შეუფერებლად მიიჩნევა. ბგერათა კომპლექსი mel კი ეგუება ინგლისურ ენას და შეიძლებოდა იგი ინგლისური ენის სიტყვად გადაქცეულიყო. ამ უკანასკნელი კატეგორიის უაზრო ბგერათა კომპლექსებს, განსხვავებით პირველი ჯგუფის უაზრო ბგერათა კომპლექსებისაგან, რ. ბრაუნი პოტენციონალურ სიტყვებს, არალინგვისტურ სიტყვებს უწოდებს. ცხადია, ასეთი ორი სახის ბგერათა კომპლექსები არ შეიძლება თანაბარი წარმატებით იქნეს გამოყენებული სახელდების ექსპერიმენტებში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოცემული ენის ორთოგრაფიისა და ფონოლოგიისათვის შეუფერებელი ბგერათა კომპლექსები ცდისპირმა გამოიყენოს სახელსადები შინაარსის საველად, თუმცა ასეთი ბგერათა კომპლექსები შესაძლო ასოციაციებისაგან უფრო თავისუფალია, ვიდრე ე. წ. პოტენციონალური სიტყვები, რომლებიც უფრო მეტად ეგუებიან რა მოცემული ენის ლექსიკას, მოსალოდნელია უფრო შესაფერისი იქნენ სახელდების ექსპერიმენტებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბგერათა კომპლექსები ნაცნობი შინაარსის სახელების ასოციაციურად აღმოცენების მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებენ.

---

[1] A. Glaze, The Association Value of Non-sense Syllables; Red. Sem., 35; 1928.

C. Hull, The Meaningfulness of 320 Selected Non-sense Syllables. The American Journal of Psychology. vol. 45. no. 4; 1933.

[2] R. W. Brown, Words and Things, 1958.

ამრიგად მიზანდასახულობას — სახელდების პირობები მაქსიმალურად მიეუახლოვოთ პირველყოფილ სახელდებას — ასეთი სახის სიძნელეც ეღობება წინ.

6. გამართულებული არ უნდა იყოს აგრეთვე აღნიშნული ექსპერიმენტების უმრავლესობაში გამოყენებული უაზრო ბგერათა კომპლექსების შედგენის პრინციპებიც. როგორც წესი, გამოყენებული უაზრო ბგერათა კომპლექსები შედგენილია ერთგვაროვნობის ებინგჰაუსისეული მოთხოვნის საფუძველზე — ერთი თანხმოვანი — ერთი ხმოვანი და ა. შ., ანდა პირიქით. აგრეთვე, როგორც წესი, ცდებში გამოიყენება ერთი და იგივე რაოდენობის მარცვლებისაგან შედგენილი ბგერათა კომპლექსები — უმთავრესად სამმარცვლოვანი. ერთგვაროვნობის პრინციპს შესაძლოა ჰქონდა გამართლება მეხსიერების ექსპერიმენტებში, მაგრამ მას აზრი ეკარგება სახელდების ცდებში, რადგანაც არც ერთი ენის სიტყვები არ არის ასეთი ერთგვაროვნობის პრინციპით შედგენილი (მარცვალთა ერთნაირი რაოდენობა არც ერთი ენის სიტყვებისათვის არ არის დამახასიათებელი, ისევე როგორც არც ერთი ენის სიტყვებში ყოველ ხმოვანს არ მოსდევს თანხმოვანი და პირიქით).

ასეთია მოკლედ ის ნაკლოვანებანი, რომელნიც მეტ-ნაკლებად ყველა ზემოდასახელებულ ექსპერიმენტს ახასიათებს. თითოეული მათგანი ცალ-ცალკე რომ ყოფილიყო განხილული, შესაძლებელი იქნებოდა ამ საერთო შენიშვნებთან ერთად მათთვის სპეციფიკურ ნაკლოვანებებზეც მითითება, მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშნულიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ზემოთ განხილული ექსპერიმენტების შედეგები შემდგომ დაზუსტებასა და შემოწმებას საჭიროებენ.

2. სახელდების პროცესის კვლევა აზრიანი სახელსადები მასალით

წინა პარაგრაფში განხილულ გამოკვლევებში გამოყენებული ექსპერიმენტული მეთოდების ძირითადი ნაკლი ის იყო, რომ ვერ განხორციელდა დასახული მიზანი — ვერ მოხერხდა ექსპერიმენტული სახელდების პირობების პირველადი სახელდების პირობებთან მიახლოება. სხვაგვარი შედეგის მოლოდინი არც უნდა გვქონოდა, რადგანაც შეუძლებელია თანამედროვე ადამიანი პირველადი სახელდების პირობებში ჩავაყენოთ, შეუძლებელია ექსპერიმენტებში

გამოირიცხოს ყოველივე ის, რითაც თანამედროვე ადამიანი პირველ-ყოფილი ადამიანისაგან განსხვავდება და რაც თავისებურ გავლენას მოახდენს თანამედროვე ადამიანის სახელდების პროცესის მიმდინარეობაზე.

ამის მიუხედავად, ეს გარემოება ვერ ხდის სახელდების პროცესის ექსპერიმენტულ კვლევას შეუძლებლად. საქმე იმაშია, რომ სახელ-დების ამოცანის გადაწყვეტა თანამედროვე ადამიანსაც უხდება. საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად განუწყვეტლად ხდება ენის ლექსიკის ახალ-ახალი სიტყვებით შევსება, ახალ-ახალი შინაარსების სახელდება.

რაკი სახელდების ამოცანის გადაწყვეტა თანამედროვე ადამიან-საც უხდება, მაშასადამე, პრინციპულად შესაძლებელი ყოფილა სა-ხელდების ექსპერიმენტული კვლევაც. მაგრამ რას მოგვცემს ასეთი კვლევა პირველადი სახელდების ბუნების დახასიათებისათვის?

თანამედროვე ადამიანის მიერ წარმოებული სახელდება მრავალ-მხრივ განსხვავებული იქნება პირველადი სახელდებისაგან. იმ გარე-მოებამ, რომ თანამედროვე სახელმდებელი ფლობს ენას და ხშირად რამდენიმესაც, არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს სახელდების პროცესის მიმდინარეობაზე, არ შეიძლება, რომ უკვე სახელის მქონე შინაარსებმა ერთგვარი შუამავლის როლი არ შეასრულოს სახელის ძიებისას.

თანამედროვე ადამიანის სახელდება ცნობიერი, მიზანდასახული პროცესია, რაც არ ითქმის პირველად სახელდებაზე. გარდა ამისა, თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტული აზ-როვნების უნარი, რასაც მოკლებული იყო ადამიანი პირველადი სახელდების პირობებში, ცხადია, თავისებურ წვლილს შეიტანს სა-ხელდების პროცესის სპეციფიკაში. ყოველ ენას ახალი სიტყვების წარმოების გარკვეული ტრადიცია აქვს, რასაც ექვემდებარება თანა-მედროვე ადამიანის სახელდების პროცესიც. ასეთი ტრადიცია პირ-ველადი სახელდების დროს არ არსებობდა და, ცხადია, თანამედრო-ვე ადამიანის მიერ წარმოებული სახელდება ამ მხრივაც იქნება გან-სხვავებული. აღნიშნულის გარდა კიდევ მრავალ სპეციფიკურობაზე შეიძლებოდა მითითება, რითაც თანამედროვე ადამიანი პირველყო-ფილისაგან განსხვავდება და რაც თავისებურ გავლენას მოახდენს. მის მიერ წარმოებულ სახელდებაზე, მაგრამ ამის მიუხედავად, რო-

ორც სამართლიანად მიუთითებენ ჰ. პაული[1], დ. უზნაძე[2] და სხვები, საფუძველი არა გვაქვს ეს განსხვავება პრინციპული ხასიათის განსხვავებად მივიჩნიოთ და დავუშვათ, რომ თანამედროვე ადამიანის მიერ წარმოებული სახელდების შესწავლას არაფრის მოცემა არ შეუძლია ადრინდელი სახელდების პროცესის სპეციფიკურობათა შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ამ მოსაზრების ხელაღებით უარყოფა ნაჩქარევი იქნება და მასზე პასუხი უნდა მოგვცეს სახელდების პროცესის კვლევის შედეგებმა.

ამრიგად, თანამედროვე ადამიანზე წარმოებული ექსპერიმენტული კვლევის მიზანს პირველადი სახელდების პროცესის თავისებურებათა შესწავლა კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ თანამედროვე ადამიანის მიერ წარმოებული სახელდების პროცესის სპეციფიკურობათა გამოვლინება. შესატყვისად ცდის მასალა და ცდის ორგანიზაციაც ისეთი უნდა იყოს, რომ სახელმდებელი ბუნებრივი სახელდებისათვის სპეციფიკურ პირობებში ჩადგეს, მაქსიმალურად იყოს მიახლოებული თანამედროვე ადამიანის სახელდებისათვის დამახასიათებელ პირობებს.

თანამედროვე ადამიანი რომ ბუნებრივი სახელდების ამოცანის წინაშე დადგეს, აუცილებელია სახელსადები მასალა გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებდეს. პირველ რიგში აუცილებელია მასალა, რომლის სახელდებაც ცდისპირმა უნდა მოახდინოს, იყოს აზრიანი, გარკვეული მნიშვნელობის, გარკვეული შემეცნებითი ღირებულების მქონე. უაზრო მასალის სახელდების ამოცანის წინაშე არც პირველყოფილი ადამიანი იდგა და მითუმეტეს, არც თანამედროვე ადამიანს უხდება მისი სახელდება. სახელსადები შინაარსი ენაში სიტყვის საშუალებით არ უნდა იყოს ფიქსირებული და ეს აუცილებელია ცდისპირმაც გააცნობიეროს. სახელსადები შინაარსი არ უნდა იყოს იზოლირებული ცდისპირის ცოდნის სისტემისაგან. იგი გარკვეულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს ცდისპირისათვის ცნობილ სხვა, ექსპერიმენტში გამოუყენებელ, უკვე სახელის მქონე შინაარსებთან, ცნებებთან; სახელსადები შინაარსი განსაზღვრულ ლოგიკურ ადგილს უნდა პოულობდეს ცნებათა იმ სისტემაში, რომელიც ცოდნის სახით გააჩნია ცდისპირს, ისევე როგორც ყოველი ახალი სიტყვის

---

[1] Г. Пауль. Принципы истории языка, М., 1960 г., стр. 214.

[2] დ. უზნაძე, სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები, დ. უზნაძე, შრომები, ტ. 1, 1956 წ., გვ. 3—4.

მნიშვნელობა თავის ადგილს პოულობს სიტყვათა მნიშვნელობების სისტემაში, რაზედაც მიუთითებს წარმოებული სიტყვების ანალიზი.

ბუნებრივ პირობებში ადამიანს უხდება მრავალფეროვანი, როგორც ზოგადობის, ასევე თვალსაჩინოების ხარისხით, განსხვავებული შინაარსების სახელდება. სახელსადები შინაარსების მრავალფეროვნობა შესაძლებლობას მოგვცემს გავარკვიოთ მიღებული შედეგების ზოგადობის ხარისხი.

ბუნებრივი სახელდების პროცესში სახელმდებელი სახელსადებისათვის სახელს თვითონ ადგენს, თვითონ ქმნის. სახელდების ექსპერიმენტებში სახელდების ბუნებრივი პროცესის ეს სპეციფიკაც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რადგანაც ამ მხრივ რაიმე შეზღუდვამ შესაძლოა ცდისპირის აქტივობა სახელდებისათვის არასპეციფიკური მიმართულებით წარმართოს. გარდა ამისა, ეს შესაძლებელს გახდის ცდისპირთა მიერ ექსპერიმენტულ პირობებში „სიტყვაწარმოების" გზები შეეუდაროთ ენათმეცნიერებაში ცნობილ სიტყვაწარმოების წესებს და ამ გზით გავარკვიოთ, რამდენად ბუნებრივი სახელდების ამოცანის წინ იდგა ცდისპირი, და მაშასადამე, რამდენად გამართლებულია, მიღებული შედეგები ბუნებრივი სახელდების პროცესზეც გავავრცელოთ.

ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით, ჩვენ მიერ შედგენილი მეთოდის ახალი ვარიანტით ჩატარებულ ექსპერიმენტებში სახელსადებად გამოყენებულ იქნა 23 შინაარსი, მათ შორის 2 უაზრო, რომლებიც კოლერის ფიგურების სახელწოდებით არის ცნობილი. სახელსადებად შეძლებისდაგვარად შეირჩა მრავალფეროვანი მასალა, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა თვალსაჩინოებისა და ზოგადობის ხარისხით და სხვ.

ა. მოქმედების გამომხატველი ცნების სახელდება

ს ა ხ ე ლ ს ა დ ე ბ ი №1. ცდისპირს ვაწვდით ფურცელს, რომელზეც შუა ადგილზე ერთმანეთისაგან 2—3 სმ-ით დაშორებით წერია ორი სიტყვა — ехать და идти. იმავე დროს მიემართავთ შემდეგი სიტყვებით: „ზოგიერთ ენაში ფეხით მგზავრების აღსანიშნავად ხმარობენ ერთ სახელს, ხოლო რაიმე სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობის აღსანიშნავად კი სხვა სახელს. ასე მაგალითად: რუსულ ენაში ტრანსპორტით მგზავრობის შემთხვევაში იხმარება

ехать, ხოლო ფეხით მგზავრობის აღსანიშნავად идти. ამ ორი სახის მგზავრობას გერმანული ენაც ასხვავებს: fahren და gehen. არსებობს აზრი, რომ საჭიროველია, ქართულ ენაშიც მგზავრობის ეს ორი სახე სხვადასხვა სახელით აღინიშნოს. თქვენთვის რომ დაევალებინათ გამოგენახათ შესაფერისი სახელი იმ მნიშვნელობისათვის, რომელსაც რუსული სიტყვა ехать გამოხატავს, თქვენ რა სახელს უწოდებდით?"

ს ა ხ ე ლ ს ა ძ ე ბ ი № 2. ც. პ-ს ვაწვდით ფურცელს, რომელზეც 2 — 3 სმ-ის დაშორებით წერია essen და fressen. ამავე დროს მივმართავთ: „ქართულ ენაში სიტყვა „ჭ ა მ ა" იხმარება როგორც ადამიანის, ისე ცხოველის მიერ ჭამის პროცესის აღსანიშნავად. ზოგიერთ ენაში კი ასხვავებენ ერთმანეთისაგან ჭამის ამ ორ სახეს და სხვადასხვა სახელებით აღნიშნავენ. მაგალითად, გერმანულ ენაში ცხოველების ჭამის აღსანიშნავად იხმარება fressen, ხოლო ადამიანის ჭამის აღსანიშნავად essen. კარგი იქნებოდა ქართული ენაც ასხვავებდეს ჭამის ამ ორ სახეს ერთმანეთისაგან. თქვენთვის რომ დაევალებინათ გამოგენახათ სახელი ცხოველის ჭამისათვის, თქვენ რა სახელს უწოდებდით?"

ბ. თვალსაჩინოებას მოკლებული ვერბალური მასალის სახელდება

ს ა ხ ე ლ ს ა ძ ე ბ ი № 3. ც. პ-ს მივმართავთ სიტყვებით: „ყოველ ენაში, მათ შორის ქართულშიც, არის ნასესხები სიტყვების ისეთი ჯგუფი, რომელთა შესატყვისი სიტყვებიც ამ ენას (მაგალითად ქართულს) გააჩნია. მაგრამ ამის მიუხედავად, იხმარება ეს უცხო სიტყვებიც და მათი შესატყვისი ტერმინებიც." ამის შემდეგ ვაძლევთ ფურცელს, რომელზეც ჩამოწერილია შემდეგი სიტყვები:

„ქვალიტეტი — თვისობრიობა
ქვანტიტეტი — რიცხობრიობა
სიგნიფიკაცია — აღმნიშვნელობა
კომუნიკაცია — ურთიერთობა
ადეკვატური — შესატყვისი
აბიოგენეზისი — თვითჩასახვა
იდენტური — იგივეობრივი
იდენტიფიკაცია — გაიგივება და სხვა.

საჭიროა ეს თავისებური ნასესხები სიტყვები ერთ ჯგუფში გავაერთიანოთ და სახელი ვუწოდოთ. თქვენთვის რომ დაევალებინათ, სიტყვათა ამ ჯგუფს რას უწოდებდით?"

ს ა ხ ე ლ ს ა დ ე ბ ი № 4. ც. პ-ს მივმართავთ სიტყვებით: „არსებობს ნასესხები სიტყვების თავისებური ჯგუფი, რომელთა თავისებურებაც იმაში მდგომარეობს, რომ იხმარება არა იმ მნიშვნელობით, რასაც ეს სიტყვები სიტყვა-სიტყვით გამოხატავენ იმ ენაში, რომლიდანაც ისინი ვისესხეთ, მაგალითად: (ვაძლევთ სიტყვების სიას).

გეშტალტი — (გერმ.) ფორმა
პიონერი — (ინგლ.) მზვერავი, მკვლევარი
დიპლომი — (ფრანგ.) ორად მოკეცილი ქაღალდი
დეკანი — (ლათ.) ათისთავი (სამღვდელო პირი)
აზოტი — (ბერძნ.) არაცოცხალი
აზარტი — (ბერძნ.) შემთხვევა, რისკი
ალიმენტი — (ლათ.) კვება, საჭმელი
ანეკდოტი — (ბერძნ.) გამოუცემელი და სხვა.

საჭიროა ნასესხები სიტყვების ეს თავისებური ჯგუფი გამოვყოთ სხვა ნასესხები სიტყვებისაგან, რომლებიც იმავე მნიშვნელობით იხმარება, რა მნიშვნელობაც ამ სიტყვებს მათ მშობლიურ ენაში აქვთ. თქვენ რას უწოდებდით სახელად სიტყვების ამ ჯგუფს?"

ს ა ხ ე ლ ს ა დ ე ბ ი № 5. „ყოველ ენაში მრავლად გვხვდება შედგენილი სიტყვები, მაგრამ არის შედგენილი სიტყვების ისეთი ჯგუფი, რომელთა მნიშვნელობა შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს უდრის, მაგალითად: ქართულ ენაში და-ძმა, ცოლ-ქმარი, ქართულ-კახეთი, იმერ-ამიერი და სხვა. საყურადღებოა, რომ თუ ასეთი შედგენილი სიტყვების შემადგენელ ნაწილებს ადგილებს შევუცვლით, სიტყვის მნიშვნელობა არ იცვლება. მაგრამ არის შედგენილი სიტყვების მეორე თავისებური ჯგუფი, რომელთა მნიშვნელობაც არ წარმოადგენს შემადგენელ სიტყვათა ჯამს. ასეთი შედგენილი სიტყვის მნიშვნელობა საგნის თვისებაზე მიუთითებს და შემადგენელი ნაწილების ადგილის გადანაცვლებით არსებითად განსხვავებულ მნიშვნელობას ღებულობს. ასე მაგალითად:

ენაგრძელი — გრძელი ენა
ალვირახსნილი — ახსნილი ალვირი

თავქარიანი — ქარიანი თავი
ქუდმოგლეჯილი — მოგლეჯილი ქუდი
და სხვა.

თქვენთვის რომ დაევალებინათ, შედგენილი სიტყვების ამ უკანასკნელ ჯგუფს რა სახელს დაარქმევდით?"

ს ა ხ ე ლ ს ა დ ე ბ ი № 6. „ყოველ ენაში არის სიტყვების თავისებური ჯგუფი, რომლებიც ერთი-და იგივე მოვლენას აღნიშნავენ, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სუბიექტური მომენტებით, რომლებიც გამოხატავენ მოლაპარაკის დამოკიდებულებას ამ სიტყვით აღნიშნული საგნისადმი". ამის შემდეგ ცდისპირს ეძლევა ფურცელი, რომელზეც დაწერილია შემდეგი სიტყვები:

1. მობრძანდა, მოვიდა, მოჩანჩალდა, მოეთრა.

2. გარდაიცვალა, მოკვდა, თქვენი ჭირი წაიღო, ჩაძაღლდა და სხვ.

„რას უწოდებდით თქვენ სიტყვათა ასეთ თავისებურ ჯგუფს, რომლებიც სინამდვილის ერთი და იგივე ფაქტს აღნიშნავენ, მაგრამ განსხვავდებიან სუბიექტური კომპონენტებით, რომელნიც ამ სიტყვათა მნიშვნელობების ნაწილს შეადგენს?"

ბ) უახლოესი გვაროვნული ცნების სახელდება

ს ა ხ ე ლ ს ა დ ე ბ ი № 7. „ქართულ ენაში გვაქვს სიტყვა ძროხა; აგრეთვე სიტყვა ხარი. ძროხა და ხარი ერთი სახეობის წარმომადგენელი ცხოველებია, მათ შორის სხვაობა მხოლოდ სქესშია. ამის მიუხედავად, გვარეობის გამომხატველი სიტყვა, რომელიც გააერთიანებს ძროხასაც და ხარსაც არა გვაქვს. განსხვავებული მდგომარეობაა სხვა ცხოველების მიმართ, მაგალითად: კ ა მ ე ჩ ი — გვარეობის აღმნიშვნელი სიტყვაა; როდესაც სურთ მამრობითი სქესის კამეჩზე მიუთითონ, ამბობენ ხ ა რ კ ა მ ე ჩ ი, დედრობითი სქესის შემთხვევაში კი ფ უ რ კ ა მ ე ჩ ი. ასევე სხვა ცხოველების მიმართაც. ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რამდენად საჭიროა ძროხისა და ხარის გვაროვნული ცნების აღმნიშვნელი სახელი. თქვენთვის რომ დაევალებინათ რა სახელს უწოდებდით?"[1]

---

[1] ეს ცნება სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია სახელწოდებით—ზროხა. იხ. აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანი — სიტყვის კონა, 1949 წ.

დ) გვაროვნული ცნების სახელდება

ს ა ხ ე ლ ს ა დ ე ბ ი № 8. ც. პ-ს ეძლევა ექიდნა და იხვნისკარტას სურათები წარწერით. „ეს ცხოველები ქმნიან ცხოველთა თავისებურ ჯგუფს. მათ აქვთ როგორც ცხოველების, ისე ფრინველების ნიშნები. ფრინველებს ემსგავსებიან იმით, რომ კვერცხებს დებენ, ხოლო ძუძუმწოვარებს იმით, რომ ძუძუს წოვენ. ერთი სიტყვით, ესენი არიან კვერცხის მდებელი ძუძუმწოვარა ცხოველები. თქვენთვის ნათელია, რომ საჭიროა ცხოველთა ეს თავისებური ჯგუფი გამოვყოთ ცხოველთა სხვა ჯგუფებისაგან და სახელი ვუწოდოთ. რას უწოდებდით თქვენ?“

ს ა ხ ე ლ ს ა დ ე ბ ი №9 ც.პ.-ს ეძლევა ვეშაპის, სელაპის და დელფინის სურათები წარწერებით. იმავე დროს ვეუბნებით: „ამ სურათებზე გამოხატული ცხოველები და აგრეთვე ზოგიერთი სხვაც ქმნიან ცხოველთა თავისებურ ჯგუფს. მათ აქვთ ნიშნები როგორც თევზების (წყალში ცხოვრობენ), ისე ხმელეთზე მცხოვრები ცხოველების (სუნთქავენ ფილტვებით და ძუძუმწოვარნი არიან). ერთი სიტყვით, ე ს ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი წ ყ ა ლ ში მ ც ხ ო ვ რ ე ბ ი, ფ ი ლ ტ ვ ე ბ ი თ მ ს უ ნ თ ქ ა ვ ი ძ უ ძ უ მ წ ო ვ ა რ ა ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი ა. თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს ნ ა თ ე ლ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს რამდენად საჭიროა ცხოველების ეს თავისებური ჯგუფი ერთი საერთო სახელით აღინიშნოს. თქვენ რას უწოდებდით?“ [1]

ს ა ხ ე ლ ს ა დ ე ბ ი № 10. ც. პ.-ს ეძლევა ცხენის, ვირის, აქლემის, სპილოს და სხვა სურათები. იმავე დროს მივმართავთ სიტყვებით: „ეს ცხოველები სხვა ცხოველებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ ადამიანი სამოგზაუროდ იყენებს, უშუალოდაც—ზედ ჯდება. მოგზაურობის სხვა საშუალებებისაგან კი იმით განსხვავდებიან, რომ ცოცხალი არსებანი არიან. თქვენთვის რომ დაეკალებინათ მოგზაურობის ამ საშუალებათა თავისებური ჯგუფისათვის გეწოდებინათ სახელი, რას უწოდებდით?“

ს ა ხ ე ლ ს ა დ ე ბ ი № 11. ც. პ.-ს ეძლევა სურათები: იალქნიანი ნავი, პარაშუტი, ტივი, იალქნიანი ავტომობილი და სხვა. ამავე დროს მივმართავთ: „ამ სურათებზე გამოხატული საგნები და სხვა მრავალი მსგავსიც ადამიანის მიერ გამოიყენება როგორც გადაადგილების სა-

---

[1] სახელსადები № 9, 11 და 12 აღებული გვაქვს რ. ნათაძის ცნების შემუშავების მეთოდიდან.

შუალება, მაგრამ ტრანსპორტის სხვა სახეობებისაგან იმით განსხვავდება, რომ ბუნების ძალებით მოძრაობენ. ესენი ბუნების ძალებით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებანი არიან. თქვენთვის რომ დაეკალებინა ტრანსპორტის ამ სახისათვის სახელი გეწოდებინათ, რას დაარქმევდით?"

სახელსადები № 12. ც. პ-ს ვაძლევთ სურათებს: ნავი, ურემი, ეტლი, მარხილი, ველოსიპედი და მივმართავთ: „ყველა ამ სურათზე გამოხატული სატრანსპორტო საშუალებებისათვის სპეციფიკურია ის, რომ მოძრაობენ ადამიანის ან ცხოველის ძალით, ე. ი. არიან ცოცხალი ძალით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები. თქვენთვის რომ ეთხოვათ სახელი უწოდოთ ტრანსპორტის ამ სპეციფიკურ ჯგუფს, რას დარქმევდით?"

ე) მრავალსიტყვიანი სახელების მქონე მოვლენათა სახელდება

სახელსადები № 13. „ენაში ხშირად გვხვდება მრავალსიტყვიანი სახელები ერთი მოვლენის აღსანიშნავად. მაგალითად—„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კაბინეტი" (ამავე დროს ც. პ-ს ფურცელზე დაწერილი იგივე სიტყვები ეძლევა). როგორც ხედავთ, ამ 5 სიტყვით აღნიშნულია ერთი საგანი. ყოველდღიურ სიტყვახმარებაში ასეთი მრავალსიტყვიანი სახელების ხმარება უხერხულობას ქმნის და მათი ერთი სახელით აღნიშვნის საჭიროება დგება. თქვენ, მაგალითად, რა სახელს უწოდებდით „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კაბინეტს?"

სახელსადები № 14. იმავე წესით ეძლევა ც. პ-ს სახელსადებად „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ლაბორატორია".

სახელსადები № 15. ც. პ-ს იმავე წესით ეძლევა სახელსადებად „სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება".

სახელსადები № 16. ც. პ-ს იმავე წესით ეძლევა „სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი".

ვ) თვალსაჩინოდ მოცემული საგნის სახელდება

სახელსადები № 17; „სიტყვა კალმისტარი, ანდა კალამი, როგორც ზოგიერთი ხმარობს. სემანტიკურად არ გამოხატავს იმას, რის აღსანიშნავადაც ხმარობენ. სახელი „კალამი" ეწოდება ამ საგნის

ერთ ნაწილს, რომელსაც რუსულ ენაში перо-ს უწოდებენ. ასევე კალმისტარიც აღნიშნავს კალმის ტარს და არა მთლიანად კალამსაც და კალმისტარსაც. ერთი სიტყვით, ამ საგნის აღმნიშვნელი სახელი არა გვაქვს. თქვენთვის რომ დაევალებინათ, თქვენ რა სახელს უწოდებდით?"

ზ) მხატვრული სურათების სახელდება

სახელსადები № 18. ც. პ-ს ეძლევა ცნობილი რუსი მხატვრის ვ. დ. პოლენოვის სურათის „Пруд в Амбарцово", 22, 5 სმ X X 31,5 სმ ფორმატის ფერადი რეპროდუქცია. ც. პ -სათვის უცნობია როგორც სურათის ავტორი, ისე სახელწოდება. ინსტრუქცია მოუთითებს: „კარგად დააკვირდით მოცემულ სურათს, შეეცადეთ გაიგოთ მისი შინაარსი და უწოდეთ სახელი, ამასთან, შეეცადეთ, რომ სახელი სურათის არა რომელიმე ნაწილს გამოხატავდეს მხოლოდ, არამედ მთელ შინაარსს."

სახელსადები № 19. ც. პ-ს ეძლევა შექსპირის ტრაგედიის „მაკბეტის" ილუსტრაციის რეპროდუქცია აქრომატულ ფერებში. ც. პ-სათვის უცნობია სურათის ავტორი (ს. ქობულაძე) და ისიც, თუ რის ილუსტრაციაა. ინსტრუქცია იგივეა, რაც წინა შემთხვევაში.

სახელსადები № 20. ც. პ-ს ეძლევა ფერადი სურათი ფორმატით 7 სმ × 14 სმ. სურათის ცენტრში, შედარებით უკანა პლანზე გამოხატულია მრგვალი კოშკის ნანგრევი. კოშკის ორივე მხარეს სურათის ნაპირებზე გადაჭიმულია ხშირი ბუჩქნარი და ხეები, რომლებიც შიგადაშიგ სხვადასხვა ფერის ყვავილებით არის დაფარული. ბუჩქნარის წინ მწვანე მდელოა, რომელიც კოშკის მიმართულებით თანდათან ვიწროვდება და კოშკთან მხოლოდ ვიწრო მოლად აღწევს. კოშკისა და ხეების უკან თითქმის სურათის ნახევარი უკავია ცას. იგი ჰორიზონტთან ღია ნარინჯისფერია, თანდათანობით ემატება სიყვითლე, გადადის ყვითელ ფერში და ზენიტზე უკვე ალაგ-ალაგ მუქი ცისფერი ლაქებიც მოჩანს, სურათი შესრულებულია თბილ ფერებში, მიმზიდველია და იგრძნობა ერთგვარი შინაგანი სითბო. ინსტრუქცია იგივეა.

სახელსადები № 21. ც. პ-ს ეძლევა 8,5×13 სმ ფორმატის ფერადი სურათი, სურათის მარჯვენა ნაპირის შუა ადგილიდან იწყება ხევი და მიდის სურათის მარცხენა მხარის ქვედა კუთხემდე, ხევის ძირი არ ჩანს, მოჩანს მხოლოდ ფერდობები. ხევის აქეთა მხარე,

ე. ი. სურათის წინა ხედი, წარმოადგენს ოდნავ დაქანებულ ფერდობს, რომელიც ნაშალი კლდის ნამსხვრევების სქელი ფენით არის მოფენილი. აქა-იქ მოჩანს საშუალო ზომის ლოდებიც. ფერდობზე ხევის ნაპირას დგას ერთსართულიანი ქვის სახლი, საკმაოდ მკვრივად ნაგები. სახლის კარები მთლიანად ღიაა.

კარების ზევით, სახურავთან, მოჩანს მოგრძო ფანჯარა, რომლის ზედა ნაწილი თითქმის სახურავის წვერს ებჯინება. სახურავი ორი მხრიდან დაფარულია კრამიტის მსგავსი რაღაც უხეში მასალით, რომელიც კლდის თხელ ნამსხვრევებს ჰგავს და, საერთოდ, არც თუ ცუდად ნაგებ სახლს, რაღაც საცოდავ ელფერს აძლევს—ქოხს ამსგავსებს. სახურავის მარჯვენა ფერდობის თითქმის შუა ადგილზე ადის საკმაოდ მაღალი თუნუქის საკვამლე მილი. სახლის წინ მცირე სიდიდის ნაკვეთი ნაშალი ქანებისაგან გასუფთავებული და მოსწორებულია. ეს გასუფთავებული ადგილი სურათის საერთო ფონზე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ეს სახლი უკაცური არ უნდა იყოს. ნაშალი ქანის ნამსხვრევები და ქოხი შესრულებულია ყვითელ, ღია ლურჯ, ღია მწვანე და ალაგ-ალაგ ნარინჯისფერებში. სურათის ეს წინა პლანი მიმზიდველობას არ არის მოკლებული, იგრძნობა ერთგვარი სითბო.

სურათის უკანა პლანი, ე. ი. ხევის მეორე ნაპირი, წარმოადგენს მუქ გრანიტოვან ქედს, რომელიც ალაგ-ალაგ თოვლით არის დაფარული და მკაცრ შთაბეჭდილებას ტოვებს. ქედი დაღარულია, მაგრამ მაინც იგრძნობა შეუვალი სიმტკიცე. იგი წინა პლანზე გამოხატულ ნაშალ ქანებთან თავისი შეუვალობით ერთგვარ კონტრასტს ქმნის. ამ ორ ზემოთ მოჩანს ერთფეროვანი ცისფერი ცა. სურათის საერთო შთაბეჭდილება, მიუხედავად ერთგვარი სიმკაცრისა, უსიამოვნო არ არის. ინსტრუქცია ცდისპირს ეძლეოდა ისეთივე, როგორც სახელსადები № 18-ის შემთხვევაში.

ს ა ხ ე ლ ს ა დ ე ბ ი № 22 და 23 წარმოადგენდა უაზრო ნახაზებს, რომლებიც კოლერის ფიგურების სახელწოდებით არის ცნობილი. (იხ. ფიგ. № 1 და № 2).

ინსტრუქცია ორივე შემთხვევაში იყო: „დააკვირდით კარგად და სახელი უწოდეთ."

ცდები ტარდებოდა 2 ეტაპად. ცდების პირველ ეტაპზე (სპონტანური სახელდების ეტაპი) ცდისპირს ეძლეოდა მხოლოდ სახელსადები შინაარსი და ევალებოდა სახელი შინაარსისათვის თვითონ მას შეედგინა. ცდების მეორე ეტაპზე (უაზრო ბგერათა კომპლექსები-

დან სახელის შერჩევის ეტაპი) ცდისპირს ეძლეოდა 10 უაზრო ბგერათა კომპლექსისაგან შედგენილი სია და ინსტრუქცია: „ეს ბგერათა კომპლექსები გამოიყენეთ, როგორც ბგერითი მასალა და შეეცადეთ შეარჩიოთ სახელი, რომელიც თქვენის აზრით შეიძლება ეწოდოს სახელსადებ შინაარსს. თქვენ ვალდებული არა ხართ სახელი აუცი-



ფიგურა № 1



ფიგურა № 2

ლებლად ამ სიიდან ამოარჩიოთ. თუ საჭიროდ მიიჩნევთ შეგვიძლია მოგაწოდოთ სხვა სიებიც. ამის გარდა, თქვენ უფლება გაქვთ ამ ბგერათა კომპლექსების მიმართ აწარმოოთ ყოველგვარი ოპერაცია, ოღონდაც შეარჩიოთ სახელი, რომელიც თქვენის აზრით სახელსადები შინაარსის სახელად გამოდგება.“

ცდებში სულ გამოყენებული იყო 60 უაზრო ბგერათა კომპლექსი, რომელთა შედგენის დროს შეგნებულად არ იყო დაცული ერთგვაროვნობის პრინციპი: იყო 2, 3, 4 და 5 მარცვლიანი ბგერათა კომპლექსებიც. 60 ბგერათა კომპლექსიდან 30 იყო ძირითადი, ხოლო 30 სათადარიგო. 10—10 ბგერათა კომპლექსი ჩამოწერილი იყო 6 ფურცელზე. სახელსადები შინაარსები დაიყო 3 ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიოდა № 1, 2, 3, 4, 5, 6, 13, 14, 15 და 16 სახელსადები შინაარსები. მეორე ჯგუფში — № 7, 8, 9, 10, 11, 12, და 17. მესამეში — № 18, 19, 20, 21, 22 და 23. სახელსადები შინაარსების თითოეულ ჯგუფს ჰქონდა უაზრო ბგერათა კომპლექსების ერთი ძირითადი სია და ერთიც — სათადარიგო. სათადარიგო სია გამოიყენებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცდისპირს არ აკმაყოფილებდა ძირითადი სია.

ცდების პირველი და მეორე ეტაპი ტარდებოდა ერთიმეორის მიყოლებით — ერთ სახელსადებ შინაარსზე ჯერ ცდების პირველი ეტაპი და შემდეგ მეორე. მომდევნო ცდაში (მეორე სახელსადები შინაარსი) იმავე ცდისპირზე ცდების მხოლოდ მეორე ეტაპი ტარდებოდა და ა. შ ამასთან ერთად ხდებოდა სახელსადები შინაარსების შენაცვლება. მაგალითად, ერთ ცდისპირზე სახელსადები შინა-

არსი № 1-ის შემთხვევაში, ცდების ორივე ეტაპი ჩატარდა, მეორე ცდისპირზე ტარდებოდა მხოლოდ ცდების მეორე ეტაპი, ხოლო ცდების ორივე ეტაპი—იმ სახელსადების შემთხვევაში, რომელზეც პირველ ცდისპირზე ცდების მხოლოდ მეორე ეტაპი ჩატარდა. ექსპერიმენტებში სახელსადები მასალის რაიმე თანამიმდევრობა არა ყოფილა დაცული, ცდები ხან ერთი მასალით იწყებოდა და ხან მეორეთი.

ცდის დაწყებამდე ცდისპირს ვთხოვდით, რომ თუ მოახერხებდა, ცდის პროცესში მოეწოდებინა ჩვენთვის ცნობები თავისი თვითდაკვირვების შესახებ, ხოლო თუ ცდის პროცესში ვერ მოახერხებდა „ხმამაღლა აზროვნებას", მაშინ ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ ანგარიში მოეცა თვითდაკვირვების შესახებ.

სამ ცდისპირზე ჩატარდა დამატებითი ცდები: ცდისპირს ერთიორი სახელდების ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ ვაძლევდით უაზრო ბგერათა კომპლექსების სიას და ვთხოვდით, დაესახელებინა შინაარსები, რომელთა სახელადაც შეიძლება გამომდგარიყო ეს კომპლექსები.

19 ცდისპირზე ჩატარდა სულ 402 ცდა. აქედან 148 იყო პირველი ეტაპი, ხოლო 254—მეორე ეტაპი. ცდისპირები იყვნენ კვალიფიცირებული მეცნიერმუშაკები. ძმოავრესად ფსიქოლოგები და უფროსი კურსის სტუდენტები 23-დან 47 წლის ასაკამდე.

ცდის მასალების ანალიზის შედეგად გამოვლინდა სახელდების პროცესისათვის სპეციფიკურ თავისებურებათა რიგი, რომელთა შორისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

ცდის პირობების ერთგვაროვნობის მიუხედავად, ერთი და იგივე სახელსადები შინაარსი, სხვადასხვა ცდისპირის ცნობიერებაში სხვადასხვაგვარი სტრუქტურით არის წარმოდგენილი. ეს სხვადასხვაობა ძირითადად ვლინდება ამ შინაარსის ცნობიერებაში წარმოდგენილი ცენტრირებული ნიშნის სხვადასხვაობაში. ცენტრირებულ ნიშნად არ გვეელინება ყოველთვის სახელსადების არსებითი ნიშანი, ხშირად ასეთად სახელსადები შინაარსის მეორეხარისხოვანი ნიშანი ფიგურირებს, ანდა სახელსადებით გამოწვეული სუბიექტური მდგომარეობა. ამის მიუხედავად, გამოირკვა, რომ შერჩეული სახელის რაგვარობა მნიშვნელოვანი ხარისხით არის განპირობებული ცნობიერებაში წარმოდგენილი სახელსადები შინაარსის ცენტრირებული ნიშნით, განპირობებულია სახელსადები შინაარსის ცდისპირის ცნობიერებაში რეპრეზენტირებული სტრუქტურით.

ცდის მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სახელდების ამოცანის გადაწყვეტა რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რომელთა დაძლევასაც ცდისპირები ცდების I ეტაპზე უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებენ. ასე მაგალითად, ცდების 73,9% შემთხვევაში ცდისპირებმა თავი ვერ გაართვეს ამოცანას, ცდების 9,3% შემთხვევაში ცდისპირებმა მოახერხეს სახელის მონახვა, მაგრამ შედეგით უკმაყოფილონი იყვნენ და მონახულ სახელს ტოვებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ უკეთესს ვერ ნახულობდნენ. ცდების მხოლოდ 16,8% შეადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც ცდისპირები ამოცანას წყვეტდნენ და არ მიუთითებდნენ შერჩეული სახელით უკმარობაზე.

სახელდების ამოცანის გადაწყვეტის სიძნელე საერთოდ სახელდებისათვის არის დამახასიათებელი და არ არის გამოწვეული ჩვენი ექსპერიმენტების სპეციფიკით. ამასთან დაკავშირებით დ. უზნაძე მიუთითებდა: „პირველი მიზეზი ამისა, ჩემის აზრით, საერთოდ ახალი სიტყვების გამოგონების ობიექტური სიძნელე უნდა იყოს. ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილია, თუ რა ძნელია ახალი ცნებისათვის შესაფერისი სახელის ან ახალი ტერმინის გამოძებნა, რომ ახალი შინაარსი ძველისაგან ნათლად გაიმიჯნოს. ეს იმიტომ არის ძნელი, რომ: ჯერ ერთი, იმ წამსვე გაცოცხლდება დიდძალი ლექსიკური მასალა, რომელიც ჩვენ მზადა გვაქვს, და აფერხებს სათანადო ცენტრს, მეორე — ლექსიკურ ახალქმნადობაზე — ზოგ შემთხვევაში მეტს, ზოგში ნაკლებ გავლენას ახდენს ყოველდღიური სიტყვათა მარაგი: ზოგჯერ ახალი სიტყვა, რომელიც ჩვეული სიტყვების ელემენტებს შეიცავს, დამახინჯებული ჩვეულებრივი სიტყვის შთაბეჭდილებას ქმნის და ამიტომ სასაცილოც კია. ამას გარდა, როგორც ჩვენ სხვა ადგილას დავასაბუთეთ (გულისხმობს თავის გამოკვლევას „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები", ა. ბ.), სახელდებაში ერთი ობიექტური ფაქტორი თამაშობს როლს, რომელიც სრულიად შეუძლებელსყოფს ამა თუ იმ ბგერათა კომპლექსის დაკავშირებას შემთხვევით აღებულს მნიშვნელობასთან: ჩვენ ვგრძნობთ ამ კავშირის არსებითს ხასიათს და ვიცით, რომ გარკვეულ შინაარსს რაგინდარა ბგერათა კომპლექსით ვერ გამოხატავ, ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მიერ ახლად შექმნილი ბგერათა კომპლექსები ძველი სიტყვების იმ ელემენტების გამო, რაც მათში აუცილებლად არის, მათ შესაფერის წარმოდგენებს იწვევენ ჩვენში და ამიტომ ახალი შინაარსების აღსანიშნავად ნაკლებად გამოსადეგნი არიან. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, სადაც ახალი კომპლექსები—სუბიექტურად მაინც —

სრულიად ორიგინალურად არის შექმნილი, ძნელია ხოლმე მათი სავსებით მიღება, რადგან ამ შემთხვევაში არ არის საკმარისი, რომ ისინი მთლად ახალის შთაბეჭდილებას ახდენდნენ მხოლოდ, არამედ საჭიროა რომ არსებითადაც შეეფერებოდნენ გამოსახატავ შინაარსებს".[1] როგორც ჩვენი ცდების მასალების ანალიზი გვიჩვენებს სახელდების ამოცანის გადაწყვეტის სიძნელეები მხოლოდ აღნიშნულით არ ამოიწურება. აღმოჩნდა, რომ სახელდების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობები არსებობდეს. ერთ-ერთი ასეთი წინაპირობაა, რომ აზრით დაკავშირებული და გაერთიანებული სახელსადები შინაარსი აუცილებლად განცდაშიც ერთ მთლიანობაში იყოს წარმოდგენილი. ცდის მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცდისპირებს სახელსადები შინაარსი ხშირად ძალიან კარგად ჰქონდათ გაგებული, მაგრამ ვერ აბერხებდნენ სახელსადები შინაარსის სხვადასხვა მომენტის „კომბინირებას", ერთ მთლიანობაში განცდას. ცდისპირების ცნობიერებაში სახელსადებ შინაარსში შემავალი ყოველი წევრი აზრით გაერთიანებული, მთლიანი იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად ხშირად მათ ერთ მთლიანობაში განცდას ვერ ახერხებდნენ. როგორც ჩანს, აზრით ერთიანობას ყოველთვის არ ახლავს თან შინაარსის განცდის ერთიანობა, მთლიანობა; ცნების გაგება და ამ ცნებაში შემავალი სახეობების ერთ მთლიანობაში განცდა, ცნების ცოდნა და მისი განცდა ერთი და იგივე არ უნდა იყოს. შეიძლება გვქონდეს ცოდნა ცნებაში შემავალი წევრების ერთიანობის, დაკავშირების შესახებ, მაგრამ არ გვქონდეს ამ ერთიანობის, დაკავშირებულობის განცდაში მოცემულობა.

სახელსადები შინაარსის ერთ მთლიანობაში განცდის გარეშე ცდისპირები ვერ ახერხებენ შექმნან სახელი, რომელიც მთლიანად სახელსადები შინაარსის სახელად გამოდგება, ამიტომ გარკვეულ ფარგლებში სახელდების ამოცანის სიძნელე ამ წინაპირობის არსებობაზედაც არის დამოკიდებული.

მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სახელდების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია ცდისპირმა სახელსადებ შინაარსს თავისი ცოდნის სისტემაში შესაფერისი ადგილი მოუძებ-

---

[1] დ. უზნაძე, ცნებათა შემუშავება სკოლის წინარე ასაკში, დ. უზნაძე, შრომები, ტ. I, 1956, გვ. 116—117.

ნოს, მისთვის უკვე ნაცნობ და სახელდებულ შინაარსებთან გარკვეული მიმართება დაამყაროს. ეს სახელდების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის მეორე წინაპირობაა.

ჩვენი ცოდნა სინამდვილეზე წარმოადგენს არა ერთმანეთისაგან იზოლირებული ცნებების თავყრას, არამედ ცნებათა სისტემას, რომელშიაც ყოველი ცნება სხვა დანარჩენებთან ორგანულად არის დაკავშირებული, ყოველი ცნება ამ ურთიერთკავშირით არის განსაზღვრული. ცოდნის ეს სისტემატური ხასიათი სინამდვილის სისტემურობით არის განპირობებული. სიტყვა ცნების მატერიალური დასაყრდენია, მისი ობიექტივაციის საშუალებაა, მაგრამ, რამდენადაც ცნება გარკვეულობას სხვა ცნებებთან მიმართებაში ღებულობს, ამდენად სიტყვის საშუალებით ხდება რა ცნების ობიექტივაცია, ამავე დროს ხდება ამ ცნების სხვა ცნებებთან კავშირის, მიმართებების ობიექტივაციაც.

ცდების მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნაწილობრივ მაინც სახელსადები შინაარსის სხვა შინაარსებთან მიმართების დადგენა, სხვა ცნებებთან მსგავსება-განსხვავების გარკვევა სახელის ძიების პროცესში ხდება. სახელსადები შინაარსი, მისი სხვა უკვე სახელდებულ შინაარსებთან მსგავსება-განსხვავების დადგენის შედეგად, ცდისპირის ცოდნის სისტემაში თავის შესატყვის ადგილს, „ლოგიკურ ადგილს" პოულობს. როგორც ჩანს, სახელდების შემეცნებითი ღირებულება მხოლოდ იმით არ ამოიწურება, რომ უკვე შემეცნებულ შინაარსს მატერიალური დასაყრდენი ეძლევა და ამით მისი ობიექტივაციის და სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობა იქმნება. არამედ თვით სახელის ძიების პროცესსაც სახელსადები შინაარსის შემეცნებაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ სახელის ძიების პროცესი შემეცნების პროცესის გაგრძელებას წარმოადგენს.

ცდისპირები სახელსადები შინაარსის სახელად ზოგჯერ ცდილობდნენ ენაში არსებული სიტყვების გამოყენებას, მაგრამ, როგორც წესი, ახალ სახელებს ქმნიდნენ. ცდისპირები მრავალნაირ გზას მიმართავდნენ ახალი სახელების შესაქმნელად. სიტყვაწარმოების გზების სხვადასხვაობის მიუხედავად ყოველი მათგანისათვის ის არის სპეციფიკური, რომ ბგერათა კომპლექსი ცდისპირის ცნობიერებაში უეცრად აღმოცენდება. სამოტივაციო სიტყვის ძიების პროცესი, სამოტივაციო სიტყვის შერჩევა, ცნობიერების პლანში მიმდინარეობს, მაგრამ თვით ახალი სახელი, ბგერათა კომპლექსი ცნობიე-

რებაში აღმოცენდება უცებ. ზოგჯერ მთლიანი ბგერათა კომპლექსის აღმოცენებას წინ უსწრებს ცნობიერებაში ცალკეული ბგერების გაჩენა, რომლებიც შემდეგ შესაძლოა მთლიან ბგერათა კომპლექსად გაფორმდნენ, მაგრამ სანამ ცდისპირის ცნობიერებაში მთლიანი ბგერათა კომპლექსი არ აღმოცენდება მან არაფერი იცის მისი როგორობის შესახებ თვით იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ახალი სახელი ერთი რომელიმე სიტყვის საფუძველზეა წარმოებული. როგორც ჩანს, ბ გ ე რ ა თ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ი ს ქ მ ნ ა დ ო ბ ი ს, ფ ო რ მ ი რ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს კ ო ნ ტ რ ო ლ ს ა რ ე ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ა.

ცდისპირები, სახელდების ამოცანის პროცესში, ბგერათა კომპლექსებს, მათ შორის უაზროსაც, უპირატესად საკმაოდ შორსმწვდომი გარკვეულობის მქონე სახელის ფუნქციის რომელობის მქონედ განიცდიდნენ.

ცდისპირები მიუთითებდნენ, რომ მათ მიერ შერჩეული ბგერათა კომპლექსი (მათ შორის უაზროც) შეესატყვისება სახელსადები შინაარსის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, ანდა მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით განხილულ სახელსადებ შინაარსს.

ირკვევა, რომ სახელის შერჩევის პროცესში ცდისპირები თავიანთ არჩევანში არ არიან თავისუფალნი. ისინი გრძნობენ, რომ მოცემული სახელსადები შინაარსის სახელად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი არ გამოდგება. იმისათვის, რომ ცდისპირმა ბგერათა კომპლექსი სახელსადები შინაარსის სახელად შეარჩიოს, რომ სახელდება განხორციელდეს, საჭიროა მან ბგერათა კომპლექსი და სახელსადები შინაარსი ერთიმეორის შესაფერისად, ერთიმეორის შესატყვისად განიცადოს; აუცილებელია სახელმდებელი ბგერათა კომპლექსს სახელსადები შინაარსის შესატყვისი სახელის ფუნქციის რომელობის მატარებლად განიცდიდეს. აღმოჩნდა, რომ ბგერათა კომპლექსის სახელსადები შინაარსის შესატყვისად, შესაფერისად, განცდისათვის ასოციაციურ ან სემანტიკურ კავშირებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვთ: ხშირად ცდისპირები უკუაგდებდნენ მათ მიერვე შედგენილ, სახელსადებ შინაარსთან სემანტიკურ ანდა ასოციაციურ კავშირში მყოფ ბგერათა კომპლექსებს და სახელად იყენებდნენ უაზრო ბგერათა კომპლექსებს.

სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსის სხვადასხვა ნაწილი სახელსადებ შინაარსთან შესატყვისობის თვალსაზრისით თანაბარფასოვანი არ არის, ბგერათა კომპლექსი გარკვეული სტრუქტურის

მქონედ განიცდება — რამდენიმე ბგერა ცენტრირებულია, წინა პლანზეა წარმოდგენილი, დანარჩენები კი ქმნიან ფონს. შესატყვისობის განცდის თვალსაზრისით ცენტრირებულ ბგერებს ფონის შემქმნელ ბგერებთან შედარებით ერთგვარი უპირატესობა აქვთ, მაგრამ შესატყვისობის ხარისხს საბოლოო ჯამში მაინც გადაწყვეტს ბგერათა კომპლექსი, როგორც მთელი.

ერთი და იგივე სახელსადები შინაარსის პირობებში ცდისპირების მიერ სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსი თვით ერთი და იგივე ცდისპირის მიერაც კი ძირითადად ერთნაირი სახელის ფუნქციის რომელობის მატარებლად განიცდება, სხვადასხვა სახელსადები შინაარსის პირობებში კი სხვადასხვაგვარი სახელის ფუნქციის რომელობის მატარებლად. ერთი მხრივ, ერთი და იგივე სახელსადები შინაარსის პირობებში ერთი და იგივე ბგერათა კომპლექსის ინტერ-და ინტრაინდივიდუალურად კონსტანტურად განცდის, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა სახელსადები შინაარსის პირობებში ერთი და იგივე ბგერათა კომპლექსის ინტერ-და ინტრაინდივიდუალურად აკონსტანტურად განცდის ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ბგერათა კომპლექსის განცდის თავისებურება მნიშვნელოვანი ხარისხით განსაზღვრულია სახელსადები შინაარსით. სახელსადები შინაარსი, რომლის სახელდების განზრახვითაც ხდება ბგერათა კომპლექსის აღქმა, ზემოქმედებას ახდენს ამ უკანასკნელის განცდის თავისებურებაზე და თავის შესატყვისად ცვლის მას; სახელსადები შინაარსი მისთვის სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსის განცდის მიმსგავსებას, მის ასიმილირებას ახდენს. სახელსადები შინაარსის ასიმილაციური ზემოქმედება ბგერათა კომპლექსის განცდაზე გამოვლინებას ნახულობს სახელად შერჩეული უაზრო ბგერათა კომპლექსის სახელსადები შინაარსის შესატყვისი „მნიშვნელობის", „გრამატიკული ფორმის" „სტრუქტურის", „ემოციონალური ტონის" და სხვათა მატარებლად განცდაში, მაგრამ უფრო ხშირად ბგერათა კომპლექსის სახელსადებ შინაარსთან უშუალოდ შესატყვისობაში, შესატყვისობაში რაიმე შუამავალი რგოლის გარეშე.

სახელსადები შინაარსის ზემოქმედებას ექვემდებარება არამარტო სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსის, არამედ გარკვეულ ფარგლებში სახელად შეუფერებლად მიჩნეული ბგერათა კომპლექსის განცდაც, მაგრამ თუ სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსის შემთხვევაში ეს ზემოქმედება ასიმილაციური მიმართულებით ხორციელდება, ამ შემთხვევაში იგი კონტრასტის მიმართულებით ვი-

თარდება. ეს უკანასკნელი თავის გამოხატულებას ნახულობს ცდისპირის მიერ ბგერათა კომპლექსის ისეთი თავისებურებების მქონედ განცდაში, რომლებიც სახელსადები შინაარსის თავისებურებათა საპირისპიროა. ზოგიერთი ბგერათა კომპლექსის განცდა კი სახელსადები შინაარსის ზემოქმედებას არ ექვემდებარება და შედეგად ცდისპირის მიერ ეს უკანასკნელნი ინდიფერენტულად განიცდებიან.

სხვადასხვაგვარია აგრეთვე სახელსადები შინაარსის ბგერათა კომპლექსის განცდაზე ზემოქმედების ხარისხიც: ზოგიერთი ბგერათა კომპლექსის განცდა მეტი ხარისხით ექვემდებარება ამ ზეგავლენას, ზოგი კი ნაკლებით. სახელსადები შინაარსის ბგერათა კომპლექსის განცდაზე სხვადასხვაგვარი ხასიათისა და ხარისხის ზემოქმედების ფაქტი, აგრეთვე ცდისპირთა დიდი უმრავლესობის მიერ უაზრო ბგერათა კომპლექსების სიიდან სახელსადები შინაარსისათვის ერთი და იგივე სახელის შერჩევის ფაქტი, უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ ბგერათა კომპლექსის განცდის რაგვარობა განპირობებულია არა მხოლოდ სახელსადები შინაარსის ზემოქმედების რაგვარობით, არამედ თვით ბგერათა კომპლექსის ბგერითი შედგენილობითაც. მაშასადამე, *კონკრეტული სახელსადები შინაარსის სახელდების განზრახვით აღქმული ბგერათა კომპლექსის განცდა ორმხივი განსაზღვრულობით ხასიათდება — იგი, ერთი მხრივ, განსაზღვრულია სახელსადები შინაარსის ზემოქმედების ხასიათით და, მეორე მხრივ, კი ბგერათა კომპლექსის ბგერითი შედგენილობით.*

ირკვევა, რომ ზემოქმედებას ექვემდებარება არა მარტო ბგერათა კომპლექსის განცდა, არამედ სახელსადები შინაარსის განცდაც. სახელსადები შინაარსისათვის სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსი თავის მხრივ ზემოქმედებას ახდენს სახელსადები შინაარსის განცდის რაგვარობაზე და გარკვეული ცვლილებები შეაქვს მასში. ამ ზემოქმედების შედეგად სახელსადები შინარსის განცდაში წინა პლანზე წარმოიწევს ბგერათა კომპლექსის შესატყვისი მომენტები. მაშასადამე, *ორმხრივი განსაზღვრულობით ხასიათდება სახელსადები შინაარსის განცდაც. იგი განპირობებულია არა მარტო თვით სახელსადები შინაარსის თავისებურებებით, არამედ მნიშვნელოვანი ხარისხით მისთვის სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსის რაგვარობითაც.*

სახელსადები შინაარსის განცდა ამ ორმხრივი განსაზღვრულობის შედეგად სახელმდებლის ცნობიერებაში მნიშვნელოვნად განსხვავებული სტრუქტურით არის წარმოდგენილი, ვიდრე იგი სახელდებამდე იყო წარმოდგენილი. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ სახელდების შემეცნებითი ღირებულება არ ამოიწურება უკვე შემეცნებული სახელსადები შინაარსისათვის მატერიალური გარსის, სახელის მინიჭებით. სახელდების პროცესში ხორციელდება არამარტო სახელსადები შინაარსისა და ბგერათა კომპლექსის ურთიერთდაკავშირება, არამედ გარკვეული აზრით ახალი სიტყვის მნიშვნელობის ფორმირებაც.

სახელდების პროცესი არ მთავრდება სახელსადები შინაარსისათვის სახელის შერჩევით. იგი გრძელდება სახელსადები შინაარსისა და სახელად შერჩეულ ბგერათა კომპლექსის განცდათა ურთიერთზემოქმედების სახით. ამ ურთიერთზემოქმედების პროცესში ცნობიერებაში წინა პლანზე წამოიწევს ურთიერთშესატყვისი მომენტები, ხორციელდება სახელსადები შინაარსისა და სახელად შერჩეულ ბგერათა კომპლექსის განცდათა ურთიერთმორგება განცდათა ეს ურთიერთმორგების პროცესი ცნობიერების კონტროლს არ ექვემდებარება, ცდისპირი მხოლოდ მის შედეგს — ურთიერთშესატყვისობის გაძლიერებას აცნობიერებს. ურთიერთზემოქმედების პროცესის საბოლოო შედეგს, როგორც ჩანს, აზრდება წარმოადგენს, რის შედეგადაც სიტყვის ბგერითი მხარე არა უბრალოდ მოუვაგონებს მასთან დაკავშირებულ მნიშვნელობას, არამედ წარმოგვიდგება როგორც უშუალოდ მისი მატარებელი.

სახელსადები შინაარსისა და ბგერათა კომპლექსის განცდათა ურთიერთზემოქმედების პროცესის შედეგად ყოველთვის არა აქვს ადგილი მათი ურთიერთშესატყვისობის გაძლიერებას. ურთიერთზემოქმედების შედეგად ზოგჯერ ბგერათა კომპლექსისა და სახელსადები შინაარსების განცდებში წინა პლანზე წამოიწევს ურთიერთშეუსაბამო ნიშნებიც, რის შედეგადაც თავდაპირველად არსებული ურთიერთშესატყვისობის განცდა თანდათანობით სუსტდება და შეიძლება სავსებით გაქრეს კიდევაც. ასეთ შემთხვევებში შერჩეული სახელი უარიყოფა და სახელმდებელი კვლავ დგება სახელდების ამოცანის წინაშე.

როგორც უკვე მითითებული იყო, სახელსადები შინაარსის ზემოქმედება ბგერათა კომპლექსის განცდაზე სხვადასხვაგვარი ხასიათისაა; ზოგჯერ ადგილი აქვს ბგერათა კომპლექსის განცდის ასიმილირებას, ზოგიერთი ბგერათა კომპლექსის განცდა კი კონტრასტული მიმართულების ზემოქმედებას ექვემდებარება. ბგერათა კომპლექსი ცნობიერებაში აღმოცენების მომენტშივე უკვე ან ასიმილირებულია, ან კონტრასტული ხასიათის ზემოქმედებას დაქვემდებარებულიმის გარკვევა, თუ რა მიმართულებით წარიმართება ეს ზემოქმედება, ხდება ბგერათა კომპლექსის ცნობიერებაში აღმოცენების მომენტამდე. სწორედ ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ცდისპირები სახელსადები შინაარსისათვის სახელის შერჩევის პროცესში არ არიან თავისუფალნი თავიანთ არჩევანში, ამითაა განპირობებული ის იძულება, რომელსაც ცდისპირები განიცდიან სახელის შერჩევის დროს, ესაა საფუძველი ცდისპირების განცდისა, რომლის მიხედვითაც სახელის შერჩევას თითქოს ისინი კი არ ანხორციელებენ, არამედ თვითონ ბგერათა კომპლექსების მიერ წარიმართება.

მასალების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელდება არ არის შემთხვევითი პროცესი, რომ არსებობს რაღაც, რაც წარმართავს ცდისპირის არჩევანს. სახელდების საფუძვლად ცდისპირები ხშირად ასახელებენ ბგერათა კომპლექსის „შინაარსის", მათი „გრამატიკული ფორმის", „სტრუქტურის", „ემოციური ტონის", „ბგერათა კომპლექსის ეღერადობის" და სხვათა შესატყვისობას სახელსადებ შინაარსთან. მაგრამ ცდის მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის „ფაქტორები", რომლებსაც ცდისპირები ჩვეულებრივ სახელდების საფუძვლად ასახელებენ, ფაქტიურად მეორადი წარმოშობის ხასიათისანი არიან. ეს „ფაქტორები" წარმოადგენენ ბგერათა კომპლექსის განცდაზე სახელსადები შინაარსის ასიმილაციური ზემოქმედების შედეგს და არსებითად წარმოადგენენ ცდას, რათა დაასაბუთონ შერჩეული სახელის ვარგისობა, ანდა ჩ. ფოქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენენ რაციონალიზაციის შედეგს და არ შეიძლება მიჩნეულ იქნენ სახელდების რეალურ საფუძვლებად.

ცდისპირები ვერ ახერხებენ გააცნობიერონ მათ მიერ წარმოებული არჩევანის საფუძველი, სახელდების საფუძველი რჩება სახელმდებელის ცნობიერების მიღმა.

ცდის მასალების თვისობრივი ანალიზის შედეგად გამოვლენილი კანონზომიერებანი თავიანთ დადასტურებას ნახულობენ აგრეთვე მა-

სალის რაოდენობრივი ანალიზითაც. ცდისპირების მიერ განსაზღვრული სახელსადები შინაარსისათვის უაზრო ბგერათა კომპლექსების სიიდან შერჩეულ სახელთა შორის დამთხვევის ხარისხი იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია იგი შემთხვევითობით განპირობებულად მივიჩნიოთ. ასე მაგალითად, ათი უაზრო ბგერათა კომპლექსიდან №2 სახელსადები შინაარსისათვის ცდისპირთა 75% ირჩევს ერთსა და იმავე ბგერათა კომპლექსს — „დვანდვა"; №5 სახელსადებისათვის ცდისპირთა 60% — „ენზიმბა"-ს; № 7 სახელსადებისათვის ცდისპირთა 100% — „ბუროლა"-ს; № 10, №13 და № 14-სათვის ცდისპირთა 60% ირჩევს ერთსა და იმავე ბგერათა კომპლექსს, № 16-სათვის — 58,3%, № 17-სათვის — 63,6% და ა. შ.

ათი უაზრო ბგერათა კომპლექსიდან № 2 სახელსადებისათვის ყველა ცდისპირის მიერ მხოლოდ 3 ბგერათა კომპლექსი იქნა გამოყენებული, № 5 შინაარსისათვის — 3, №7, № 13, № 15, და № 17-სათვის — 5—5; № 16-სათვის — 6 ბგერათა კომპლექსი და ა. შ.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ერთი და იგივე ბგერათა კომპლექსი სხვადასხვა სახელსადები შინაარსის პირობებში თვით ერთი და იგივე ცდისპირების მიერაც კი სხვადასხვაგვარად განიცდებოდა, სხვადასხვა სახელსადები შინაარსის სახელად გამოიყენებოდა. რამდენად ტიპობრივია ასეთი მდგომარეობა, ამის შესახებ შესაძლებლობა გვეძლევა ვიმსჯელოთ შემდეგი მონაცემების მიხედვით: თუ ათი ცდისპირის მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, ყველა ცდაში გამოყენებული 30 ბგერათა კომპლექსიდან ერთი და იმავე ცდისპირის მიერ ორი, სამი, ოთხი და ხუთი სახელსადები შინაარსის სახელადაც კი გამოყენებულ იქნა 22 ბგერათა კომპლექსი. ათი ცდისპირიდან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ისეთი, როდესაც ადრე გამოყენებული სახელი სხვა სახელსადები შინაარსისათვის ალარ გამოიყენებოდა. ცდათა 30% შემთხვევაში ცდისპირები ერთსა და იმავე ბგერათა კომპლექსს სხვადასხვა სახელსადების სახელად იყენებდნენ. ეს მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს არა რაიმე შემთხვევითობის გამოვლინებას, არამედ სპეციფიკურია სახელდების პროცესისათვის.

ექსპერიმენტულ სიტუაციაში ცდისპირები სიტყვაწარმოების ისეთსავე გზებს მიმართავდნენ, რომელიც სპეციფიკურია ბუნებრივი ენების სიტყვაწარმოებისათვის. ეს საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის, რომ ექსპერიმენტულ სიტუაციაში სახელდების პროცესი ისე-

თავე ფაქტორებით წარიმართებოდა, როგორც ეს ბუნებრივი სახელ-დების პროცესისათვის არის სპეციფიკური.

დასასრულ, მოკლედ შეეხოთ იმ ზოგიერთ ექსპერიმენტულ გამოკვლევათა შედეგებს, რომლებიც, მართალია, სახელდების პროცესის კვლევას არ ისახავდნენ მიზნად, მაგრამ რომელთა შედეგებიც ჩვენთვის საინტერესო პრობლემის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

ბარტლეტმა მეხსიერების საკითხების კვლევის დროს[1] ცდისპირებს მიაწოდა ათი აზრიანი სიტყვა (მაგალითად, საგანი, ფილოსოფოსი, უსამართლობა და სხვ.) და გრაფიკულ სიმბოლოთა რიგი. გრაფიკულ სიმბოლოებიდან ზოგიერთი მიწოდებულ სიტყვას უშუალოდ გამოხატავდა, ზოგიერთი მეორეხარისხოვანი ასოციაციების გამოწვევის შესაძლებლობას შეიცავდა, ზოგიერთი კი ისეთი იყო, „რომელთაც ჩვეულებრივ უაზრო ნახაზებს უწოდებენ". ცდისპირებს ევალებოდათ ამ სიტყვების მაგივრად ეს სიმბოლოები გამოეყენებინათ. გარდა სიტყვებთან სიმბოლოების დაკავშირებისა, ცდისპირებს ევალებოდათ აგრეთვე მათ მიერ სიტყვებსა და სიმბოლოებს შორის დამყარებული კავშირიც დაესწავლათ, რათა შემდგომ, როდესაც მათ სიტყვებს წაუკითხავდნენ, მოეხდინათ მათთან დაკავშირებული სიმბოლოების რეპროდუქცია. ექსპერიმენტების საფუძველზე ბარტლეტი ასკვნის, რომ სიტყვისა და სიმბოლოს შესატყვისობის განცდისათვის არ არის აუცილებელი რაიმე აშკარად გამოხატული შესაფერისობა, მყისთანადი ასოციაციები, ემოციური რეაქციები და სხვ. ის, რასაც ცდისპირები ხშირად სიმბოლოს არჩევის მოტივად ასახელებენ, შესაძლოა არჩევის მომენტში არ იყოს ქმედითი და წარმოადგენდეს შემდგომი რაციონალიზაციის შედეგს.

უმაღლესი ფსიქიკური პროცესების ორგანიზაციის კვლევის მიზნით ჰაროუერმა[2] ჩაატარა საგულისხმო ექსპერიმენტი. მისი აზრით, თითქმის ყოველი ანდაზა საშუალებას იძლევა, რომ მის ნაწილებს შორის არსებული მიმართება გრაფიკულად, დიაგრამული სახით

---

[1] F. C. Bartlett, Remembering, 1932.

[2] M. R. Harrower, Organization in higher processes. Psychologische Forschung, B. 17; 1933.

წარმოვადგინოთ. ექსპერიმენტებში გამოყენებული ყოველი ანდაზისათვის მან შეარჩია 4 დიაგრამა, რომელთაგან 3 იყო საკუთარი შემთხვევითი, ე. ი. ისე იყო შედგენილი, რომ ექსპერიმენტატორის მიერ ანდაზასთან რაიმე სახის კავშირში მყოფელად არ განიცდებოდა. მეოთხე დიაგრამა კი პირიქით, გამიზნული იყო გამოეხატა ანდაზის წევრებს შორის სტრუქტურული მიმართება. ცდისპირებს ევალებოდათ შეერჩიათ ყოველი ანდაზისათვის სიმბოლო—დიაგრამა (1 ვარიანტი). ცდების მეორე ვარიანტში ცდისპირებს ანდაზები ეძლეოდათ უკვე შემთხვევით, ნებისმიერ დიაგრამასთან კავშირში. ცდების მესამე ვარიანტში ცდისპირებს ეძლეოდათ მხოლოდ ანდაზები. ცდების სხვადასხვა ვარიანტი სხვადასხვა ცდისპირებზე ტარდებოდა. ყოველი ვარიანტის დროს ცდისპირებს საგანგებოდ აფრთხილებდნენ, რომ მათ შემდგომ მოუხდებოდათ ანდაზების აღდგენა.

ცდების პირველ ვარიანტში ცდისპირები, როგორც წესი, დიაგრამას ირჩევდნენ სწორად, ე. ი. იმას, რომელიც ექსპერიმენტატორის მიერ იყო შერჩეული, როგორც ანდაზის ნაწილთა შორის სტრუქტურული მიმართების გამომხატველი. ანდაზებს გაცილებით ზუსტად იგონებდნენ, როდესაც მათ თან ახლდათ შესატყვისი დიაგრამა, ნაკლებად ზუსტად—როდესაც ანდაზებს თან ახლდა შემთხვევითად დაკავშირებული დიაგრამები და გაცილებით ნაკლებ ზუსტად—როდესაც ანდაზები ეძლეოდათ დიაგრამებთან კავშირის გარეშე.

ავტორის აზრით, ეს ფაქტი იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ დიაგრამის თანხლების შედეგად ანდაზის სტრუქტურა უფრო ძლიერდება და ანდაზის ნაწილები უფრო დანაწევრებულად წარმოსდგება, ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა ნაირსახეობის მასალის შემთხვევაშიც ნათლად გაგებული მიმართებითი სქემების წყალობით.

კ. ჰალი და რ. ოლდფილდი თავიანთ გამოკვლევაში „ექსპერიმენტული გამოკვლევა სიმბოლოს შესატყვისობაზე სიტყვასთან"[1] მიზნად ისახავენ ბარტლეტისა და ჰაროუერის შედეგების დაზუსტებას. სახელდობრ: 1. რამდენად დიდია ცდისპირების არჩევანთა დამთხვევის ხარისხი სიტყვებთან სიმბოლოების დაკავშირებისას; 2. ცდისპირთა მიერ არჩევის მოტივების დასახელებისას ადგილი აქვს უფრო

---

[1] K. R. Z. Hall and R. C. Oldfield, An Experimental Study on the Fitness of Signs to Words. Quarterly Journal of Experimental Psychology, 1950.

მეტად შემდგომ რაციონალიზაციას, თუ პირველად საფუძველზე მითითებას; 3. არჩეული სიმბოლოები უფრო ადვილად გასახსენებელია, თუ არარჩეული სიმბოლოები.

ექსპერიმენტები რამდენიმე ვარიანტად ჩატარდა, რომელთა შორისაც მეტ-ნაკლები განსხვავება იყო. ექსპერიმენტის ზოგადი სქემა ასეთია: ცდისპირს ეძლევა სიმბოლოების წყვილი (სულ 6 წყვილი) და სიტყვები (რითმი, სამართლიანობა, უსამართლობა, სიმშვიდე, ქარიშხალი და ფილოსოფია), ცდისპირს ევალება, განსაზღვროს, რომელია ამ ორი სიმბოლოდან უფრო მეტად შესაფერისი მოცემული სიტყვისათვის. არჩევანის გაკეთების შემდეგ ცდისპირთა ერთ ნაწილს მოეთხოვებოდა სიტყვის მიწოდებისას აღედგინა ორივე ის სიმბოლო, რომლებიც ამ სიტყვასთან ერთად ეძლეოდა. დანარჩენ ჯგუფებს სიმბოლოების რეპროდუქცია ევალებოდა სხვადასხვა ხანგრძლივობის ინტერვალის შემდეგ (5 წუთი, 10 წუთი, 3 კვირა და სხვ.). ცდების სხვადასხვა ვარიანტში იცვლებოდა მასალის მიწოდების თანამიმდევრობა, სიმბოლოთა განლაგება და სხვ.

ცდის მასალების ანალიზის საფუძველზე ავტორები ასკვნიან: 1. ცდისპირების მიერ სიტყვებისათვის სიმბოლოების შერჩევა არ არის შემთხვევითი ხასიათის; ცდისპირთა დიდი უმრავლესობა ორიდან რომელიმე ერთ სიმბოლოს აძლევს უპირატესობას. ამასთან სიმბოლოს არჩევისათვის მნიშვნელობა არა აქვს მის პოზიციას (მარჯვნივ არის მოთავსებული ფურცელზე თუ მარცხნივ). ასევე არ შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავებანი სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა მონაცემებს შორის.

2. ცდისპირები ყოველთვის ვერ ახერხებენ დაასახელონ თავიანთი არჩევანის მიზეზი, ცდისპირების არჩევანთა დამთხვევის ხარისხი გაცილებით დიდია, ვიდრე თანხმობა არჩევანის დასახელებულ მიზეზებს შორის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ცდისპირების მიერ არჩევანის დასახელებული მოტივი შემდგომი რაციონალიზაციის შედეგია და არა ფაქტიური არჩევანის საფუძველი.

3. შეინიშნება მჭიდრო კავშირი სიმბოლოს არჩევასა და მის რეპროდუქციას შორის, ცდისპირები უფრო მეტი სიხშირითა და სიზუსტით აღადგენენ იმ სიმბოლოებს, რომლებიც აირჩიეს ამა თუ იმ სიტყვისათვის.

4. სიმბოლოების რეპროდუქციაში შეინიშნება გარკვეული თვისობრივი ცვლილებები. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ვერბალიზაციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა არჩევანის გამართ-

ლების პროცესში. სიმბოლოს რეპროდუქცია აშკარა, ჩვეულებრივ ასიმილაციურ გავლენას განიცდის იმ შინაარსებისას, რომლებიც ცდისპირებმა ამოიკითხეს ამ სიმბოლოებში, ანდა რომლებსაც მიამსგავსეს.

5. ცალკეული სიმბოლოს არჩევა ამა თუ იმ სიტყვისათვის განპირობებულია ფიგურებისა და სიტყვებისთვის საერთო ზოგადი ხასიათის ფორმალურ-სტრუქტურული თვისებებით. ალბათ სწორედ ეს სტრუქტურული შესატყვისობა სიტყვასა და ფიგურას შორის განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სიმბოლოებად არჩეული ფიგურები უფრო ზუსტად რეპროდუქცირდებიან, ვიდრე ფიგურები, რომლებიც ასეთად არ იქნა არჩეული.

ბარტლეტის, ჰაროუერის, ჰალისა და ოლდფილდის ექსპერიმენტების შედეგებიდან ირკვევა, რომ სიტყვის (ანდაზის) და გრაფიკული სიმბოლოს დაკავშირების პროცესი სახელისა და სახელსადები შინაარსის დაკავშირების პროცესის მსგავსი კანონზომიერებებით ხასიათდება. თითქმის ყველა იმ თავისებურებებმა, რომელთაც თავი იჩინეს ამ ექსპერიმენტებში, სახელდების ექსპერიმენტებშიაც ნახა თავისი დადასტურება.

შესაძლოა, ავტორებს არ დავეთანხმოთ ზოგიერთ განზოგადებაში, ზოგიერთი დასკვნა სადავოდ მივიჩნიოთ, მაგრამ ექსპერიმენტების შედეგები ჩვენთვის საინტერესო პრობლემის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია, რომელთა შორის განსაკუთრებით ღირებულად მიგვაჩნია შემდეგი:

1. სიტყვისა (ანდაზის) და გრაფიკული სიმბოლოს დაკავშირებაც სახელდების მსგავსად კანონზომიერი პროცესია და არა შემთხვევითი.

2. ცდისპირები ვერ ახერხებენ გააცნობიერონ სიტყვისა (ანდაზის) და სიმბოლოს ურთიერთდაკავშირების საფუძველი, ხოლო მათ მიერ მითითებული საფუძველი, ისევე როგორც სახელდების ცდებში, არჩევანის შემდგომი რაციონალიზაციის შედეგია და არსებითად არჩევანის დასაბუთების ცდას წარმოადგენს და არა საფუძველს.

3. რაც უფრო მეტია სიტყვის (ანდაზის) და სიმბოლოს შესატყვისობა, მით უფრო ზუსტია მასალის შემდგომი რეპროდუქცია. შესატყვისობის ხარისხის შემცირებასთან ერთად მცირდება მასალის რეპროდუქციის სიზუსტეც. როგორც ჩანს, სიტყვის (ანდაზის) და სიმბოლოს შესატყვისობას გარკვეული მნემური ღირებულება აქვს.

4. სახელდების ექსპერიმენტებში გამოირკვა, რომ სახელი და სახელსადები შინაარსი ერთმანეთს მექანიკურად კი არ უკავშირდებიან. არამედ ურთიერთზემოქმედებას ახდენენ და ერთიმეორის განცდაში გარკვეული კორექტივები შეაქვთ. როგორც კ. ჰალისა და რ. ოლდფილდის ექსპერიმენტებით ირკვევა, ანალოგიურ კანონზომიერებას ადგილი უნდა ჰქონდეს სიტყვისა და სიმბოლოს დაკავშირების პროცესშიაც.

თავი მეოთხე

ბუნებრივი ენების ლექსიკის სახელდების კანონზომიერი ხასიათის საკითხისათვის

სახელდების ექსპერიმენტული კვლევის მასალებიდან ირკვევა, რომ ექსპერიმენტულ სიტუაციაში სახელდება კანონზომიერი ხასიათისაა, რომ სახელმდებლისათვის სულერთი არ არის, რომელი შინაარსის სახელად რომელ ბგერათა კომპლექსს გამოიყენებს; სახელდებისათვის აუცილებელია სახელმდებელმა სახელსადები შინაარსი და ბგერათა კომპლექსი ურთიერთშესატყვისად, ურთიერთშესაფერისად განიცადოს. ასევე, კანონზომიერი სახელდების გზით არის თუ არა შედგენილი ბუნებრივი ენების ლექსიკაც? ანდა სხვანაირად რომ ვთქვათ — ის ფაქტი, რომ ბგერათა კომპლექსი, მათ შორის უაზროც, ცდისპირის მიერ განიცდება გარკვეული სახელის ფუნქციის რომელობის მქონედ, ხომ არ არის განპირობებული ენის შუალობით?

საკითხის ამგვარად დასმის კანონიერება ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცდისპირები, რომლებზეც სახელდების ექსპერიმენტები ტარდებოდა, ფლობენ ერთ ან რამდენიმე ენას. მათთვის ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ შინაარსის აღმნიშვნელად გარკვეული სახელი — ბგერათა კომპლექსი იხმარება. ამიტომ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ცდისპირებისათვის თვით უაზრო ბგერათა კომპლექსიც აღარ უნდა წარმოადგენდეს ინდიფერენტულ შინაარსს. მითუმეტეს ეს ასე იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელდების ექსპერიმენტებში გამოყენებული ბგერათა კომპლექსები მეტ-ნაკლებ მსგავსებაში შეიძლება იყვნენ სახელმდებლებისათვის ცნობილ ენებში გამოყენებულ ბგერათა კომპლექსებთან. ისევე როგორც მათთვის ცნობილ ენებში ამა თუ იმ სახელით აღნიშნული შინაარსი თავის მხრივ შეიძლება მეტ-ნაკლებ მსგავსებაში იყოს სა-

ხელსადებ შინაარსთან. არსებითად ამგვარი მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ზემოთ დასახელებული ავტორები, რომლებიც სახელდების ექსპერიმენტებში უაზრო სახელსადებ შინაარსებს იყენებდ--ნენ და სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ჰ. პაულს, როდესაც სახელდების ექსპერიმენტული კვლევის შეუძლებლობაზე მიუთითებდა.

კითხვაზე—სახელდების ექსპერიმენტებში ცდისპირების მიერ უაზრო ბგერათა კომპლექსების გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად განცდა ხომ არ არის განპირობებული მათი ცდისპირებისათვის ნაცნობ სიტყვებთან მსგავსების საფუძველზე აღმოცენებული ფიქსირებული მომენტების განცდაში წარმომადგენლობით, ანდა უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, ენის შუალობით, ლინგვისტური ჩვევით — გარკვეული პასუხის გაცემის შესაძლებლობას იძლევა ჩვენ მიერ უკვე განხილული ექსპერიმენტების შედეგები.

თუ დავუშვებთ, რომ ცდისპირის მიერ ბგერათა კომპლექსის გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად განცდა ენის შუალობითაა გაპირობებული, მაშინ თითქოსდა ადვილად ხერხდება ავხსნათ ექსპერიმენტებში დადგენილი ერთი და იგივე ბგერათა კომპლექსის ინტერ-და ინტრაინდივიდუალურად არაკონსტანტურად განცდის ფაქტი სხვადასხვა სახელსადები შინაარსის პირობებში და გარკვეულ ფარგლებში ინტერ-და ინტრაინდივიდუალურად კონსტანტური განცდის ფაქტი ერთი და იგივე სახელსადების შემთხვევაში. ასე მაგალითად, ყოველი ბგერათა კომპლექსი შესაძლოა იყოს სხვადასხვა შინაარსის სახელის მსგავსი და, მაშასადამე, ყოველ მათგანთან მრავალი ფიქსირებული მომენტი იყოს დაკავშირებული. ეს კი შესაძლებელს ხდის, ყოველი ბგერათა კომპლექსი მრავალნაირი მნიშვნელობისა და თვისებების მატარებლად იქნეს განცდილი. მრავალნაირი ფიქსირებული მომენტიდან მოცემულ მომენტში რომელი იქნება განცდაში წარმოდგენილი, არ შეიძლება განსაზღვრული იყოს თვითონ ფიქსირებული მომენტებით. ასეთი განმსაზღვრელის როლი შეიძლება შეასრულოს სახელდების ამოცანამ. სახელდების ყოველი კონკრეტული ამოცანა განსაზღვრავს ბგერათა კომპლექსის განცდის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ფიქსირებული მომენტი აღმოცენდება და რომელი არა.

როგორც ვხედავთ, თითქოსდა ასეთი დაშვების პირობებში საკმაოდ იოლად ხერხდება აღნიშნული ექსპერიმენტული ფაქტების ახსნა, მაგრამ თუ დავუკვირდებით, ეს სიადვილე მოჩვენებითია: ასე მა-

ვალითად, თუ თითოეულ ბგერათა კომპლექსთან დაკავშირებული ფიქსირებული მომენტი მრავალია, მაშინ ცხადია, რომ ბგერათა კომპლექსის განცდა მოკლებული იქნება გარკვეულობას და ამ შესაძლებლობათა სიმრავლის გამო ძნელი იქნება რომელიმე მათგანს მიენიჭოს უპირატესობა. ასეთი ბგერათა კომპლექსი ვერ „აიძულებს“ ცდისპირს არჩევანი მასზე შეაჩეროს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სახელდების ექსპერიმენტებში. საქმის ვითარება არ შეიცვლება, თუ დავუშვებთ, რომ სახელდების კონკრეტული ამოცანა განსაზღვრავს, რომელი ფიქსირებული მომენტი იქნება წარმოდგენილი განცდაში და რომელი არა.

ბგერათა კომპლექსთან დაკავშირებული ფიქსირებული მომენტებიდან ცდისპირის განცდაში ამოცანის გავლენით უნდა აღმოცენდეს სახელსადები შინაარსის შესატყვისი მომენტები; ამაში მდგომარეობს სწორედ ამოცანის წარმმართველი ხასიათის არსი. მაგრამ რაკი თითოეულ ბგერათა კომპლექსთან მრავალნაირი ფიქსირებული მომენტია დაკავშირებული, საკვლევით დასაშვებია, რომ ყოველ კონკრეტულ ბგერათა კომპლექსთან რაიმე ნიშნით შეიძლება დაკავშირებული იყოს სახელსადების მსგავსი ფიქსირებული მომენტები. შაშასადამე, პრინციპულად ყოველი ბგერათა კომპლექსი ნებისმიერი შინაარსის სახელად შეიძლება იქნეს გამოყენებული — ეს კი ფაქტიურ ვითარებას ეწინააღმდეგება. ცდისპირთა მიერ მათთვის მიწოდებულ ბგერათა კომპლექსთა დიდი უმრავლესობა განიცდება ისეთი სახელის ფუნქციის მქონედ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სახელსადებ შინაარსთან და ხშირად მისი საწინააღმდეგო ხასიათისაც კია. ეს გარემოება არ შეიძლება ამოცანის გავლენით იყოს განპირობებული.

კონკრეტული მაგალითი უფრო ნათელს გახდის ამგვარი დაშვების უსაფუძვლობას. ერთ-ერთი ცდისპირი მიუთითებს: „....სახელზვნებს როდესაც ვეძებდი, მაშინ ვერ ვპოულობდი ასეთს, მაგრამ ეხლა, როცა არსებით სახელს ვეძებ, ყველა სახელზვნად განიცდება“. ჩვენს მიერ მიწოდებულ ბგერათა კომპლექსების სახელზმნად განცდის ფაქტი რომ განპირობებული იყოს ბგერათა კომპლექსის განცდაში ფიქსირებული მომენტების მონაწილეობით, მაშინ ჯერ ერთი, გაუგებარი იქნება სახელსადები ამოცანის წარმმართველი მოქმედების შედეგად მრავალნაირი შესაძლებლობიდან რატომ აღმოცენდა სახელზმნის შესატყვისი ფიქსირებული მომენტები, როცა ცდისპირს არსებითი სახელები ესაჭიროება და, თუ სახელზმნად განცდა

ფიქსირებული მომენტების მონაწილეობით არის გამოწვეული და ეს ფიქსირებული მომენტები ამ ცდისპირის კუთვნილებას წარმოადგენს, რატომ მათ თავი არ იჩინეს მაშინ, როდესაც ცდისპირს სახელზმნები ესაჭიროებოდა. როგორც ვხედავთ, ბგერათა კომპლექსის გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად განცდა არ შეიძლება წარმოადგენდეს ამ ბგერათა კომპლექსის სხვა სიტყვებთან მსგავსების საფუძველზე მის განცდაში ფიქსირებული მომენტების წარმომადგენლობის შედეგს. ნაკლებად სავარაუდოა რომ ექსპერიმენტებში გამოელენილი სახელდების კანონზომიერი ხასიათი ენის შუალობით იყოს განპირობებული. მაგრამ ეს საკითხი სახელდების კარდინალური საკითხია, არსებითად მის გადაწყვეტის რაგვარობაზეა დამოკიდებული სახელდების ექსპერიმენტების შედეგების მნიშვნელობის შეფასება და საერთოდ სახელდების ექსპერიმენტული კვლევის კანონიერების განსაზღვრა. ამიტომ მისი ნაჩქარევი გადაწყვეტის ცდა არ არის გამართლებული, იგი მრავალმხრივ და საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს.

1. ენობრივი მასალები ბუნებრივი სახელდების კანონზომიერი ხასიათის შესახებ

იმის გასარკვევად — სახელდება ბუნებრივ პირობებშიაც კანონზომიერი ხასიათისაა, თუ მხოლოდ ექსპერიმენტულ პირობებში წარმოებული სახელდებისათვის არის იგი სპეციფიკური—ცხადია, პირველ რიგში უნდა მივმართოთ ბუნებრივი ენის ლექსიკას. საჭიროა გავარკვიოთ ბუნებრივი ენის ლექსიკისათვისაც რაიმე ხარისხით არის თუ არა დამახასიათებელი აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთშესატყვისობა, რომელიც ექსპერიმენტულ პირობებში სახელდების აუცილებელი პირობაა.

სახელდების ექსპერიმენტული მასალების განხილვამ გვიჩვენა, რომ ცდისპირები სახელსადებსა და ბგერათა კომპლექსს ერთიმეორის შესატყვისად განიცდიდნენ, მაგრამ ხშირად ვერაფერს ამბობდნენ იმის შესახებ, თუ რაშია ეს შესატყვისობა, რაში ვლინდება იგი. როგორც ჩანს, სიტყვის ბგერითი მხარე და მნიშვნელობა შესაძლოა ურთიერთშესატყვისი იყოს ისე, რომ ეს შესატყვისობა განცდაში თვალსაჩინოდ, ხელშესახებად არ იყოს წარმოდგენილი. ენობრივი

მასალების ამ თვალსაზრისით განხილვის დროს ეს გარემოება მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული და ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა აშკარად არ არის განცდაში წარმოდგენილი, ეს ფაქტი არ მივიჩნიოთ საკმაო საფუძვლად მტკიცებისათვის, რომ ამ შემთხვევაში სახელსა და მნიშვნელობას შორის შესატყვისობა საერთოდ არ არსებობს.

1. ყოველ ენაში მიუხედავად იმისა, თანამედროვეა იგი თუ ძველი, კულტურის განვითარების მაღალ დონეზეა ამ ენაზე მოლაპარაკე ერი თუ დაბალზე, არსებობს ე. წ. პიქტორალური სიტყვები, რომლებშიაც კარგად ჩანს სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის არსებული საერთო მომენტები, მაგ. შორის არსებული ურთიერთშესატყვისობა[1].

---

[1] ასეთი სიტყვების აღსანიშნავად სპეციალურ ლიტერატურაში სხვა ტერმინებიც არის ხმარებული: ბგერითი წაბაძვა, ხმაბაძვა, ონომატოპეია, ექსპრესია და სხვა. ტერმინები — ბგერითი წაბაძვა, ხმაბაძვა უფრო ხშირად ვიწრო მნიშვნელობით იხმარება, ე. ი. ისეთი კატეგორიის სიტყვების აღსანიშნავად, რომელთა სახელებშიც გამოყენებული ამ სახელებით აღნიშნული საგნებისა და მოვლენების მიერ გამოცემული ბგერები. მაგრამ ენის ლექსიკაში სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა მხოლოდ ამ ფორმით არ ვლინდება, ამიტომაც საერთოდ ასეთი კატეგორიის სიტყვების აღსანიშნავად ამ ტერმინების ხმარება უხერხულობასთან არის დაკავშირებული. ესეც არ იყოს, ეს ტერმინები გარკვეულ თეორიას გულისხმობენ — ეს სიტყვები ბგერითი წაბაძვის გზით არის მიღებული, ე. ი. წინასწარ წამოწეულია სიტყვაქმნადობის ხასიათი. სიტყვის ქმნადობის პროცესის თავისებურება გულისხმობს ბუნებრივი ბგერის ცნობიერ, შეგნებულ, მიზანდასახულ იმიტაციას, რასაც ალბათ, იმის მიუხედავად, ეს სიტყვები გვიან წარმოშობისაა თუ ადრინდელი, ადგილი არასოდეს არ ჰქონია, რაც, ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ გარკვევასა და დაზუსტებას საჭიროებს. ვ. ვუნდტი სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, როდესაც ამ ტერმინების ხმარების წინააღმდეგ ილაშქრებს. მაგრამ იმისათვის, რომ პიქტორალური სიტყვების სხვა სახეობიდან გამოვყოთ არაშორისდებულისეული სიტყვების ის თავისებური ჯგუფი, რომლებშიაც ბგრძნობა ბგერითი საერთოობა სახელსა და მნიშვნელობას შორის, ამ ტერმინს ჩვენ შემდგომში ვიხმართ ასეთი მნიშვნელობით და პრინციპულად არა იმ მნიშვნელობით, რომ ეს სიტყვები შექმნილია ბგერითი იმიტაციის გზით. ტერმინი ონომატოპეია ენათმეცნიერებაში ბგერითი წაბაძვის გზით სიტყვაწარმოების აღსანიშნავად იხმარება და ამიტომაც მისი ხმარებაც უფრო ფართო მნიშვნელობით, ვიდრე ლიტერატურაში იხმარება. უმთავრესად, უხერხულობას ქმნის. ტერმინი ექსპრესია უფრო ხშირად იხმარება მეტყველების ერთ-ერთი ფუნქციის—განცდათა გამოხატვის ფუნქციის აღსანიშნავად. ამიტომაც მისმა ხმარებამ შესაძლოა გაუგებრობა გამოიწვიოს. ჩვენ ვიზიარებთ იმ ავტორთა აზრს, რომელთაც ასეთი კატე-

ყოველ თანამედროვე ენაში, წერს ა. სპირკინი, საკმაოდ დიდი რაოდენობით არსებობს სიტყვები, რომლებშიაც ჯერ კიდევ გარკვევით შეიგრძნობა სმენით მათი ხმაბაძვითი ბუნება. რომ არ მივმართოთ ამგვარი სიტყვების სპეციალურ გულდასმით შერჩევას და მათგან მხოლოდ ისეთები მოვიყვანოთ, რომლებიც შემთხვევით ამოტივტივდებიან მეხსიერებაში, შეიძლებოდა გრძელი სიის შედგენა ისე, რომ რაიმე ძალდატანებისათვის არ მიგვემართა. სპირკინი ჩამოთვლის რამდენიმე ათეულ ასეთ სიტყვას და მიუთითებს, რომ ისინი მხოლოდ ზოგიერთი ფუძისეული სიტყვაა, რომელთა ბაზაზეც რამდენიმე ასეული წარმოებული სიტყვაა წარმოშობილი. ამრიგად, ასკვნის იგი, ხმაბაძვითი ხასიათის სიტყვები ენაში არცთუ ისე მცირე რაოდენობით მოიპოვება. ამასთან ყველა მათგანი წარმოადგენს ყოველდღიურად ხმარებულ, ფართოდ გავრცელებულ სიტყვებს, გამოხატავენ საყოფაცხოვრებო ცნებებს და ალბათ ძირითადად ჯერ კიდევ შორეულ წარსულში აღმოცენდნენ. ამ საკითხზე მსჯელობის დროს, დასძენს ა. სპირკინი, მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ენის სიტყვები ასეულათასობით წლების წინ წარმოიშვნენ, თავიანთი ხანგრძლივი ისტორიის გზაზე უთვალავჯერ იქნენ გადატანილნი ერთი საგნიდან მეორეზე; ადგილი ჰქონდა სიტყვათა სესხებას სხვა ენებიდან, სხვა სიტყვებთან შეზრდას; არაერთგზის ექვემდებარებოდნენ შიდასტრუქტურულ ბგერით ცვლილებებს, შემოკლდნენ და გაფართოვდნენ, იმოსებოდნენ მორფემების რთული სისტემით და ა. შ. ამიტომაც სასწაული იქნებოდა, რომ ხმაბაძვითი სიტყვების უმრავლესობის მოწიფულობის პერიოდისათვის დამახასიათებელ სახეში გამოგვეცნო მათი ბავშვობის პერიოდისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი გულუბრყვილობა[1].

ს. ულმანი მიუთითებს, რომ გერმანული ენა უპირატესობას აძლევს წარმოებულ სიტყვებს, ფრანგულში კი ასეთი წარმონაქმნები შედარებით ნაკლებია. სიტყვის სტრუქტურის ამ აღნიშნულ ორ ტიპს

გორიის სიტყვების აღსანიშნავად უფრო მოხერხებულად მიაჩნიათ ტერმინის— პიქტორალური სიტყვები — ხმარება, პიქტორალური დამწერლობის. პიქტოგრაფიის ანალოგიით. მაგრამ ამ ტერმინს გამოვიყენებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მსჯელობა გვექნება საერთოდ ამ კატეგორიის სიტყვებზე, ხოლო ცალკეულ ავტორთა მოსაზრებების დალაგების დროს გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გამოვიყენებთ მათ მიერ ხმარებულ ტერმინებს.

[1] А. Г. Спиркин, Происхождение языка и его роль в формировании мышления, сб. «Мышление и язык», М., 1958 г., стр. 30—31.

შორის სხვადასხვაობა, მისი აზრით, განპირობებულია იმ როლით, რომელსაც გერმანულ და ფრანგულ ენებში ასრულებს ონომატოპეია. მართალია, ბგერის ექსპრესიული მნიშვნელობის შეფასება, მიუთითებს იგი, ძლიერ რთული საკითხია და ბევრ შემთხვევაში სუბიექტურიც, ზოგიერთი საერთო ტენდენცია აქ საკმაოდ გამოკვეთილად ელინდება, და დასძენს, ასე მაგალითად საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერმანული ენა არაჩვეულებრივად მდიდარია წაბაძვითი სიტყვებით, მათი ფონეტიკური სტრუქტურით მოტივირებით. იმ დროს, როდესაც ფრანგული, თუმცა არაფრით ჩამოუვარდება გერმანულს ექსპრესიულობაში, მსგავს ეფექტებს შედარებით იშვიათად მიმართავს[1]. იტალიური ენა გაცილებით ფართოდ იყენებს ონომატოპეიას, ვიდრე ფრანგული[2]. ინგლისურ ენაში ბგერითი წაბაძვითი წარმონაქმნები მეტია, ვიდრე ფრანგულში, მაგრამ ნაკლები, ვიდრე გერმანულში[3].

3. პაული სიტყვათა პირველქმნადობის საკითხის განხილვისას გვთავაზობს გვიანი პერიოდის შუა ზემოგერმანული დიალექტის იმ სიტყვების ვრცელ სიას, რომლებშიაც იგრძნობა შინაგანი კავშირი სიტყვის ყღერადობასა და მნიშვნელობას შორის. ასეთი სიტყვების უმრავლესობა, მიუთითებს იგი, აღნიშნავს სხვადასხვა სახის ბგერასა და მოძრაობებს. პაულის აზრით, ასეთი სიტყვების დიდი რაოდენობა შეიძლება შეირჩეს როგორც ძველგერმანულ დიალექტებში, ასევე ბერძნული და ლათინური ენების ლექსიკაშიც[4].

ამ სახეობის სიტყვებში ყღერადობასა და მნიშვნელობას შორის განცდილი შინაგანი კავშირი, პაულის აზრით, ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს მტკიცებისათვის, რომ სიტყვათა ამ ჯგუფიდან ყოველი მათგანის წარმოშობა მართლაცდა ასეთი კავშირებიდან მომდინარეობს. ცნობილია შემთხვევების მთელი რიგი, როდესაც დამტკიცდა, რომ ის განსაკუთრებული ფონეტიკური სახე ანდა მნიშვნელობა, რომელთა წყალობითაც მსგავსი სიტყვები ონომატოპოეტურის შთაბეჭდილებას ტოვებს, მათ მიერ უფრო გვიანი განვითარების პრო-

---

[1] Ст. Ульман, Дескриптивная семантика и лингвистическая типология, «Новое в лингвистике», вып. II, М., 1962 г., стр. 24—25.

[2] იქვე, გვ. 26.

[3] იქვე, გვ. 39.

[4] Г. Пауль, Принципы истории языка, М., 1960 г., стр. 215—217.

ცესში იქნა შეძენილი, მაგრამ თუ ამ სიტყვებს მთლიანობაში განვიხილავთ, მიუთითებს იგი, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, უკუვაგდოთ მოსაზრება, რომ მათი დღევანდელი სახე ყოველთვის შემთხვევითობის შედეგია. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ მათ შორის ხშირად გვხვდება ერთიმეორესთან ძლიერ მსგავსი ვარიანტები იგივეობრივი ანდა ძლიერ მსგავსი მნიშვნელობებით, რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ ხმოვნებით განსხვავდებიან, თუმცა ფონეტიკური კანონების მიხედვით მათი დაყვანა ერთ საერთო პირველდაწყებით ფორმაზე არ შეიძლება. სხვა ენებშიც, აღნიშნავს პაული, ასევე ხშირად შეიმჩნევა ამგვარი სახის მსგავსი ელერადობის სიტყვები, რომელთა მონათესავეობად მიჩნევა ფონეტიკის კანონების მიხედვით არ შეიძლება.

მხოლოდ ონომატოპოეტური ინსტინქტით შეიძლება აიხსნას აგრეთვე ზოგიერთი ის სახეცვლილებებიც, რომლებსაც უკვე ჩამოყალიბებული სიტყვები ექვემდებარებიან. ასეთი სახეცვლილებების ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიმუშს პაულის აზრით წარმოადგენს გერმანული სიტყვა kuckuck—„გუგული", რომელიც მომდინარეობს სიტყვა gouch-იდან და რომლის შუამავალ ფორმებსაც წარმოადგენენ guckauch, guckuck და სხვა. ეს წარმონაქმნებიც აგრეთვე აღნიშნავენ ნაწილობრივ ბგერებს, ნაწილობრივ მოუსვენარ მოძრაობებს. მსგავს სახელცვლილებებს აშკარად არაფერი აქვთ საერთო ბგერების ჩვეულებრივ განვითარებასთან და ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ახალი წარმოქმნანი [1].

სიტყვათა პირველქმნადობასთან დაკავშირებით შორისდებულების საკითხის განხილვისას ჰ. პაული მიუთითებს — არ იქნებოდა მართებული გვეფიქრა, რომ ყველა შორისდებული ნამდვილი ბუნებრივი ბგერებია, რომელთა არსიც იმაში მდგომარეობს, რომ სიცილისა და ტირილის მსგავსად აუცილებლად აფექტის მდგომარეობიდან მომდინარეობდნენ. ისევე როგორც ენის სხვა ეტალონები, შორისდებულიც შეიძლება იქნეს შეძენილი წინა თაობებისგან. ამიტომაც შესაძლებელია ერთი და იგივე ემოციის გამოხატვის საშუალებანი სხვადასხვა ენასა და დიალექტში სხვადასხვა იყოს, შესაძლოა იყოს სხვადასხვა ერთი და იგივე დიალექტზე მოლაპარაკე სხვადასხვა ინდივიდებისათვისაც კი.

---

[1] Г. Пауль. Принципы истории языка. М., 1969 г., стр. 217—218.

პაული ასხვავებს ორი სახის შორისდებულებს: მხოლოდ შინაგანი ემოციის გამომხატველნი და რომლებიც გამოხატავენ როგორც შინაგან ემოციებს, ასევე გარეგან მოვლენებსაც. პირველი სახის ემოციებიდან ზოგიერთი მიეკუთვნება მხოლოდ სავსებით გარკვეულ ემოციას, ზოგიერთი კი შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი ემოციით იყოს გამოწვეული. ეს უკანასკნელნი გვევლინებიან როგორც თავისთავად საკმაოდ გაურკვეველი არტიკულირებადი სუბსტრატები, რომლებიც კონკრეტულ შინაარსს მხოლოდ თანმხლები ემოციური ინტონაციის წყალობით იძენენ. მაგრამ, პაულის აზრით, მათი მნიშვნელობების ეს გაურკვევლობა არ უნდა იყოს თავდაპირველადი. სხვა სიტყვების მსგავსად შორისდებულები შეიძლება ნასესხები იყოს სხვა ენებიდან, შეიძლება წარმოიშვას ცალკეული სიტყვებიდან ან სიტყვათა ერთობლიობიდან. ფონეტიკური ცვლილებების წყალობით ამ უკანასკნელთა წარმოშობა შეიძლება იმდენად შეინიღბოს, რომ დაკვირვების შემთხვევაშიაც ვერ მოვახერხოთ მათი შემჩნევა. ამიტომაც, მიუთითებს პაული, იმ შორისდებულთა შემთხვევაშიაც კი, რომლებიც აბსოლუტურად მარტივად გამოიყურებიან და, როგორც ჩანს, მორფოლოგიურ ანალიზს არ ექვემდებარებიან, არ შეიძლება წინასწარ გვქონდეს იმის რწმენა, რომ ისინი ასეთი გზით არ არიან წარმოშობილნი. თუმცა, მიუთითებს იგი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ სახის შორისდებულთა გარკვეული ნაწილი მაინც სხვა სიტყვებიდან არ აღმოცენებულა და უშუალოდ ემოციის გამომხატველი ბგერებიდან მომდინარეობს [1]:

შორისდებულთა მეორე სახეობას, რომლებიც გამოხატავენ როგორც ემოციებს, ასევე გარეგან მოვლენებსაც, პაულის აზრით, ძლიერ მჭიდრო კავშირი აქვს ონომატოპოეტურ წარმონაქმნებთან. მათი ონომატოპოეტური ხასიათი ვლინდება ფუძის გაორებისა და გასამეგების შემთხვევაში, რომელიც ხშირად შეინიშნება (გერმანულ ენაში)[2].

პაულის აზრით ონომატოპოეტური ინსტინქტით აიხსნება აგრეთვე მრავალი ბგერითი წაბაძვითი სიტყვათშეწყობა, რომელთა ელემენტები ერთმანეთისაგან მხოლოდ თავიანთი ვოკალიზმით განსხვავდებიან. მაგ., გერმანული—flimmern und flammern — „ციმციმი", klippen und klappen — „კაკუნი" და სხვა. ონომატოპიურ გამოთქმებში გარკვეულ როლს ასრულებს აგრეთვე რითმიც[3].

---

[1] Г Паул ь. Принципы истории языка, М., 1960 г., стр. 218—219.

[2] იქვე. გვ. 219—220.

[3] იქვე; გვ. 220—221.

ონომატოპიური ხასიათისაა აგრეთვე ბ ა ვ შ ვ ი ს ე ნ ი ს სიტყვათა უმრავლესობა. აქ დიდ როლს ასრულებს რედუპლიკაციაც. ასე მაგ., გერმანული Wauwau — „აუაუ" (ძაღლი). Pulpul (ქათამი) და სხვა. პაული იმოწმებს ვ. ვუნდტს და ბიუთითებს, რომ ეს ენა არ არის ბავშვის მიერ გამოგონებული და ისევე როგორც ყოველი ენა, ისიც ბავშვს წინა თაობებისგან გადაეცემა. მისი მნიშვნელობა იმაშია, რომ სავსებით გასაგებ პედაგოგიურ მიზნებს ემსახურება. შინაგანი მიმართება ელერადობისა მნიშვნელობასთან, რომელიც მასში დღემდე შემორჩენილია, მნიშვნელოვნად აადვილებს მათ შორის კავშირის ლამყარების ამოცანას[1].

გარდა ზემოდასახელებული ავტორებისა, კიდევ მრავალი ავტორის დამოწმება შეიძლება იმის სასარგებლოდ, რომ ყოველ ენაში საკმარისი რაოდენობით მოიპოვება პიქტორალური მომენტების შემცველი სიტყვები, ე. ი. სიტყვები, რომლებშიაც აშკარად იგრძნობა შესატყვისობა სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის. მეორე მხრივ გაცილებით მეტი ავტორის დასახელება შეიძლება, რომლებიც, მართალია, არ უარყოფენ ასეთი სიტყვების არსებობას ყოველ ენაში, მაგრამ რაოდენობრივად იმდენად უმნიშვნელოდ თვლიან მათ, რომ საჭიროდ არ მიაჩნიათ მათთვის ანგარიშის გაწევა. აზრთა სხვადასხვაობა იმით არის გამოწვეული, რომ ტერმინები — ბგერითი წაბაძვა, შორისდებულისეული სიტყვები, ექსპრესია, ონომატოპეია, პიქტორალური მომენტების შემცველი სიტყვები და სხვა, რომლებიც ჩვეულებრივ ასეთი კატეგორიის სიტყვების აღსანიშნავად იხმარება, ყველა ავტორის მიერ ერთნაირად არ არის გაგებული. ზოგიერთი მათ ძლიერ ვიწრო მნიშვნელობით ხმარობს, ზოგიერთის მიერ კი მეტ-ნაკლებად ფართო მნიშვნელობით იხმარება. ასეთი აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ საკითხის სისტემატური კვლევა არავის უცდია, რათა გაერკვია, თუ რა ხვედრითი წონისაა ასეთი კატეგორიის სიტყვები ამა თუ იმ ენის ლექსიკაში. ეს გარემოება ალბათ საკითხის კვლევის სიძნელითაც არის განპირობებული. უდავოდ სწორია ჰ. პაული, როდესაც წერს, რომ ბგერების ექსპრესიული მნიშვნელობის შეფასება ძლიერ რთული საკითხია და ბევრ შემთხვევაში სუბიექტურიც. ალბათ ამ თვალსაზრისით სიტყვათა განხილვისას არცთუ მეორეხარისხოვან როლს უნდა ასრულებდეს შემფასებლის თეორიული პოზიცი-

---

[1] Г. П а у л ь, Принципы истории языка, М., 1960 г., стр. 221.

ებიც. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ პიქტორალობის მომენტები სიტყვებში მეტ-ნაკლები ხარისხით არის წარმოდგენილი[1], გასაგები გახდება, თუ რაოდენ ძნელია სიტყვათა პიქტორალობის საზღვრების დადგენა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საკითხის მნიშვნელობას, ცხადი გახდება, რომ თუნდაც შიახლოებითი მასალები ამ მხრივ გარკვეული ღირებულების მქონეა.

ამ მიზნით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან ამოვკრიფეთ ის სიტყვები, რომელთა პიქტორალური ხასიათი, ჩვენი აზრით, დავას არ უნდა იწვევდეს. აღმოჩნდა, რომ ლექსიკონში წარმოდგენილი სიტყვების დაახლოებით 5% ასეთია[2]. ცხადია, ბევრ შემთხვევაში პიქტორალურობის საკითხს წყვეტდა სუბიექტური შთაბეჭდილება, რომელიც ყოველთვის სანდო არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სუბიექტური შთაბეჭდილების გამო შეიძლება ასეთ სიტყვად მიჩნეულ იქნეს არა მარტო ზოგიერთი ისეთი სიტყვა, რომელიც სხვის მიერ ასეთად არ იქნება განცდილი, არამედ არ იქნას შეტანილი ისეთი სიტყვებიც, რომლებიც სხვების მიერ ასეთად შეიძლება იქნეს განცდილი, შესაძლოა ამ მაჩვენებლების მიმართ ნაკლები უნდობლობა გამოვიჩინოთ.

პიქტორალური მომენტების შემცველ სიტყვებად არა მხოლოდ ისეთი სიტყვები ჩაითვლება, როგორიცაა ხმაბაძვითი (ვიწრო მნიშვნელობით, ე. ი. სიტყვები, რომლებშიაც გამოყენებულია ის ბგერები. რომლებსაც გამოსცემს ამ სიტყვით აღნიშნული საგნები) და შორისდებულისეული სიტყვები (სახელები შეიცავენ ამ სახელებით აღნიშნულ ემოციური მდგომარეობის დროს უნებურად გამოცემულ შორისდებულებს), არამედ სიტყვებიც, რომლებიც არც საგნის მიერ გამოცემული ბგერების იმიტაციას წარმოადგენს და არც შორისდებულებს შეიცავს, მაგრამ რომლებშიაც ამის მიუხედავად საკმაო წარმატებით ხერხდება, კ. ბიულერის სიტყვებით რომ ვთქვათ,

---

[1] პიქტორალური მომენტების სიტყვებში სხვადასხვა ხარისხით წარმომადგენლობის საილუსტრაციოდ ვფიქრობთ, საკმარისია მივუთითოთ შემდეგ ფაქტზე: რომელიმე არამშობლიური ენის პიქტორალური სიტყვებიდან ზოგიერთი. ამ ენის საფუძვლიანი ცოდნის პირობებშიც კი, ჩვენთვის არ გამოიყურება პიქტორალური მომენტების შემცველად. ზოგიერთი კი ასეთი თვისებების მატარებლად განიცდება, იმის მიუხედავად, რომ სიტყვათა ორივე ამ ჯგუფის მნიშვნელობები ჩვენთვის კარგად არის ცნობილი და კომუნიკაციის მიზნებისათვის ეს სიტყვები ჩვენს მიერ თანაბარი წარმატებით გამოიყენება.

[2] ა. ბ ა ი ნ დ ო ო რ ა შ ვ ი ლ ი, მასალები ქართული ენის პიქტორალური ლექსიკონისათვის, ხელნაწერი.

არააკუსტიკური მოვლენების აკუსტიკური ხატვა. ყ ო ვ ე ლ ე ნ ა შ ი პ ი ქ ტ ო რ ა ლ უ რ ი ე ფ ე ქ ტ ი ს მ ი ს ა ღ ებ ა დ მ რ ა ვ ა ლ-ნ ა ი რ ი ს ა შ უ ა ლ ებ ა გ ა მ ო ი ყ ე ნ ებ ა. ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია პიქტორალური სიტყვების სიტყვაწარმოების გზები გავარკვიოთ, ეს ჩვენს კომპეტენციას სცილდება. მაგრამ დებულების — ყოველ ენაში პიქტორალური ეფექტის მისაღებად მრავალნაირი საშუალება გამოიყენება— მართებულების საილუსტრაციოდ შეეცდებით მივუთითოთ ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც ქართული ენისათვის, მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია და არც სხვა ენებისათვის უნდა იყოს უცხო.

პიქტორალური ეფექტი ხშირად მიიღება სიტყვის ფუძეში ამ სიტყვით აღნიშნული საგნის ან მოვლენის მიერ გამოცემული ბგერების წარმომადგენლობით: ბრახუნი, ბზრიალი, ბზუილი, გრიალი, გრუხუნი, ზრიალი, კაკუნი, კნატუნი, კნაწუნი, კრაჭუნი, კრუხი, ერიალი, რახუნი, რიხინი, სრიალი, სრუტვა, ტკაცუნი. ტყლაშუნი, ტყაპანი, ფთხრიალი, ფრიალი, ფხაკნა, ფხეკა, ფხრეწვა, ქროლვა, ქუხილი, შრიალი, შუილი, შხივილი, შხუილი, ჩხაპნა, ჩხარუნი, ჩხაკუნი, ჩხრიალი, წკაპუნი, წკარუნი, წკლაპუნი, წლაკუნი, წრუპვა, წრუტვა, წკრიალი, ჭაბუნი, ჭექვა, ჭრიალი, ჭყაპუნი, ხრიალი, ხრიგინი, ხრჭიალი, ხვრა, ხრაგუნი, ჯახუნი და სხვ. ასეთი კატეგორიის სიტყვები უპირველესად მყისთანადი მოქმედებების აღსანიშნავად გამოიყენებიან.

პიქტორალური ეფექტის მისაღებად გავრცელებული ფორმაა სიტყვის ფუძეში ამ სიტყვით აღნიშნული საგნის მიერ გამოცემული ბგერების რედუპლიკაცია: ბუტბუტი, ბუყბუყი, ბუხბუხი, გუგუნი, გუგული, გუზგუზი, გურგური, გრიალ-გრიალი, დაგდაგი, დუდუნი, ზუზუნი, თუხთუხი, თქართქარი, კაკანი, კასკასი, კისკისი, ლიკლიკი, ლივლივი, ლიღინი, ერიკჭრიკი, რაბრახი, რაკრაკი, რუხრუხი, რუკრუკი, სისინი, ტრახტრახი, ქაქანი, ღაღანი, ღავღავი, ღუდღუდი, ღულღუნი, ყაყანი, ყაშყაში, ყიყინი. შიშინი, ჩუხჩუხი, წივწივი. წკავწკავი, ჭახჭახი, ჭიკჭიკი, ხავხავი, ხარხარი, ხვიხვინი, ხითხითი და სხვ.

ასეთი კატეგორიის სიტყვები უმთავრესად დროში გავრცობილ ერთგვაროვან, სტერეოტიპულ მოქმედებებს გამოხატავენ.

სიტყვების ფუძეში მარცვალთა სტერეოტიპული განმეორებითაა მიღწეული აგრეთვე პიქტორალური ეფექტი ისეთი მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვებში, რომლებიც უმთავრესად დროში გავრცობილი სტერეოტიპულობით ხასიათდებიან, მაგრამ რომელთა მიმდინარეობა

უპირატესად ბგერების გამოცემასთან არ არის დაკავშირებული: ბაბანი, ბაჯბაჯი, ბიბინი, ბილბილი, ბუებუეი, გლიჯინ-გლიჯინი, ვარვარი, თახთახი, თიმთიმი, კამკამი, კაშკაში, ლასლასი, ლავლავი, ლაპლაპი, ლაღლაღი, ლაბლაბი, ლიცლიცი, ლაქლაქი, სავსავი, ტუსტუსი, ტიკტიკი, ფარფარი, ფაფარი, ფუსფუსი, ფარფაში, ქათქათი, ქვითქვითი, ქოთქოთი, ღაღადი, ღადღადი, ღაეღაეი, ჩიჩინი, ჩახჩახი, ჩაქჩაქი, ჩუჩუნი, ცახცახი, ცეცება, ციმციმი, ძაგძაგი, ძიგძიგი, ჭიჭინი, ხამხამი, ჯაგჯაგი, ჯიჯინი და სხვ.

ასეთი პიქტორალური საშუალება ზოგიერთ ენაში ხშირად, მაგ., სომხურში, აღმატებითი ხარისხის მისაღებად გამოიყენება: სომხ. „ჩარ" — „ბოროტი": „ჩარიჩარ" — „ბოროტ-ბოროტი", ე. ი. უბოროტესი; „მეწ"—დიდი, „მეწამეწ" — „დიდა-დიდი", ე. ი. ძალიან დიდი, უდიდესი[1].

დროში გაერცობილი უმთავრესად არაერთგვაროვანი მოქმედებების აღსანიშნავად ხშირად გამოყენებულია ამ სიტყვით აღნიშნული მოქმედების დროს გამოცემული ბგერების განმეორება, რომელშიაც იცვლება ერთი ან ორი ხმოვანი ბგერა: ბრაგა-ბრუგი, ბრაბა-ბრუხი, დაგადუგი, ზანზარი, ზრიალ-გრიალი, კნაწა-კნუწი, კრაკა-კრუკი, ლაწა-ლუწი, პრაწა-პრუწი, რაკა-რუკი, რახა-რუხი, ტკაცა-ტკუცი, ტყაპა-ტყუპი, ტყლაშა-ტყლუში, ფხაკა-ფხუკი, ფხრაწა-ფხრუწი, შბაპა-შხუპი, ჩურჩული, წკაპა-წკუპი, წკარა-წკური, წკლაპა-წკლუპი, ჭახა-ჭუხი, ჭყაპა-ჭყუპი, ხრამა-ხრუმი, ხრაშა-ხრუში და სხვ.

ასეთივე გზით არის მიღებული იმ მოვლენათა აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებისთვისაც ბგერების გამოცემა არ არის დამახასიათებელი, მაგრამ უმთავრესად ასეთივე არაერთგვაროვანი სტერეოტიპული ხასიათისანი არიან: ბარბაცი, გაწამაწია, გაწინწილება, განგაში, ჭრაგნა, დგანდგარი, თლახათლუხი, კანკალი, პარპალი, რიეარაეი, ტანტალი, ფარფაში, ღაპაღუპი, ყანყალი, ჩანჩალი, ჩერჩეტი, ჩურჩუტი, ცანცარი, ცანცალი, ცაცუნი, ცუნცული, ცერცეტი, წკანწკარი, ხანხალი, ჯაგლაგი, ჯანჯალი.

სიტყვაწარმოების ასეთი გზა ძლიერ არის გავრცელებული იაპონურ ენაში. მრავლობითი რიცხვი იწარმოება მხოლობით რიცხვში მოვლენის სახელის რედუპლიკაციითა და პირველი თანხმოვნის შეც-

---

[1] მოყვანილია ა. ჩიქობავას მიხედვით, იხ. ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. I, 1946 წ., გვ. 95.

ელით, მაგ. hito — „ადამიანი", hito-bito — „ადამიანები", kuni — „ქვეყანა", kuni-guni — „ქვეყნები" [1].

პიქტორალური ეფექტი ზოგჯერ მიიღწევა საგნების მიერ გამოცემული ბგერების მსგავსი თანხმოვნის სიტყვის ფუძეში განმეორების გზით: გრგვინვა, ფრფხიალი, შიშხინი, ხერხვა, ყროყინი, წუწნა, ჭრაჭუნი, ჭრიჭინი, ჭრიჭინა და სხვ.

სიტყვის ფუძეში თანხმოვნის განმეორების გზით მიიღწევა პიქტორალური ეფექტი აგრეთვე უმთავრესად სტერეოტიპულ მოქმედებათა აღმნიშვნელ სიტყვებში, რომელთა მიმდინარეობაც ბგერების გამოცემასთან არ არის კავშირში: ბობღვა, გახიახება, გალალვა, ტოგმანი, გაქიაქება, თრთოლა, თითხნა, თათხვა, ფოფხვა, ქექვა, ღრღნა. ღონღიალი, კენკვა, ერჟოლვა, შმუშვნა, ჩანჩქერი, ჩაჩხვა (გაჩაჩხვა), ჩეჩვა, ჩეჩქვა, ჩიჩქნა, ჩოჩვა, ძენძვა, ძიძგნა, წანწკარი, წეწვა, წიწკნა, წოწიალი, ჭანჭყარი, ჭეჭყვა, ჯანჯღარი და სხვ.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ონომატოპოეტურ სიტყვებად მხოლოდ ისეთი სიტყვების მიჩნევა, რომელთა ფუძეშიაც აშკარად იგრძნობა ამ სიტყვებით აღნიშნული მოვლენების მიერ გამოცემული ბგერების მსგავსება, არ არის მართებული. ამასთან დაკავშირებით უდავოდ მართებულად მიუთითებს კ. ბიულერი: სიტყვები, როგორიცაა schlottern—„კანკალი", flimmern—„ციმციმი", kribleln — „ფუსფუსი" და სხვ. საკმაოდ ზუსტად ასრულებენ თავის ობიექტის იმიტაციას, მაგრამ შორს არიან იმისაგან, რომ აკუსტიკურად დახატონ აკუსტიკური ფაქტი. ისინი არააკუსტიკურ ხატს აკუსტიკურად ხატავენ. მაგ., flimmern—„ციმციმი"—ოპტიკური ფენომენია, kribleln-ის („ფუსფუსი") შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ზუსტ მატერიალურ გადმოცემასთან, არამედ მხოლოდ მიმართებებისა და ფორმების რეკონსტრუირებასთან [2].

აღნიშნულ გარემოებაზე უფრო ადრე ვ. ვუნდტმა მიუთითა და ამის საილუსტრაციოდ გარდა ზემომოყვანილი მაგალითების მსგავსი მაგალითებისა, ასახელებდა აგრეთვე ენესტური ბუნების მქონე სიტყვებს. იგი მიუთითებს, რომ ადამიანის სხეულის ორგანოები, რომლებსაც ენის ბგერების წარმოქმნასთან აქვთ კავშირი, აგრეთვე ამ

---

[1] Е. М. Галкина-Федорук, О форме и содержании в языке, сб. «Мышление и язык», М., 1957, стр. 391.

[2] K. Bühler, L' onomotopée et la fonction représentative du langage. Journal de Psychologie. 1933.

ორგანოების მოძრაობაც, აღინიშნებიან სიტყვებით, რომელთა არტიკულაცია ამავე ორგანოებისა და მოძრაობების მეოხებით ხორციელდება. მისი აზრით ასეთი გზითაა აღმოცენებული, მაგალითად, გერმანული სიტყვა essen, „ჭამა", blasen „შებერვა", Mund „პირი", Zunge „ენა" და სხვა. ვუნდტის ეს მოსაზრება ჰ. პაულს ანგარიშგასაწევად მიაჩნია, თუმცა მიუთითებს, რომ მის დასაცავად მოყვანილი ცალკეული მაგალითები საეჭვოა, რომ ადასტურებდნენ მას[1].

ასეთი ხასიათის სიტყვების გავრცელების არე რ. პადჯეტის მიხედვით გაცილებით ფართოა. მისი აზრით, საარტიკულაციო აპარატი საერთოდ გარე სამყაროს საგნების მოძრაობებისა და კონტურების იმიტაციას ახდენს. ამ თვალსაზრისით მან განიხილა ინდოევროპული ენების ისეთი სიტყვები, რომლებიც მარტივ მოქმედებებს აღნიშნავენ და მათი უმრავლესობა მან იმიტაციურად ჩათვალა. ასე მაგალითად: angh — მას შესაფერის სახელად მიაჩნია დახრჩობისათვის, რადგანაც იგი წარმოითქმის ენის ყელზე მიჭერის გზით, pak— შესაფერისად შეკვრისათვის, რადგანაც იგი წარმოითქმება ჯერ ტუჩების მოდუნებით და შემდეგ კი ენის უკანა ნაწილის სასისაკენ აწევით. კანტონურ დიალექტში მან ჟესტური ხასიათის 150 სიტყვა დაადასტურა. თანამედროვე ინგლისური ენიდან მან განიხილა 99 ერთმარცვლიანი სიტყვა, რომელიც იწყება ბგერებით sp და ნახა, რომ მათგან 81%-ს აქვს ჟესტებისათვის შესატყვისი მნიშვნელობა. პადჯეტმა დიდი რაოდენობით დაადასტურა აგრეთვე სიტყვები, რომლებიც ჟესტის სიმბოლიზმით ხასიათდება ინდოევროპულ, სემიტურ, შუმერულ, არქაულ ჩინურ, ოკეანიის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის ენებში[2].

პადჯეტი თვითონ წყვეტს იმიტაციურია თუ არა მის მიერ შერჩეული სიტყვები. შესაძლოა სხვამ, ვინც მის თეორიას არ გაიზიარებს, მის მიერ იმიტაციურად მიჩნეული სიტყვა ასეთად არ მიიჩნიოს. იგივე ითქმის ვუნდტის მიერ შერჩეულ სიტყვებზეც, მაგრამ იმის უარყოფა ძნელია, რომ ყოველ ენაში არსებობს ასეთი ხასიათის სიტყვები, შესაძლოა არცთუ დიდი რაოდენობით, მაგრამ ენაში რომ ასეთი პიქტორალური საშუალებაც არის გამოყენებული, ამის უგულებელყოფა არ შეიძლება.

---

[1] Г. Пауль, Принципы истории языка, 1960, стр. 222.

[2] R. Paget, Human Speech, New York., 1930.

როდესაც საკითხი დგას ბუნებრივი ენების სიტყვების ბგერითი მხრისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის არსებობა არ-არსებობის შესახებ, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს აგრეთვე იმ ფაქტსაც, რომელსაც ვ. ჰუმბოლდტი არაპირდაპირ ბგერით წარმოძაძვას უწოდებს, ჰ. პაული—ბგერების სიმბოლიკას, ვ. ვუნდტი—ბგერით მეტაფორას, კლაპარედი—სახელთა ფიზიოგნომიას. ჩვენ არცთუ იშვიათად გვეჩვენება, რომ მშობლიური ანდა კარგად ნაცნობი ენის სიტყვის ელერადობაში არის რაღაც მონათესავე მათ მნიშვნელობასთან. ვერ ვიტყვით, რომ ეს ხმაბაძვაა ან შორისდებულისეული საშუალები, ანდა ექსტური იმიტაცია, ხშირად ვერც იმას ვაცნობიერებთ, რაშია ეს მსგავსება, ხოლო თუ საგანგებო დაკვირვების ობიექტად გადავაქცევთ ამ მსგავსებას და შევეცდებით მის დახასიათებას, აღმოჩნდება, რომ სიტყვის ბგერით მხარეს ვახასიათებთ იმ ნიშნებით, რომლითაც ამ სიტყვით აღნიშნული შინაარსი ხასიათდება. ამ გარემოებაზე ჯერ კიდევ სტოელებმა მიუთითეს, რომელთა შეხედულებასაც ავგუსტინე ასე გადმოგვცემს: როდესაც ჩვენ წარმოვთქვამთ სიტყვას lene „რბილი", ის რბილად ელერს; მეორე მხრივ, ვინ ვერ შენიშნავს უხეშობას (asperitas) თვითონ სიტყვა asper-ში? სირბილეა ყურისათვის, როდესაც წარმოვთქვამთ voluptas „სიამოვნება", „ტკბობა"; სიმკაცრეა, როდესაც წარმოვთქვამთ crux „ჯვარი". თვითონ საგნებიც ისეთ შთაბეჭდილებას იწვევენ, როგორც აღიქმებიან სიტყვები[1].

ო. ესპერსენის აზრით, არ შეიძლება უარვყოთ, რომ არსებობს ისეთი სიტყვები რომლებშიაც ჩვენ ინსტინქტურად ვგრძნობთ, რომ სახელი ადეკვატურია იმ იდეის გამოსახატავად, რომელსაც ისინი ცვლიან, ისევე როგორც არსებობს სიტყვები, რომელთა ბგერებშიაც იგრძნობა მეტ-ნაკლებად თავიანთ მნიშვნელობასთან შეუსატყვისობა[2].

ვ. ჰუმბოლდტის აზრით ასეთი სიტყვებიც ხმაბაძვითი ხასიათისაა, მაგრამ სხვა ბგერითი წაბაძვითი სიტყვებისაგან განსხვავებით აქ არა უშუალოდ საგნის მიბაძვა ხდება, არამედ რაღაც მესამის, რომელიც საერთოა ბგერისა და საგნისათვის. ამ შემთხვევაში საგნის აღსანიშნავად არჩეულია ბგერები (ნაწილობრივ თავისთავად, ნაწილობრივ კი სხვებთან შედარებით), რომლებიც თვით საგნის მიერ სულში

[1] И. Презент. Происхождение речи и мышления, 1928 г., стр. 20—21.

[2] O. Jespersen, Language; Its Nature, Development and Origin, London, 1922.

გამოწვეული შთაბეჭდილების მსგავს სმენით შთაბეჭდილებას იწვევს. ასე მაგალითად, ბგერები სიტყვებისა stehen, stätig, starr— რაღაცა სიმტკიცის შთაბეჭდილებას იწვევენ, სანსკრიტული li—დნობა, იღვრება; ბგერები სიტყვებისა nicht, nagen, Neid — რაღაცას თითქოსდა უცბად და სუფთად ჭრიან[1]. ო. ბალზაკი ფრანგული სიტყვის vrai — „მართალი" შესახებ წერს — განა არ იმალება ამ სიტყვაში გარკვეული სახის ფანტასტიკური პატიოსნება? განა არ ნახულობს ადამიანი ამ მოკლე ბგერებში, რომლებსაც ის წარმოსთქვამს, ქალწულებრივი სიშიშვლის გაურკვეველ სურათს, ყოველ საგანში ჭეშმარიტების გულუბრყვილობას?[2] ჭრავალი მსგავსი მაგალითი მოყავს ჰ. ვერნერს თავისი ექსპერიმენტული მასალებიდან, მაგრამ მათ შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ის ფაქტი, რომ ვთქვათ ბგერათა კომპლექსი lene რაღაც სირბილის გამომხატველი ელერადობით განიცდება, ხოლო crux რაღაც სიმკაცრის გამომხატველად, ცხადია, ამ სიტყვებით აღნიშნული შინაარსების გავლენის შედეგია და უფრო შემდგომი რაციონალიზაციის პროდუქტია, ვიდრე თავდაპირველად განცდილი შესატყვისობისა; მაგრამ ასეთი სიტყვების შემთხვევაში ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის განცდილი შესატყვისობის მეორად ასოციაციაზე დაყვანის შეუძლებლობა იქიდანაც ჩანს, რომ მეორადი ასოციაციებით ალბათ მეტ-ნაკლებად ყოველი სიტყვა ხასიათდება, თუმცა ყველა მათგანის შემთხვევაში არა გვაქვს განცდა, რომ სიტყვის ბგერითი მხარე ნამდვილად ჰორგებულია მნიშვნელობასთან, რომ სიტყვის ბგერითი მხარე თავისი ელერადობით მნიშვნელობის შესატყვისია. როგორც ჩანს, სიტყვათა რიგის ასეთი სპეციფიკურობის მქონედ განცდის მთლიანად მეორადი ასოციაციებით განპირობებულად მიჩნევა არ უნდა იყოს მართებული.

ზოგიერთი ავტორი პიქტორალურ ელემენტებს ცალკეულ ფონემებშიც ნახულობს. ასეთი ცდა ახალი არ არის და იგი, როგორც ზემოთ მიუთითებდით (იხ. გვ. 15), ჯერ კიდევ პლატონის დიალოგ „კრატილში" გვხვდება. ვ. ჰუმბოლდტი აღნიშნავდა, რომ ხაგნები, რომლებიც ჰგავს შთაბეჭდილებებს იწვევენ, აღინიშნებიან უმთავრესად მსგავსი ბგერებით. მაგ., სიტყვებში wehen — „ბერვა", „ფრიალი" Wind — „ქარი", Wolke — „ღრუბელი", Wirren —

---

[1] А. А. Потебня. Мысль и язык. 1892 г., стр. 106.

[2] H. Werner, Über die Sprachphysiognomik als einer ..... Zeitschrift für Psychologie. B. 109, 1928.

„არევა", Wunsch — „სურვილი", ბგერა w-თი გამოხატულია რაღაც მერყეი, მოუსვენარი, გრძნობისათვის გაუგებარი მოძრაობა, მაგ., მღელვარება ღრუბლების, რომლებიც ერთმანეთს მიყვებიან და ერთიმეორეზე გადადიან[1]. ანალოგიურ დაკვირვებას გვთავაზობს ო. იესპერსენიც. იგი მრავალრიცხოვანი მაგალითების საფუძველზე აკვნის, რომ ინგლისურ ენაში ყრუ (უკანა) ხმოვანი ბგერები იხმარება არმოწონების, შეძრწუნების ან ზიზღის გამოხატვისათვის[2]. მსგავს დაკვირვებებს სხვა ავტორებიც ადასტურებენ. ასეთი ხასიათის დაკვირვებები, როგორც სამართლიანად მიუთითებს ი. ტეილორი, არ არის საკმარისი საკითხის გადაწყვეტისათვის. ისინი შეიძლება მხოლოდ საკითხის დასმის მართებულობის საბუთად გამოდგეს, რადგანაც გამორიცხული არ არის, რომ დამკვირვებელს თვალში ეცემა სწორედ ის მაგალითები, რომლებიც მის თეორიას ეგუებიან და ანგარიშს არ უწევს თანაბრად მრავალრიცხოვან საწინააღმდეგო შემთხვევებს[3].

გაცილებით მეტი სანდოობის ხარისხი აქვს სხვადასხვა ენის ურთიერთშედარების შედეგებს. ო. იესპერსენის მიხედვით წინა ხმოვანი i, როგორც ის გამოითქმის ფრანგულ სიტყვაში fini და მოკლე ხმოვანი i, როგორც გამოითქმის ინგლისურ სიტყვაში hit ძლიერ შესაფერისია ისეთი შინაარსების გამოსახატავად, როგორიცაა: პატარა, სუსტი, უმნიშვნელო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მას მოყავს მრავალი მაგალითი ინდოევროპული ენებიდან. პატარა, ინგლისურად არის little, გერმანულად — kleine, ფრანგულად — petite, იტალიურად — piccola, ლათინურად — minor, მადიარულად — kis, ბერძნულად—mikros. მისი აზრით ამ მოსაზრების მართებულობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ინგლისურ, იტალიურ, ესპანურ და ზოგიერთ ენაშიც ხმოვანი i კნინობითი ფორმის მაწარმოებელ სუფიქსებში გამოიყენება. ამასვე ადასტურებს ბავშვებისა და მოზრდილების მიერ პატარა საგნების აღსანიშნავად გამოგონებულ სიტყვებში ხმოვან i-ს ხმარების მრავალი მაგალითი[4].

---

[1] W. Humboldt. Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues etc., 1836—1839.

[2] O. Jespersen, Language; Its Nature..., London, 1922.

[3] I. K. Taylor, Phonetic Symbolism Re-examined. Psychological Bulletin, 60, 1961.

[4] O. Jespersen, Language; Its Nature... London, 1922.

ჰორნბოსტელმა იკვლია, თუ რომელ სიტყვებში გვხვდება ისეთი ლინგვისტური ბგერები, როგორიცაა, m, mb, omb. ამ მიზნით მან ერთმანეთს შეუდარა ინდოგერმანული, სემიტური, ბანტუს და უნგრული ენები, რის შედეგადაც ასკვნის, რომ ცოცხალ ენებში არ უნდა ველოდეთ აბსოლუტურ პარალელიზმს ბგერებსა და მნიშვნელობებს შორის. ამის მიუხედავად, ის მაინც შესაძლებლად თვლის, რომ სიტყვებს, რომლებიც ამ ბგერებს შეიცავენ, იქნებათ ისეთი მნიშვნელობები, როგორიცაა ბლაგვი, ბნელი, მძიმე, სქელი, მსუქანი, სველი, ღრმა, დიდი, დედა და სხვ[1].

დ. ვესტერმანმა რამდენიმე აფრიკული ენიდან ამოკრიფა ისეთი სიტყვები, რომლებიც მნიშვნელობით ახლოს დგანან შეგრძნებაალქმის სფეროსთან. ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ არსებობს გარკვეული კორელაცია, ერთი მხრივ, ბგერების თვისებების ცნობილ კონტრასტებსა (მაღალი — დაბალი ტონი, მოკლე — გრძელი ხმოვანი, ყრუ—ჟღერი თანხმოვანი და სხვ.) და მეორე მხრივ მნიშვნელობათა კონტრასტებს შორის. საგულისხმოა ისიც, რომ ვესტერმანის მიერ მოცემული დახასიათება იმ ბგერებისა, რომლებიც ჰორნბოსტელმა განიხილა (m, mb, omb) შეესატყვისება ჰორნბოსტელის მიერ სხვა ენის მასალების საფუძველზე მოცემულ დახასიათებას[2].

ამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად საგულისხმო კანონზომიერება გამოავლინა ტ. გუდავამ, „მეგრულში არის ხმაბაძვით სიტყვათა ერთი რიგი, რომელიც გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, გამოხატავს მოქმედების ელფერს, მოქმედი საგნის სიდიდეს, წონას, სიმკვრივეს და მისთ. აღნიშნულ თვისებათა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს ჟღერ, ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვანთა დაპირისპირება ერთმანეთთან. ამგვარი საშუალებით გამოხატულ ხმაბაძვას „ბგერწერა“ შეიძლება ვუწოდოთ.

„ბგერწერითი სიტყვები“ (ჩვეულებრივ ზმნები) ქმნიან კონებს: ორი ან რამდენიმე „ბგერწერითი სიტყვა“ გაერთიანებულია მსგავსი მნიშვნელობითა და ერთმანეთისაგან კანონზომიერად განსხვავებული თანხმოვნებით. ეს განსხვავება სამეულებში (ან წყვილეულებში) შემავალ თანხმოვანთა ურთიერთმონაცვლეობით მყარდება.

---

[1] E. M. Hornbostel, Laut und Sinn. Festschrift Meinhof. 1927

[2] D. Westermann, Laut, Ton und Sinn in Westafrikanischen. Sudansprachen. Festschrift Meinhof, 1927.

„ბგერწერით სიტყვებში“ მეღერი თანხმოვნის მონაწილეობა გადმოსცემს „დიდის“, „მსხვილის“, „მძიმის“... ელფერს, ყრუ თანხმოვნის (მაგ., მკვეთრის) მონაწილეობა — „პატარის“, „მსუბუქის“. „წვრილის“ ელფერს. ფშვინვიერი თანხმოვანი, როცა დაპირისპირება სამსაფეხურიანია (მეღერი — ფშვინვიერი — მკვეთრი) ამ მხრივ საშუალო ადგილს იკავებს. ეს მოვლენა იქნება უკავშირდებოდეს იმ ზოგად შეთანხმებულობას, რასაც დაბალი და მაღალი ტონები ახდენენ“[1]. ამ კანონზომიერების საილუსტრაციოდ ავტორს მოყავს რამდენიმე ნიმუში და მათი მიახლოებითი თარგმანი ქართულ ენაზე:

1. მეღერი (გ—გ) მიგვაგვალუ „მიგორავს“ (დიდი, მსხვილი რაღაც).

2. ფშვინვიერი (ქ—ქ) მიქვაქვალუ „მიგორავს“. „მიგოგმანებს“, „მიცქრიალებს“.

3. მკვეთრი (კ—კ) მიკვაკვალუ „მიგორავს“ (პატარა, მკვრივი რაღაც).

1. მეღერი (ძ—ძ) ქოდაძვაძუ „დაჯდა“, „დაეცა“ (დიდი, მძიმე, რაღაც).

2. მკვეთრი (წ—წ) ქოდაწვაწუ „დაჯდა“, „დაეცა“ (პატარა, მსუბუქი, ნაზი რაღაც).

1. მეღერი (გ—ჯ) იგვიჯინანს „დიდი რაღაც მსხვილად. დონდლოდ გამოიყურება“.

2. ფშვინვიერი (ქ—ჩ) იქვიჩინანს „აქოჩრილად გამოიყურება“.

3. მკვეთრი (კ—ჭ) იკვიჭინანს „პატარა რაღაც მკვეთრად გამოიყურება“.

1. მეღერი (ძგ—ძგ) ძგიძგონუნს „ძიძგნის“.

2. ფშვინვიერი (ცქ—ცქ) ცქიცქონუნს „ციცქნის“.

3. მკვეთრი (წკ—წკ) წკიწკონუნს „წიწკნის“.

ავტორის აზრით მეგრულში დადასტურებული ეს კანონზომიერება ქართულში შედარებით მკრთალადაა გამოხატული (მაგ., ძიძგნის—ციცქნის — წიწკნის, მიძუნძულებს — მიცუნცულებს).

შიშინა თანხმოვნების მონაწილეობა ასეთი კატეგორიის სიტყვებ-

---

[1] ტ. გ უ დ ა ვ ა, ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის თეზისები, 1958 წ., გვ. 15.

ში გადმოსცემს ჭოქმედების უხეშ ელფერს, სისინა თანხმოვნისა კი უფრო ნატიფ ელფერს:

სისინა თანხმოვნები: მეგ. (ძგ—ძგ) ძგაძგუნს „ღეჭავს“ ფშვ. (ცქ—ცქ) ცქაცქუნს „ღეჭავს“, „აქუცმაცებს“. მკვ. (წკ—წკ) წკაწკუნს „ღეჭავს“, „აქუცმაცებს“ (წვრილად).

შიშინა თანხმოვნები: მეგ. (ჯგ—ჯგ) ჯგაჯგუნს „ღეჭავს“, „ჩეხავს“ ფშვ. (ჩქ—ჩქ) ჩქაჩქუნს „ღეჭავს“, „ჩეხავს“, მკვ. (ჭკ—ჭკ) ჭკაჭკუნს „ღეჭავს“, „ჩეხავს“ (წვრილად).

ავტორი მიუთითებს, რომ ამავე სახეობისაა აგრეთვე „უციკანს — „გაშვერილი აქვს (პატარა)“, უჩიკანს — „უშნოდ გაშვერილი აქვს (ზომცრო)“, უჯიკანს — „უშნოდ გაშვერილი აქვს (დიდი)“. ქართულ ენაში ანალოგიური მოვლენის ნიმუშია: ძიძგნია — ჯიჯგნის“[1].

ცალკეული ფონემების პიქტორალურ შესაძლებლობებს, ანდა როგორც ხშირად ხმარობენ ხოლმე, ფონეტიკურ სიმბოლიზმს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე ენათმეცნიერების ისეთი ცნობილი მიმდინარეობა როგორიც ნეოლინგვისტიკაა. ჯ. ბონფანტე ჩამოთვლის რა იმ ძირითად საკითხებს, რომლებთან დაკავშირებითაც დავაა ნეოლინგვისტებსა და ნეოგრამატიკოსებს შორის, ერთ-ერთ ასეთად ასახელებს ფონეტიკურ სიმბოლიზმს. იგი წერს, „ნეოგრამატიკოსები ყოველთვის მკაცრად წინააღმდეგობას უწევდნენ (და აგრძელებენ წინააღმდეგობას) ფონეტიკური სიმბოლიზმის ახალ მიმდინარეობას. ის ცალკეულ ბგერებს მიაწერს სიმბოლურ ანუ ექსპრესიულ მნიშვნელობას: i პატარა საგნების ან არსებების წარმოდგენას იწვევს, o და a—დიდების, c —სრიალა საგნებისა და მოქმედებების. აგრეთვე ზიზღის და ა. შ. ყოველი დღე ჭარბად იძლევა მსგავსი ექსპრესიული წარმონაქმნების დამამტკიცებელ საბუთებს და მათი უარყოფა არც ერთ გონიერ ადამიანს არ შეუძლია. ისინი ძლიერ კარგად ეგუებიან ენის. როგორც პოეტური ქმნილების ნეოლინგვისტურ პოზიციას. პოეტური ჰარმონიის, თვით პოეზიის საიდუმლოება, როგორც ჩანს, ძევს ბგერისა და მნიშვნელობის იდუმალ კავშირში, როგორც ეს მტკიცდება იმ ფაქტით, რომ ჰომეროსის, შექსპირის ან დანტეს სილამაზის დიდი ნაწილი თარგმანებში იკარგება, თუკი მთარგმნელი თვითონ არ არის პოეტი, რომელიც ქმნის

---

[1] ტ. გუდაია, ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის თეზისები, 1958 წ., გვ. 15—16.

ახალ პოეტურ ჰარმონიას ძველის ადგილზე. მე, როგორც ნეოლინგვისტი, მთელი არსებით ხელს ვაწერ ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიას"[1].

ცალკეულ ბგერათა დამოუკიდებელ „ღირებულებას" ან „გამომხატველობას" არც საბჭოთა ენათმეცნიერები უარყოფენ, თუმცა მათი უმრავლესობა მას არ ანიჭებს ისეთ მნიშვნელობას როგორც ზემოთ დასახელებული ავტორები. ასე მაგალითად, დ. შმელევი წერს: რეალურ ენაში, სადაც ბგერები არ წარმოადგენენ საკუთარი მნიშვნელობების მქონეს, მათ საკუთარ „გამომხატველობას" მნიშვნელოვანი როლის შესრულება არ შეუძლიათ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცდა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა, განესაზღვრათ ბგერების საკუთარი „მნიშვნელობა" (მაგალითად, იმის დადგენა, თუ თითოეულ ხმოვანს ან თანხმოვანს თავისთავად როგორი ემოციებისა და წარმოდგენების გამოწვევა შეუძლია) მთლიანად გაუგებრობასა და ილუზიებზეა დაფუძნებული. მეტყველების ბგერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი მატერიალური ბუნებით და უეჭველია, ისინი რაღაცა ხარისხით განსხვავდებიან აგრეთვე, პირობითად რომ ვთქვათ, თავიანთი ემოციური გამოშხატველობითაც. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი ენაში ისე არ ფუნქციობენ, რომ შეიძლებოდეს ეს გამომხატველობა იმ კონკრეტულ სიტყვათა მნიშვნელობების გარეშე გამოვლინდეს, რომლის გაფორმებაშიაც ისინი მონაწილეობენ[2].

ცალკეული ფონემების პიქტორალური შესაძლებლობების, ცალკეული ფონემების სიმბოლური ღირებულების შესახებ მსჯელობას მხოლოდ ენათმეცნიერთა შორის არ ვხვდებით. შესაძლოა უფრო მეტ დაინტერესებას ამ საკითხით ფსიქოლოგები ავლენდნენ. საქმე იმაშია, რომ ეს საკითხი უკანასკნელი 40—50 წლის განმავლობაში ინტენსიური ექსპერიმენტული კვლევის ობიექტია ფსიქოლოგიაში.

---

[1] G. Bonfante, The Neolinguistic Position. "Language", vol. 23, 1947, № 4. ციტატა მოყვანილია რუსული თარგმანის მიხედვით Дж. Бонфонте — Позиция неолингвистики; В. А. Звегинцев — История языкознания XIX — XX веков в очерках и извлечениях, ч. I, 1964, изд. III, стр. 355.

[2] О. Н. Шмелев, Очерки по семасиологии русского языка, 1964 г., стр. 162.

ამ კვლევის შედეგებსა და მათ ღირებულებაზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება მსჯელობა, ამჟამად კი თქმულით დავკმაყოფილდეთ.

ცალკეული ფონემების სიმბოლიზმის შესახებ მოსაზრებას ერაკალი მოწინააღმდეგე ჰყავს. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს არა მარტო ის, ახასიათებს თუ არა ცალკეულ ფონემებს სიმბოლიზმი, არამედ ამ სიმბოლიზმის ბუნებაც დისკუსიის ობიექტს წარმოადგენს. ზოგიერთს მიაჩნია, რომ იგი უნივერსალური ხასიათისაა, ზოგი კი მას ლინგვისტური ჩვეულებრივ განპირობებულად თვლის და სხვ. ამ აზრთა სხვადასხვაობის ზოგიერთ მხარეზე ჩვენ შემდგომ შედარებით ვრცლად გვექნება მსჯელობა. აქ კი იმის საილუსტრაციოდ, თუ საერთოდ რა ხასიათისაა ის კრიტიკული მოსაზრებები, რომლებიც ჩვეულებრივ ამ მტკიცების საწინააღმდეგოდ არის ხოლმე წამოყენებული, ერთი მაგალითით დავკმაყოფილდებით.

„ჰ. კრონასერი თავის მიმოხილვით შრომაში სემასიოლოგიაზე, წერს კ. ლევკოვსკაია, ცდილობს, თუმცა უშედეგოდ, დაამტკიცოს, რომ მაგალითად, (გერმანული) ხმოვნები u და o თავიანთი ბუნებით შიშთან და მწუხარებასთან არიან დაკავშირებულნი, ხოლო ხმოვნები i და e—მხიარულ გრძნობებთან. ასეთი ცდა წარმატებას ვერ აღწევს იმიტომ, რომ მას ეწინააღმდეგება სხვადასხვა ენების ფაქტები, მათ რიცხვში გერმანულისაც, და თვით ჰ. კრონასერს შაშინვე უხდება იმის აღიარება, რომ ზედსარდაგ სახელს gut — „კარგი", რომელიც თავის ყღერადობაში u ხმოვანს შეიცავს, თავისი მნიშვნელობით არაფერი აქვს საერთო არსებით სახელებთან wut — „სიშმაგე" და Blut — „სისხლი", რომელთა ყღერადობაც იმავე ხმოვანს შეიცავს". და შემდეგ: „მართალია, ჰ. კრონასერი ფონემების მიმართ სემანტიკურ მნიშვნელობაზე ძირითადად ლაპარაკობს მხოლოდ აფექტურ, ემოციურ პლანში, მაგრამ საკმარისია ერთმანეთს შევუდაროთ ფონემები და შორისდებულები, რათა დავრწმუნდეთ, რომ ფონემა ამა თუ იმ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სიტყვის ყღერადობაში გვევლინება. ყველა სხვა შემთხვევაში, რაც თქმულა ფონემის აფექტურ მნიშვნელობაზე, კერძოდ კრონასერის მიერაც, არავითარი კავშირი არა აქვს ენობრივ მნიშვნელობასთან და ამიტომაც ფონემები შეიძლება შევუდაროთ არა ენის მნიშვნელობის მქონე ელემენტებს, არამედ მუსიკალურ ბგერებს, რადგანაც მათ თავისთავად რაიმე, თუნდაც ყველაზე მარტივი, აზრის

გადმოცემა არ შეუძლიათ და აქვთ მხოლოდ ამა თუ იმ შთაბეჭდილების გამოწვევის უნარი"[1]. „მართლაცდა, მაგალითად, ინგლისური გრძელი i(i:)-ს რომ რაიმე სემანტიკა ჰქონდეს, მაშინ ვერ შევიდოდა ისეთი აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვების ჟღერადობაში, როგორიცაა sea(si:) — „ზღვა" და flea(fli:) — „რწყილი" ანდა tea(ti:) — „ჩაი"... ასე რომ, ენის ბგერებისადმი რაიმე მნიშვნელობის მიწერა არათუ არაფრით მტკიცდება, უფრო მეტიც ეგი წინააღმდეგობაში მოდის თვით ენის ბუნებასთან"[2].

როდესაც საკითხი ეხება ცალკეული ფონემების პიქტორალურ შესაძლებლობებს, მათ სიმბოლურ ღირებულებას, ვითარება უფრო რთულია, ვიდრე ეს ლევკოვსკაიას ზემომოყვანილი მსჯელობიდან ჩანს. ამ საკითხს მეხუთე თავში ჩვენ უფრო დეტალურად შევეხებით. ამჟამად კი მხოლოდ იმის მითითებით დავკმაყოფილდებით, რომ ლევკოვსკაიას მიერ მოყვანილი არგუმენტი, და არა მხოლოდ მისი, რადგანაც ანალოგიურ არგუმენტებს მრავალი სხვა ავტორიც აყენებს, არც ერთი ზემოდასახელებული ავტორისათვის და მათ შორის კრონასერისათვისაც არ არის ახალი. და თუ ამის მიუხედავად მაინც ლაპარაკობენ ცალკეული ფონემების სიმბოლური ღირებულების შესახებ, როგორც ჩანს, ამას აქვს თავისი საფუძველი, თუნდაც იგი. ლევკოვსკაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამა თუ იმ შთაბეჭდილების გამოწვევის უნარი" და არა „აზრის გადმოცემა" იყოს.

ამ საკითხის უფრო სისტემატური კვლევა აწარმოა მ. შასტინგმა. მან შეისწავლა ფონემათა შედგენილობა სინათლე-სიბნელის გამომხატველ სიტყვებში ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენებში. ამ მიზნით ამოკრიფა ამ ენებიდან ასეთი მნიშვნელობების სიტყვები, აღრიცხა მათში შემავალი ფონემები და დაადგინა ამ ფონემათა განაწილება. აღმოჩნდა, რომ სიტყვების ამ ორ ჯგუფში გამოყენებულ ფონემათა შორის სხვაობა სტატიკურად მნიშვნელოვანია და რომ მას აქვს „სიმბოლური ღირებულება". სახელდობრ, ინგლისელები, ფრანგები და იტალიელები სინათლესთან დაკავშირებული ლექსიკის შესაქმნელად უფრო ხშირად ხმარობენ წინა ანუ ნათელ ბგერებს, სიბნელის ლექსიკისათვის კი უკანა ანუ ყრუ ბგერებს[3].

---

[1] К. А. Левковская. Теория слова, принципы ее построения и аспекты изучения лексического материала, М., 1962 г., стр. 100—101.

[2] იქვე, გვ. 96.

[3] M. Chastaing, La brillance des voyelles, Archivum Linguisticum, 1962.

უფრო გვიან შასტინგმა იკვლია ინგლისურ და ფრანგულ ენებში გამოყენებულ ხმოვან ბგერათა სიმბოლიზმი ისეთ მიმართულებებში როგორიცაა ნათელი — ბნელი, პატარა — დიდი, ახლოს — შორს, მსუბუქი — მძიმე, ჩქარი — ნელი, მაღალი — დაბალი. ამ შემთხვევაშიაც გარკვეული კანონზომიერება გამოვლინდა[1]. სახელდობრ, ინგლისურ ენაში ნათელი შინაარსების აღმნიშვნელ სახელებში შემავალ ბგერებს შორის i და I შეადგენს 44 %, ხოლო α, ɔ, o, u და U—6%; ბნელი შინაარსების აღმნიშვნელ სახელებში მდგომარეობა საპირისპიროა: i და I—16%, ხოლო α, ɔ, o, u და U ბგერები კი 33%. ფრანგულ ენაში ნათელი შინაარსების აღმნიშვნელ სახელებში წინა ხმოვნები შეადგენს 43%; ხოლო უკანა ხმოვნები კი 52%; სიბნელის აღმნიშვნელ სახელებში ხმოვანთა პირველ ჯგუფზე მოდის 25%, მეორეზე კი 75%. ამ მონაცემების საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ სიმბოლიზმი ორივე ენის მიმართ დადასტურდა, თუმცა სხვადასხვაგვარი სახით. ფრანგები თავიანთ სიმბოლოთა კონსტრუირებას უფრო სხვაგვარად ახდენენ, ვიდრე ინგლისელები; სხვადასხვაგვარია ინგლისურ და ფრანგულ ენებში ლექსიკის ფონეტიკური მოტივაცია. ფრანგულ ენაში დიდ-პატარის კატეგორიის სიტყვების მიმართ, რომლებიც სინონიმთა ლექსიკონიდან ამოიკრიფა, პატარის აღმნიშვნელ სიტყვათა შემადგენელ ხმოვანთა 98%-ს შეადგენს საარტიკულაციო აპარატის წინა ნაწილით წარმოთქმული ბგერები და მხოლოდ 2% საარტიკულაციო აპარატის უკანა ნაწილით წარმოთქმული ბგერები. დიდის აღმნიშვნელ სიტყვათა ხმოვნებიდან 12% საარტიკულაციო აპარატის წინა ნაწილით წარმოთქმული ბგერებია, 88% კი—უკანი. იგივე მიმართებით შეისწავლეს სიტყვები, რომლებიც არასინონიმთა ლექსიკონიდან იყო ამოკრეფილი. იქაც მდგომარეობა ანალოგიური აღმოჩნდა მცირედი პროცენტული სხვადასხვაობით, რის საფუძველზეც ავტორი ასკვნის: იმის მიუხედავად, ვაანალიზებთ მხოლოდ ხშირად ხმარებულ სიტყვებს, თუ საერთოდ დიდ-პატარის აღმნიშვნელ სიტყვებს, იცვლება სიტყვათა რაოდენობა, მეტ-ნაკლებად იცვლება ფონემათა პროცენტული მაჩვენებლები, მაგრამ უცვლელია კავშირი — მაღალი ხმოვნები პატარა შინაარსებთან არიან დაკავშირებულნი და დაბალი — დიდებთან.

---

[1] M. Chastaing. Nouvelles recherches sur le symbolisme des voyelles, Journal de Psychologie Normal et Pathologique, no. 1. 1964.

ფრანგულ ენაში ახლოს — შორს, მსუბუქი — მძიმე, ჩქარი— ნელი, მაღალი — დაბალი მიმართებების მიხედვით მდგომარეობა ასეთია: ახლოს, მსუბუქი, ჩქარი, და მაღალი შინაარსების აღმნიშვნელ სახელებში ხმოვანთა 37% შეადგენს უკანა ხმოვნები; ხოლო გამოყენებულ ხმოვანთა 63% შეადგენს წინა ხმოვნები. შორს. მძიმე, ნელი, დაბალი შინაარსების სახელებში 67—78% მოდის აღნიშნულ ხმოვანთა პირველ ჯგუფზე, ხოლო 22—33%—მეორე ჯგუფზე. ინგლისურ ენაში „ახლოს, მსუბუქი, ჩქარი, მაღალი. პატარა" შინაარსების აღმნიშვნელ სიტყვათა სახელებში წინა ხმოვანთა რაოდენობა 36—45%-ს შეადგენს, შუა—30—32%, უკანა—25 —32%. „შორს, მძიმე, ნელი, დაბალი. დიდი" შინაარსთა სახელებში წინა ხმოვნებია 35—40%, შუა 11—14%, უკანა 46—54%. მიღებული შედეგების საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ფონემათა სიმბოლიზმი დასტურდება. იგი არ არის კორელაციაში იმ სიმბოლიზმთან, რომელმაც თავი იჩინა ექსპერიმენტულ სიტუაციაში[1]. სხვადასხვა ენაში ეს სიმბოლიზმი განსხვავებულია, სხვადასხვა ენა ლექსიკის სხვადასხვაგვარ ფოხეტიკურ მოტივაციას იყენებს.

ენის პიქტორალური საშუალებები მხოლოდ აღნიშნულით არ ამოიწურება. ასე მაგალითად: ჰორნბოსტელი ამ თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბგერის ინტენსივობასა და რითმს, ბგერის ხანგრძლივობას, ბგერის სიმაღლეს, ხმოვნის გამოკვეთილობას და სხვ. იგი მიუთითებს, რომ ინდოგერმანული ზმნური მნიშვნელობის მქონე ორმარცვლოვანი ფუძეები იამბიკური მახვილით ხასიათდებიან ძლიერი, გარდამავალი, აქტიური მნიშვნელობებით, ტროქეული მახვილით — სუსტი, პასიური, არაგარდამავალი მნიშვნელობებით. ბგერის ხანგრძლივობა, მისი აზრით, აღსანიშნის სიგრძისა და სიმოკლის მაჩვენებელია; ტონის სიმაღლის ცვალებადობა — აღმავლობისა და დაღმავლობის; მაღალ ბგერებს აქვთ სიმცირის ან სივიწროვის მნიშვნელობა, დაბალს კი სიდიდის ან სისქელის; თანხმოვნების დამახასიათებელი ნიშნები: სინათლე, სიმოკლე, სიმკვეთრე, სიმაგრე—მიუთითებენ სიძლიერეზე ან აქტივობაზე, პირიქით თანხმოვნების დროში გავრცელებულობა, სიბლანტე, სირბილე და სინაზე — სისუსტესა და პასიურობაზე [2].

---

[1] ამ ექსპერიმენტების შესახებ მსჯელობა გვექნება მომდევნო თავებში.

[2] E. M. Hornbostel. Laut und Sinn, Festschrift Meinhof: Sprachwissenschaftiche und andere Studien, 1927.

წინა ხმოვნები, აღნიშნავს რ. ბრაუნი, თავიანთი მაღალი ფორმანტებით დაკავშირებულნი არიან პატარა ზომასთან, ვიდრე უკანა ხმოვნები უფრო დაბალი ფორმანტებით. ჩვენს ირგვლივ ხეებზე დიდი შავი ყვავები დაბალ ბგერებს გამოსცემენ, იმ დროს როდესაც უფრო პატარა სწრაფი ფრინველები მაღალი ტონებით ჭიკჭიკებენ და ყღურტუნებენ. პატარა აქტიური ბავშვები მაღალი ბგერებით ყვირიან, ხოლო დიდი და ნელი მოზრდილები — დაბალი ბგერებით ლაპარაკობენ. შესაძლოა, რომ არალინგვისტურ სამყაროს გრძნობად ატრიბუტებს დაჯგუფების ტენდენცია ჰქონდეთ და ადამიანმა შეძლო ასეთი ჯგუფების ხილული ანდა შეხებითი ატრიბუტების ამავე ჯგუფის სმენით ატრიბუტებთან სიმბოლიზირება[1].

ბგერათა ჩამოთვლილი თვისებების პიქტორალურ ხასიათზე სხვა ავტორებიც მიუთითებენ, მაგ., ვ. ვუნდტი მიუთითებს, რომ ენა ევეში (სუდანური ენა) დიდი და პატარა საგანი ერთი და იგივე სიტყვით აღინიშნება, მაგრამ პირველ შემთხვევაში სიტყვა დაბალი ხმით წარმოითქმის, ხოლო მეორეში — მაღალით. საშუალო ხარისხის დაშორებულობას დაბალი ხმით გამოხატავენ, ნაკლებად დაშორებულს — მაღალით. ასევე, მრავალ სუდანურ ენაში ასეთივე წესით არის განსხვავებული სიდიდისა და დაშორებულობის სამი ნიუანსი. ამიტომ „იქ შორს" წარმოითქმება დაბალი ხმით, „იქ არა შორს"—საშუალოთი, ხოლო „აქ" —მაღალით. ანალოგიურად ტონის სიმაღლის სხვაობით გამოიხატება თვისობრივი კონტრასტებიც. მაგ., „ტკბილი" წარმოითქმება მაღალი ხმით, „მწარე" — დაბალით, ანდა ჩვენი ენებითი გვარი — დაბალი ხმით. ხოლო მოქმედება. მოქმედებითი გვარი — მაღალი ხმით. თუ გავიხსენებთ, დასძენს ვ. ვუნდტი, თუ როგორ ვუყვებით ბავშვებს ზღაპრებს, შევნიშნავთ, რომ არსებითად იგივე მეორდება. როდესაც ბავშვებს ბუმბერაზებსა და ურჩხულებს ავუწერთ — ხმას ვადაბლებთ, თუ არენაზე ფერიები, ელფები, ჯუჯები გამოდიან — ხმას ვიმაღლებთ. ანდა თუ ვეხებით ტანჯვასა და მწუხარებას — ხმა დადაბლებულია, მხიარული აფექტების დროსაკი — ამაღლებული[2].

ო. იესპერსენი მიუთითებს — ძლიერი გრძნობის გავლენის შედეგად, ანდა იმ მიზნით, რომ ნათქვამი სიტყვის ეფექტი გავაძლიეროთ, ჩვენ ტენდენცია გვაქვს გავაგრძელოთ და გავაძლიეროთ ერ-

---

[1] R. Broun, Words and Things. 1958. p. 132.

[2] В. Вундт, Элементы психологии народов, 1913 г. стр. 48—49.

თეული ბგერები, მაგ., სიტყვაში long ხმოვანი ბგერა შეიძლება გავაგრძელოთ[1].

ინტონაციის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ჰ. ვერნერიც. საილუსტრაციოდ ასახელებს ჩინურ ენას, რომელშიაც ინტონაციას დიდი როლი ენიჭება, მაგ., ჩინურ ენაში გაყიდვისა და ყიდვის აღსანიშნავად ერთ სიტყვას იყენებენ, სხვადასხვაა მხოლოდ ინტონაცია[2]. მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ გაყიდვისა და ყიდვის აღმნიშვნელი სიტყვისათვის კი არ არის სპეციფიკური, არამედ როგორც ლ. უსპენსკი აღნიშნავს, მთელი ლექსიკისათვისაც. ჩინური ენის ყოველი სიტყვა შეიძლება წარმოთქმულ იქნეს ოთხი სხვადასხვაგვარი, ზოგიერთ დიალექტებში კი 9 სხვადასხვა ინტონაციით, მარცვალი მნიშვნელობის მატარებელ სიტყვად იქცევა და ფრაზაში შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, თუ იგი გარკვეული ინტონაციით წარმოითქმება, იმისდა მიხედვით როგორია ინტონაცია, განსხვავებულია სიტყვის მნიშვნელობა. მაგალითად, მარცვალი „მა“ ჩინურ ენაში, თუ იგი ერთი ინტონაციით (ტონით) წარმოითქმის, ნიშნავს დედას, მეორენაირი ინტონაციით—კანაფს (მცენარე), მესამენაირით — ან ჭიანჭველას, ან აქატს, მეოთხე ინტონაციით — შეიძლება ითარგმნოს როგორც ლანძღვა[3]. ენაში აუცილებელია, აღნიშნავს კ. ბიულერი პატივისცემით მოვექცეთ ყოველი სიტყვის უფლებას. აუცილებელია, სიტყვის ფონემის ყოველი ფონოლოგიური ნიშანი რეალიზებულ იქნას საკმარისი სიზუსტით და გარკვეული წესით. მაგრამ ყოველ ფონემას გააჩნია რეალიზაციის ველი, რომლის შიგნით შეიძლება პიქტორალურად იყოს მოდელირებული ბგერითი მასალა. ფონემების თამაში თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიაც არ ხორციელდება ენის ის ფონოლოგიური კანონები, რომელნიც ამ ენისათვის არ არის მნიშვნელოვანი. თუ, მაგალითად, ენა სხვადასხვა ინტონაციებს არ იყენებს როგორც თავისი ვოკალური სისტემის დიაკრიტიკულ ელემენტებს, მაშინ ბგერებით ხატვას მთელი თავისუფლება ეძლევა იმისათვის, რომ მოგვცეს მელოდიური ნიუანსები. მართლაც, ფრაზის და სიტყვის მელოდიის მნიშვნელოვანი ნაწილი პრინციპში ფონოლოგიურად თავისუფალია; ვინაიდან მხოლოდ იზოლირებული ხმოვანი ბგერები ატარებენ ენებში ინტო-

[1] O. Jesperson. Language: Its Nature..., London. 1922.
[2] H. Werner. Change of Meaning: A Study of Semantic Processes Through the Experimental Method. The Journal of General Psychology. Бо. 1954.
[3] Л. Успенский. Слово и словах. 1962, стр. 306.

ნაციის ესპანურ ჩექმებს, მხოლოდ მათ აქვთ განკუთვნილი მელოდიური მიმდინარეობა[1].

ენას, გარდა ბგერებისა, აქვს აგრეთვე რითმის, მუსიკალობის, თანაყოლერადობის ელემენტები, აღნიშნავს ბოგოროდიცკი, რომლებიც სიტყვას სილამაზეს სძენენ და შესაძლებლობას უქმნიან მას, მიიღოს მხატვრული განვითარება[2].

ამრიგად, ფაქტია, რომ ყოველ ენის ლექსიკაში საკმაო რაოდენობით მოიპოვება სიტყვები (ისეთი რაოდენობით, რომ მათთვის ანგარიშის არ გაწევა არ შეიძლება), რომელთა ბგერითი ძხარე და მნიშვნელობა ამ ენაზე მოლაპარაკეთა მიერ ურთიერთშესაფერისად, ურთიერთშესატყვისად, ურთიერთმორგებულად განიცდება. ენაში გამოყენებული პიქტორალური საშუალებანი, რომელთაგან ზემოთ მხოლოდ ზოგიერთზე იყო მსჯელობა, მრავალნაირია. ამ პიქტორალური საშუალებებით მიიღწევა სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის სხვადასხვა ხარისხი, რის გამოც ძნელდება ამ ურთიერთშესატყვისობის გავრცელების არსის დადგენა. ამ სიძნელეს ისიც ქმნის, რომ არსებული პიქტორალური საშუალებანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარი ხარისხით გამოიყენება. მაშასადამე, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ის ვარაუდი, რომ სახელისა და მნიშვნელობის ერთმანეთის შესატყვისად განცდა მხოლოდ ექსპერიმენტული სახელდებისათვის არ უნდა იყოს სპეციფიკური, იგი ასევე დამახასიათებელი უნდა იყოს ბუნებრივი სახელდებისათვისაც და შესაძლოა, არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შესატყვისობა ხელშესახებად გამოიყურება.

ამ ვარაუდის უმართებულობის დასამტკიცებლად არ გამოდგება არგუმენტი, რომ ასეთ სიტყვათა დიდი უმრავლესობა გვიანი წარმოშობისაა. ამ არგუმენტს შეესაძლოა ძალა ჰქონდეს ენის წარმოშობის ბგერითი წაბაძვის და შორისდებულთა თეორიების წინააღმდეგ,

---

[1] K. Bühler, L' onomatopée et la fonction représentative du langage. Journal de Psychologie. 1953.

[2] В. А. Богородицкий, Наука о языке и ее положение в кругу историко-культурных наук. См. В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях. ч. I, 1964 г.

'მაგრამ არ გამოდგება ასეთი სიტყვების კანონზომიერი სახელდების გზით წარმოშობილობის უარსაყოფად.

ამ ვარაუდის უარსაყოფად არც ის არგუმენტია საკმარისი, რომ ამ სიტყვების ნაწილმა ასეთი პიქტორალური მომენტები მხოლოდ შემდგომი ფონეტიკური ცვლილებების შემდეგ შეიძინა. მართლაც და, შესაძლოა ეტიმოლოგიურმა ძიებამ გვიჩვენოს, რომ იმ ლინგვისტურ ფორმებში, რომლებიდანაც პიქტორალური მომენტების შემცველი ცალკეული სიტყვები წარმოიშვნენ, ასეთი პიქტორალური საშუალებები არ იყო გამოყენებული. მერედა რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? სვამს კითხვას კ. ბიულერი და პასუხობს — ჯერ ერთი, რა საფუძველი გვაქვს დაშვებისათვის, რომ ის წყაროები, რომლებსაც ეს მტკიცება ემყარება, პირველადი ვერბალური წარმონაქმნებია და თავის მხრივ არ არიან დაქვემდებარებულნი გარკვეულ ცვლილებებს. მეორე — თუ ობიექტის ბგერითი ხატვის ტენდენცია ფაქტია, რის კონსტატაციაც შესაძლებელი ხდება ამ სიტყვების შემდგომ ისტორიაში — საიდან გაჩნდა ის? თუ ეს ტენდენცია შემდგომ პერიოდში შეინიშნება, ივი აუცილებლად უნდა არსებულიყო დასაწყისშიც[1].

მართლაცდა, თუ სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა ენისათვის სპეციფიკური არ არის, რატომ წარიმართა ფონეტიკური ცვლილებები ამ მიმართულებით, თუ სახელის ფუნქცია მხოლოდ აღნიშვნაა და არა გამოხატვაც, რატომაა, რომ თავდაპირველი. თუნდაც მხოლოდ აღმნიშვნელი ბგერათა კომპლექსი შემდგომ გამომხატველადაც გადაიქცა. თუ არა სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის საჭიროებით, სხვანაირად — მხოლოდ შემთხვევითობით — ვერ ავხსნით ასეთ ფონეტიკურ ცვლილებებს, მითუმეტეს, რომ ხშირად მსგავს სახეცვლილებებს, როგორც პაულის ბიერ მოყვანილი ზემოდასახელებული მაგალითებიდანაც ჩანს, არაფერი აქვთ საერთო ბგერების ჩვეულებრივ განვითარებასთან.

თუკი ენაში განვითარების უფრო გვიანდელ საფეხურებზე იგრძნობა სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის საჭიროება და ამ საჭიროებისათვის სიტყვახმარების ტრადიციის ძლიერ მოქმედი ტენდენციის საწინააღმდეგოდაც კი სიტყვათა ფონეტიკური მხარე ექვემდებარება მთელ რიგ ცვლილებებს, ეს იმაზე უნდა მიუ-

---

[1] K. Bühler, L'onomatopée et la fonction représentative du langage. Journ. de Psychologie. 1933.

თითებდეს, რომ ასეთი შესატყვისობის საჭიროებიდან არც პირველადი სიტყვები უნდა ყოფილიყვნენ თავისუფალნი. თუკი ჩამოყალიბებული აბსტრაქტული აზროვნების პირობებში, რასაც ადგილი აქვს ენის განვითარების გვიანდელ პერიოდებში, იგრძნობა სახელისა და მნიშვნელობის შესატყვისობის საჭიროება, რაც მოწმობს, რომ ასეთი აზროვნების დონის პირობებშიც კი ბგერათა კომპლექსი, როგორც მხოლოდ აღმნიშვნელი, თავის დანიშნულებას საკმარისად ვერ ასრულებს, ასეთი საჭიროება გაცილებით მეტი იქნებოდა თავდაპირველი სიტყვაქმნადობის პროცესში. ასეთი სიტყვაცვლილებები. პაულის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხოლოდ ონომოტოპოეტური ინსტინქტით შეიძლება აიხსნას“ და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს „ინსტინქტი“ თავის მოქმედებას მხოლოდ განვითარების შემდგომ პერიოდში არ ავლენს, რომ იგი მეტყველების პირველადი თავისებურებაა და არა მეორადი, რომ იგი კანონზომიერი და ბუნებრივია ენის ლექსიკისათვის, სპეციფიკურია განვითარების როგორც ადრინდელი ასევე უფრო გვიანდელი პერიოდებისათვის. ამიტომაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული აღნიშვნისა და გამოხატვის ალტერნატიული დაპირისპირება, ისინი ერთად უნდა ფუნქციობდნენ, ერთიმეორეს ავსებდნენ, ერთ მიზანს — აზრის ადეკვატურ გამოხატვას და სხვისთვის გაზიარებას — ემსახურებოდნენ. ეს, ცხადია, არ გამორიცხავს, რომ სხვადასხვა სიტყვების მიმართ მათი ხვედრითი წონა სხვადასხვა იყოს, ისევე, როგორც შესაძლოა სხვადასხვაა მათი როლი ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

ამრიგად, სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა მხოლოდ სახელდების ექსპერიმენტული პირობებისათვის არ უნდა იყოს სპეციფიკური, იგი ასევე დამახასიათებელი უნდა იყოს ენის ლექსიკისათვისაც.

2. სახელდების ექსპერიმენტული კვლევის დროს გამოირკვა, რომ სახელი და მნიშვნელობა ერთმანეთს მექანიკურად კი არ უკავშირდებიან, არამედ ზემოქმედებენ ერთიმეორის განცდაზე, რის შედეგადაც ცნობიერებაში წინა პლანზე ურთიერთშესატყვისი, ურთიერთშესაფერისი მომენტები წამოიწევა.

სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთზემოქმედება მხოლოდ სახელდების ექსპერიმენტული სიტუაციისათვის არ უნდა იყოს სპეციფიკური. ეს კანონზომიერება ბუნებრივ სახელდებასაც უნდა ახასიათებდეს და არათუ მხოლოდ სახელდებას, არამედ შემდგომ პერიოდში — ფუნქციონირებაში მყოფი სიტყვებისათვისაც არ

უნდა იყოს უცხო. სანიმუშოდ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ რამდენიმეთი.

ჰ. ვერნერი თავის ცდისპირებს, რომლებიც გარდა მშობლიური ენისა სრულყოფილად ფლობდნენ ერთ ან რამდენიმე სხვა ენასაც, აწვდიდა სხვადასხვა სიტყვებს და სთხოვდა, აეწერათ, თუ რა ფიზიოგნომიებს იწვევდნენ ისინი მათში. ცდისპირების მიერ გერმანული სიტყვა Seife — „საპონი" განიცდებოდა როგორც რაღაც ბალამოსებური, წელვადი, ე. ი. ბევრად უფრო მდგომარეობის გამომხატველი, ვიდრე უშუალოდ საგნის. ამის საპირისპიროდ ცდისპირების მიერ ფრანგული სიტყვა savon—„საპონი" განიცდება უფრო როგორც საგნობრივი რამ. მაგ., როგორც კუთხოვანი ან წრისებური ნაჭერი.

გერმანულ სიტყვაში Holz — „ხე" არის რაღაც ნამსხვრევისებური, რბილი, არამკვრივი ხე. ფრანგული bois ეღერს როგორც მაგარი და მკვრივი. გერმანული Silber — „ვერცხლი" განიცდება, როგორც ბრჭყვიალა, ცივი და მახვილი, ფრანგული argent — გერმანულის საწინააღმდეგოდ ბევრად უფრო გაფორმებულია როგორც მაგ. კოვზი, თეფში. შესაბამისად, გერმანელის მიერ „ვერცხლი" ხშირად გრაფიკულად სიმბოლიზირებულია როგორც ტეხილი ხაზი, ფრანგული ვერცხლი კი ერთი ცდისპირის მიერ რომბისებურად. ფრანგული triste— „მწუხარება" ბევრად უფრო თავშეკავებულად, მშვიდად განიცდება, ვიდრე გერმანული — traurig. ფრანგული crier — „ყვირილი" უეცარი, სწრაფი რეაქციაა, ზუსტი და მომენტალური, გერმანული schreien — დროში განუსაზღვრელი სხეულებრივი მდგომარეობა [1]. გერმანულ hören-ში გარეთ მყოფი საგნებისაკენ ინტენსია იგრძნობა, თითქოს ყურის საშუალებით საგნის მიმართ გამიზნა და საგნის ყურის მიმართ უკუგამიზნა. ამ ფონემებში მოცემულია მეტ-ნაკლებად ზუსტი მიმართულება. რუსულ სიტყვაში слушать, როგორც ერთი ცდისპირი მიუთითებდა, თითქოს ეღერადობაში იგრძნობა როგორც გარედან, ასევე შიგნიდან მომდინარე ტონის მოცვა, აქ არ არის რაიმე გარკვეული მიმართულება, არამედ მოიცავს ყველა მხარეს, ამ ღრმა у-დან ნაკადები მიდის ყველა მიმართულებით [2].

---

[1] H. Werner. Über die Sprachphisiognomik als einer neuner Methode der vergleichenden Sprachbetrachtung, Zeitschrift Psychologie, 109. 1928. s. 352—354.

[2] იქვე, გვ. 359.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ექსპერიმენტში ვერნერის მიერ ყოველდღიური ცნობებია გამოყენებული, რომელთა ხმარებაც ადამიანს სისტემატურად უხდება. ამასთან შესადარებელი სიტყვების წყვილები, მაგ., hören და слушать თავისთავად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან თავიანთი მნიშვნელობებით. ამის მიუხედავად, ერთი და იგივე ცდისპირის ცნობიერებაში, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ბგერათა კომპლექსი გამოდის ამ მნიშვნელობის წარმომადგენლად, იგი მეტ-ნაკლებად იცვლის სტრუქტურას და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ნიუანსებიც კი იწევს წინა პლანზე. მნიშვნელობის სტრუქტურის ასეთი ცვლა, თუ არა მაპზე ბგერათა კომპლექსის ზემოქმედებით, სხვაგვარად გაუგებარია. სიტყვის ბგერითი მხარის გავლენა მნიშვნელობაზე და მისი სპეციფიკური სტრუქტურით წარმოდგენა ყოველთვის არ არის ადვილად შესამჩნევი, როდესაც იგი იზოლირებულად გვეძლევა. მაგრამ თუ მას სხვა სიტყვებთან მიმართებაში მოვიყვანთ, განსაკუთრებით კი დიალექტში იმავე მნიშვნელობის აღსანიშნავად გამოყენებულ სიტყვასთან ერთად, ხშირ შემთხვევაში იგი საკმაოდ გამოკვეთილად შეიმჩნევა. სანიმუშოდ ავიღოთ სიტყვები — კვახი და გოგრა. კვახი კუთხური სიტყვაა, რომელიც იხმარება საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იგივე მნიშვნელობით, როგორც ლიტერატურულ ენაში გოგრა. თითოეულ მათგანზე დაკვირვებით ძნელია იმის თქმა, ისინი რაიმე გავლენას ახდენენ თუ არა მნიშვნელობაზე და რაში მდგომარეობს ეს გავლენა. მაგრამ გარკვეულ კონტექსტში იგი ადვილად შეიმჩნევა. დ. შენგელაია თავის რომანში „სანავარდო" მე-17 თავს ასეთი სიტყვებით იწყებს: „საღამო იყო კვახისფერი" [1]. შესაძლოა, ცოტა ეუხერხულოს მკითხველს ასეთი შედარება. მაგრამ იგი მაინც გასაგებია და ავტორს შედარების უვარგისობაში ვერ ვუსაყვედურებთ. მაგრამ იგივე წინადადება ლიტერატურული ქართულით რომ ყოფილიყო — „საღამო იყო გოგრისფერი" საყვედურისაგან ალბათ თავს არავინ შეიკავებდა. თუ საღამო შეიძლება იყოს კვახისფერი, რატომ არ შეიძლება იყოს გოგრისფერი. კვახიც და გოგრაც ერთი და იგივეა, მაგრამ საღამო კვახისფერი შეიძლება იყოს გოგრისფერი კი არა. როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე მნიშვნელობა ერთი სახელით სხვაგვარად წარმოგვიდგება, მეორეთი კი—სხვაგვარად. ეს სხვადასხვაობა სახელის მნიშვნელობაზე ზემოქმედებით არის გამოწვეული

---

[1] დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, სანავარდო, 1934. გვ. 182.

და ამ ზემოქმედების გამოვლინება მხოლოდ სპეციფიკურ ვითარებაში გახდა შესაძლებელი.

სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთზემოქმედება რომ ჩვეულებრივი მეტყველებისათვისაც არ არის უცხო, განსაკუთრებით კარგად ჩანს ევფემიზმის და ტაბუს შემთხვევაში. ტაბუსა და ევფემიზმის შესახებ ბრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ვრცელი მსჯელობის გაშლა, მაგრამ ჩვენ ვამჯობინებთ ამ საკითხთან დაკავშირებით ენათმეცნიერის მოსაზრებათა მოტანას. გრძნობა, რომელსაც სიტყვა იწვევს, წერს ა. ჩიქობავა, „ზოგჯერ ისე განუყრელია სიტყვასთან, რომ ჩნდება მისწრაფება სხვა სიტყვით შეიცვალოს მანამდე ხმარებული. ასეთია ევფემიზმის დასაბამი: „კარგი სიტყვით“ სურთ შეცვალონ „უხეირო“, უზრდელი, „სათაკილო“; „მიცვალებულის გვამი“— „ნეშტი“... „ნიფხავი“ — „ქვედა თეთრეული“... „ფეხისადგილი“ — „საპირფარეშო“... „ფსელი“ — „შარდი“ — ურინა (ლათ urina)... და ბრავალი სხვ.

ევფემისტური მოტივაცია უდევს საფუძვლად ახალ სიტყვათა შემოღებას ტ ა ბ უ -ს შემთხვევაში: გველი — „უხსენებელი“ (მეგრ. უჩაღართამი — „შავჩოხიანი“)... აღსანიშნის (საგნის) მიერ გამოწვეული შიში ბოიკავს სათანადო სიტყვას (სახელს), სახელის წარმოთქმა თითქოს დასახელებულ საგანს აჩენს... გამოსავალი: სხვა სიტყვა შეურჩიონ საგანს, თუ მაინცდამაინც აუცილებელი იქნება მისი ხსენება. ეს „სხვა სიტყვა“ „ახალი სახელია“. მას ძველის სახიფათო თვისება არ გააჩნია, ის არსებითად ევფემისტურია.

ევფემისტურ სიტყვახმარებასა და ტაბუ-თი გამოწვეულ ახალ სიტყვათა შემოღებას ერთი რამ განასხვავებს: ევ ფ ე მ ი ზ მ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ა ხ ა ლ ი ს ი ტ ყ ვ ა მ ა ლ ე კ ა რ გ ა ვ ს თ ა ვ ი ს უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ა ს დ ა ი ს ე ვ შ ე ს ა ც ვ ლ ე ლ ი ხ დ ე ბ ა (ხაზგასმა ჩვენია — ა. ბ.): საპირფარეშოთი შეცვალეს „ფეხის ადგილი“, მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ ევფემიზმია, სათანადო საგანი მასშიაც არაა პირდაპირ, უხეშად, დახასიათებული. რუს. „отхожее место“ „ფეხის ადგილს“ ეტოლება, მისი შემცველი „уборная“ ადგილს უთმობს „კლოზეტ“-ს, მაგრამ ესეც უხერხული სიტყვის შთაბეჭდილებას ტოვებს და „ორი ნოლით“ („два ноля“), იცვლება.

ევ ფ ე მ ი ს ტ უ რ ი ს ი ტ ყ ვ ა დ ღ ე ს ო კ ლ ე ბ ა. ტაბუ-თი

გამოწვეული სიტყვები გაცილებით მეტხანს ძლებს, ადვილად არ იცვლება. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ ტაბუ-ს გამო შემცველ სიტყვებსაც იშვიათად ხმარობენ; ევფემისტურ სიტყვებში კი ხშირად სახმარიც გამოერევა და ეს სიტყვებია სწორედ, ყველაზე მეტად რომ იცვლება"[1].

ევფემიზმის არე, როგორც შეუთითებს ლ. ბულახოვსკი, საკმაოდ ფართოა და არ შემოიზღუდება მხოლოდ ცრურწმენასთან და პირად ტუალეტთან დაკავშირებული სიტყვებით[2].

ტაბუ, წერს დ. შმელევი, მხოლოდ პირველყოფილ ხალხებში არ შეინიშნება, იგი არც მხოლოდ ერთგვარ გადმონაშთად შეიძლება იქნეს კვალიფიცირებული. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად იცვლება მისი ხასიათი, მაგრამ ცალკეული სიტყვების ანდა სიტყვათა ჯგუფის აკრძალვას ადგილი აქვს თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაშიც. ასეთი აკრძალვის მაგალითები კარგად არის ცნობილი და მათზე შეჩერება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს. მაგრამ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი არასასურველი სახელების ევფემისტური ელემენტები, თავის მხრივ ჩვეულებრივ, ხშირად იმოსებიან იმავე ნიუანსებით, რომლებიც გვაიძულებდნენ თავი აგვერიდებინა ამ საგნებისა და მოვლენების ადრინდელ სახელთა ხმარებისათვის და, მაშასადამე, ახლა თვითონაც საჭიროებენ ახალ შეცვლას. ამრიგად, სიტყვათა ზოგიერთი ჯგუფი, მიუხედავად მათი თავდაპირველი მნიშვნელობისა, თანდათანობით „ლიტერატურულ" ხმარების ფარგლებს იქით გადაინაცვლებს[3].

ევფემიზმის და ტაბუს შემთხვევაში „კარგი" სახელით იცვლება „უხეირო", რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ხნის შემდეგ (განსაკუთრებით ევფემიზმის შემთხვევაში) „უხეირო" ხდება და საჭიროა ახალი „კარგი" სახელით შეცვლა და ა. შ. რას ნიშნავს „კარგი" სახელი, ან რატომაა ადრე ხმარებული „უხეირო". თავისთავად სახელი, როგორც ბგერათა კომპლექსი, არც კარგია და არც უხეირო, რაც იქიდანაც ჩანს, რომ გარკვეულ პერიოდში იგი კარგი იყო და შემდეგ უხეირო გახდა. მაშასადამე, სიკარგისა და სიცუდის მიზეზი თვითონ

---

[1] ა. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, ძირითადი პრობლემები, თბ., 1945, გვ. 174—175.

[2] Л. Булаховский, Введение в языкознание, ч. II, М., 1958, стр. 50—54.

[3] Д. Н. Шмелев, Очерки по семасиологии русского языка, М., 1964, стр. 57.

ბგერათა კომპლექსი არ შეიძლება იყოს. ასევეა ობიექტიც, რომელიც ამ ბგერათა კომპლექსებით აღინიშნება. ობიექტი კარგია თუ ცუდი, ორივე შემთხვევაშია წარმოდგენილი, მაშასადამე, ვერც ის გახდის გასაგებს სახელის სიცუდესა და სიკარგეს, სახელთა ცვლის საჭიროების ფაქტს. ამ ფაქტის ასახსნელად ვერც მთქმელის ობიექტისადმი დამოკიდებულების რაგვარობა გამოგვადგება, რადგანაც ობიექტი უცვლელია, უცვლელია მისდამი მთქმელის დამოკიდებულებაც და იგი სახელთა ცვლის მიზეზად არ გამოგვადგება.

ევფემიზმისა და ტაბუს ფაქტის ახსნა შეუძლებელი ხდება, თუ სიტყვის ბგერითი მხარე წარმოდგენილი გვაქვს როგორც მხოლოდ აღმნიშვნელი. თუ სახელი მხოლოდ აღმნიშვნელია და მეტი არაფერი, თუ მისთვის სულერთია, რომელი შინაარსის აღმნიშვნელად იქნება ენაში წარმოდგენილი, მაშინ ფაქტი აუხსნელი დარჩება, რადგანაც ობიექტი, რომლის აღნიშვნაც ხდება, ყოველთვის ერთია.

„უხეირო", „ცუდი" სახელი შეიცვალა ახლით, „კარგი" სახელით. მაგრამ თუ ევფემიზმის შემთხვევებს დავაკვირდებით, ნათელი გახდება, რომ შეიცვალა არა მხოლოდ სახელი, არამედ ამ სახელთან დაკავშირებული მნიშვნელობის სტრუქტურაც. ახალმა სახელმა მნიშვნელობის სტრუქტურა შეცვალა, რის შედეგადაც იგი მოლაპარაკის ცნობიერებაში ახალი ცენტრირებული მომენტებით არის წარმოდგენილი. ეს ცენტრირებული მომენტები ნაკლებად არიან დაკავშირებულნი იმ უსიამოვნო გრძნობასთან, რომელიც თან ახლდა „უხეირო" სახელით სხვაგვარი სტრუქტურით წარმოდგენილ მნიშვნელობას და ამიტომაც იგი „კარგ" სახელად განიცდება. მაგრამ პროცესი ამით არ სრულდება. ახალი სახელით წარმოდგენილ მნიშვნელობაში სიტყვახმარების სიხშირისდა მიხედვით თანდათანობით წინა პლანზე იწევს უხერხულობასთან დაკავშირებული მომენტები და ახალი სახელი უკვე ამ მომენტებსაც წარმომადგენლობს. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ არა მხოლოდ სახელი მოქმედებს მნიშვნელობის სტრუქტურაზე, არამედ მნიშვნელობაც თანდათანობით ცვლის სახელის განცდის რაგვარობას, უკუზემოქმედებას ახდენს მასზე. თუ არა მნიშვნელობის უკუზემოქმედებით, სხვაგვარად გაუგებარია, თუ რატომ არ განიცდებოდა დასაწყისში ეს ბგერათა კომპლექსი უხერხულ მომენტებთან დაკავშირებულად და შემდგომ კი ასეთი კავშირების მქონედ განიცდება. სახელი და მნიშვნელობა ურთიერთზემოქმედებას, ურთიერთასიმილაციას ახორციელებენ, რასაც მოწმობს ამ ახალი სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებით სულ უფრო

და უფრო მზარდი უხერხულობა. ეს ურთიერთზემოქმედების პროცესი ურთიერთმორგებით სრულდება და იგი მით უფრო მალე მიიღწევა, რაც უფრო ხშირია ამ სიტყვის ხმარების შემთხვევები. ე. ი. რაც უფრო ხშირად აქვს ადგილი სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთზემოქმედებას. ამ ურთიერთმორგების შედეგად ევფემიზმის შემთხვევაში „კარგი" სახელი „უხეიროდ გადაიქცევა", საჭირო ხდება მისი შეცვლა, არაევფემიზმის შემთხვევებში კი, პირიქით, განიცდება კარგი, მნიშვნელობისათვის უაღრესად შესატყვის, „ზედგამოჭრილ", მორგებულ სიტყვად. ასეთი ახსნის სიჩქარე კარგად ჩანს ერთი და იგივე ობიექტის აღსანიშნავად ადრე ხმარებული, მაგრამ ამჟამად უკუგდებული, „უხეირო" სიტყვების ურთიერთშედარებით. ასეთი შედარება ნათელს ხდის, რომ ეს უხეირო სიტყვები, მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე ობიექტს აღნიშნავენ, არ წარმოადგენენ ერთნაირი მნიშვნელობის მატარებელ სიტყვებს. აღსანიშნავი ობიექტი ერთი და იგივეა, განსხვავებულია სახელები. მათ მნიშვნელობაში არსებული ეს სხვადასხვაობა სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას თუ არა სახელთა სხვადასხვაობით. ის ცვლილებები, რომლებიც ამ სიტყვათა მნიშვნელობებში შეინიშნება, არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ ამ სიტყვების სემანტიკური მხარის გავლენაზე, იგი მნიშვნელოვანი ხარისხით თვით ყოერადობითაც უნდა იყოს განპირობებული. როდესაც უხეირო სახელი ახალი სახელით იცვლება, ალბათ მისი ზემოქმედება მნიშვნელობაზე ძირითადად სემანტიკური მხარის მეშვეობით ხორციელდება, მაგრამ თანდათანობით იგი უკანა პლანზე გადადის და წინ იწევს სახელის ყოერადობა, რომელიც უშუალო ურთიერთობაში შედის სიტყვის მნიშვნელობასთან.

დ. შველევი ტაბუს თვლის სიტყვის მნიშვნელობის ცვლის ერთ-ერთ მიზეზად[1]. მაგრამ ის ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც საფუძვლად უდევს ტაბუს, მხოლოდ მისთვის არ არის სპეციფიკური. მისი მოქმედების არე, როგორც ჩანს, გაცილებით ფართოა. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ საერთოდ სიტყვის მნიშვნელობის ცვლა სხვა ფაქტორებთან ერთად განპირობებულია აგრეთვე სიტყვის ბგერითი მხარის მნიშვნელობაზე ზემოქმედებით, ისევე, როგორც მრავალ შემთხვევაში ფონეტიკური ცვლილებები სიტყვის ბგერით მხარეში,

---

[1] Д. Н. Шмелев, Очерки по семасиологии русского языка, М., 1964, стр. 56.

უნდა ვიფიქროთ, რომ მასზე სიტყვის მნიშვნელობის ზემოქმედების შედეგია. დღევანდელი ლექსიკის ბგერითმა მხარემ იმდენად მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა, რომ საგანგებო ძიებაა საჭირო და უმეტეს შემთხვევაში ესეც არ კმარა იმისათვის, რომ დადგინდეს მათი ეტიმოლოგიური საწყისები. რით არის განპირობებული ეს ცვლილებები, რომლებიც ხშირად ფონეტიკის კანონების ჩარჩოშიაც არ ეტევა? მისი მიზეზები ხომ არ უნდა ვეძიოთ სხვა მრავალ მიზეზთან ერთად სიტყვის მნიშვნელობის სიტყვის ბგერით მხარეზე ზემოქმედებაში? ჰ. პაულის მიერ ზემოთ დასახელებული გერმანული სიტყვის Kuckuck — გუგულის მაგალითი ამ ვარაუდის მართებულობაზე მიუთითებს. ანდა ავიღოთ ასეთი მაგალითი. ქართულ ენაში ერთი და იგივე მნიშვნელობის აღსანიშნავად ზოგი ხმარობს ბგერათა კომპლექსს — „თვისებრიობა", ზოგი „თვისობრიობა". ეს სიტყვა, როგორც ჩანს, სიტყვა „თვისება"-დან არის ნაწარმოები და ამიტომ უფრო კანონიერის შთაბეჭდილებას ტოვებს — „თვისებრიობა". მაგრამ უმრავლესობის მიერ ისმარება — „თვისობრიობა". რატომ შეიცვალა ე—ო-თი? ამ ფაქტის ახსნა ცნობილი ფონეტიკის კანონების მიხედვით არ ხერხდება. მითუმეტეს, რომ იგი ზოგიერთის მიერ ერთნაირად, ზოგის მიერ კი მეორენაირად ხმარება. სიტყვაწარმოებაში შეინიშნება ბევრი გამონაკლისი და არატიპობრივობა, რომელთა ახსნაც ფონეტიკის კანონებით არ ხერხდება. ამის საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ყველა ენიდან. ასეთი არატიპობრივი, გამონაკლისი შემთხვევები ხომ არ უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ბგერათა კომპლექსის გაფორმება და სახე დამოკიდებულია არა მარტო სამოტივაციო სიტყვაზე, სიტყვაწარმოების ენისათვის სპეციფიკურ გზებსა და საშუალებებზე, ამ ენისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ კანონებზე, არამედ აღსანიშნავი მნიშვნელობის სპეციფიკასა და სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის აუცილებლობაზეც.

ამრიგად, ჰ. ვერნერის მასალების, ტაბუსა და ევფემიზმის ფაქტის, სიტყვაწარმოების დროს ფონეტიკური ცვლილებების არატიპობრივი შემთხვევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სიტყვის ბგერითი მხარის ზემოქმედება მნიშვნელობაზე, მის მიერ ამ უკანასკნელის ასიმილაცია, ენობრივი ლექსიკისათვისაც არ უნდა იყოს უცხო. ასევე არაა უცხო მისთვის სიტყვის ბგერით მხარეზე მნიშვნელობის უკუზემოქმედება. მაშასადამე, საფუძველი გვაქვს დაშვებისათვის, რომ ისევე როგორც ექსპერიმენტულ პირობებში, ბუნებრივ პირო-

ბებშიაც სიტყვის ბგერითი მხარე, ისევე როგორც მნიშვნელობაც, ორმხრივი განსაზღვრულობით ხასიათდება; ისევე როგორც ექსპერიმენტულ პირობებში, ბუნებრივი სახელდების და არა მხოლოდ სახელდების, არამედ სიტყვის შემდგომი ფუნქციონირების პროცესშიც, ადგილი აქვს სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთზემოქმედებას, რის შედეგადაც ისინი სიტყვაში სხვაგვარი, იმისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული სახით არიან წარმოდგენილნი, ვიდრე ისინი სახელდებამდე იყვნენ. მაშასადამე, წინააღმდეგ გავრცელებული შეხედულებისა, მნიშვნელობისა და სახელის ურთიერთდაკავშირება მექანიკური ხასიათისა არ არის, სიტყვა არ წარმოადგენს ბგერათა კომპლექსისა და მნიშვნელობის უბრალო ჯამს. სიტყვა მთლიანობაა, რომლის თითოეული წევრი განსაზღვრავს ამ მთლიანობის სპეციფიკას და რომლის თითოეული წევრის რაგვარობა გარკვეული ხარისხით ამ მთლიანობაზეა დამოკიდებული.

3. სახელდების ექსპერიმენტული მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცდის პირობების ერთგვაროვნების მიუხედავად, ერთი და იგივე სახელსადები შინაარსი სხვადასხვა ცდისპირის ცნობიერებაში სხვადასხვაგვარი სტრუქტურით არის წარმოდგენილი, რაც ძირითადად ცნობიერებაში წარმოდგენილი ცენტრირებული ნიშნის სხვადასხვაობაში ვლინდება. ლოგიკური თვალსაზრისით ზოგჯერ ცენტრირებული მომენტი სახელსადებ შინაარსთან თითქმის არავითარ კავშირში არ იმყოფება. ამის მიუხედავად შერჩეული სახელის რაგვარობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ცდისპირის ცნობიერებაში წარმოდგენილი სახელსადები შინაარსის ცენტრირებულ ნიშანზე, მნიშვნელოვნდაა განპირობებული სახელსადები შინაარსის ცდისპირის ცნობიერებაში რეპრეზენტირებული სტრუქტურით.

შერჩეული სახელის რაგვარობის სახელმდებლის ცნობიერებაში წარმოდგენილი სახელსადების ცენტრირებული ნიშნით განსზღვრულობა მხოლოდ ექსპერიმენტული სახელდებისათვის არის დამახასიათებელი, თუ იგი თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს ბუნებრივი ენების სიტყვების სახელდების დროსაც; ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კარგ მასალას იძლევა ე. წ. კულტურის დაბალ დონეზე მყოფ ხალხთა ენები[1], მაგრამ არანაკლები ღირებულების მასალებს ვნახულობთ განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფ ხალხთა ენებშიაც.

მათ, ვინც პირველად უწოდეს ფრინველ სტვენიას ეხლანდელი

---

[1] Л. Леви-Брюль, Первобытное мышление, 1930 г.

ყველას მიერ აღიარებული სახელი — снегирь, წერს ლ. ბულახოვსკი, აღნიშნეს მისთვის დამახასიათებელი ერთი ნიშანი: ჩვენი ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, გარდა მისი ჩრდილოეთი ნაწილისა,— ის ზამთრის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული სტუმარია, რომელიც ჩრდილოეთიდან თოვლსა და სუსხთან ერთად მოდის. ამ ფრინველის ამავე თვისებამ მიიქცია მისი სახელმდებელი სერბიელის ყურადღება, მაგრამ მის წარმოსახვაში არა ზამთრის კონკრეტულმა ნიშანმა — თოვლმა წამოიწია წინ, არამედ საერთოდ ზამთარმა: სერბიულად ფრინველს ქვია зимовка. პირველმა გერმანელმა, რომელმაც მას სახელი უწოდა, გვერდი აუარა ამ თავისებურებას და დაკმაყოფილდა სავსებით შემთხვევითი ნიშნით: გერმანულად სტვენიას ქვია Gimpel, რომელიც მომდინარეობს ზმნა gumpen-იდან—„ხტუნვა", სტვენია, როგორც ჩანს, „მხტომელად" იყო წარმოდგენილი. სავსებით ნებისმიერია სტვენიას მეორე, როგორც ჩანს, თავდაპირველად ხუმრობით შერჩეული, გერმანული სახელწოდება — Dompfaff— „ტაძრის მღვდელი". ფრანგები ამ ფრინველს უწოდებენ le bouvreuil.

სიტყვა მომდინარეობს ლათინური bovariolus-იდან—„მწყემსი" (ძროხის): ამბობენ, რომ სტვენიები სიამოვნებით აცილებენ ჯოგს. სტვენიას მეორე ფრანგული სახელწოდება — pivoine მიეცა ყვავილის — ტყის ყაყაჩოს (პეონი) მიხედვით, როგორც ჩანს, იმ შთაბეჭდილების გამო, რომ მამალ ფრინველს მკერდი, ყელი და ლოყები ღიაწითელი ფერისა აქვს. ფერითი მომენტია წამოწეული მეცნიერულ, ლათინურ სახელწოდებაშიც pyrrhula (vulgaris), რომლის საფუძველია ბერძნული სიტყვა pyrrhós — „ალისფერი", „წითელი"[1]. ქართულში, როგორც ვხედავთ, სულ სხვა ნიშანი დაედო საფუძვლად სახელს — სტვენა.

სლავებთან სიტყვა медведь თავისი წარმოშობით ნიშნავს „თაფლისმჭამელი". ლიტველები ზოგჯერ დათვს უწოდებენ klokis—„ხუჭუჭა", „გრუზა", უფრო ხშირად lokys (გერმანული Bär ენათესაობა ლატვურ bĕras და ლატვიურ bers—„წაბლისფერი", „წაბლა")[2].

რუსები მოცხარს უწოდებენ смородина სუნის მიხედვით (შეადარ. მაგ. смород, укр. сморід). პოლონელებთან იგი იწოდება

---

[1] Л. А. Булаховский. Введение в языкознание, ч. II, М., 1958, стр. 10.

[2] იქვე, გვ. 11.

porzeczki, porzeczka ანდა krzak porzeczkwy, ე. ი. „მდინარისპირა ბუჩქი“. გერმანელებთან სახელი Johannisbeere—„იოანეს კენკრა“, ალბათ, ლეგენდარული წარმოშობისაა, ფრანგული groseille — სიტყვასიტყვით „ქოჩორა კენკრა“ [1].

ზემოთ მოყვანილი და სხვა მრავალი მაგალითის საფუძველზე ლ. ბულახოვსკი ასკვნის: ნიშანი, რომელიც სხვადასხვა - ენაში სახელს საფუძვლად დაედო შეიძლება სხვადასხვა იყოს. ლოგიკური თვალსაზრისით მათ შეიძლება არავითარი ან თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეთ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობისათვის, მაგრამ ასეთია იმ წარმოდგენების, ცნების სახელდების გზა, რომლებიც ჩვენი ყურადღების ველში ექცევა და რომელთა ფიქსაციისათვის ჩვენთვის აუცილებელია განმასხვავებელი ნიშანი, რათა ისინი ათახობით სხვებისაგან განვასხვავოთ [2].

ვფიქრობთ, მოყვანილი ამონაწერები აღარ საჭიროებს კომენტარს და ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელის რაგვარობის სახელმდებლის ცნობიერებაში წარმოდგენილი სახელსადების ცენტრირებული ნიშნით განსაზღვრულობა არა მხოლოდ ექსპერიმენტული, არამედ ბუნებრივი სახელდებისათვისაც უნდა იყოს სპეციფიკური.

ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი მასალა და მათ საფუძველზე გაშლილი მსჯელობა, ვფიქრობთ, იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ექსპერიმენტულ პირობებში გამოვლენილი თავისებურებანი არც ბუნებრივი სახელდებისათვის უნდა იყოს უცხო.

2. ექსპერიმენტული მასალები ბუნებრივი ენის ლექსიკის სახელდების კანონზომიერი ხასიათის შესახებ

ენობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივედით, რომ ვარაუდი ბუნებრივი ენის ლექსიკის კანონზომიერი სახელდების გზით შედგენის შესახებ საფუძველს არაა მოკლებული. მაგრამ ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროებს სხვადასხვაგვარ მიდგომას, მიღებული შედეგებისა და დასკვნების შემდგომ დაზუსტებასა და შემოწმებას. ამ პარაგრაფში განვიხილავთ იმ ექსპერიმენტებს, რომელთა შედეგებიც ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის საფუძველს იძლევა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ექსპე-

[1] Л. А. Булаховский, Введение в языкознание, ч. II, М., 1958 г., стр. 11.

[2] იქვე, გვ. 9.

რიმენტები, რომლებშიაც სახელდების პრობლემის კვლევის მიზნით ცდის მასალად ბუნებრივი ენების ლექსიკა გამოიყენებოდა.

ასეთი ხასიათის გამოკვლევები საწყისს იღებენ შ. ტსურუსა და ჰ. ფრისის გამოკვლევიდან[1]. ამ პატარა გამოკვლევის მნიშვნელობა, ავტორების აზრით, იმაშია, რომ მასში წარმოდგენილია კვლევის მეთოდი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სიტყვის მნიშვნელობის საკვლევად. შრომაში წარმოდგენილი მეთოდი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სიტყვის მნიშვნელობის საკვლევად არავის გამოუყენებია, მაგრამ რაც შეეხება სახელდების კვლევას, ამ მხრივ მან დიდი როლი შეასრულა. ამ გამოკვლევით საფუძველი ჩაეყარა სახელდების ექსპერიმენტული კვლევის ახალ მიმდინარეობას, რომელიც მართალია, თვით სახელდების პროცესის თავისებურებათა შესახებ ბევრს არაფერს იძლევა, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა.

ექსპერიმენტში გამოყენებული იყო 25 წყვილი იაპონური სიტყვა, თითოეული სიტყვაწყვილი ისე იყო შერჩეული, რომ შეძლების ფარგლებში ერთიმეორის საპირისპირო შინაარსები გამოეხატათ. მაგ., ჩიტი და ჭია, წითელი და მწვანე, ომი და ზავი, მოხუცი და ახალგაზრდა და სხვ. თითოეულ იაპონურ სიტყვაწყვილს მიწერილი ჰქონდა მათი შესატყვისი ინგლისური ენის სიტყვაწყვილი, მაგრამ პირველ ადგილზე მოთავსებული ინგლისური სიტყვა ყოველთვის არ შეესაბამებოდა პირველ ადგილზე მყოფ იაპონურ სიტყვას. ცდისპირს უნდა წაეკითხა თითოეული სიტყვაწყვილი და განესაზღვრა, რომელ იაპონურ სიტყვას რომელი ინგლისური სიტყვა შეესაბამება[2]. აღმოჩნდა, რომ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ცდისპირები, რომელთაც იაპონური ენა სავსებით არ იცოდნენ, ახერხებდნენ სწორად „გამოეცნოთ" იაპონურ სიტყვათა 75%.

ერთი წლის შემდეგ შ. ტსურუმ განმეორებით ჩაატარა ცდები ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე სტუდენტებზე, რომელთაც არ იცოდნენ იაპონური ენა. ცდაში გამოიყენეს 36 ანტონიმური იაპონური სიტყვაწყვილი და მათი შესატყვისი ინგლისური სიტყვები. ცდის ორგანიზაცია და ამოცანა იგივე იყო, რაც ადრინდელ გამოკვლევაში,

---

[1] Sh. Tsuru and H. S. Fries, A Problem in Meaning. Journal of General Psychology. no. 8. 1933.

[2] იაპონური სიტყვები ცდისპირებს ეძლეოდათ საერთაშორისო ტრანსკრიპციით.

იმ განსხვავებით, რომ გარდა იმისა, რომ ცდისპირები ხედავდნენ მათთვის ნაცნობი შრიფტით დაწერილ იაპონურ სიტყვაწყვილებს და მათ შესატყვის ინგლისურ წყვილებს, ოთახის უკანა ნაწილში მყოფი იაპონელი თითოეულ იაპონურ სიტყვაწყვილს ხმამაღლა წარმოსთქვამდა ორჯერ. მეორედ წაკითხვის დროს იაპონელი კითხულობდა ჯერ მეორე და მერე პირველ სიტყვას. ცდები ტარდებოდა ჯგუფური წესით. ასეთ პირობებში ცდისპირთა მიერ სწორად „გამოცნობილ" იაპონურ სიტყვათა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა 50%-ს[1].

ცდისპირთა მიერ მათთვის უცნობი ენის სიტყვათა მნიშვნელობების გამოცნობის (ამ შემთხვევაში იაპონური სიტყვების) ასეთი მაღალი ხარისხი შეუძლებელია განპირობებული იყოს მათ არჩევანთა შორის შემთხვევითი დამთხვევით. როგორც ჩანს, ცდისპირები, სიტყვათა დიდი უმრავლესობის შემთხვევაში, ახერხებდნენ ეპოვნათ რაღაც გასაღები სწორი პასუხებისათვის.

საკითხავია, ცდისპირთა მიერ უცნობი ენის სიტყვათა გამოცნობის შემთხვევების ასეთი სიხშირე, ხომ არ არის განპირობებული უცნობი ენისა და მშობლიური ენის სიტყვებს შორის შესაძლო შემთხვევითი მსგავსებით?

მართალია, იაპონური ენა ისტორიულად ინგლისურ ენასთან არავითარ კავშირში არ არის, მაგრამ საკითხის ამგვარად დასმა საფუძველს მოკლებული მაინც არ არის. საქმე იმაშია, რომ სიტყვათა საწარმოებლად ყოველ ენაში ფონემათა საკმაოდ მცირე რიცხვი გამოიყენება. ასეთ პირობებში კი სხვადასხვა ენაში გამოყენებულ ფონემებს შორის მოსალოდნელია დამთხვევა. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ ზემოთ დასახელებულ ექსპერიმენტებში მიღებული მაღალი მაჩვენებლები იყოს იაპონურ და ინგლისურ ენებში გამოყენებულ საერთო ფონემებით განპირობებული სიტყვათა შემთხვევითი მსგავსების შედეგი. ასეთი ვარაუდი სარწმუნოდ წარმოგვიდგება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ცდის მასალის შემრჩევნი კარგად ფლობდნენ როგორც იაპონურ, ასევე ინგლისურ ენებს და შესაძლოა, სავსებით უნებურად მათ სწორედ ისეთი სიტყვები შეარჩიეს, რომლებიც ფონეტიკურად მსგავსნი არიან.

---

[1] შ. ტსურუს ეს გამოკვლევა გამოქვეყნებული არ არის. მის შესახებ ცნობები მოგვყავს რ. ბრაუნის მიხედვით. იხ. R. Brown, Words and Things, 1958, გვ. 122.

ამ მიმართულებით წარმოებული მთელი შემდგომი კვლევა არსებითად წარმოადგენს აღნიშნული ექსპერიმენტების შედეგების ზოგადობის ხარისხის გარკვევის ცდას და, მაშასადამე, ამ ვარაუდის მართებულობის შემოწმების ცდასაც.

იმ მიზნით, რომ გამორიცხული ყოფილიყო ექსპერიმენტში გამოყენებულ სიტყვებს შორის შესაძლო შემთხვევითი მსგავსება, გორდონ ოლპორტმა ტსურუს მიერ გამოყენებული ანტონიმური სიტყვაწყვილები ათარგმნინა უნგრულ ენაზე და ინგლისურ-უნგრული სიტყვაწყვილებით ცდები ჩაატარა ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ცდისპირებზე[1].

გ. ოლპორტი გულისხმობს, რომ მის მიერ ექსპერიმენტში შეტანილი მეთოდიკური კორექტივი გამორიცხავს იმ შესაძლო მსგავსებას, რომელიც შეიძლება არსებულიყო ტსურუს მიერ შერჩეულ ინგლისურ-იაპონურ სიტყვაწყვილებს შორის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უნგრული ენა ისტორიულად არ არის დაკავშირებული არც იაპონურ და არც ინგლისურ ენებთან, და მეორე, მასალის შერჩევა ხდება არა ექსპერიმენტატორის მიერ, რომელმაც ორივე ენა იცის, არამედ ითარგმნება გარეშე პირის მიერ ექსპერიმენტატორისათვის უცნობ ენაზე.

უნგრული სიტყვაწყვილების გამოცნობის საშუალო მაჩვენებელი ოლპორტის მონაცემების მიხედვით უფრო ნაკლებია, ვიდრე ტსურუსთან (56,6%), მაგრამ იგი მაინც იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია ცდისპირთა არჩევანის შემთხვევითი დამთხვევით აიხსნას.

ექსპერიმენტის ოლპორტისეული სქემა გაიმეორა სუსანა რიჩმა[2]. იგი ცდებს ატარებდა ინგლისურ-იაპონური და ინგლისურ-პოლონური მასალით. გამოიყენა 25 სიტყვაწყვილი. უცნობი ენის სიტყვების გამოცნობის მხრივ მისმა ცდისპირებმაც ისეთ წარმატებას მიაღწიეს, რომელიც შემთხვევითზე მნიშვნელოვნად მაღალი იყო (ინგლისურ-იაპონური — 57,2%, ინგლისურ-პოლონური 64,8%).

გ. ოლპორტისეული სქემა გაიმეორეს აგრეთვე რ. ბრაუნმა, ა. ბლეკმა და ა. ჰოროვიჩმა. გარდა ამისა, მათ შეიტანეს ცვლილებები

---

[1] G. W. Allport, Phonetic Symbolism in Hungarian Words. შრომა არ არის გამოქვეყნებული, მის შესახებ იხ. R. Brown, Words and Things 1953, გვ. 123.

[2] იქვე.

აგრეთვე ცდის ორგანიზაციაში და მასალის სტატისტიკური დამუშავების წესებში [1].

მათ აიღეს 21 ანტონიმური ინგლისური სიტყვაწყვილი. ძირითადად შეირჩა სენსორული ხასიათის სიტყვები: მაგ., თბილი—გრილი. მძიმე—მსუბუქი და სხვ. სიტყვაწყვილთა შერჩევისას საგანგებო ყურადღება ექცეოდა, რომ სიტყვები თითქმის ტოლი სიგრძის ყოფილიყო. მათ ეს სიტყვები ათარგმნინეს ჩინურ, ჩეხურ და ჰინდის ენებზე, რომლებიც მათთვის სავსებით უცნობი იყო. ჩაიწერა აგრეთვე ამ სიტყვების გამოთქმის სპეციფიკა. ცდები ტარდებოდა ინგლისურად მოლაპარაკე სტუდენტებზე, რომელთაც ამ სამი ენიდან არცერთი არ იცოდნენ. სწორი პასუხების საშუალო მაჩვენებელი სამივე ენის მასალის შემთხვევაში უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო შემთხვევითი დამთხვევის პირობებში. (ინგლისურ-ჩინური—58,9%; ინგლისურ-ჩეხური — 56,4%, ინგლისურ-ჰინდი — 59,6%). ბრაუნმა, ბლეკმა და ჰოროვიჩმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებასაც, რომ სწორი პასუხების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი არ იძლევა ფაქტიური ვითარების შესახებ სრულ წარმოდგენას. ასე მაგალითად: საშუალო პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება მიღებულ იქნეს ზოგიერთი სიტყვების მაღალი ხარისხის გამოცნობით და სხვა სიტყვათა გამოცნობის დაბალი ხარისხით. ასეთივე საშუალო პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება მივიღოთ საერთოდ ყველა სიტყვის მიმართ შემთხვევითზე ოდნავ უკეთესი შედეგებით და ა. შ. იმისათვის, რომ ფაქტიური ვითარების შესახებ ავტორებს უფრო მეტი ინფორმაცია მიეღოთ, მათ გამოიანგარიშეს კოეფიციენტი თითოეული სიტყვაწყვილის მიმართ ყოველი ენის მასალაზე ცალ-ცალკე და გამოირკვა, რომ ცალკეული სიტყვაწყვილების მიმართ სწორი პასუხები ორჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე არასწორი. ასეთივე თვალსაზრისით მათ გაანალიზეს ოლპორტის მასალები და ნახეს მსგავსება თავიანთ და მის შედეგებს შორის.

თითქმის ყველა ზემომოყვანილ ექსპერიმენტში უცნობი ენის სიტყვებს წარმოთქვამდა ამ ენის მცოდნე პირი, რომლისთვისაც უცნობი არ იყო ექსპერიმენტის მიზანი. ამიტომ არ გვაქვს გარანტია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ენის მცოდნე, სიტყვების წარმოთქმი-

---

[1] R. W. Brown, A. H. Black and A. E. Horowitz, Phonetic Symbolism in Natural Languages. Journal of Abnormal and Social Psychology. no. 50. 1955.

სას, ექსპრესიული საშუალებებით, თუნდაც წინასწარი განზრახვის გარეშე, არ გადასცემს ცდისპირებს უცნობი ენის სიტყვების სწორ თარგმანს. ასეთი შესაძლებლობის რეალურობაზე მიუთითებს თუნდაც მ. ებერჰარდტის ექსპერიმენტების შედეგები ყრუ ბავშვებზე. როდესაც ებერჰარდტის ცდისპირებმა არ იცოდნენ ინგლისური სიტყვების Tap და Pound-ის მნიშვნელობები, ისინი ამ ორ სიტყვას მცირე განსხვავებით წარმოთქვამდნენ, მაგრამ როდესაც ისინი ისწავლიდნენ ამ სიტყვების მნიშვნელობებს, Tap უფრო მსუბუქად და რბილად წარმოითქმებოდა, ხოლო Pound—უფრო მდიდარ რეზონანს იძენდა[1].

ენის მცოდნის მიერ ექსპრესიული საშუალებებით ცდისპირებისათვის სიტყვების სწორი თარგმანის გადაცემის შესაძლებლობა რომ გამორიცხული ყოფილიყო, ბრაუნი, ბლეკი და ჰოროვიჩი ცდების მეორე ვარიანტში ცდისპირებს მასალას აწვდიდნენ მხოლოდ წერილობით. ამის მიუხედავად, შედეგები აღმოჩნდა ოდნავ უფრო უკეთესი, ვიდრე პირველ ვარიანტში. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ ზემოდასახელებული ექსპერიმენტების შედეგები არ უნდა იყოს განპირობებული ენის მცოდნის მიერ სიტყვათა წარმოთქმის ექსპრესიული თავისებურებებით.

ი. შალცმანმა, ლ. მორისეტმა და ლ. ბრუკსმა ექსპერიმენტები ჩაატარეს შ. ტსურუსა და ჰ. ფრისის მიერ შერჩეული სიტყვებით[2]. ცდები ტარდებოდა კოლექტიურად. პირველ ექსპერიმენტში ცდისპირებს დაწერილი სახით ეძლეოდათ იაპონური და მათი შესატყვისი ინგლისური სიტყვები. ექსპერიმენტმა დაადასტურა ტსურუსა და ფრისის შედეგები, ე. ი. მიღებულ იქნა შემთხვევითობით მოსალოდნელზე გაცილებით მაღალი მაჩვენებლები (CR=4,21; P≤0,0001). გამოირკვა აგრეთვე, რომ ცდისპირებს პირველად უცნობი ენის მასალას მივაწვდით და შემდეგ ნაცნობს, თუ პირიქით, ეს არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს.

მეორე ექსპერიმენტის ძირითადი მიზანი იყო, გამორიცხული ყოფილიყო ის შესაძლო მიკერძოება, რომელიც შეიძლება გამოეჩინა

---

[1] Eberhardt Margarete, A Study of Phonetic Symbolism of Deaf Children. Psychological Monographs. no. 52. 1940.

[2] I. Maltzman, L. Morrisett and L. Brooks, An Investigation of Phonetic Symbolism. Journal of Abnormal and Social Psychology. vol. 53. no. 2. 1956.

ტსურუს ცდის მასალის შერჩევისას. ამ მოსაზრებით ცდაში გამოიყენებოდა იგივე სიტყვები, რაც პირველ ექსპერიმენტში, იმ განსხვავებით, რომ იაპონური სიტყვების ნაცვლად იყო მათი შესატყვისი ხორვატული. აღმოჩნდა, რომ ცდისპირები ხორვატულ სიტყვებს ისეთივე წარმატებით უძებნიდნენ ინგლისურ ეკვივალენტებს. (CR=4,25; P≤0,0001), როგორც პირველი ექსპერიმენტის შემთხვევაში იაპონურ სიტყვებს. მესამე და მეოთხე ექსპერიმენტი ტარდებოდა აგრეთვე ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირებზე, მაგრამ გამოიყენებოდა ხორვატულ-იაპონური (III ექსპერიმენტი) და იაპონურ-ხორვატული მასალა (IV ექსპერიმენტი). ცდისპირებისათვის უცნობი იყო როგორც ხორვატული, ასევე იაპონური სიტყვები. ცდისპირს უნდა განესაზღვრა თითოეულ სიტყვაწყვილში, რომელ ხორვატულ (ან იაპონურ) სიტყვას რომელი იაპონური (ან ხორვატული) შეესატყვისება. ისე რომ მათ არ აწვდიდნენ არავითარ ცნობებს ამ სიტყვების მნიშვნელობების შესახებ. ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ცდისპირების მიერ შერჩეულ ეკვივალენტურ სიტყვათა ოდენობა არ აღემატებოდა შემთხვევითობით მოსალოდნელს (იაპონურ-ხორვატული CR=0,46; ხორვატულ-იაპონური CR=0,80).

როგორც ჩანს, ასკვნიან ავტორები, ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირებმა სიტყვათა შეხამება რომ წარმატებით განახორციელონ, შეხამების ერთი წევრი ინგლისური სიტყვა უნდა იყოს. ეს, ავტორთა აზრით, იმას ნიშნავს, რომ უცხოური ეკვივალენტების შეხამების უნარი დაფუძნებულია სწავლის კომპლექსურ სახეებზე, რომელშიაც ჩართულია გაშუალებული განზოგადება.

ბრეკბილმა და ლითლმა თავიანთ ექსპერიმენტებში გამოიყენეს იაპონური, ებრაული და ჩინური ენის მასალები. მათ შეიტანეს ცვლილებები ცდის ორგანიზაციაში. ნაცვლად ანტონიმური სიტყვაწყვილებისა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ყველა ზემოდასახელებულ ექსპერიმენტში, ისინი ცდისპირებს აწვდიდნენ უცნობი ენის ერთ და ინგლისური ენის ერთ სიტყვას (I, II, III ექსპერიმენტები). ცდისპირს უნდა ეპასუხა ეს სიტყვები თავიანთი მნიშვნელობებით „ერთნაირია" თუ „განსხვავებული". IV, V და VI ექსპერიმენტებში როგორც სტიმული-სიტყვა, ისევე საპასუხო სიტყვაც ცდისპირისათვის უცნობი ენის სიტყვებს წარმოადგენდნენ. ცდების შედეგები ასეთია: ინგლისურ-იაპონური — 50,3%, ინგლისურ-ებრაული — 53,0% (P=0,01), ინგლისურ-ჩინური—49,9%, ჩინურ-იაპონური — 54,8% (P=0,01), ჩინურ-ებრაული — 48,1%, ებრაულ-იაპონური —

52,3% (P=0,01). როგორც ვხედავთ, სამ შემთხვევაში შედეგები აღემატება შემთხვევითობით მოსალოდნელ ოდენობას (II, IV და VI ექსპერიმენტებში), დანარჩენ სამ შემთხვევაში კი შემთხვევითობით მოსალოდნელის ფარგლებში მერყეობს. იმ სამი შემთხვევიდან, რომლებშიაც შემთხვევითად მოსალოდნელზე მეტი შედეგები იქნა მიღებული, ორ ცდაში (IV და VI) ცდისპირებს ორივე უცნობი ენის სიტყვები ეძლეოდათ. ამ ცდების საფუძველზე ავტორები ასკვნიან, რომ ეკვივალენტურ სიტყვათა შეხამება ემყარება არა რაღაცა სახის მსგავსებას ბგერებსა და მნიშვნელობებს შორის, არამედ სიტყვებს შორის სტრუქტურული მსგავსების პერცეფციას [1].

ვაისი არ იზიარებს ბრეკბილისა და ლითლის დასკვნას და სამართლიანად მიუთითებს: ეს მოსაზრება რომ სწორი იყოს, მას შეიძლება გასაგები გაეხადა ცდისპირების არჩევანთა დამთხვევის მაღალი ხარისხი საერთოდ, მაგრამ გასაგებს ვერ გახდის ცდისპირთა არჩევანის სისწორეს. მართლაცდა, აღწერილ ექსპერიმენტებში თუ უცნობი ენის სიტყვათა გამოცნობა ისეთი რაოდენობით, რომელიც შემთხვევით მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად მეტია, უცნობი და მშობლიური ენების სიტყვებს შორის სტრუქტურული მსგავსების პერცეფციის შედეგია, მაშინ ასახსნელი ხდება, თუ რატომაა, რომ განსხვავებული ენები ერთი და იგივე მნიშვნელობის გადმოსაცემად ერთმანეთის მსგავსად კონსტრუირებულ სიტყვებს იყენებენ. ხოლო თუ ისტორიულად დაუკავშირებელი ენები ერთი და იგივე მნიშვნელობების აღსანიშნავად მსგავსი სტრუქტურის მქონე სიტყვებს იყენებენ, ასეთი დასკვნა კი აუცილებელია, თუ არ დავასაბუთებთ მიღებული დადებითი შედეგების სიყალბეს, ეს თავისთავად საკმაოდ ძლიერი არგუმენტი იქნება რაღაცა სახის სიმბოლიზმის არსებობის სასარგებლოდ [2].

შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია აგრეთვე მალცმანის, მორისეტისა და ბრუკსის ზემოთ მოყვანილი დასკვნაც. თუ უცხოური სიტყვების ეკვივალენტების შეხამების უნარი მშობლიური ენის სი-

---

[1] Y. Brackbill and K. B. Little, Factors determining the guessing of meanings of foreign words. Journ. Abnorm. Soc. Psychol., no. 54. 1957.

[2] J. H. Weiss. Phonetic symbolism re-examined. Psychological Bulletin. vol. 61. no. 6. 1964.

ტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის კავშირის დასწავლაზეა დამყარებული, იგი უცნობი ენის სიტყვების გამოცნობაში ხელს შეუწყობდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უცნობი ენის სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის რაღაცა სახის კავშირია. ხოლო თუ ამას დავუშვებთ, ეს სხვა არაფერია, თუ არა, იმის დაშვება, რის დამტკიცებასაც ისახავდა მიზნად ყველა ექსპერიმენტი, რომელიც კი ოდესმე ჩატარებულა სახელდების პრობლემასთან დაკავშირებით და, მათ შორის, უცნობი ენის სიტყვებისათვის ეკვივალენტების შერჩევის ექსპერიმენტებიც.

ამრიგად, მალცმანის, მორისეტის და ბრუკსის, ბრეკბილისა და ლითლის დასკვნები შინაგანი წინააღმდეგობის შემცველნი არიან და არ გამომდინარეობენ არც სხვათა და არც მათ მიერ მოპოვებული ექსპერიმენტული ფაქტებიდან.

მალცმანის, მორისეტის და ბრუკსის, ბრეკბილისა და ლითლის ექსპერიმენტებში მიღებული უარყოფითი შედეგები, როგორც სამართლიანად მიუთითებენ ბრაუნი და ნათოლი[1], აგრეთვე ვაისიც[2], გამოწვეულია იმ მნიშვნელოვანი პროცედურული ცვლილებებით, რომლებიც მათ შეიტანეს მეთოდში. ბრეკბილი და ლითლი ცდისპირებს აწვდიდნენ ერთ სტიმულ-სიტყვას და ერთ პასუხად სიტყვას და არა სიტყვაწყვილებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა ექსპერიმენტების შემთხვევაში. ცდისპირს უნდა ეპასუხა ეს სიტყვები თავიანთი მნიშვნელობებით „ერთნაირია" თუ „განსხვავებული". ამით, მიუთითებს ვაისი, მათ ეფექტურად ერთმეორეთხედამდე შეამცირეს ინფორმაციის ის ოდენობა, რომელიც მისაწვდომი იყო ცდისპირებისათვის სხვა ექსპერიმენტულ სიტუაციაში. მალცმანის, მორისეტისა და ბრუკსის ცდისპირები განსხვავებით სხვა ექსპერიმენტების ცდისპირებისაგან, არასრულ ინფორმაციას ღებულობენ, როდესაც მათ აწვდიან სიტყვაწყვილებს, რომლებიც სავსებით უცნობი ენის სიტყვებისაგან შედგება და, მაშასადამე, ვერ ღებულობენ ინფორმაციას მნიშვნელობის შესახებ.

---

[1] R. Brown and R. Nuttall, Methods in phonetic symbolism experiments. J. Abnorm. Soc. Psychol., no. 59. 1969.

[2] J. H. Weiss, Role of „meaningfulnes" versus meaning dimensions in guessing the meanings of foreign words; Journ. Abnorm. Soc. Psychol., no. 66. 1963.

მაშასადამე, ბრეკბილის და ლითლის და, აგრეთვე მალცმანის, მორისეტისა და ბრუკსის ექსპერიმენტებში მიღებული შედეგების სპეციფიკურობა მათ მიერ შეთოდში შეტანილი ცვლილებებით არის გამოწვეული და არ ეწინააღმდეგება ტრადიციულ ექსპერიმენტებში მიღებულ შედეგებს. რაც შეეხება მათ დასკვნებს, როგორც ვნახეთ, ისინი შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავენ და მათ მიერ მიღებული შედეგები არ იძლევა საკმაო საფუძველს ასეთი დასკვნებისათვის.

ამრიგად, ზემოთ დასახელებული ექსპერიმენტებით დადგინდა ფაქტი, რომ ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირები ახერხებენ უცხოური სიტყვების შეხამებას მათ ინგლისურ ეკვივალენტებთან შემთხვევითობით მოსალოდნელზე უფრო მეტად.

თუ უცნობი ენის სიტყვათა გამოცნობა კანონზომიერი ხასიათისაა და არა შემთხვევითის, ეს ხომ არ მიუთითებს, რომ ის, რითაც ცდისპირები უცნობი ენის სიტყვათა გამოცნობის დროს ხელმძღვანელობდნენ, ფუნქციონირებდა აგრეთვე ამ უცნობი ენის სიტყვათა სახელდების დროსაც. და, მაშასადამე, ბუნებრივი ენის ლექსიკური შედგენილობის სახელდებაც კანონზომიერი ხასიათისაა და არა შემთხვევითის?

აღნიშნული ექსპერიმენტების შედეგები ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად არ არის საკმარისი, რადგანაც გამორიცხული არ არის მათი სხვაგვარი ინტერპრეტაციაც. ასე მაგალითად, ის შემთხვევითი მსგავსება უცნობი და ცდისპირთა მშობლიური ენის სიტყვებს შორის, რომელთა შესაძლებლობასაც გ. ოლპორტი და მის შემდგომ სხვა მკვლევრებიც უშვებდნენ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არ არის გამორიცხული (იხ. გვ. 190—191). ამ მასალების სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არც რ. ბრაუნი უარყოფს. იგი მიუთითებს, რომ გამორიცხული არ არის, რომ ეს შედეგები ლინგვისტური გამოცდილებით იყოს განპირობებული. თუმცა, მიუთითებს იგი, ამ ექსპერიმენტებში გამოყენებულია სხვადასხვაგვარი ისტორიის მქონე ენების სიტყვები (იაპონური, უნგრული, პოლონური, ჩინური, ჩეხური, ჰინდის, ხორვატული). მათი უმრავლესობა მაინც ერთ ენობრივ-ინდოევროპული ენების ოჯახს მიეკუთვნება. ამ ენებს ჰქონდათ ერთი საერთო ფუძისეული ენა და ამიტომ ექსპერიმენტებში დადგენილი სიმბოლიზმი შესაძლოა მომდინარეობდეს ამ პროტოინდოევროპული ენიდან, რომელიც თავის მხრივ თავდაპირველად შესაძლოა შემთხვევითი და ნებისმიერი იყო. გარდა ამისა, ექსპერიმენტები ტარდებოდა მხოლოდ ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირებზე. ამიტომ,

ბრაუნის აზრით, მათი შედეგები შეიძლება გამოდგეს მხოლოდ ინგლისური ენის მიმართ და არ შეიძლება განზოგადდეს ყველა ენაზე. ბრაუნი ამ ექსპერიმენტების დიდ დეფექტად თვლის „საერთაშორისო კოპირების უგულებელყოფას". თითოეული ექსპერიმენტატორი მუშაობდა მისთვის ხელმისაწვდომ ცდისპირებზე და ამიტომ თითქმის არ გვხვდება ცდა სხვადასხვა ენების წარმომადგენლებზე, რაც მიღებული შედეგების შემოწმებისა და დაზუსტების შესაძლებლობას მოგვცემდა. ექსპერიმენტების ჩატარება სხვადასხვა ენის მონოლინგვისტ ცდისპირებზე რ. ბრაუნს მიაჩნია პირდაპირ ემპირიულ გზად საკითხზე პასუხის გასაცემად[1].

ამ შენიშვნებთან დაკავშირებით რ. ბრაუნთან შეიძლებოდა დავა, შესაძლოა, და ჩვენ ასეც გვეჩვენება, რომ იგი ახდენს ამ ექსპერიმენტების ნაკლოვანებათა გაზვიადებას, მაგრამ მისი მოთხოვნის უარყოფა ჯვარედინ-ენობრივი კვლევის საჭიროებაზე არ შეიძლება. ამგვარი კვლევის სისტემატური ხასიათის აუცილებლობაზე მიუთითებს აგრეთვე ჯ. ვაისიც[2].

ჯვარედინ-ენობრივი ექსპერიმენტების პირველი ცდა ბუნებრივი ენების ლექსიკის გამოყენებით ეკუთვნით რ. ბრაუნს, ა. ბლეკსა და ჰოროვიჩს[3]. ეს ექსპერიმენტები, როგორც თვით ავტორებიც მიუთითებენ, მრავალ შენიშვნას იმსახურებს, მაგრამ მათზე ვჩერდებით მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის ასეთი ხასიათის კვლევის ერთადერთი ცდა, იმის მიუხედავად, რომ ასეთი კვლევის საჭიროებაზე თითქმის ყველა მკვლევარი მიუთითებს.

ჰოროვიჩმა მოძებნა მონოლინგვისტი ნავახოელი და ჩაატარა ექსპერიმენტი ჩინური, ჰინდის და ჩეხური ენების მასალების გამოყენებით. მაგრამ, როგორც შემდგომ გამოირკვა, თარჯიმანს არასწორად გაეგო ინსტრუქცია და ცდისპირისათვისაც შეცდომით გადაეცა იგი.

ბრაუნმა და ბლეკმა ცდები ჩაატარეს აგრეთვე ჩეხური და ჰინდის ენების მასალების გამოყენებით 19 ჩინელ ცდისპირზე, რომლებიც ახალი ჩასულები იყვნენ ამერიკაში და ცუდად ფლობდნენ ინგლისურ ენას.

---

[1] R. Brown, Words and Things. 1958. გვ. 126.

[2] J. H. Weiss, Phonetic symbolism re-examined. Psychological Bulletin. vol. 61, no. 6. 1964.

[3] R. Brown, A. Black and A. Horowitz, Phonetic Symbolism in Natural Languages. Journal of Abnormal and Social Psychology, no 50-1955.

ჩინელ და ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე საკონტროლო ჯგუფის ცდისპირთა მონაცემები მრავალმხრივ ერთნაირი აღმოჩნდა. ჰინდის ენის სიტყვების გამოყენებისას ეს შესატყვისობა უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩეხური ენის მასალების შემთხვევაში. რაც შეეხება ცდისპირთა მონაცემების დამთხვევას ცალკეული სიტყვაწყვილების მიმართ, ჰინდის ენის სიტყვების გამოყენებისას სამი სიტყვაწყვილის მიმართ იყო მნიშვნელოვანი, ხოლო ჩეხური სიტყვაწყვილებიდან კი მხოლოდ ორის მიმართ. ამ ხუთიდან სწორად შერჩეული აღმოჩნდა ოთხი სიტყვაწყვილი. ჰინდის ენის სიტყვებიდან სწორად გამოცნობილთა საშუალო ოდენობა 54,4%-ს შეადგენს, ხოლო ჩეხურიდან კი 50,6%-ს. ამრიგად, ჩინელი ცდისპირებიც მსგავსად ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირებისა, უფრო მეტ წარმატებას აღწევენ ჰინდის ენის სიტყვების გამოყენებისას, ვიდრე ჩეხურის. საერთოდ კი ჩინელი ცდისპირების საშუალო პროცენტული მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე სტუდენტების. ასეთი განსხვავების შესაძლო მიზეზებად ავტორებს მიაჩნიათ, ჯერ ერთი, გონებრივი დონის განსხვავება მცირე განათლების მქონე ემიგრანტ ჩინელებსა და ამერიკელ სტუდენტებს შორის და, მეორე, ჩინელ ცდისპირთა მიერ ამოცანის შესაძლო ვერგაგება (კონტაქტი ცდისპირებთან თარჯიმნის შუამავლობით ხდებოდა).

ცდის მასალებში, რომლებითაც ცდები ტარდებოდა ჩინელ ცდისპირებზე, ავტორებმა შეიტანეს უაზრო ბგერათა კომპლექსები mal და mil. ცდისპირებს ეუბნებოდნენ, რომ ესენი ჰინდის ენის სიტყვებია, რომელთაგან ერთი ნიშნავს დიდს, ხოლო მეორე — პატარას. სეპირის ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირები თითქმის გამონაკლისის გარეშე mal-ს აკავშირებდნენ დიდთან, mil-ს კი პატარასთან[1]. ჩინელ ცდისპირთა მონაცემებს შორის დამთხვევის ხარისხი ამ ბგერათა კომპლექსების მიმართ კი არ აღემატება შემთხვევითობის დონეს.

ბრაუნისა და ბლეკის ექსპერიმენტების მასალები ნაკლებად საიმედოა და მათზე დაყრდნობით რაიმე დასკვნის გაკეთება სარისკოა. ექსპერიმენტი მრავალი სერიოზული ხარვეზის მქონეა. ამის შესახებ უკვე თქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ცდები ჩინელ ცდისპირებზე ტარდებოდა მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრუ-

---

[1] სეპირის ექსპერიმენტების შესახებ იხილეთ მომდევნო თავში.

ლების პროცესში (ცდისპირთა უმრავლესობა მუშაობდა რესტორნების სამზარეულოებსა და სამრეცხაოებში შავ სამუშაოზე).

ამრიგად, ბუნებრივი ენების ე. წ. ფონეტიკური სიმბოლიზმის კვლევაში არსებული ხარვეზი, რაც სხვადასხვა ენების წარმომადგენლებზე ჩატარებული ცდების არარსებობაში მდგომარეობს და რასაც ბრაუნი, ვაისი, ი. ტეილორი და სხვები ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის დიდ დეფექტად თვლიან, ბრაუნის, ბლეკისა და ჰოროვიჩის ექსპერიმენტებით არ არის დაძლეული. ამ მიზნით ჩვენ ანალოგიური ექსპერიმენტები ჩავატარეთ ქართველ ცდისპირებზე.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო ამ ცდების შედეგების შედარება სხვა მკვლევრების შედეგებთან, ექსპერიმენტულ მასალად გამოყენებულ იქნა შ. ტსურუსა და ჰ. ფრისის მიერ შერჩეული იაპონური სიტყვები და მათი თარგმანი კიდევ ცხრა სხვა ენაზე: პორტუგალიურ, არაბულ, ქმერის (კამბოჯა), აშანტის (განა), შონას (სამხრეთ როდეზია), ლუგანდას (უგანდა), იორუბოს (ნიგერია), იბოს (ნიგერია), ტიგრინას (ერიტრეია).

ცდისპირს თანამიმდევრობით ეძლეოდა 25 ბარათი, რომლებზეც ქართული ასოებით (იშვიათად, სადაც ამის აუცილებლობა იყო, რუსული ასოებიც გამოიყენებოდა) დაწერილი იყო ორი ქართული და აღნიშნული ერთ-ერთი უცხო ენიდან ორი შესატყვისი სიტყვა. ბარათებზე სიტყვათა წყვილები ისეა განლაგებული, რომ პირველ ადგილზე მყოფ ქართულ სიტყვას შეესატყვისებოდა ხან პირველ და ხან მეორე ადგილზე მყოფი უცნობი ენის სიტყვა. ამასთან ეს მონაცვლეობა ხდებოდა შერეული წესით, როგორც ეს წარმოდგენილი გასაღებიდან ჩანს. ყოველ სიტყვაწყვილში ა-ს ადგილზე მყოფ ქართულ სიტყვას შეესატყვისებოდა უცნობი ენის სიტყვა, რომელიც დაწერილი იყო 1 სიტყვა-წყვილში ბ ადგილას, 2—ბ, 3—ა, 4—ბ, 5—ა, 6—ა, 7—ა, 8—ბ, 9—ბ, 10—ა, 11—ბ, 12—ა, 13——ბ, 14—ბ, 15—ბ, 16—ა, 17—ბ, 18—ა, 19—ა, 20—ბ, 21—ბ, 22—ბ, 23—ა, 24—ბ, 25—ბ. ასეთსავე მონაცვლეობას ჰქონდა ადგილი შ. ტსურუს და ჰ. ფრისის ცდებშიც.

ცდისპირს ევალებოდა ხმამაღლა წაეკითხა ჯერ ქართული, ხოლო შემდეგ უცხო ენის სიტყვაწყვილი და „გამოეცნო" ქართული სიტყვების ეკვივალენტური უცნობი ენის სიტყვები. ინსტრუქციაში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია იხელმძღვანელონ პირველი შთაბეჭდილებით. ცდისპირებს ვეუბნებოდით, რომ სიტყვები თვითონ „აგრძ-

ნობინებენ“, „ეტყვიან“ რომელი რომელს მიეკუთვნება. საგანგებოდ ვაფრთხილებდით, რომ ეკვივალენტური სიტყვების შერჩევის დროს თუ იხელმძღვანელებდნენ ასოებისა და სიტყვების სიგრძით, ანდა რაიმე სხვა გარეგნული მომენტებით, ეს მხოლოდ ხელს შეუშლიდა მათ სიტყვათა გამოცნობაში.

ამგვარი ექსპერიმენტების ამ ტრადიციულ მიმდინარეობაში შეტანილ იქნა ერთი დამატება — ცდისპირებს მოეთხოვებოდათ ხუთბალიანი სისტემით შეეფასებინათ სიტყვათა გამოცნობის სისწორეში დარწმუნებულობის ხარისხი.

ქართულ-იაპონური მასალით ცდები ჩატარდა 100 ცდისპირზე, ხოლო სხვა ენების მასალით — 50 — 50-ზე.

ცდისპირები იყვნენ კვალიფიცირებული მეცნიერ-მუშაკები და თბილისის უნივერსიტეტის უფროსი კურსის სტუდენტები, უმთავრესად ფსიქოლოგები. სანიმუშოდ მოგვყავს ქართული და იაპონური სიტყვაწყვილები ისეთი განლაგებით, როგორც ისინი გამოიყენებოდა ექსპერიმენტებში:

	ქ ა რ თ უ ლ ი	ი ა პ ო ნ უ რ ი
1	ა) ჩიტი ბ) ჭია	მუში ტორი
2	ა) წითელი ბ) მწვანე	მიდორი აკა
3	ა) ზავი ბ) ბრძოლა (ომი)	ჰეეუა. ტატაკაი
4	ა) ტკბილი ბ) მწარე	კარაი ამაი
5	ა) ჩქარი ბ) ნელი	ჰაიაი ოსოი
6	ა) თეთრი ბ) შავი	შირო ქურო
7	ა) კვადრატი ბ) წრე	შიკაკუ მარუ
8	ა) კარგი ბ) ცუდი	უარუი იოი

	ქ ა რ თ უ ლ ი	ი ა პ ო ნ უ რ ი
9	ა) ქება	კენასუ
	ბ) ძაგება	ჰომერუ
10	ა) შორს	ტოოი
	ბ) ახლოს	ჩიკაი
11	ა) რბილი	კატაი
	ბ) მაგარი	იუაი
12	ა) ჭკვიანი	რიკოო
	ბ) სულელი	ბაკა
13	ა) მაღალი	ჰიკუი
	ბ) დაბალი	ტაკაი
14	ა) ფრანი (ერქანი)	ჰუნე
	ბ) ნავი	ტაკო
15	ა) მოხუცი	უაკაი
	ბ) ახალგაზრდა	ოიტარუ
16	ა) ცხელი	აციი
	ბ) ცივი	სამუი
17	ა) არიან	ნაი
	ბ) არ არიან	არუ
18	ა) ლურჯი	აო
	ბ) ყვითელი	კიი
19	ა) სქელი	აცუი
	ბ) თხელი	უსუი
20	ა) დიდი	ჩიისაი
	ბ) პატარა	ოოკიი
21	ა) სუფთა	ნიგოტა
	ბ) ჭუჭყიანი	სუნდა
22	ა) მტერი	მიკატა
	ბ) მეგობარი	ტეკი

	ქართული	იაპონური
23	ა) მრუდი	მაგატტა
	ბ) სწორი	მასასუგუ
24	ა) მართალი	აიამარერუ
	ბ) ტყუილი	ტადაში
25	ა) მახვილი	ნიბუი
	ბ) ბლაგვი	ტოგატტა

აღწერილ ექსპერიმენტს ერთი სერიოზული ნაკლი აქვს, რომელიც საერთოდ სპეციფიკურია ამ ტიპის ექსპერიმენტებისათვის. როგორც ვნახეთ, ექსპერიმენტი გამიზნულია გამოავლინოს სახელსა და მნიშვნელობას შორის არსებული შესატყვისობა, თუკი ასეთი რამ დამახასიათებელია ბუნებრივი ენის ლექსიკისათვის. მაგრამ სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა, ცხადია, სრულყოფილად გამოვლინდება მაშინ, როდესაც უცნობი ენის სიტყვის ფონეტიკური შედგენილობა ცდისპირის მიერ სავსებით ადეკვატურად იქნება აღქმული. ასეთი რამ კი ამ ტიპის ექსპერიმენტებში ვერ ხერხდება, იმის მიუხედავად, ცდისპირს უცნობი ენის სიტყვა მისთვის ცნობილი ტრანსკრიპციით ეძლევა წასაკითხად, თუ ამ ენის მცოდნის მიერ ხდება მისი წარმოთქმა. ეს გარემოება სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული.

ამის ერთ-ერთი მიზეზია საერთოდ არსებული შეუსატყვისობა ენასა და დამწერლობას შორის. როგორც ცნობილია, სიტყვა ცალკეული ბგერების მექანიკურ დაკავშირებას კი არ წარმოადგენს, რომელთაგან თითოეული შეიძლება ასოთი აღინიშნოს, არამედ ფაქტიურად, ჰ. პაულის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უსასრულოდ მრავალი ბგერის განუწყვეტელი რიგია". ასოები მაოლოდ აღნიშნავენ ამ რიგის ცალკეულ, დამახასიათებელ წერტილებს. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში პაულს, როდესაც წერდა: „სიტყვის დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად არა თუ უბრალოდ ძნელია, არამედ პირდაპირ შეუძლებელი საქმეა"[1]. ამ სიძნელით არის განპირობებული ის მრავალრიცხოვანი განსვლა სიტყვის დაწერასა და გამოთქმას შორის, რომელიც მეტ-ნაკლებად ყოველ ენას ახასიათებს და რომელიც ენობრივი კოლექტივის წევრების მიერ ყოველთვის არ შეინიშნება,

[1] Г. Пауль, Принципы истории языка, 1960 г., стр. 71.

ანდა თუ შეინიშნება, ყოველთვის ვერ ახერხებენ იმის გამოხატვას, თუ რაშია ეს შეუსაბამობა. რამდენი ასოც უნდა გამოვიყენოთ და როგორც უნდა ვეცადოთ ზუსტად განვსაზღვროთ მათი შესატყვისი საარტიკულაციო მოძრაობები, თითოეული ამ ასოთაგანი მაინც გამოთქმის არა ერთი, არამედ მრავალი სხვადასხვა საშუალების აღმნიშვნელი იქნება. ამის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლებოდა, მაგრამ ეს იმდენად ცნობილი ფაქტია, რომ მისი მაგალითებით ილუსტრირება ზედმეტია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თითქმის ყოველი ენის ალფაბეტი შეიქმნება არა დამოუკიდებლად, არამედ სხვა ენის ალფაბეტთან შეგუების გზით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, აგრეთვე იმ ფონეტიკურ ცვლილებებს, რასაც ადგილი ჰქონდა ენაში ალფაბეტის შედგენის შემდეგ და სხვ., ნათელი გახდება, თუ როგორ სიძნელესთან არის დაკავშირებული მხოლოდ ასოების საფუძველზე უცნობი ენის სიტყვების ზუსტი ფონეტიკური რეპროდუქცია.

ასეთი ტიპის ექსპერიმენტში, გარდა აღნიშნულისა, ადგილი აქვს დამატებით სიძნელესაც. საქმე იმაშია, რომ ცდისპირს ეძლევა უცნობი ენის სიტყვა, რომლის ტრანსკრიფციაც მისთვის ასევე უცნობია. ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ეს სიტყვა მივაწოდოთ არა უცნობი, არამედ ცდისპირისათვის ნაცნობი ენის ტრანსკრიფციით. ეს კი უმთავრესად მოსახერხებელია მხოლოდ ბგერათა შსგავსებისა და არა იდენტურობის საფუძველზე. ამრიგად, უცნობი ენის სიტყვების ზუსტ ფონეტიკურ ტრანსკრიფციას ეს დაბრკოლებაც ეღობება წინ. თუ უკვე თქმულს იმასაც დავუმატებთ, რომ უცნობი ენის სიტყვა ცდისპირის მიერ წარმოითქმება უმთავრესად შშობლიური ანდა მათ მიერ წარმოსახული უცნობი ენის შესატყვისი ინტონაციით, ნათელი გახდება თუ ექსპერიმენტში ცდისპირთა მიერ წარმოთქმული უცნობი ენის სიტყვები თავიანთი ფონეტიკური შედგენილობით რაოდენ შორს არიან ფაქტიურიდან.

როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ზოგიერთი ექსპერიმენტატორი მიმართავდა ცდაში გამოყენებული უცნობი ენის მცოდნის დახმარებას და ცდისპირებს აწვდიდა უცნობი ენის სიტყვებს აკუსტიკურად ანდა წერილობით და აკუსტიკურად. ასეთ პირობებში ზემოთ აღნიშნული სიძნელეები თითქოს აღარ არის, მაგრამ სამაგიეროდ თავს იჩენს ახალი, რომელიც არანაკლებად ქმედითი და ეფექტურია. საქმე იმაშია, რომ ერთი ენის ფონემები მეორე ენის ფონემებისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. ამ სხვადასხვაობას ადგილი აქვს

არა მხოლოდ სხვადასხვა ენობრივ ოჯახს მიკუთვნებულ ენებს შორის, არამედ თვით ენობრივ ოჯახებს შიგნითაც. ამ განსხვავებების შემჩნევა სმენით ყოველთვის არ ხერხდება, რადგანაც უცხოური მეტყველების ბგერების პირველადი აღქმა ძლიერ არაზუსტია და როგორც ვ. არტემოვი მიუთითებს, ისინი მშობლიური ენის ბგერითი ხატების საფუძველზე აღიქმებიან[1]. უცხო ენის ფონემების მშობლიური ენის ფონემების ანალოგიით აღქმა თავის გამოხატულებას ნახულობს აქცენტში, რომლითაც ხასიათდება ხშირ შემთხვევაში არამშობლიურ ენაზე მეტყველება.

ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია და მის საილუსტრაციოდ მრავალრიცხოვანი მაგალითების მოყვანის საჭიროება არ არის. ამის შესახებ ჯერ კიდევ ჰუმბოლდტი მიუთითებდა[2]. ამიტომაც დავკმაყოფილდებით მხოლოდ ორ მათგანზე მითითებით. რუსი ზღვაოსანი ი. ფ. კრუზენშტერნი წერს, რომ 1803—1806 წლებში დედამიწის ირგვლივ მოგზაურობისას მარკიზის კუნძულებზე ყოფნის დროს საგანგებოდ აკვირდებოდა, თუ ადგილობრივი მკვიდრნი როგორ გამოთქვამდნენ კუნძულების სახელებს. მაგრამ მან ვერცერთ მათგანში ვერ აღმოაჩინა ბგერა P, რომლითაც ვილსონი იწყებს ამ კუნძულთა სახელების უმრავლესობას[3]. როგორც ვხედავთ, მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზის საფუძველზე ჩამოყალიბებული ფონეტიკური სმენის სხვადასხვაობის გამო ერთსა და იმავე ბგერათა კომპლექსში ვილსონი ნახულობს ბგერა P-ს, ხოლო კრუზენშტერნი რაიმე მისი მსგავსის აღქმას ვერ ახერხებს.

ი. ა. მიტროპოლსკი მიუთითებს, რომ ჩინურ ენაში გამოყენებული ერთი და იგივე ფონემა e ჩინურ გეოგრაფიულ სახელთა რუსული ტრანსკრიფციით გადმოცემის დროს იმისდა მიხედვით, როგორია მისი პოზიციური მდგომარეობა ხან გადმოიცემა რუსული ბგერა ე-თი, ხან ы-თი. იგი არც ე-ა და არც ы, არამედ მათ შორის მდე-

---

[1] В. А. Артемов, Восприятие и понимание речи. Ученые записки т. VIII. Экспериментальная фонетика и психология речи, 1954, стр. 183.

[2] В. Гумбольдт, О сравнительном изучении языков применительно к различным эпохам их развития. В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, ч. I, 1964 г., стр. 69—70.

[3] И. Ф. Крузенштерн, Путешествие вокруг света в 1803 — 1806 годах на кораблях Надежде и Неве, ч. I, СПб., 1809 г., стр. 171.

მოგვყავს Е. М. Поспелов, К изучению топонимии Полинезии (сб. Топонимика Востока, Новые исследования, М., 1964 г.) მიხედვით.

ბარე ბგერაა, რომელიც, როგორც ვხედავთ რუსული ენის ხან ერთ და ხან მეორე ბგერასთან არის გაიგივებული[1]. ეს ფაქტიც ფონეტიკური სმენის სპეციფიკურობით არის განპირობებული, რაც თავის მხრივ აპირობებს გეოგრაფიულ სახელთა ტრანსკრიფციის სიჭრელესა და სხვადასხვაობას ლიტერატურაში, პრესაში და ზოგჯერ რუკაზეც კი.

ერთი ენის ფონეტიკა, წერს რ. ბუდაგოვი, არ ჰგავს მეორე ანდა სხვა ენების ფონეტიკას. ამიტომაც უკვე თვითონ მეტყველების ჟღერადობაც კი ერთგვარად აშორებს ერთ ენას მეორეს[2].

მოსკოვის უცხო ენების პირველი სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკისა და მეტყველების ფსიქოლოგიის ლაბორატორიის მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული გამოკვლევებით ირკვევა, რომ ის სპეციფიკურობანი, რომლებითაც ცალკეული ენის ფონემები ხასიათდებიან, ყოველთვის არ შეინიშნება არა მარტო ყველას მიერ, არამედ თვით ფონეტიკის სპეციალისტების მიერაც კი[3].

თავისთავად ცხადია, ცდისპირებისათვის, რომელთათვისაც ცდაში გამოყენებული ენობრივი მასალა სავსებით უცნობია, გაცილებით უფრო ძნელი იქნება აღიქვან ის ფონეტიკური სპეციფიკურობანი, რომლებიც დამახასიათებელია ამ სიტყვებისათვის მათ ბუნებრივ ჟღერადობაში.

ამრიგად, ამ ტიპის ექსპერიმენტში უცხო ენის სიტყვების წარმოთქმა (აღქმა), მათი ფონეტიკური წარმომადგენლობა მიახლოებულია და არა იდენტური ამ სიტყვების ბუნებრივ მეტყველებაში წარმოდგენილ ჟღერადობასთან. ეს გარემოება კი მნიშვნელოვნად გააძნელებს სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის შემჩნევას, რითაც ცდისპირებმა უნდა იხელმძღვანელონ სიტყვათა გამოცნობის, მათთვის მშობლიური ენის ლექსიკიდან ეკვივალენტური სიტყვების შერჩევის პროცესში. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ასეთ ვითარებაში ცდისპირები უფრო ნაკლები რაოდენობის სიტყვების გამოცნობას მოახერხებენ, ვიდრე უცნობი ენის სიტყვების

---

[1] Я. А. Митропольский, К транскрипции географических названий Китая, сб. Топонимика Востока, стр. 209. Новые исследования, М., 1964 г.

[2] Р. А. Будагов, Очерки по языкознанию, 1953 г., стр. 101.

[3] В. А. Артемов, Восприятия и понимании речи. Ученые записки, т. VIII, Экспериментальная фонетика и психология речи. 1954, стр. 183.

ადეკვატური ფონეტიკური წარმომადგენლობის იდეალურ პირობებში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ სიტყვებით აღნიშნული მნიშვნელობები ყოველ ენაში მეტ-ნაკლები სპეციფიკურობით ხასიათდება, გასაგები გახდება, რაოდენ დიდი სიძნელეები ეღობება წინ უცნობი ენის სიტყვებისათვის ექსპერიმენტებში ეკვივალენტური მშობლიური ენის სიტყვების შერჩევას. ბუნებრივია, ეს სიძნელეები თავის გამოხატულებას პოვებს მიღებულ შედარებებშიც. ამიტომ მათი შეფასების დროს აუცილებელია ამ გარემოებათა მხედველობაში მიღება.

ინსტრუქცია, უცნობი ენის სიტყვაწყვილებში „გამოეცნოთ" ქართულის ეკვივალენტური სიტყვები, ცდისპირებში გაოცებას იწვევდა. ცდის დასაწყისში მათ ვერ წარმოედგინათ, თუ როგორ უნდა გამოეცნოთ მათთვის უცნობი ენის სიტყვათა მნიშვნელობები და, რაც მთავარია, როგორ შეიძლებოდა ჰქონოდათ მათ რწმენა, რომ სწორედ გამოიცნეს ისინი. ამის მიუხედავად, ცდისპირები მალე ახერხებდნენ ცდაში „ჩართვას".

ცდისპირები აღნიშნავდნენ, რომ უცნობი ენის სიტყვათა მნიშვნელობების წვდომა უმთავრესად მათი ეღერადობის საფუძველზე ხორციელდება. ასეთი შემთხვევებისათვის ტიპობრივია ცდისპირთა ქვემოთ მოყვანილი ჩვენებები: „ზოგჯერ თითქოს ბგერა თვითონ ფდგება", „ძირითადი განმსაზღვრელი ეღერადობაა", „ვადარებ სიტყვის მნიშვნელობას და ეღერადობას", „იმ წუთში მიჩნდება საბუთი რატომ—ბგერები თამაშობენ როლს, უსათუოდ ასე უნდა იყოს". „ძირითადად ვხელმძღვანელობდი ქართული სიტყვების მნიშვნელობებისა და უცხო სიტყვის ხმოვანობის შესატყვისობით, მნიშვნელობისა და ბგერების კეთილ ან ცუდ ხმოვანობის შესატყვისობით. ზოგჯერ კი გაუცნობიერებელი მოტივით, რომლის დასაბუთება მეძნელება". გამონაკლისების სახით ცდისპირები მიუთითებდნენ, რომ ხელმძღვანელობდნენ — „ბგერითი ოდენობით", „ინტელექტუალური ოპერაციებით", ასოციაციებით — „ქართული და იაპონური სიტყვების ერთგვარმა მსგავსებამ ითამაშა ამ ორ შემთხვევაში როლი".

ექსპერიმენტებში გამოყენებული სიტყვები არ მიეკუთვნება სიტყვათა იმ ჯგუფს, რომელთაც ჩვეულებრივ პიქტორალური სიტყვების კატეგორიას აკუთვნებენ. როგორც ცდისპირთა ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდანაც ჩანს, ქართველი ცდისპირები ქართული და უცნობი ენის სიტყვების ურთიერთშედარებისას თითქოს ვერ ნახულობენ ისეთ რამეს, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა ამ

სიტყვების გამოცნობაში დარწმუნებულობას. ამის მიუხედავად, ჩვენი ცდისპირები, როგორც წესი, მიუთითებდნენ გამოცნობის სისწორეში დარწმუნებულობის მაღალ ხარისხზე. ასეთი შემთხვევებისათვის ტიპობრივია ცდისპირთა ჩვენებებიდან ქვემოთ მოყვანილი ამონაწერები: „სადაც ხუთი უწერია, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერაფრით სხვაგვარად ვერ წარმოვიდგენდი"; „ყველა შემთხვევაში, სადაც დარწმუნებულობას ხუთით აღვნიშნავ, მქონდა ისეთი განცდა, თითქოს ეს ენა ვიცი და ვიცი, რომ ეს ნამდვილად ასეა".

გამოცნობის სისწორეში დარწმუნებულობის მაღალი ხარისხი იმაზე მიუთითებს, რომ ექსპერიმენტის პირობებში ცდისპირები უცნობი და მშობლიური ენების სიტყვების ურთიერთშედარებისას მათი ეკვივალენტურობის შესახებ იღებენ გარკვეულ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათ „ვერაფრით სხვაგვარად ვერ წარმოუდგენიათ" წარმართონ თავიანთი არჩევანი, იმდენად სრულყოფილად, რომ განცდა აქვთ „თითქოს ეს ენა იცის და იცის, რომ ეს ნამდვილად ასეა".

ყველა ცდის საშუალო მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სიტყვების გამოცნობის. მათთვის ეკვივალენტური ქართული სიტყვების შერჩევის სისწორეში ცდისპირები დარწმუნებულნი იყვნენ 94,5%-ის შემთხვევაში. აქედან მაღალი ხარისხის დარწმუნებულობას (აფასებდნენ ბალით 4 და 5) ადგილი ჰქონდა 71%-ში და მხოლოდ 5,5% შეადგენდა იმ შემთხვევებს, როდესაც ცდისპირები არ იყვნენ დარწმუნებულნი მიწოდებული სიტყვების გამოცნობის სისწორეში. ცდისპირთა მონაცემების ასეთი ზედაპირული ანალიზიც კი ნათლად მოწმობს, რომ ცდისპირთა დარწმუნებულობას სიტყვების ეკვივალენტურობის სისწორეში, რომელიც ემყარება უცნობი ენის სიტყვის ბგერითი მხარიდან უშუალოდ მიღებულ ენით ძნელად გამოსათქმელ ინფორმაციას, ადგილი აქვს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვაწყვილების შემთხვევაში ანდა რომელიმე ერთი ენის მასალების შემთხვევაში, არამედ ცდაში გამოყენებული ყველა სიტყვაწყვილის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები ცდისპირისათვის სავსებით უცნობი, ქართული ენისაგან განსხვავებული ენობრივი ოჯახების ენებიდან არის აღებული, რაც უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ ცდისპირთა არჩევანი ატარებს კანონზომიერ და. არა შემთხვევით ხასიათს.

რამდენად მართებულია ეს დასკვნა, ამაზე მიუთითებს აგრეთვე ცდისპირთა მონაცემებს შორის დამთხვევის ხარისხის მაჩვენებლები.

ცდისპირთა მონაცემების დამთხვევის ხარისხი, როგორც წესი, მნიშვნელოვნად აღემატება შემთხვევითობით მოსალოდნელ ოდენობას (50%): ასე მაგალითად, იაპონური სიტყვების შემთხვევაში ცდისპირთა მონაცემების დამთხვევის ხარისხი არის ან აღემატება 60%-ს ოცდახუთიდან ოც შემთხვევაში, ქმერის ენის სიტყვების შემთხვევაში — 24-დან ოცში, შონას — 19-დან 14-ში, პორტუგალიურის — 24-დან 16-ში, იბოს —20-დან 11-ში, ტიგრინას — 17-დან 12-ში, არაბულის — 25-დან 22-ში, ლუგანდას — 20-დან 15-ში, აშანტის — 19-დან 15-ში. იორუბას — 19-დან 18-ში. საერთო მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 212 შემთხვევიდან ცდისპირთა მონაცემების დამთხვევა 163 შემთხვევაში არის ან აღემატება 60%-ს, ე. ი. თითქმის 77% შემთხვევებისა ასეთია. ცდისპირთა მონაცემებს შორის დამთხვევის ასეთი მაღალი ხარისხი არა მარტო იმაზე მიუთითებს, რომ მათი არჩევანი არ არის შემთხვევითი ხასიათის, არამედ იმაზედაც, რომ არჩევანი ემყარება რაღაც ისეთს, რომელიც ცდისპირებისათვის შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ერთნაირად მისაწვდომია. ინფორმაცია, რომელსაც ცდისპირები უცნობი ენის სიტყვების ბგერით მხარედან მიმღებლობენ, ერთგვარი ინტერინდივიდუალური კონსტანტობით ხასიათდება.

ათივე ენის სიტყვებიდან გამოცნობილთა 95,3%-ს შეადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც ცდისპირები დარწმუნებულნი არიან თავიანთი არჩევანის სისწორეში. გამოცნობილ სიტყვებს 72,5% შემთხვევაში თან ახლავს გამოცნობის სისწორის შესახებ მაღალი რწმენა (5 და 4 ბალი) და მხოლოდ 4,7%-ს შეადგენს ის შემთხვევები, როდესაც სიტყვები გამოცნობილ იქნა, მაგრამ ცდისპირებს არ ჰქონდათ რწმენა გამოცნობის სისწორის შესახებ (2 ბალი).

იმ შემთხვევაში, როდესაც ცდისპირებმა თავიანთი არჩევანის სისწორეში დარწმუნებულობა 5 ბალით შეაფასეს, სწორად არის გამოცნობილი საშუალოდ 63,9%, როდესაც 4 ბალით — 58,2%, 3 ბალით — 57,3% და როდესაც არ ჰქონდათ რწმენა თავიანთი არჩევანის სისწორეში — მხოლოდ 47,3%.

ეს შაჩვენებლები ნათლად გვიჩვენებს, რომ ინფორმაცია, რომელსაც ექსპერიმენტულ პირობებში ქარ-

თულ ენაზე მოლაპარაკე ცდისპირები იღებენ მათთვის სრულიად უცნობი ენის სიტყვების ბგერითი მხარიდან მათი მნიშვნელობის შესახებ, არა მარტო შესაძლებლობას აძლევს ცდისპირს დარწმუნებული იყოს თავისი არჩევანის სისწორეში, არამედ ძირითადად შეესატყვისება ყიდევაც ფაქტიურ ვითარებას. იმისდა მიხედვით, როგორ იზრდება რწმენა გამოცნობის სისწორის შესახებ, იზრდება გამოცნობილ სიტყვაწყვილთა რაოდენობა, დაპირქით.

ბრაუნმა, ბლეკმა და ჰოროვიჩმა ყურადღება გამახვილეს იმ ფაქტზე, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეულ სიტყვაწყვილთა მიმართ ცდისპირების არჩევანთა შორის მაღალი ხარისხის დამთხვევას აქვს ადგილი, ეს სიტყვაწყვილები უმეტეს შემთხვევაში ცდისპირთა უმრავლესობის მიერ სწორად არის გამოცნობილი. ანალოგიურმა მდგომარეობამ იჩინა თავი ჩვენს ცდებშიც. თუ აღიარებ ენის მასალების. მიხედვით ვიმსჯელებთ, ცდისპირთა არჩევანთა შორის დამთხვევის მაღალი ხარისხი (60% და მეტი) შეინიშნება 164 შემთხვევაში, აქედან ცდისპირთა უმრავლესობის არჩევანი სწორი აღმოჩნდა 112 შემთხვევაში (68,3%). მაშასადამე, ცდისპირთა სწორი პასუხების რაოდენობა იმ შემთხვევებში, როდესაც ცდისპირთა არჩევანს შორის დამთხვევა მაღალია (არის ან აღემატება 60%), ორჯერ და მეტჯერ ჭარბობს არასწორ პასუხებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბრაუნის, ბლეკის და ჰოროვიჩის ექსპერიმენტებშიც.

ზემოთ დასახელებული ავტორები საკმარისად თვლიან ცდისპირთა მიერ სიტყვათა გამოცნობის საშუალო მაჩვენებელზე მითითებას და თავიანთ დასკვნებს მასზე ამყარებენ. მაგრამ საშუალო მაჩვენებლები ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას ფაქტიურ ვითარებაზე. ასე მაგ., არიან ცდისპირები, რომლებიც იცნობენ მოწოდებული სიტყვების 88%, 84%, 82%-ს და ა. შ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც იცნობენ მხოლოდ სიტყვათა 36%, 48%, 50%-ს და ა .შ. საშუალო მაჩვენებლიდან არ ჩანს ეს სხვადასხვაობა, რასაც არ შეიძლება არ გაეწიოს ანგარიში. გარდა ამისა, სხვადასხვაგვარია შედეგები ერთი

და იგივე ენის სხვადასხვა სიტყვაწყვილის მიმართაც. არის სიტყვაწყვილები, რომელთაც იცნობს ცდისპირთა 98%, 96%, 94% და ა. შ. მაგრამ არის ისეთებიც, რომელთა გამოცნობას ახერხებს ცდისპირთა მხოლოდ 12%, 16% და ა. შ. ასეთი მკვეთრი სხვადასხვაობის პირობებში, ცხადია, საშუალო მაჩვენებელი ბევრ რამეში არათუ დაგვეხმარება, არამედ ხელსაც შეგვიშლის. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ ნახსენები ავტორები ძირითადად ამ მონაცემების მოყვანით კმაყოფილდებიან და ამიტომ ჩვენც იძულებული ვართ ამ გარემოებას ანგარიში გავუწიოთ. ჩვენმა ცდისპირებმა შეძლეს გამოეცნოთ იაპონური სიტყვების 65,08%, ქმერის — 60,6%, შონას — 53,3%, პორტუგალიურის — 58%, იბოს — 56,3%, ტიგრინას — 62,8%, არაბულის — 60,48%, ლუგანდას — 50%, აშანტის — 58,2% და ირუბას 60,32%.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, არიან ცდისპირები, რომლებიც უცხო ენის სიტყვებს დიდი რაოდენობით იცნობდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთა მიერ გამოცნობილ სიტყვათა რაოდენობა შემთხვევითობით მოსალოდნელი ოდენობის ფარგლებს თითქმის არ სცილდება. რით აიხსნება ასეთი მკვეთრი განსხვავება ცდისპირთა მონაცემებს შორის? ეს განსხვავება იმაზე ხომ არ მიუთითებს, რომ იმ ცდისპირთა შემთხვევაში მაინც, რომელთა მონაცემები შემთხვევითობით მოსალოდნელი ოდენობების ფარგლებშია, უცნობი ენის სიტყვებისათვის ეკვივალენტურ სიტყვათა შერჩევა არა კანონზომიერ, არამედ შემთხვევით ხასიათს ატარებს?

ამ კითხვაზე რომ პასუხი გაგვეცა, ავიღეთ ქართულ-იაპონური ენების მასალებზე მიღებული შედეგები და ამოვკრიფეთ ერთი მხრივ იმ ცდისპირთა მონაცემები, რომლებმაც სიტყვები 48%-დან 60%-მდე გამოიცნეს (I ჯგუფი), ხოლო მეორე მხრივ იმ ცდისპირთა მონაცემები, რომლებსაც სიტყვების 68% და მეტი გამოიცნეს (II ჯგუფი). შეირჩა 25—25 ცდისპირის მონაცემი. თუ იაპონური სიტყვებისათვის ეკვივალენტური ქართული სიტყვების შერჩევის პროცესი შემთხვევითი ხასიათისაა საერთოდ, ანდა შემთხვევით ხასიათს ატარებს იმ ცდისპირთა შემთხვევაში მაინც, რომელთა მონაცემები შემთხვევითობით მოსალოდნელი ოდენობის ფარგლებს არ სცილდება, მაშინ დადებითი კორელაცია ცდისპირთა ამ ორი ჯგუფის მონაცემებს შორის არ უნდა არსებობდეს. ფაქტიურად კი დადებითი კორელაცია ამ ჯგუფების მონაცემებს შორის ძალიან დიდია: $r=0,74\pm$ $\pm0,0905$. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ იმ ცდისპირების

მიერ, რომლებიც შედარებით ნაკლები რაოდენობის სიტყვებს იცნობენ, ძირითადად გამოცნობილია ის სიტყვაწყვილები, რომლებსაც ცდისპირთა დიდი უმრავლესობა იცნობს. ეს რომ მართლაც ასეა, მოწმობს არა მხოლოდ მაღალი დადებითი კორელაციის კოეფიციენტი, არამედ ასეთი მარტივი რიცხობრივი მონაცემებიც. პირველი ჯგუფის ცდისპირებიდან 12 სიტყვაწყვილი სწორად გამოიცნო საშუალო ცდისპირთა 71,25 პროცენტმა. იგივე სიტყვები, მეორე ჯგუფის ცდისპირებიდან, გამოიცნო საშუალოდ ცდისპირთა 82,08%-მა, დანარჩენი 13 სიტყვაწყვილი პირველი ჯგუფის ცდისპირებიდან სწორად გამოიცნო საშუალოდ ცდისპირთა 38.08%-მა, ხოლო მეორე ჯგუფიდან — 65%. ამრიგად, სიტყვაწყვილები, რომლებიც მეორე ჯგუფის ცდისპირთა დიდმა რაოდენობამ (82,08%) სწორად გამოიცნო, პირველი ჯგუფის ცდისპირთა მიერაც შედარებით მეტი რაოდენობით გამოიცნობა (71,25%). სიტყვაწყვილები, რომლებიც მეორე ჯგუფის ცდისპირთა შედარებით ნაკლებმა რაოდენობამ გამოიცნო (65%), პირველი ჯგუფის ცდისპირთა უმნიშვნელო რაოდენობის მიერ სწორად არის გამოცნობილი (38,08%). ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება აგრეთვე სხვა ენის მასალებით ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებშიც.

აღნიშნული გარემოება ჯერ ერთი იმაზე მიუთითებს, რომ მოცემული ექსპერიმენტის პირობებში უცნობი ენის სიტყვათა ბგერითი მხარეები თავიანთი მნიშვნელობების შესახებ მეტ-ნაკლები ხარისხის ინფორმაციას იძლევიან და, მეორე, ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით შეინიშნება ინტერინდივიდუალური სხვადასხვაობა, ზოგიერთი ცდისპირისათვის სიტყვის გამოცნობისათვის შედარებით ნაკლები ინფორმაციაც საკმარისია, ზოგიერთს კი უფრო მეტი ინფორმაცია ესაჭიროება.

როგორც, ირკვევა, უცნობი ენის სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის წვდომის უნარი ვარჯიშებადია. მის განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა ენების ცოდნა: უცხო ენების ფაკულტეტების სტუდენტების მონაცემები ცდებში უკეთესია, ვიდრე, ვთქვათ, ისტორიის ანდა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისა. ასევე უმჯობესდება შედეგები ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ განმეორებით ცდებში და სხვ. მაგრამ ეს ვარა-

უდი ემყარება წინასწარ ცდებს, რომლებიც არ არის საკმარისი საკითხის გასარკვევად, საჭიროა მისი სპეციალური კვლევა.

თითქმის ყველა ექსპერიმენტში, რომლებიც ბუნებრივი ენების სიტყვათა ბგერითი მხარისა და მნიშვნელობების ურთიერთშესატყვისობის კვლევას ისახავს მიზნად, გამოიყენება ანტონიმურ სიტყვათა წყვილები. როგორც ჩანს, ყველა ავტორი, დაწყებული ტსურუდან და ფრისიდან, გულისხმობს, რომ სიტყვათა ანტონიმური დაპირისპირების პირობებში უფრო რელიეფურად გამოიკვეთება სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის არსებული შესატყვისობა და, მაშასადამე, ცდისპირებისათვის უფრო ადვილი იქნება უცნობი ენის სიტყვათა მნიშვნელობების წვდომა. რამდენად სწორია ეს ვარაუდი, ამის შესამოწმებლად სპეციალური კვლევა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არავის ჩაუტარებია.

ამ საკითხის კვლევას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ექსპერიმენტში გამოყენებული სიტყვებიდან იყო სიტყვაწყვილები, რომელთაც ცდისპირთა 98% იცნობდა სწორად, მაგრამ იყო ისეთებიც, რომელთა გამოცნობას მხოლოდ ცდისპირთა 12% ახერხებდა. რით აიხსნება ასეთი მკვეთრი განსხვავება მონაცემებს შორის? ეს იმაზე ხომ არ მიუთითებს, რომ სახელისა და მნიშვნელობის შესატყვისობით ხასიათდება მხოლოდ სიტყვათა ერთი რიგი, მეორენი კი მოკლებულნი არიან ამ თვისებას? ანდა, შესაძლოა ეს მდგომარეობა განპირობებული იყოს სიტყვაწყვილების ექსპერიმენტში გამოყენების სპეციფიკურობით, სახელდობრ, მათი ანტონიმური დაპირისპირებით?

ამ საკითხის გარკვევის გარეშე უმართებულო იქნება ექსპერიმენტებში მიღებული შედეგების განზოგადება და საერთოდ მათი ბუნებრივი ენების ლექსიკის კანონზომიერებად გამოცხადება, მაშინაც კი ჩვენს განკარგულებაში რომ იყოს მრავალი ენის მასალაზე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მრავალ ცდისპირის მონაცემები.

ამ საკითხის გარკვევის მიზნით ჩატარდა სპეციალური ექსპერიმენტი. ცდისპირებს ეძლეოდათ ტსურუს და ფრისის მიერ შერჩეული იაპონური და მათი შესატყვისი ქართული სიტყვები, მაგრამ ტრადიციული ექსპერიმენტებისაგან განსხვავებით არაანტონიმურ დაწყვილებაში. აღმოჩნდა, რომ დარწმუნებულობა გამოცნობის სისწორის შესახებ საკმაოდ მაღალი ხარისხისაა უცნობი ენის სიტყვების არაანტონიმური დაწყვილების შემთხვევაშიც. იაპონური სიტყვების არა-

ანტონიმური დაწყვილების პირობებში ჩვენი ცდისპირების მიერ 5 ბალით აღინიშნა შემთხვევათა 36%, 4 ბალით — შემთხვევათა 26%, 3 ბალით — შემთხვევათა 28%, ე. ი. შემთხვევათა 90%-ში ცდისპირები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ იაპონურ სიტყვებს სწორად შეურჩიეს ქართული ეკვივალენტები. როგორც ვხედავთ, იმისათვის რომ ცდისპირები დარწმუნებული იყვნენ თავიანთი არჩევანის სისწორეში, არ არის აუცილებელი გამოსაცნობი წყვილები ანტონიმურ დაპირისპირებაში ეძლეოდათ, არაანტონიმური დაპირისპირების შემთხვევაშიაც გამოცნობის სისწორის შესახებ საკმაოდ მაღალი რწმენა აქვთ.

სიტყვაწყვილთა არაანტონიმურმა დაწყვილებამ ვერ აღკვეთა აგრეთვე ცდისპირების მონაცემებს შორის დამთხვევის მაღალი ხარისხი. ცდისპირთა მონაცემებს შორის დამთხვევა 18 სიტყვაწყვილის შემთხვევაში 60% ან მასზე მეტი იყო, ხოლო ზოგიერთი სიტყვაწყვილის მიმართ კი შეადგენდა 90%, 80% და ა. შ.

ისევე როგორც ანტონიმური სიტყვაწყვილების პირობებში, სიტყვათა არაანტონიმური დაწყვილების შემთხვევებშიც ცდისპირთა დარწმუნებულობა გამოცნობის სისწორის შესახებ არსებითად შეესატყვისება ფაქტიურ ვითარებას. გამოცნობილ სიტყვათა 40,8%-ს შეადგენდა ის სიტყვები, რომელთა მიმართაც დარწმუნებულობას გამოცნობის სისწორის შესახებ ცდისპირებმა დაუწერეს ბალი 5; 24,4% — როდესაც დაწერეს ბალი 4; 24,2% — ბალი 3 და მხოლოდ 10,6%-ს შეადგენდა ისეთი სიტყვები, რომლებიც სწორად არის გამოცნობილი, მაგრამ ამის შესახებ ცდისპირებს არ ჰქონდათ დარწმუნებულობა.

ბალით 5 აღნიშნული შემთხვევებიდან სწორად გამოცნობილი აღმოჩნდა სიტყვათა 70%, ბალით 4—58%, ბალით 3 — 54%, ხოლო ბალით 2 — 60%.

როგორც ანტონიმური, ასევე არაანტონიმური დაწყვილების პირობებში, ცდისპირთა მონაცემების დიდი ხარისხით დამთხვევის შემთხვევებში, სიტყვაწყვილები არსებითად სწორად არის გამოცნობილი. ცდისპირთა მონაცემების დამთხვევის მაღალი ხარისხის მქონე 18 სიტყვაწყვილიდან სწორად გამოცნობილი აღმოჩნდა 15. საერთოდ კი ასეთი დაპირისპირების შემთხვევაში ცდისპირებმა სწორად გამოიცნეს სიტყვაწყვილთა 63,6%.

ამრიგად, ვარაუდი, რომ უცნობი ენის სიტყვებისათვის მშობლიური ენის ეკვივალენტური სიტყვების შესარჩევად აუცილებელია

ცდის მასალა ცდისპირს ანტონიმურ დაწყვილებაში ეძლეოდეს, არ მართლდება. არაანტონიმური დაპირისპირების შემთხვევებშიაც ცდისპირები ახერხებენ წარმატებით გაართვან თავი ამოცანას, რაც საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ამ პირობებშიაც ეკვივალენტურ სიტყვათა შერჩევა კანონზომიერი ხასიათისაა და არა შემთხვევითის.

ძლიერდება თუ არა სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის განცდა, როდესაც ეს მნიშვნელობა სხვა მნიშვნელობებთან კავშირში ეძლევა? სხვა სიტყვებით, უცნობი ენის სიტყვაწყვილებისათვის ეკვივალენტური ნაცნობი ენის სიტყვათა შერჩევისათვის აუცილებელია თუ არა ცდისპირებს უცნობი ენის სიტყვათა ორივე მნიშვნელობას ვაწვდიდეთ, ხომ არ არის საკმარისი ერთი მნიშვნელობის მიწოდება?

საკითხის ამგვარად დასმის მართებულობაზე მიუთითებს ბრეკბილისა და ლითლის ცდების შედეგები, განსხვავებით იმ ტრადიციული ცდებისაგან, რომლებშიაც ცდისპირებს ეძლეოდათ როგორც უცნობი, ასევე ნაცნობი ენების სიტყვაწყვილები. ბრეკბილის და ლითლის ცდებში ცდისპირს ეძლეოდა ერთი უცნობი და ერთიც ნაცნობი ენების სიტყვები და უნდა განესაზღვრა, იყვნენ თუ არა ისინი ეკვივალენტური. ასეთ პირობებში ცდისპირთა მიერ ეკვივალენტურ სიტყვათა შერჩევის შემთხვევათა რაოდენობა მკვეთრად დაეცა და არ აღემატებოდა შემთხვევითობით მოსალოდნელ დონეს. ეს ექსპერიმენტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ სიტყვათა დაწყვილებული მიწოდება მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია მათი ეკვივალენტურობის განსასაზღვრავად. მაგრამ აუცილებელია თუ არა მივაწოდოთ როგორც უცნობი, ასევე ნაცნობი ენების სიტყვაწყვილები, თუ საკმარისი იქნება უცნობი ენის სიტყვაწყვილები მივცეთ და ნაცნობი ენის სიტყვებიდან კი მხოლოდ ერთი, ანდა პირიქით?

ამ საკითხის გარკვევისათვის იყო გამიზნული ცდების ახალი ვარიანტები, რომლებშიაც ცდისპირებს ეძლეოდათ უცნობი ენის სიტყვაწყვილები და მშობლიური ენის ეკვივალენტური სიტყვებიდან ერთ-ერთი. პირველ ვარიანტში გამოიყენებოდა იაპონური ანტონიმური სიტყვაწყვილები, მესამეში კი არაანტონიმური.

მიღებული შედეგების ცდების სხვა ვარიანტების შედეგებთან შედარების საფუძველზე ირკვევა, რომ უცნობი ენის სიტყვებისათვის მშობლიური ენის ეკვივალენტური სიტყვების შერჩევისათვის უფრო ხელშემწყობი პირობებია უცნობი და მშობლიური ენის

სიტყვათა ანტონიმურ და არაანტონიმურ დაწყვილებაში მოცემულობა. ასევე უფრო ხელშემწყობი პირობაა უცნობი და მშობლიური ენის სიტყვების დაწყვილებული მოცემულობა, ვიდრე უცნობი ენის სიტყვათა წყვილის და მშობლიური ენის ეკვივალენტური სიტყვებიდან მხოლოდ ერთ-ერთის მოცემულობა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უცნობი ენის სიტყვების წყვილებისათვის ეკვივალენტურ სიტყვებს ზოგიერთ შემთხვევაში სწორად ირჩევს ცდისპირთა დიდი უმრავლესობა, ზოგიერთი სიტყვა-წყვილის მიმართ კი უმრავლესობა მცდარ არჩევანს აკეთებს. რით არის განპირობებული ეს მდგომარეობა?

ცდის სხვადასხვა ვარიანტების შედეგების ურთიერთშედარება შესაძლებლობას იძლევა ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ. გამოირკვა, რომ ზოგიერთი სიტყვებისათვის ეკვივალენტური სიტყვების შერჩევას ცდისპირების უმრავლესობა ახერხებს მაშინ, როდესაც ეს სიტყვები ანტონიმურ დაწყვილებაში ეძლევათ, ზოგიერთი სიტყვებისათვის კი პირიქით, ცდისპირთა უმრავლესობა სწორად არჩევს ეკვივალენტურ სიტყვებს მათ არაანტონიმურ დაწყვილებაში მოცემულობის პირობებში. როგორც ჩანს, სახელისა და მნიშვნელობის შესატყვისობის შემჩნევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რომელ სიტყვასთან დაწყვილებაში ეძლევა ეს სიტყვა. სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის განცდა, იმისდა მიხედვით, ეს სიტყვა რომელ სიტყვასთან არის დაწყვილებული, ან ძლიერდება, ან სუსტდება.

მაშასადამე, ის ფაქტი, რომ სიტყვათა ანტონიმური დაპირისპირების შემთხვევებში ზოგიერთი სიტყვაწყვილი ცდისპირთა მცირე რაოდენობის მიერ გამოიცნობა, არ ნიშნავს, რომ ამ სიტყვების ბგერით მხარეს და მნიშვნელობებს შორის შესატყვისობა სუსტია ან სულ არ არსებობს.. ეს გარემოება მხოლოდ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ასეთი დაპირისპირების პირობები ამ შესატყვისობის გამოსავლენად ყოველთვის არ არის ხელსაყრელი. შესაფერის პირობებში ის სიტყვაწყვილები, რომლებიც ვთქვათ, ანტონიმური დაპირისპირების პირობებში ცდისპირთა უმცირესობის მიერ

გამოიცნობა, შესაძლოა ცდისპირთა დიდმა უმრავლესობამაც გამოიცნოს და პირიქით.

ფრისის და ტსურუს მიერ გამოყენებულ მეთოდში, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, გ. ოლპორტმა კორექტივი შეიტანა იმ მიზნით, რომ გამოერიცხა იაპონურ და ინგლისურ ენებში საერთო ფონემების გამოყენებით განპირობებული შესაძლო შემთხვევითი ფონეტიკური მსგავსება. ტსურუს მიერ შერჩეული იაპონური ანტონიმური სიტყვაწყვილები გადაათარგმნინა უნგრულ ენაზე. ოლპორტი შემდეგი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა: ჯერ ერთი, უნგრული ენა ისტორიულად არ არის დაკავშირებული არც ინგლისურ და არც იაპონურ ენებთან და მეორე, რომ ასეთ პირობებში მასალის შერჩევა ხდება არა ექსპერიმენტატორის მიერ, რომელმაც ორივე ენა იცის, არამედ ითარგმნება სიტყვის შემრჩევისათვის უცნობ ენაზე გარეშე პირის მიერ, რომლისათვისაც უცნობია ამ მასალის დანიშნულება. ეს კორექტივი შემდგომი მკვლევრების მიერ უყოყმანოდ იქნა მიღებული და მათი უმრავლესობა გულისხმობს, რომ ამ გზით მართლაც გამორიცხულია შესაძლო შემთხვევითი მსგავსება უცნობი ენის სიტყვებსა და მშობლიური ენის სიტყვებს შორის და, მაშასადამე, მიღებული შედეგები არ შეიძლება ასეთი შემთხვევითი ფაქტორებით განპირობებულად იქნეს მიჩნეული. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ბრაუნი იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ცდისპირთა დაკვირვების მასალებში ვერ ვნახულობთ რაიმე მითითებას იმის შესახებ, რომ ცდისპირები ეკვივალენტურ სიტყვათა შერჩევის დროს ხელმძღვანელობენ მშობლიური და უცნობი ენების სიტყვათა მსგავსებით. მეტიც, ბრაუნის, ბლეკის და ჰოროვიჩის ექსპერიმენტებში ცდისპირები ზოგჯერ უცნობი და მშობლიური ენის სიტყვებს შორის არსებული მსგავსების იგნორირებასაც კი ახდენდნენ. ანალოგიური ფაქტები დადასტურდა ჩვენს ცდებშიაც. ჩვენი ცდისპირები, როგორც წესი, მიუთითებდნენ, რომ ეკვივალენტური სიტყვების შერჩევის დროს ხელმძღვანელობდნენ უცნობი ენის სიტყვების ჟღერადობითა და ნაცნობი ენის სიტყვათა მნიშვნელობების ურთიერთშედარებით, თუმცა, მართალია, იშვიათად, მაგრამ ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც ცდისპირები სწორედ სიტყვათა ჟღერადობების მსგავსებით ხელმძღვანელობდნენ.

რამდენად გამართლებულია გ. ოლპორტისა და სხვა ავტორების ეს ვარაუდი, რამდენად მართებულია მოსაზრება, რომ ასეთი კორექ-

ტივით შესაძლებელია უცნობი და ნაცნობი ენების სიტყვებს შორის შესაძლო შემთხვევითი მსგავსებების გამორიცხვა?

ცხადია, რომ ის ფონეტიკური ანდა სხვა ხასიათის მსგავსება, რომელიც შეიძლება შემთხვევით არსებობდეს ერთი ენობრივი წყვილის სიტყვებს შორის (მაგ., იაპონური და ინგლისური ენების სიტყვებს შორის), არ შეიძლება განმეორდეს, თუ იგივე სიტყვებს ავიღებთ სხვა ენობრივი წყვილიდან (მაგ., უნგრული და ინგლისური). მაგრამ ამ გზით ხომ პრინციპულად არ არის გამორიცხული მაინც ამ ენობრივი წყვილის სიტყვებს შორის მსგავსება. ერთი ენობრივი წყვილის სიტყვების მეორე ენობრივი წყვილის სიტყვებით შეცვლით შესაძლებელი ხდება გამოირიცხოს ამა თუ იმ კონკრეტულ სიტყვაწყვილში არსებული მსგავსება, მაგრამ საერთოდ მსგავსების გამორიცხვა მოხერხდება თუ არა — ამ კითხვაზე დადებითი პასუხისათვის საფუძველი არ არსებობს. ამ გზით სიტყვებს შორის შესაძლო მსგავსების გამორიცხვის სიძნელეებზე ი. ტეილორიც მიუთითებს: იშვიათად არსებობს ცდაში გამოყენებული ინგლისური სიტყვისათვის ერთი და მხოლოდ ერთი უცხოური ეკვივალენტი, მიუთითებს იგი. ამიტომ ცდაში გამოსაყენებელი ინგლისური სიტყვის თარგმნის პროცესში მთარგმნელმა, თუნდაც არ იცოდეს ექსპერიმენტის მიზანი, შესაძლოა შეარჩიოს ისეთი უცხოური ეკვივალენტი, რომელიც უფრო ჰგავს, ანდა ჟღერადობით უკავშირდება მოცემულ ინგლისურ სიტყვას, და ამის საილუსტრაციოდ მოყავს კონკრეტული მაგალითები[1].

მართლაცდა, ასეთი გზით რომ არ ხერხდება სიტყვებს შორის მსგავსების გამორიცხვა, კარგად ჩანს როგორც ბრაუნის, ბლეკის და ჰოროვიჩის ექსპერიმენტებიდან, ისე ჩვენს ცდებში გამოყენებული მასალებიდანაც.

მაშასადამე, საკითხის გარკვევისათვის გ. ოლპორტის მიერ შემოთავაზებული საშუალება ნაკლებად ეფექტურია და საჭიროა სხვა გზების ძიება.

ამ საკითხის გარკვევის მიზნით ჩვენ ასეთი ექსპერიმენტები ჩავატარეთ: 1. ქართველ ცდისპირებს გამოსაცნობად ვაძლევდით ტრუსუს და ფრისის მიერ შერჩეულ ანტონიმურ სიტყვაწყვილებს ჩვეულებრივი წესით, 2. იაპონელ ცდისპირებს იმავე წესით გამოსაცნობად ვაძლევდით იგივე სიტყვებს ქართულ ენაზე, 3. როგორც ქართულ, ასევე იაპონურ მასალაზე ცდები ჩავატარეთ სხვადასხვა

[1] I. K. Taylor, Phonetic Simbolism re-examined. Psychological Bulletin. vol. 60. no. 2. 1963.

ეროვნების წარმომადგენლებზე, რომელთა მშობლიური ენა იყო პორტუგალიური, ქმერის, აშანტი, არაბული, შონა, იბო და სხვ. იაპონელი ცდისპირი იყო 10, ასევე ათი იყო სხვადასხვა ენის წარმომადგენელიც [1].

ჩვენ შემდეგი მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით: თუკი უცნობი ენის სიტყვათა გამოცნობა არის ამ სიტყვებსა და მშობლიური ენის სიტყვებს შორის ფონეტიკური, ანდა რაიმე სხვა სახის მსგავსების შედეგი, მაშინ კორელაცია ქართული ენის მასალაზე იაპონელი ცდისპირების მონაცემებსა და იაპონური ენის იგივე მასალაზე ქართველ ცდისპირთა მონაცემებს შორის უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე, ერთი მხრივ, იაპონურ მასალაზე ქართველ და სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ცდისპირების მონაცემებს შორის, მეორე მხრივ კი, ქართულ მასალაზე იაპონელ და სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკეთა მონაცემებს შორის.

ექსპერიმენტების მასალების ანალიზმა საპირისპირო შედეგები გვიჩვენა. კორელაცია, იაპონელი ცდისპირების მონაცემებსა (ქართულ მასალაზე) და ქართველ ცდისპირთა მონაცემებს შორის (იაპონურ მასალაზე) აღმოჩნდა უარყოფითი (—0,19), იაპონელ და სხვა ენის წარმომადგენელთა მონაცემებს შორის (ქართულ მასალაზე)— დადებითი (+0,44), ხოლო ქართველ და სხვადასხვა ენის წარმომადგენელთა მონაცემებს შორის (იაპონურ მასალაზე) +0,07. ამრიგად, მიღებული შედეგები დიამეტრულად საპირისპიროა იმ შედეგებისა, რომლებსაც ადგილი უნდა ჰქონოდა იმ შემთხვევაში, უცნობი ენის სიტყვების გამოცნობა რომ განპირობებული იყოს უცნობი ენის სიტყვების და მათი შესატყვისი მშობლიური ენის სიტყვების ბგერით მხარეთა შორის მსგავსებით.

მეოთხე თავში აღწერილი ექსპერიმენტების საფუძველზე გამოირკვა: 1. ცდისპირები უცნობი ენის სიტყვების ბგერით მხარესა და მნიშვნელობების ურთიერთშედარების გზით მიმღებლობენ მათი ურთიერთშესატყვისობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია იმდენად გარკვეულია, რომ უმეტეს შემთხვევაში ცდისპირს არჩევანი „ვერაფრით სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია" იმდენად სრულყოფილი, რომ „განცდა აქვს თითქოს ეს ენა იცის და იცის, რომ ეს წამდვილად ასეა".

---

[1] ცდები ჩატარდა 1961 წელს ქ. მოსკოვში პ. ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტებზე.

2. უცნობი ენის სიტყვების ბგერით მხარისა და მნიშვნელობათა ურთიერთშესატყვისობის განცდას უმეტეს შემთხვევაში თან ახლავს რწმენა მათი გამოცნობის სისწორის შესახებ. გამოცნობის სისწორის შესახებ მაღალი რწმენის არსებობის პირობებში უცნობი ენის სიტყვები ძირითადად სწორად არის გამოცნობილი, რწმენის ხარისხის ზრდასთან ერთად იზრდება გამოცნობის სისწორე და პირიქით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უცნობი ენის სიტყვების ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშედარების გზით მიღებული ინფორმაცია ძირითადად შეესატყვისება ფაქტიურ ვითარებას.

3. უცნობი ენის სიტყვების ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშედარებით მიღებული ინფორმაცია მათი შესატყვისობის შესახებ ინტერინდივიდუალური კონსტანტობით ხასიათდება. იმ შემთხვევებში, როდესაც ცდისპირთა არჩევანთა დამთხვევა დიდია, უფრო ხშირად ცდისპირთა უმრავლესობის მიერ სიტყვაწყვილები სწორად არის გამოცნობილი.

4. ზოგიერთი სიტყვაწყვილის ცდისპირთა მცირე რაოდენობის მიერ გამოცნობა არ ნიშნავს, რომ ამ სიტყვების ბგერით მხარისა და მნიშვნელობას შორის შესატყვისობა სუსტია ან სულ არ არსებობს. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სიტყვათა ასეთი დაპირისპირების პირობები ამ შესატყვისობის საწვდომად არ არის ხელსაყრელი. სხვაგვარ პირობებში სიტყვაწყვილები, რომელთა გამოცნობასაც, ვთქვათ, ანტონიმურ დაპირისპირებაში მხოლოდ ცდისპირთა უმცირესობა ახერხებს, შესაძლოა ცდისპირთა უმრავლესობამ გამოიცნოს.

5. ჯვარედინ-ენობრივი კვლევა გვიჩვენებს, რომ უცნობი ენის სიტყვების გამოცნობა არ არის მათი დამშობლიური ენის სიტყვების ბგერით მხარეთა შორის რაიმე სახის მსგავსების შედეგი. იგი არ უნდა იყოს განპირობებული კონვენციონალური ასოციაციებით.

ზემოთ აღნიშნული შედეგების საფუძველზე ვფიქრობთ გამართლებულია დავასკვნათ: 1. რაკი უცნობი ენის სიტყვების გამოცნობა კანონზომიერი ხასიათისაა, კანონზომიერი ხასიათის უნდა ყოფილიყო მათი სახელდებაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელისა და მნიშვნელობის შესატყვისობა, რის საფუძველზეც ცდისპირები დიდ უმრავლეს შემთხვევაში ახერხებდნენ უცნობი ენის სიტყვათა გამოცნობას, ასევე სპეციფიკური უნდა ყოფილიყო ამ სიტყვების სახელდების პროცესისათვისაც, სახელდება ამ ურთიერთშესატყვისობის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო.

2. განხილული ტიპის ექსპერიმენტებში გამოყენებული სიტყვა-წყვილები არ მიეკუთვნებიან პიქტორალური სიტყვების კატეგორიას. ამიტომ მათი გამოცნობის და, მაშასადამე, სახელდების კანონზომიერი ხასიათი იმაზე მიუთითებს, რომ სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა, რაც პიქტორალური სიტყვების შემთხვევაში თვალსაჩინოა, ასევე უცხო არ უნდა იყოს არაპიქტორალური ხასიათის ლექსიკისათვისაც. ეს თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ ტერმინი „პიქტორალური სიტყვები" პირობითი ტერმინია და სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის გავრცელების საზღვრების დადგენა, თუკი ასეთი საზღვრები საერთოდ არსებობს, პრაქტიკულად შეუძლებელია.

3. სიტყვები, რომლებიც ექსპერიმენტებში გამოიყენებოდა და რომელთა გამოცნობასაც ცდისპირები წარმატებით ახერხებდნენ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ყველა მათგანი თავდაპირველ ლექსიკურ ფონდს მიეკუთვნება და არ არის ნაწარმოები სხვა სიტყვებიდან. ყოველ შემთხვევაში, ალბათ არავინ ითავებს იმის მტკიცებას, რომ ამ სიტყვების ბგერითი მხარე და მნიშვნელობები ცვლილებებს არ დაქვემდებარებია. მიუხედავად ამისა, თუ მათი გამოცნობა მაინც კანონზომიერი ხასიათისაა, ეს იმაზე მიუთითებს, რომ სიტყვა წარმოებულია ან ეს ბა თუ არა, მისი შემადგენელი ნაწილები დაექვემდებარებიან რაიმე ხასიათის ცვლილებებს თუ არა—სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის შენარჩუნება მაინც ხდება, ცვლილებების ხასიათის მიუხედავად ამ ურთიერთშესატყვისობის იგნორირებას ენობრივი კოლექტივი არასოდეს არ მიმართავს.

თავი მეხუთე

სიტყვის ბგერითი მხარის გეშტალტური ბუნების საკითხისათვის

სახელდებისათვის აუცილებელია ბგერათა კომპლექსი და მნიშვნელობა სახელმდებლის მიერ ურთიერთშესატყვისად, ურთიერთშესაფერისად განიცდებოდეს, აუცილებელია სახელმდებლის მიერ ბგერათა კომპლექსის სახელსადები შინაარსის შესაფერისი სახელის ფუნქციის რომელობის მქონედ განცდა. მაგრამ ბგერათა კომპლექსი გარკვეული სტრუქტურის მქონეა, იგი რამდენიმე ფონემისაგან შედგება. ამიტომ დგება საკითხი—ბგერათა კომპლექსის სახელის ფუნქციის რომელობის მქონედ განცდაში მისი ცალკეული ფორმების ხვედრითი წონის შესახებ. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ბგერათა კომპლექსი სახელსადებ შინაარსთან შესატყვისობის თვალსაზრისითაც გარკვეული სტრუქტურის მქონედ წარმოგვიდგება თუ მოკლებულია ასეთ სტრუქტურას?

საკითხის ამგვარად დასმა ახალი არ არის და როგორც ზემოთაც ვნახეთ, მასზე პასუხის გაცემის ცდას ვნახულობთ ჯერ კიდევ პლატონის დიალოგ „კრატილში", ო. ესპერსენთან, ვ. ვუნდტთან, რ. პადჟეტთან, ვ. ჰორნბოსტელთან, დ. ვესტერმანთან, მ. შასტინგთან და სხვებთან. ყველა ამ ავტორის მოსაზრებები დაფუძნებულია ენის ან ენათა ჯგუფების ლექსიკაზე, მეტ-ნაკლებად სისტემატური დაკვირვებისა და ანალიზის მონაცემებზე. მაგრამ საკითხის გარკვევა ნაცადია აგრეთვე ექსპერიმენტული გზითაც. განვიხილოთ ამ ექსპერიმენტულ გამოკვლევათა შედეგები და ვნახოთ რა მიმართებაში არიან ამ ენაზე დაკვირვებისა და მისი ლექსიკის ანალიზის გზით მიღებულ შედეგებთან.

ცალკეულ „ფონემათა სიმბოლიზმის“ შესასწავლად ჩატარებულ მრავალრიცხოვან ექსპერიმენტულ გამოკვლევათა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ ლინგვისტსა და ანთროპოლოგს ე. სეპირს[1].

ე. სეპირი მიზნად ისახავდა გაერკვია კონტრასტული ხმოვანი ბგერები ხასიათდებიან თუ არა განსხვავებული სიმბოლიზმით. ამ მიზნით იგი ბგერებს, რომელთა სიმბოლიზმის შესწავლაც ჰქონდა გამიზნული, ათავსებდა ორ ერთნაირ თანხმოვან ბგერას შორის. ასეთი გზით იგი ცდილობდა მიეღო ისეთი ბგერათა კომპლექსების წყვილები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნებოდა მხოლოდ იმ ხმოვნებით, რომელთა სიმბოლიზმის შესწავლაც მას აინტერესებდა. ასეთი წესით მან შეადგინა 60 წყვილი ბგერათა კომპლექსი, რომელთაგან 30 ისეთ ბგერებს შეიცავდა, რომლებიც ნაცნობი იყო ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირებისათვის, დანარჩენი 30 კი შეიცავდა ისეთ ბგერებს, რომლებიც ინგლისურ ენაში არ გამოიყენება. უაზრო ბგერათა კომპლექსების ორივე ეს ჯგუფი მან დაჰყო ფუნქციონალურ სიტყვებად: არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავი სახელები და სხვ. ბგერათა კომპლექსები შერჩეული იყო ისეთი პრინციპით, რომ რაც შეიძლება ნაკლები ასოციაცია გამოეწვია. სწორედ ამ მოსაზრებით იყო ნაკარნახევი, რომ ინგლისური ენის ბგერებთან ერთად ცდაში გამოიყენებოდა ისეთი ბგერებიც, რომლებიც ინგლისურ ენაში არ იხმარება. ბგერათა კომპლექსის თითოეულ წყვილს, მაგალითად mal და mil, ცდის ხელმძღვანელი აძლევდა ნებისმიერ მნიშვნელობას, ვთქვათ — მაგიდა. ცდისპირს ევალებოდა გაერჩია ამ წყვილის წევრებიდან რომელი იქნებოდა დიდი და რომელი პატარა მაგიდა. სეპირი ვარაუდობდა, რომ რაკი ეს მარცვლები ერთმანეთისაგან მხოლოდ ხმოვანი ბგერებით განსხვავდებიან, ცდისპირთა არჩევანი, ბუნებრივია, დაეშყარებოდა მხოლოდ ხმოვნებს და, მაშასადამე, იქმნებოდა შესაძლებლობა, გამოვლენილიყო ამ ბგერებისათვის სპეციფიკური სიმბოლიზმი. ამ ექსპერიმენტებში სიტყვაწყვილების სიმარტივის გამო შესაძლოა თავი ეჩინა ცდისპირთა პასუხების სისტემატიზაციას. ასე მაგალითად, რამდენიმე სტიმულზე პასუხის გაცემის შემდეგ ცდისპირებმა შეიძლება ადვილად შეამჩნიონ, რომ ბუნებრივად იქმნება მოსალოდნელი პასუხების

---

[1] E. Sapir, A Study in Phonetic Symbolism. Journal of Experimental Psychology. no. 12. 1929.

გარკვეული თანამიმდევრობა. სახელდობრ, რაკი ცდისპირი ერთხელ იგრძნობს, რომ ვთქვათ ბგერა a უფრო დიდს შეესატყვისება და i პატარას, სხვა შემთხვევაში შესაძლოა ამ შესატყვისობის გარეშეც მოახდინოს მათი განაწილება. ასეთი შესაძლო სისტემატიზაციის გამოსარიცხავად ჩატარდა დამატებითი ცდები, რომლებშიაც მონაცვლეობდნენ არა მარტო თანხმოვნები, არამედ ხმოვნებიც (II სერია). მაგალითად, თუ ბგერათა კომპლექსების პირველ წყვილში შედიოდა ხმოვნები i და a, მეორეში — e და a და ა.შ. ამ სერიაში გამოყენებული ბგერები მათ ფონეტიკურ და აკუსტიკურ თავისებურებათა მიხედვით იყოფა ხუთ ძირითად ჯგუფად. ამ დაყოფის მიზანი იყო გარკვევა, ხასიათდებიან თუ არა ფონემების ცალკეული ჯგუფები სიმბოლიზმის მეტნაკლებობით. ცდები ჩატარდა 500 ცდისპირზე როგორც მოზრდილზე, ასევე ბავშვებზეც — 11-დან 17 წლის ასაკამდე. მოზრდილ ცდისპირებს შორის იყო შვიდი ჩინელიც, რომელნიც ფლობდნენ ინგლისურ ენას.

ცდების მესამე სერიაში, რომელიც შერჩეულ ცდისპირებზე ჩატარდა, აღებულ იქნა „ხელოვნური სიტყვა". ამ სიტყვას ექსპერიმენტატორი ან თვითონ ცდისპირი აკუთვნებს ნებისმიერ მნიშვნელობას. ცდისპირს ევალება რაც შეიძლება მტკიცე კავშირი დაამყაროს „სიტყვასა" და მიკუთვნებულ მნიშვნელობას შორის. ამის შემდეგ ბგერათა კომპლექსში (მაგ., „mila") იცვლება რომელიმე ფონეტიკური ელემენტი (ხმოვანი ან თანხმოვანი) და ცდისპირმა უნდა განსაზღვროს, რა განსხვავება მოხდება მნიშვნელობაში, (მაგ., mila, mela, mala, mina, mola და ა. შ.).

ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ცდისპირთა ინდივიდუალურ თავისებურებათა სხვადასხვაობის მიუხედავად (ასაკი,ეროვნება[1], განვითარების დონე და სხვ.) მათი უმრავლესობა რაღაცნაირად გრძნობს, რომ ბგერათა კომპლექსი ხმოვან a-თი ასიმბოლიზირებს უფრო დიდს, ვიდრე იმავე თანხმოვნებით შედგენილი ბგერათა კომპლექსი ხმოვან i-თი. თითქოსდა გარკვეული ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები უფრო დიდად ჟღერენ, ვიდრე სხვები. გარდა ამისა, იმ ბგერებს, რომლებიც ვოკალურ შკალაზე a-ს მახლობლად არიან, აქვთ ტენდენცია ნიშნავდნენ „დიდს", ხოლო i-ს მახლობლად მყოფნი კი

---

[1] ჩინელმა ცდისპირებმა mal და mil-ის კონტრასტებზე უფრო ნაკლები შეთანხმებულობა გამოავლინეს, ვიდრე ცდისპირთა სხვა რომელიმე ჯგუფის წევრებმა.

„პატარას“. ავტორის აზრით, ცდების მონაცემები აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს „თავისებურ ფსიქოლოგიურ ფაქტთან“, რომელსაც უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო შეიძლება ეწოდოს „ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი ს ი მ ბ ო ლ ი ზ მ ი“.

ავტორი გადაჭრით არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რით არის დანპირობებული ცდებში გამოვლენილი ფონეტიკური სიმბოლიზმი. ავტორის აზრით, მიზეზი შეიძლება აკუსტიკური ხასიათისა იყოს (შესაძლოა გარკვეული ხმოვნების შინაგანი მოცულობა არის უფრო დიდი, ვიდრე სხვების), ასევე შესაძლოდ მიიჩნია კინესთეტიკური ფაქტორებით იყოს იგი განპირობებული: შესაძლოა ჩვენ არაცნობიერად ვგრძნობთ, მიუთითებს იგი, რომ ეს გარემოება ენის პოზიციასთან არის დაკავშირებული. i-ს შემთხვევაში ენა მაღლაა სასასთან და ჰაერის რხევადი ნაკადი გადის ვიწრო სარეზონანსო არეში. a-ს შემთხვევაში კი პირიქით, ენა ძლიერ დაბლაა დაწეული და გაწეულია უკან, რის გამოც ჰაერის რხევადი ნაკადი გადის უფრო ფართო სარეზონანსო არეში. ორივე ეს ახსნა (აკუსტიკური და კინესთეტიკური) ძლიერ მარტივია და, როგორც რ. ბრაუნი მიუთითებს, არსებითად იგი იმის მეტს არაფერს ნიშნავს, რომ სივრცობრივად გაშლილი ექსტი სიმბოლურად უფრო დიდთან არის მიმართებაში, ვიდრე სივრცობრივად შეზღუდული ექსტი.

სეპირი ამ ტიპის გამოკვლევათა ღირსებას იმაში ხედავს, რომ მათში შესაძლებელია გამოვლინდეს „არაცნობიერი ან ინტუიტური ლოგიკით“ განსაზღვრული სიმბოლიზმის ტენდენციები. იგი სეპირის აზრით არასოციალიზებული სიმბოლიზმია და მისი ახსნა შეუძლებელია ფუნქციონური ენობრივი ფაქტორებით.

საკითხის შემდგომი შესწავლის მიზნით სეპირს საჭიროდ მიაჩნია შემოწმდეს ინგლისურ აზრიან სიტყვებში გამოხატული შინაარსობრივი კონტრასტები ნახულობენ თუ არა თავის გამოხატულებას ფონეტიკურ კონტრასტებშიც და თუ ნახულობენ, რა მიმართებაშია ესინი ექსპერიმენტულად დადასტურებულ შედეგებთან. სეპირის ყოფილი ასისტენტი ს. ნ ი უ მ ე ნ ი სეპირის მონაცემებსა და დამატებით მასალებზე დაყრდნობით შეეცადა პასუხი გაეცა სეპირის მიერ დასმულ ამ კითხვაზე[1].

---

[1] S. S. Newmen, Further Experiments in Phonetic Symbolism. Americ. Journ. of Psychol. no. 45. 1933.

ცდების პირველ სერიაში ს. ნიუმენი სეპირის მსგავსად იყენებს უაზრო სიტყვებს, რომელთა წყვილებს შორის განსხვავება ერთ ხმოვანში ან ერთ თანხმოვან ბგერაშია, მაგ., glupa და glopa. თითოეულ წყვილს აძლევენ ნებისმიერ მნიშვნელობას, მაგ., „ცხენი" და ცდისპირმა უნდა ამოირჩიოს ამ წყვილიდან. რომელია დიდი და რომელი პატარა ცხენი. სულ ცდაში გამოიყენებოდა 100 სიტყვა-წყვილი, რომლებშიაც ყოველი ფონეტიკური კონტრასტი მეორდებოდა რამდენჯერმე. უაზრო სიტყვაწყვილები ფიგურირებდნენ როგორც არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი და სხვ.

ცდების მეორე სერიაში გამოიყენებოდა დაპირისპირება ცნებებს შორის — ერთი მხრივ დიდი და პატარა, ხოლო, მეორე მხრივ, ბნელი და ნათელი. ექსპერიმენტის ორგანიზაცია ისეთივეა, როგორც პირველ სერიაში. სიტყვაწყვილები შედგენილი იყო 9 ხმოვნისა და 15 თანხმოვნის დაპირისპირებით. კონტრასტის ყოველი წევრი ცდისპირს მხოლოდ ერთხელ ეძლეოდა. ცდისპირს ჯერ უნდა განესაზღვრა დიდ-პატარის კონტრასტი, ხოლო შემდეგ იმავე წყვილებზე ბნელ-ნათელის. ცდისპირთა ყურადღება რომ არ შესუსტებულიყო, კონტრასტული ბგერები სიტყვაში პოზიციის, მახვილის და სხვათა მიხედვით ცვალებადობდნენ. ცდისპირები იყვნენ ბავშვები 9 წლის ასაკიდან და მოზრდილები (სულ 600). ამ სერიის მიზანი იყო გაერკვია, ხასიათდებიან თუ არა სხვადასხვა ფონეტიკური კონტრასტები სხვადასხვაგვარი სიმბოლიზმით. ცდების შედეგად გამოირკვა, რომ შედეგების რაგვარობაზე გავლენას არ ახდენს ბგერათა კომპლექსთან დაკავშირებული მნიშვნელობა თავსდება არსებითი სახელების, ზმნების თუ სხვა გრამატიკულ კატეგორიებში. ასევე მნიშვნელობა არა აქვს ცდისპირთა ასაკს.

ნიუმენმა ცდისპირთა მონაცემების მიხედვით სიდიდის შკალაზე განალაგა ხმოვნები და ისინი აღმოჩნდნენ განლაგებულნი ასეთი თანამიმდევრობით: i, e, E, æ, a (პატარიდან დიდის მიმართულებით). ბგერათა ასეთი თანამიმდევრობა ფონეტიკური თვალსაზრისით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ამ თანამიმდევრობით ბგერათა წარმოქმნის დროს თანდათანობით: 1. ენა გადაადგილდება წინიდან უკან, 2. მცირდება ვოკალური რეზონანსის სიხშირე, 3. დიდდება პირის ღრუს ზომა.

ნიუმენმა დაუმატა კიდევ ხმოვანი ბგერები u (როგორც იგი გამოითქმის ინგლისურ სიტყვაში whód), o: (როგორც გამოითქმის ინგლისური სიტყვა hoed-ში), და ɔ (როგორც ინგლისურ hawed-ში).

ეს ხმოვნები ცდისპირების მიერ უფრო დიდის მნიშვნელობის გამომხატველებად განიცდებოდნენ, ვიდრე ზემოთ აღნიშნული ხუთი ხმოვანი. ნიუმენის აზრით, როგორც ჩანს, დიდის სიმბოლიზმით ისეთი ბგერები ხასიათდება, რომელთა წარმოთქმისას დიდია პირის ღრუ, დაბალია ვოკალური რეზონანსი და ენა გადანაცვლებულია ხორხისაკენ. ასეთსავე თანამიმდევრულ და სისტემურ კავშირში აღმოჩნდნენ თანხმოვანი ბგერებიც. პატარა-დიდის სიმბოლიზმის მიხედვით თანხმოვანი ბგერები ასე განლაგდებიან: ალვეოლარული, ლიბიალური და პალატალური. ბევრი ინგლისური თანხმოვანი ბგერა წყვილდება, რომელთაგან ერთი მეღერია, ხოლო მეორე ყრუ. მაგ., d და t, b და p, g და k და ა. შ. ამ წყვილებიდან მეღერი თანხმოვანი ჩვეულებრივ უფრო დიდად განიცდება.

დიდ-პატარა და ნათელი და ბნელი განზომილებების მონაცემების შედარებისას გამოირკვა, რომ ნაწილობრივ ეს განზომილებები კორელაციაში იყვნენ — უფრო დიდი ხმოვნები უფრო ბნელიც იყო. ასევე, მეღერი თანხმოვნები დიდებიც იყო და ბნელიც, თუმცა კორელაცია არ წარმოადგენდა სრულს და თანამიმდევრულს. ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ნათელი ასოცირებული იყო დიდთან და ბნელი — პატარასთან.

ამ მიზნით, რომ გაერკვია შინაარსიან ინგლისურ სიტყვებში ასახულია თუ არა ფონეტიკური სიმბოლიზმის ის ტიპი, რომელიც ექსპერიმენტებში დადასტურდა, ნიუმენმა ლექსიკონიდან ამოკრიფა ყველა ის სიტყვა, რომელიც თავსდებოდა დიდისა და პატარის რუბრიკის ქვეშ. ეს სიტყვები გაცხრილულ იქნა 11 „მსაჯის" მიერ და დატოვებულ იქნა მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც მათი უმრავლესობის მიერ ასეთად იქნა მიჩნეული. ამ სიტყვების ანალიზმა ნათელყო, რომ ინგლისური სიტყვების ფონეტიკური შედგენილობა პრაქტიკულად ანგარიშს არ უწევს ცდებში დადასტურებულ სიდიდის სიმბოლიზმს.

ნიუმენი ცდების საფუძველზე ასკვნის:

1. ფონეტიკურ სიმბოლიზმს აქვს ობიექტური საფუძვლები. სიმბოლური შკალა განპირობებულია ისეთი მექანიკური ფაქტორებით, როგორიცაა საარტიკულაციო აპარატის პოზიცია, აკუსტიკური რეზონანსის სიხშირე, არტიკულაციისას პირის ღრუს ზომა, ფონემის ვოკალური სიგრძე, თანხმოვნის ეღერადობა და ფონეტიკური სტრუქტურა.

2. განსაკუთრებული ტიპის ფონეტიკური ნიმუშები არამაგავსი სიმბოლიზმით ხასიათდებიან. ფონეტიკური ნიმუშების და, მაშასადამე, სიმბოლიზმის სხვადასხვაობაც აგრეთვე განპირობებულია ობიექტური ფაქტორებით. ასე მაგალითად, ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ფონემის ვოკალური სიგრძე და მისი წარმოთქმისას პირის ღრუს ზომა, ძირითადი ფაქტორებია სიდიდის სიმბოლიზაციისათვის, იმ დროს, როდესაც არტიკულაციისას ენის პოზიციის თანამიმდევრობა და თანხმოვნის ყოერადობა, როგორც ჩანს, უნდა წარმოადგენდეს სიდიდისა და სიბნელის სიმბოლიზაციის ფაქტორებს.

3. ცდებში დადასტურებული სიმბოლიზმი არ წარმოადგენს ლინგვისტური, კონვენციონალური ასოციაციის შედეგს, რაც დასტურდება კორელაციის არარსებობით, ერთი მხრივ, ენაში გარკვეული მნიშვნელობის აღსანიშნავად გამოყენებულ ბგერებსა და, მეორე მხრივ, ფონემების იმ სიმბოლიზმის განაწილებას შორის, რომელიც ანალოგიურ მნიშვნელობათა მიმართ დადასტურდა ცდებში. ს. ნიუმენის აზრით ამ დასკვნის სისწორეზე მიუთითებს აგრეთვე შედეგების დიდი სიმტკიცეც, რაც შეუძლებელია განპირობებული იყოს ისეთი შემთხვევითი ფაქტორით, როგორიც არის ლინგვისტური ასოციაცია.

ს. ნიუმენის შედეგები გაუგებარია და ერთიმეორესთან ძნელად შესათანხმებელი. ერთი მხრივ, ექსპერიმენტებით ირკვევა, რომ ცალკეული ფონემები სპეციფიკური სიმბოლიზმით ხასიათდებიან, მეორე მხრივ კი აღმოჩნდა, რომ ეს სიმბოლიზმი არ ნახულობს თავის გამოხატულებას ინგლისური ენის სიტყვებში. რ. ბრაუნის აზრით, ის ფაქტი, რომ ნიუმენის ექსპერიმენტში გამოვლენილმა სიმბოლიზმმა დადასტურება ვერ ნახა მის მიერ გაანალიზებულ ინგლისური ენის სიტყვებში, შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ მან დიდ-პატარის რუბრიკის ქვეშ მრავალი სიტყვა გააერთიანა და მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც ზომასთან მხოლოდ შორეული ასოციაციები აქვთ. იგი ვარაუდობს, რომ შესაძლოა კორელაცია დადასტურდეს, თუ ავიღებთ მხოლოდ იმ სიტყვებს, რომლებიც ზომას უშუალოდ ეხებიან. ასეთი ანალიზის დროს, მიუთითებს ბრაუნი, მხედველობაში მისაღებია სიტყვახმარების სიხშირეც, რადგანაც მეტად და ნაკლებად ხმარებული ყველა სიტყვა არ შეიძლება მივიჩნიოთ ერთნაირი ხვედრითი წონის მქონედ. აღნიშნულის გათვალისწინებით რ. ბრაუნმა და ჯინ ბენქმა შეარჩიეს უშუალოდ სიდიდის აღსანიშნავად ხმარებული ინგლისური სიტყვები, გააანალიზეს ისინი, მაგ-

რამ შედეგებში ვერც მათ ნახეს ისეთი რამ, რაც ინგლისურ სიტყვებში ხმოვანთა სიმბოლიზმის არსებობაზე მიუთითებდეს[1]. შედეგების ასეთი სხვადასხვაობა თითქოს მოულოდნელი უნდა იყოს, რადგანაც როგორც წინა თავში მოყვანილ ავტორთა გამოკვლევებიდან ირკვევა, ცალკეულ ფონემათა სიმბოლიზმი ენობრივი მასალების ანალიზის გზითაც დასტურდება. ჩ. ფოქსის აზრით ს ნიუმენის, ჰორნბოსტელისა და ვესტერმანის გამოკვლევათა შედეგებს შორის განსხვავება შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ ჰორნბოსტელი და ვესტერმანი იყენებდნენ ინგლისურ ენასთან შედარებით ნაკლებად განვითარებულ ენებს[2]. მაგრამ ეს ვარაუდი ნაკლებად სარწმუნოა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჰორნბოსტელი ინდოგერმანული ენების მასალებსაც იყენებდა, ხოლო რაც შეეხება ინგლისური ენის ლექსიკას, სწორედ ამ ლექსიკაზე დაადასტურა მ. შასტინგმა ცალკეულ ფონემათა სიმბოლიზმის არსებობის ფაქტი. ამრიგად, ცალკეული ფონემების სიმბოლიზმის ექსპერიმენტული კვლევა თავიდანვე სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა, რომელთა გარკვევის გარეშე ძნელია რაიმე დასკვნების გაკეთება, ძნელია ექსპერიმენტებში მიღებული შედეგების ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა. ამ საკითხს შემდგომ ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით და შევეცდებით გავარკვიოთ შედეგთა ამ სხვადასხვაობის მიზეზები.

ე. სეპირმა ფონეტიკური სიმბოლიზმი დიდ-პატარის მიმართებაზე იკვლია, ს. ნიუმენმა—დიდ-პატარის და ნათელისა და ბნელის მიმართებებზე, მ. ბენტლეიმ და ე. ვარონმა ამ მიზნით 10 წყვილი კონტრასტული კატეგორია გამოიყენეს (სიდიდე, კუთხოვანება, სისულელე, გამძლეობა, თხიერობა, სიყვარული, მოძრაობა, ხმაური, სიმყარე და ძალა)[3]. ცდების პირველი სერია მიზნად ისაზავდა გამოერკვია, გამოვლინდება თუ არა ე. წ. ფონეტიკური სიმბოლიზმი თავისუფალ ასოციაციებში. ამ მიზნით შეადგინეს ცდის მასალის 40 სია. თითოეული სია შეიცავდა ორ ან სამ ნაცნობ სიტყვას და შვიდ ან რვა უაზრო მარცვალს. უაზრო მარცვლები შედგენილი იყო ტრადიციული პრინციპით თ-ხ-თ (თანხმოვანი—ხმოვანი—თანხმოვანი). ამ უკა-

---

[1] R. Brown. Words and Things. 1958.

[2] Ch. Fox. An experimental study of naming. American Journal of Psichology, 1935, no. 47.

[3] M Bentley and E. Varon. An accessory study of phonetic symbolism, Americ. Journ. of Psychology, no. 45, 1933.

ნასკნელთაგან ორი იყო კრიტიკული, ე. ი. გამოიყენებოდა სეპირის შიერ გამოყენებული მარცვლები, რომლებიც შეიცავდნენ ხმოვან ბგერებს a და i. კრიტიკული მარცვლები პირველ 20 სიაში ცალ-ცალკე იყო დაწერილი, მეორე ოცში კი—ერთიმეორის მოყოლებით. ცდისპირს ევალებოდა, როგორც კი ექსპერიმენტატორი წარმოთ-ქვამდა სიაში მოთავსებულ სიტყვას ან უაზრო მარცვალს, სწრაფად ეპასუხა პირველივე სიტყვით, რომელიც კი გაჩნდებოდა ცნობიერე-ბაში. ორმოცივე სია თითოეულ ცდისპირს სამ-სამჯერ ეძლეოდა სხვა-დასხვა წესით. ცდები ჩატარდა სამ ცდისპირზე.

ცდისპირები ექსპერიმენტატორის პასუხად ზოგჯერ ისეთ ბგერა-თა კომპლექსს იძლეოდნენ, რომელიც სიტყვის დასრულებას იწვევ-და, ხან მსგავს სიტყვას — ბგერათა კომპლექსს, ზოგჯერ პასუხად ონომატოპოეტური მნიშვნელობა ფიგურირებდა (zin—გაფრენილი ჭურვის ხმაური) და სხვ. მაგრამ 3600 პასუხიდან, ავტორების აზრით, არც ერთი არ მიუთითებდა იმაზე, რომ ვლინდებოდა ისეთი ფაქტო-რი, როგორიცაა ფონეტიკური სიმბოლიზმი, ყოველ შემთხვევაში, ისეთი ხარისხით, რომელიც მიიყვანდა პასუხ-სიტყვასთან, რომელიც ზომის ან სიდიდის განსაზღვრულობის მანიშნებელი იქნებოდა.

მეორე ცდის პირობები უფრო მეტად იყო მიახლოებული სეპი-რის მეთოდთან, თუმცა განსხვავება მაინც საგრძნობი იყო. აღნიშნუ-ლი 10 წყვილი კონტრასტული კატეგორიიდან აღებულია წყვილს მხოლოდ ერთი წევრი, რომელსაც მოსდევს უაზრო ბგერათა კომპ-ლექსი. ცდისპირს ევალება უპასუხოს: ეს ბგერათა კომპლექსი რაი-მე ხარისხით გულისხმობს თუ არა წინმსწრებ მნიშვნელობას, ანდა მის საწინააღმდეგოს. 1500 ჩვენებიდან 450-ში შეიმჩნეოდა რაღაცა სახის ნათესაობა სიტყვა კატეგორიასა და უაზრო ბგერათა კომპლექსს შორის. აქედან, ორ მეხუთედზე მეტი ერთი ცდისპირის ჩვენებები იყო. ცდისპირებს შორის შეთანხმებულობა გაცილებით მეტია არა-პოზიტიურ რაპორტებში, ვიდრე პოზიტიურში.

ეს ფაქტიური ვითარება, ავტორების აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ გამოყენებული უაზრო ბგერები სიმბოლურად არ წარმოგვიდ-გენენ გამოყენებული კატეგორიების თვისობრიობას.

მესამე ცდაში გამოიყენება კონტრასტულ კატეგორიათა ხუთი წყვილი. სიტყვა-კატეგორიის შემდეგ ცდისპირს თანატოლი ინტერ-ვალით, ერთნაირი ინტონაციით და მოდულაციით აწვდიან ორ უაზ-რო ბგერათა კომპლექსს სწრაფ თანამიმდევრობაში. ეს ცდა სეპი-რის და ნიუმენის ცდებიდან არსებითად იმით განსხვავდება, რომ თუ

მათთან ბგერათა კომპლექსს მნიშვნელობა ნებისმიერად ჰქონდა. მინიჭებული და ცდისპირი ვალდებული იყო მხოლოდ განესაზღვრა რომელია დიდი და რომელი პატარა, ამ შემთხვევაში მათ შეუძლიათ აირჩიონ ორიდან ერთი, ან არცერთი.

ამ პირობებში შეინიშნებოდა ერთგვარი ნათესაობა. 300 დაწყვილებაში ხუთი კატეგორიისათვის ასეთი სახის ნათესაობაზე მითითებული იყო 165-ჯერ. მაგრამ ცდისპირთა ჩვენებებიდან აშკარად ჩანს, რომ დასახელებული კავშირი, როგორც წესი, იძულებითია. სეპირისა და ნიუმენის შედეგები გაცილებით უფრო მაღალია. ეს გარემოება აიძულებს ავტორებს გააკეთონ დასკვნა, რომ ფორმალურ და შემთხვევით ინსტრუქციებს ასეთ ცდებში ენიჭებათ დიდი მნიშვნელობა.

მეოთხე ექსპერიმენტი ჯგუფურია. აქ გამოყენებულ იქნა სამი სიტყვა-კატეგორია და მათი საპირისპირონი. მსგავსად სეპირისა და ნიუმენისა, უაზრო ბგერათა კომპლექსებს მიეცათ ნებისმიერი მნიშვნელობა. აიღეს 36 წყვილი უაზრო ბგერათა კომპლექსი. კონტრასტული ბგერები გაანაწილეს გარკვეული სისტემით. ბგერათა კომპლექსების თანამიმდევრობა იყო შემთხვევითი. ცდის მსვლელობა ისეთივე იყო როგორც სეპირთან და ნიუმენთან, იმ განსხვავებით, რომ თუ მათთან ინსტრუქცია უფრო კატეგორიულ ხასიათს ატარებდა, აქ ექსპერიმენტატორები ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ თუ შეგიძლიათ, განსაზღვრეთ რომელი იქნება უფრო დიდი. ი. ბენტლეის და ვარონის ამ ცდაში იძულების მომენტი ნაკლებია, ვიდრე მათ წინამორბედების ექსპერიმენტებში. ცდისპირების მიერ ხმოვანი a განიცდებოდა როგორც უფრო დიდი, ვიდრე ხმოვანი i — შეფარდებით 4:1; კუთხოვანობა-სიმრგვალისათვის იგივე ბგერების შემთხვევაში შეფარდება არის 1:3; a უფრო რბილია i-ზე, შეფარდებით 2:1.

დაბოლოს, მეხუთე ექსპერიმენტი. აიღეს სამი წყვილი უაზრო ბგერათა კომპლექსი a და i-ს გამოყენებით, კამერტონის ტონების ერთი წყვილი (512 და 2304 რხევა) და ერთი წყვილი ხმაური (მძიმე ხეზე ბამბაშემოხვეული ჩაქუჩის ყრუ დარტყმა და პატარა ჩაქუჩით ხის ზედაპირზე გამოწვეული ჭახანი).

სეპირისა და ნიუმენის ცდებში, როგორც ვნახეთ, გამოიყენებოდა მხოლოდ ლინგვისტური ბგერები. ბერტლეისთან და ვარონთან კი როგორც ლინგვისტური, ისე არალინგვისტური ბგერები (კამერტონის ბგერები და ხმაურები). გამოირკვა, რომ კამერტონის ტონებზე და ჩაქუჩით გამოწვეულ ხმაურებზე ცდის შედეგები ბევრად უკე-

თესია, ვიდრე ლინგვისტურ ბგერებზე. სახელდობრ, კამერტონების გამოყენების შემთხვევაში უფრო დაბალი ტონები განიცდებოდა „უფრო დიდად“, ვიდრე მაღალი ტონები, დაახლოებით შეფარდებით 7:1, ხოლო უფრო მაღალი ხმაური განიცდებოდა „უფრო პატარად“, ვიდრე უფრო დაბალი ხმაური, პროპორციით 20:1.

აღწერილი ცდების შედეგად ავტორები ასკვნიან, რომ შესაძლებელია ცდები ისეთ პირობებში ჩატარდეს, რომ მივაღწიოთ ცდისპირთა მონაცემების დამთხვევის დიდ ხარისხს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს, რომ ვთქვათ დიდის აღსანიშნავად a-ს შემცველ ბგერათა კომპლექსს ცდისპირები ირჩევენ იმის გამო, რომ a-ს ახასიათებს გარკვეული, დიდის შესატყვისი „ფონეტიკური სიმბოლიზმი“. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ამ ექსპერიმენტულ პირობებში ცდისპირები ხელმძღვანელობენ რაღაცა სახის განსხვავებით, რომელიც არსებობს ორ ლინგვისტურ ბგერაში და რაც სპეციფიკური არ უნდა იყოს მხოლოდ მათთვის. ფონემები, ტონები, ხმაური — ცდისპირების მიერ გამოიყენება არა რაიმე მათთვის დამახასიათებელი სიმბოლიზაციის გამო, არამედ, უფრო სწორედ, როგორც ხარისხის და ლაბილური სისტემის მქონენი, როგორც უნარის მქონენი, გამოხატონ ჰეტეროგენული შინაარსი რაღაცნაირად შესაფერის და გამომხატველობით საშუალებებში, იქნებოდა ეს ლინგვისტური თუ არალინგვისტური.

ბენტლეისა და ვარონის დასკვნა, რომ ცდისპირები მეტ-ნაკლები თანამიმდევრობით იყენებენ „რაღაცა სახის განსხვავებას“, არ არის ნათელი. რას ნიშნავს ეს „რაღაცა სახის განსხვავება“? როგორ წარმოიშვა იგი? ამ კითხვაზე ავტორები პასუხის გაცემას არც ცდილობენ. ისინი წინააღმდეგნი არიან უწოდონ ფონეტიკური სიმბოლიზმი ცდისპირთა ტენდენციას—დაუკავშირონ a სიდიდეს, სირბილეს და სიმრავლეს. ხოლო i ამ განზომილებათა საპირისპიროებს, მაგრამ მიზეზი ამ უარყოფისა არ არის გასაგები. ის ფაქტი, რომ მათ მეხუთე ექსპერიმენტში ცდისპირები ისეთივე წარმატებით იჩენდნენ შეთანხმებულობას კამერტონის ტონებისა და ხმაურთა გარკვეულ მნიშვნელობებთან დაკავშირებისას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ლინგვისტური ბგერების მიმართ, არ იძლევა საფუძველს მტკიცებისათვის, რომ ამ უკანასკნელთათვის არ არის დამახასიათებელი სიმბოლიზმი. საქმე იმაშია, რომ ფონეტიკური სიმბოლიზმის ტრადიციული გაგების მიხედვით ენებში გამოყენებული ბგერების ფიზიკური თვისებების (ძალა, ტემბრი, ტონის სიმაღლე, ხანგრძლივობა და ა. შ.) და სამყა-

რომ ობიექტების ფიზიკური თვისებების მსგავსება იწვევს იმას, რომ გარკვეული ბგერები, გარდა მათი კონვენციონალური მნიშვნელობებისა გარკვეულ მნიშვნელობებზეც მიუთითებენ. ასეთი საერთო თვისებების არსებობას არც ბენტლეი და ვარონი არ უარყოფს, მათ მიხედვითაც ფონემები, ტონები, ხმაური ცდისპირების მიერ გამოიყენება როგორც ხარისხისა და ლაბილური სისტემის მქონენი, რომლებსაც აქვთ უნარი ჰეტეროგენული შინაარსი გამოხატონ რაღაცნაირად შესაფერის და გამომხატველობით საშუალებებში. ბენტლეისა და ვარონის ექსპერიმენტებმა ფაქტიურად ვერ უარყვეს სეპირისა და ნიუმენის მონაცემები, პირიქით, დაადასტურეს იგი. ერთადერთი, რისი მტკიცების საფუძველსაც მათი მეხუთე ცდა იძლევა, ისაა, რომ ასეთი გამოხატვის უნარით, როგორც ბენტლეი და ვარონი იტყოდა, ხასიათდება არა მხოლოდ ლინგვისტური ბგერები, არამედ ტონები და ხმაურიც, მაშასადამე, მისი მიზეზი გაცილებით უფრო ზოგადი ხასიათისა უნდა იყოს, ვიდრე ეს სეპირისა და ნიუმენის მიერ მითითებული ფონეტიკური სიმბოლიზმია.

შედეგების დაზუსტების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე მ. ებერჰარდტის ექსპერიმენტები[1]. იგი სეპირისა და ნიუმენის მიერ გამოყენებული მეთოდით ატარებდა ცდებს ინგლისურის მკითხველ ყრუ ბავშვებზე. ყრუ ცდისპირები ინგლისური ენის ხმოვან ბგერებს ანაწილებდნენ ძირითადად იმავე წესით, როგორც სმენის მქონე ინგლისელები, იმ განსხვავებით, რომ u-ს ადგილი გადაანაცვლეს და მასზე მსჯელობდნენ როგორც ძალიან პატარაზე. ავტორის აზრით, უნდა ვივარაუდოთ, ყრუსათვის u ხმოვნით მიღებულ შთაბეჭდილებაში უფრო გამოკვეთილია ამ ხმოვნის წარმოთქმისას დამრგვალებული ტუჩებიდან მიღებული პროპრიოცეპტული შეგრძნებები, ვიდრე სმენის მქონესათვის. ავტორის აზრით ეს გამრგვალება, როგორც ჩანს, მცირე სიდიდეზე მიუთითებს, რადგანაც, თავისთავად ცხადია, ყრუ ცდისპირებს თავიანთი მსჯელობის დაფუძნება არ შეეძლოთ ბგერათა ტონალურ თვისებებზე.

ზემოთ განხილულ ექსპერიმენტებში მონაწილეობდნენ მხოლოდ ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირები. ერთგვარ გამონაკლისს შეადგენდა სეპირის 7 ჩინელი ცდისპირი, რომლებიც ინგლისურადაც ლაპარაკობდა. ამის მიუხედავად, ავტორებს მიდრეკილება აქვთ

---

[1] M. Eberhardt, A study of phonetic symbolism of deaf childrens. Psychological Monographs, no. 52, 1940.

მიღებული შედეგები განაზოგადონ და მიიჩნიონ უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის გამოვლინებად. რ. ბრაუნი, ი. ტეილორი და სხვები სამართლიანად მიუთითებენ, რომ არ იქნება მართებული მხოლოდ ერთი ენის წარმომადგენლებზე მიღებული შედეგები მივიჩნიოთ საერთოდ ენისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებად. ერთი ენის ცდისპირთა შედეგები გამოდგება მხოლოდ ამ ენის შესახებ დასკვნების გასაკეთებლად. სანამ გარკვეული არ იქნება, როგორია სხვა ენებზე მოლაპარაკე ცდისპირთა შედეგები, ლაპარაკი უნივერსალურ ფონეტიკურ სიმბოლიზმზე ნაადრევი და საფუძველს მოკლებული იქნება. ამ მხრივ საყურადღებოა ო. დაგირის, მ. მირონის და განსაკუთრებით ი. ტეილორისა და მ. ტეილორის ექსპერიმენტები.

ო. დაგირიმ ცდები ჩაატარა იაპონელ ცდისპირებზე სეპირის მეთოდით (იყენებდა მხოლოდ დიდ-პატარის კონტრასტს). ცდებში გამოიყენეს 10 წყვილი უაზრო მარცვალი. იაპონელებზე მიღებული შედეგები იმის ანალოგიურია, რომელიც მიიღო სეპირმა ინგლისელ და ჩინელ ცდისპირებზე[1].

მ. მირონმა ანალოგიური ექსპერიმენტები ჩაატარა ორი სხვადასხვა ენის წარმომადგენლებზე (79 ამერიკელი და 41 იაპონელი). მისი იაპონელი ცდისპირები სხვადასხვა ხარისხით ფლობდნენ ინგლისურ ენას. ამ 120 ცდისპირის მონაცემების საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ როგორიც არ უნდა იყოს ცდისპირთა მშობლიური ენა, თავს იჩენს გარკვეული კანონზომიერება—რაც უფრო მაღალია ბგერა, მით უფრო გვეელინება სიმსუბუქის, სისუსტის, სიმცირის, სიპატარავის, სისწრაფის,სიმაღლის და სხვა მათი მსგავსის სიმბოლიზმის მატარებლად. ამ შედეგების საფუძველზე მირონი ასკვნის, რომ ბგერებს აქვს სიმბოლური ღირებულება. იგი კანონზომიერ კავშირშია ბგერების ფონეტიკურ თვისებებთან, მომდინარეობს მათი შინაგანი ფონეტიკური შინაარსიდან და არა რომელიმე რეალური სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებული ასოციაციებიდან. შედეგების დიდი მსგავსება, რომელსაც ადგილი აქვს ამერიკელ და იაპონელ ცდისპირებს შორის, ავტორის აზრით იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ კანონები, რომლებიც ფონეტიკურ სიმბოლიზმს განაგებენ, შესაძლოა

---

[1] O. Dagiri, On phonetic symbolism. In J. Endo, K. Hatano, H. Kebayashi, M. Koshimizu, O. Miyagi, H. Nakajiama, T. Obona (Eds). Science of Language, vol. 3. Tokyo: Nakayama Shoten. 1958.

იყოს უნივერსალური, თუმცა ეს კანონზომიერებები არ დასტურდება იმ ენებში, რომლებზედაც ეს ცდისპირები ლაპარაკობენ[1].

ამ გამოკვლევათა რიგში თავისებურად გამოიყენება ლ. ვისემანის გამოკვლევა[2]. მან მიზნად დაისახა ექსპერიმენტულად ეკვლია ონომატოპოეტური სიტყვების წარმოქმნის პროცესი. ვისემანი საშუალო სკოლადამთავრებულ ცდისპირებს ასმენინებდა სხვადასხვა სახის ხმაურს, რომელთათვისაც მათ შესაფერისი სახელები უნდა შეერჩიათ. ზოგიერთ შემთხვევაში ცდისპირებს ხმაურისათვის სახელი თვითონ უნდა შეექმნათ, ზოგჯერ კი უნდა შეერჩიათ ექსპერიმენტატორის მიერ წინასწარ მომზადებული სიებიდან. ექსპერიმენტატორი მეზობელ ოთახში გამოსცემდა ხმაურს ისეთი საშუალებებით, რომლებიც ლაბორატორიული სიტუაციისათვის მეტ-ნაკლებად შეუფერებელი იყო. ასე მაგალითად: პირველი სახელსადები ხმაური გამოწვეული იყო 5 კგ-იან რკინაზე 0,5 კგ-იანი ჩაქუჩის დარტყმით. დარტყმა ისეთი ძალით ხდებოდა, რომ ჩაქუჩი მაშინვე ხტებოდა და ადგილი ჰქონდა განმეორებით დარტყმას. ცდისპირს აწვდიდნენ ასეთი სახის 45 ორმაგ დარტყმას ერთი წუთის განმავლობაში. მეორე სახის ხმაური მიიღებოდა განსაზღვრული წონისა და დიამეტრის ხის კრიალა ბურთის დაგორებით 13° დახრილობის მქონე ძლიერ თხელ ხის დაფაზე, რომელიც ბოლოს ლითონის ყუთში ვარდებოდა. გამოიყენებოდა აგრეთვე ჯაჭვებით, ქვებით, სპირალური ზამბარებით, რქის სავარცხლით, ხის ნაჭრის დაგდებით, ხის ბლოკებისაგან აშენებული კოშკის დანგრევით, მინის ჭურჭლის იატაკზე დამსხვრევით და სხვ. საშუალებებით მიღებული ხმაური.

შეიძლებოდა გვევარაუდა, მიუთითებს ავტორი, რომ ცდისპირები მრავალმარცვლოვან ბგერათა კომპლექსებს უფრო დიდი ხანგრძლივობის ხმაურთა სახელებად გამოიყენებდნენ, მაგრამ ნამდვილად ასე არ მოხდა. აღმოჩნდა, რომ ცდისპირთა მიერ შერჩეულ სახელებში შემავალი მარცვლები გამოხატავენ უფრო ხმაურის დიფერენციაციას, ვიდრე მათ ხანგრძლივობას. მახვილი გამოიყენებოდა იმისათვის, რომ ხაზი გაესვათ განსაკუთრებით ხმამაღალი ხმაურისათვის ანდა განსაკუთრებით გამოკვეთილი განაყოფებისათვის ხმაურში. ხმა-

---

[1] M. S. Miron, A cross-linguistic investigation of phonetic symbolism. Joura. of Abnorm. and Social Psychology, 1961, vol. 62, № 3.

[2] H. Wissemann. Untersuchungen zur Onomatopoiie: 1 Teil, die sprachpsychologischen Versuche. Heidelberg. Carl winter Universitätsverlag, 1954.

ურს, რომელიც უეცრად იწყებოდა, ცდისპირები აძლევდნენ ისეთ სახელებს, რომლებიც ყრუ ხშული თანხმოვნებით (p, t, k) იწყებოდნენ. ეს, ავტორის აზრით, სავსებით გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყრუ ხშული თანხმოვნები იწოდებიან აგრეთვე მსკდომებად. ისინი სკდებიან, ბგერა ინტენსივობის მწვერვალზე იწყება. მათ საფეხურები არ გააჩნიათ. თანდათანობით დაწყებული ხმაურისათვის ცდისპირები ჩვეულებრივ ისეთ სახელებს ირჩევდნენ, რომლებიც სპირანტული თანხმოვნებით (s, z) იწყებოდა. სპირანტული თანხმოვნებიც ხომ მეტყველების ისეთი ბგერებია, რომლებიც ასევე თანდათანობით იწყებიან და ა. შ.

ვისემანი თავის ცდისპირებს თხოვდა ანგარიშს იმის შესახებ, თუ მათ მიერ შერჩეულ სიტყვებში რატომ ირჩევდნენ გარკვეულ ბგერებს. ასეთი ანგარიშისათვის მათ არ ეძლეოდათ არავითარი სტანდარტული ტერმინოლოგია. ცდისპირთა უმრავლესობა მიუთითებდა, რომ ხმოვანი ბგერები უნდა გამოიყენებოდეს აღსანიშნავი ხმაურის ტონის სიმაღლის (მაღალი, საშუალო, დაბალი) და ტონის ფერის (ნათელი, უფერო, ბნელი) გამოსახატავად. ცდების პროცესში ტონის სიმაღლე და ტონის ფერი აღმოჩნდა სრულ კორელაციაში—მაღალი ტონის ბგერა შეესატყვისება ნათელი ფერის ტონს. ხმოვნები i, ü და ö არიან ნათელი და მაღალი, ხოლო u და o ბნელი და დაბალი. რაც შეეხება სხვა ხმოვნებს, ისინი ამ ორ განზომილებას შორის თავსდებიან.

ვისემანის ცდისპირთა დიდი ნაწილი ხმაურისათვის სახელების შექმნისას იყენებდა მხოლოდ გერმანული მეტყველების ბგერებს და ამ ბგერების გერმანული ენისათვის დამახასიათებელ კომბინაციებს. ზოგიერთმა ამ „სიტყვებს" დაუკავშირა დამახასიათებელი მეტყველებითი ნაწილების სუფიქსები ისე, რომ ღებულობდა გამიზნული ზმნების ან შეძახილების სახეს. მაგრამ სახელის შექმნის დროს ყველა ცდისპირი არ ახდენდა მათ ფორმირებას გერმანული ფონოლოგიის შესაბამისად. ზოგიერთი მათგანი მეტისმეტად არაგერმანულ ბგერებს იყენებდა.

ადვილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ცდისპირი აღწერდა იმ ხმოვან ბგერას, რომლის წარმოთქმასაც ვერ ახერხებდა. (მაგალითად, ხმოვანი, რომელიც შუალედურია ორ ნაცნობ გერმანულ ბგერას შორის). ცდისპირები ხშირად ისეთ ფონეტიკურ ჯგუფებსაც ადგენდნენ, რომლებიც არღვევდნენ გერმანული ენის ფონოლოგიას. ზოგიერთი ცდისპირი თავისი მეტყველებითი რესურსე-

ბით შედარებით ადვილად ახერხებდა ხმაურის იმიტირებას. ამის მიუხედავად, ისეთი ცდისპირებიც კი, რომლებიც ყველაზე უხეშად არღვევდნენ გერმანულ ფონოლოგიას, არ იყენებდნენ ხმაურის შესაქმნელად თავიანთი ვოკალური აპარატის ყველა შესაძლებლობას — ყველა ცდისპირი ქმნიდა მეტყველებისათვის შესაფერის ბგერათა კომპლექსებს და არ ჰქონია ადგილი სახელსადები ხმაურის უხეშ იმიტირებას.

ზემოთ აღნიშნული ექსპერიმენტების შედეგები ძირითადად ადასტურებენ და აზუსტებენ ერთიმეორეს. დასკვნებიც, რომლებიც ზემოთ დასაბელებული ავტორების მიერ გაკეთდა მათ საფუძველზე ზოგად ხაზებში მაინც, მსგავსია: ცალკეული ფონემები მათთვის სპეციფიკური სიმბოლიზმით ხასიათდებიან ანდა, ბენტლეი და ვარონის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ხასიათდებიან გარკვეული შინაარსის გამოხატვის უნარით. ეს უნარი არ არის განპირობებული ლინგვისტური გამოცდილებით ანდა, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ ხოლმე, კონვენციონალური ასოციაციებით, რაც დასტურდება სხვადასხვა ენის წარმომადგენელ ცდისპირთა მონაცემების მსგავსებით, კორელაციის არარსებობით ექსპერიმენტებში დადასტურებულ სიმბოლიზმსა და ინგლისური ენის შესაბამისი კატეგორიების აღმნიშვნელ სახელთა ბგერით შედგენილობას შორის და სხვა. ეს გარემოება, ამ ავტორთა აზრით, საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ ფონეტიკური სიმბოლიზმი თავისი ბუნებით უნივერსალური ხასიათისაა.

აღნიშნულ გამოკვლევებთან შედარებით განსხვავებული შედეგები მიიღეს ი. და მ. ტეილორების გამოკვლევაში[1]. თუ ზემოთ მოყვანილი დასკვნის პირველი ნაწილი დადასტურებას ნახულობს მათ ექსპერიმენტებშიაც, მეორე ნაწილს ტეილორების დასკვნა დიამეტრულად უპირისპირდება.

ტეილორებმა სამი ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელთაგან თითოეული საკითხის სხვადასხვა მხარის გარკვევას ისახავდა მიზნად; მაგრამ მათი საბოლოო მიზანი იყო გარკვეულიყო, ფონეტიკური სიმბოლიზმი არის თუ არა უნივერსალური ხასიათის.

პირველი ექსპერიმენტი ჩატარდა 11 მონოლინგვისტ ინგლისურად მოლაპარაკე სტუდენტზე. ბგერათა კომპლექსების შესადგენად გამოიყენეს ინგლისური ენის 9 ბგერა (თანხმოვნები d, t, g, z, v, ʃ და

---

[1] I. K. Taylor and M. M. Taylor, Phonetic symbolism in four unrelated languages. Canadian Journal of Psychology. 1962. vol. 16. no. 4.

ხმოვნები u, ʌ, i). ხმოვანი ბგერებიდან ისეთები აირჩიეს, რომელთაც ნიუმენის მნიშვნელობათა განაწილების შკალაზე სამი განსხვავებული ადგილი ექავთ. როგორც პირველ, ასევე დანარჩენ ორ ექსპერიმენტშიც გამოიყენებოდა ბგერათა კომპლექსები, შედგენილი თ—ხ—თ პრინციპით. ექსპერიმენტში გამოყენებული 9 ბგერის ყოველგვარი შესაძლო კომბინაციით შეადგინეს 108 ბგერათა კომპლექსი, მაგ., dud, tig, g ʌ t და ა. შ.

ცდისპირს აწვდიდნენ ბგერათა კომპლექსების სიას და მიუთითებდნენ, რომ ზოგიერთი სიტყვა ამ სიიდან შეიძლება იყოს უაზრო მარცვალი, ზოგიერთი კი შესაძლოა იყოს სხვადასხვა, მისთვის უცნობი ენის სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ სიდიდეს. ცდისპირებს ჩუმად უნდა წაეკითხათ მიწოდებული სია, ინსტრუქციაში მითითებული თვალსაზრისით განესხვავებინათ „სიტყვები" ერთიმეორისაგან და აღენიშნათ ფურცელზე, თუ რომელი მათგანით არის რეპრეზენტირებული ძლიერ პატარა (1 ბალით), პატარა (2 ბალით), საშუალო (3 ბალით), დიდი (4 ბალით) და ძლიერ დიდი (5 ბალით). ცდისპირებს ეკრძალებოდათ ბგერათა ხმამაღლა წარმოთქმა. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ უნდა ყოფილიყო წარმოთქმული ცალკეული ბგერა, ცდისპირებს სანიმუშოდ ეძლეოდათ რამდენიმე ინგლისური სიტყვა[1].

ამ ექსპერიმენტის მიზანი იყო გაერკვია: როგორია ცდისპირების მონაცემებს შორის დამთხვევის ხარისხი, რა როლს ასრულებენ საწყისი თანხმოვანი, ხმოვანი და ბოლო თანხმოვანი, ე. ი. ბგერათა კომპლექსში აქვს თუ არა ადგილი ბგერების ურთიერთზემოქმედებას.

ცდისპირთა მონაცემები ორი ცდისპირის გამოკლებით, მიუთითებენ ავტორები, ძირითადად ერთნაირია: ბგერათა კომპლექსის საწყისი თანხმოვნები პატარიდან დიდის მიმართულებით განაწილდა შემდეგნაირად: t, d, ʃ, v, z და g, ბოლო თანხმოვნები—t, d, g, z, v და ʃ; ხმოვნები—i, ʌ, და u.

ამ შედეგების საფუძველზე ავტორები ასკვნიან, რომ ზოგადად მნიშვნელოვანია მხოლოდ ბგერის ეფექტი და მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბგერა ბგერათა კომპლექსის დასაწყისშია თუ ბოლოში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ დასტურდება მარცვლის ბგერებს

---

[1] ინსტრუქციაში მითითებული წარმოთქმის ნიმუში ყოველთვის არ შეესატყვისებოდა ინგლისური ენისათვის სპეციფიკურ გამოთქმას.

შორის რაიმე სახის ურთიერთზემოქმედება, თითოეულ ბგერასბგერათა კომპლექსის სიმბოლიზმში წვლილი შეაქვს სხვებისაგან დამოუკიდებლად, რაც ავტორთა აზრით იმაზე მიუთითებს, რომ ცდაში გამოყენებული პროცედურა და მასალა შესაძლებელი წარმატებით იქნეს გამოყენებული ფონეტიკური სიმბოლიზმის საკვლევად.

მეორე ექსპერიმენტის მიზანია, გამოარკვიოს ბგერათა კომპლექსის სიმბოლიზმის რაგვარობისათვის აქვს თუ არა მნიშვნელობა მარცვლების ვიზუალურ სიგრძეს, მარცვალთა ოდენობას და ორმარცვლიან სიტყვებში მახვილის ადგილს.

ამ შემთხვევაში გამოიყენეს ოთხი თანხმოვანი (g, m, t, ʃ) და ამდენივე ხმოვანი (a, ʌ, ɛ და i), რომელთა სხვადასხვაგვარი კომბინაციით (ო—ხ—თ პრინციპის დაცვით) მიიღეს 16 ძირითადი მარცვალი. თითოეული მარცვალი გადაწერეს 4 განსხვავებული ვიზუალური სიგრძის ფორმით. მაგ., tim ღაწერილი იყო შემდეგი სახით: tihm, timm და tihmm, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოთქმულიყო ერთნაირად. ოთხი ძირითადი მარცვლის წყვილებიდან კომბინირებულ იქნა 16 შესაძლო ორმარცვლოვანი სიტყვა. ორმარცვლოვან სიტყვებში მახვილი ერთხელ მოდიოდა პირველ მარცვალზე, მეორეჯერ კი — მეორეზე. ინსტრუქცია ისეთივე ეძლეოდა ცდისპირებს, როგორც პირველ ექსპერიმენტში.

მსგავსად პირველი ექსპერიმენტისა ამჯერადაც ცდისპირებს მიუთითებდნენ, თუ როგორ უნდა ყოფილიყო წარმოთქმული ესა თუ ის ბგერა ან ბგერათა წყვილი, მაგრამ ინსტრუქციაში მითითებული წარმოთქმის ნიმუშები ყოველთვის არ შეესატყვისებოდა ინგლისური ენისათვის სპეციფიკურ გამოთქმას. ცდები ჩატარდა 27 მონოლინგვისტ ინგლისურად მოლაპარაკე სტუდენტზე.

ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ცდისპირების მიერ გრძელი ბგერათა კომპლექსი უფრო დიდი ზომის სიმბოლური თვისებების მატარებლად განიცდება. ასევე დიდი ზომის გამომხატველ სიმბოლური თვისებების მატარებლად განიცდება ორმარცვლოვანი ბგერათა კომპლექსებიც, მაგრამ ავტორების აზრით ამისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარცვალთა რაოდენობას, არამედ ბგერათა კომპლექსის ვიზუალურ სიგრძეს, რადგანაც ექვსასოიანი ერთი მარცვალი და ორმარცვლიანი ექვსასოიანი ბგერათა კომპლექსი საშუალოდ ერთნაირ შედეგებს იძლევა. რაც შეეხება მახვილს, მიუთითებენ ავტორები, მდგომარეობა ასეთია: თუ საშუალო მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ განსხვავება პირველ და მეორე მარცვალზე მახ-

ეილდასმულ ბგერათა კომპლექსებს შორის არ შეინიშნება. მაგრამ როდესაც შეადარეს ერთმანეთს ერთი და იგივე ორმარცვლიანი ბგერათა კომპლექსები, რომლებშიაც მახვილი ერთ შემთხვევაში პირველ მარცვალზე მოდიოდა, მეორეში კი მეორეზე, ცალკეულ შემთხვევებში განსხვავება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა განსხვავება მახვილდასმულ და უმახვილო ერთი და იგივე კომპლექსებს შორის.

ამ შედეგების საფუძველზე ავტორები ასკვნიან: რთგორი სიმბოლური თვისებების მატარებლად იქნება განცდილი ბგერათა კომპლექსი, ეს დამოკიდებულია მარცვლის ვიზუალურ ზომაზე, ხოლო მახვილის ადგილმდებარეობა ორმარცვლიან კომპლექსებში ასრულებს უმნიშვნელო როლს. რაც შეეხება მარცვლებს შორის ურთიერთზემოქმედებას ორმარცვლიან სიტყვებში, მას, როგორც ჩანს, ადგილი არა აქვს.

მესამე ექსპერიმენტი ფაქტიურად ძირითადი ექსპერიმენტია. იმ მიზნით, რომ შედეგების განზოგადებისათვის ავტორებს მეტი საფუძველი ჰქონდათ, გაზარდეს ცდისპირთა რაოდენობა 320-მდე, ექსპერიმენტში გამოყენებული ბგერების რაოდენობა აიყვანეს 18-მდე. განზომილებები, რომელთა მიმართაც უნდა ყოფილიყო დადგენილი ბგერათა სიმბოლური ღირებულება, გაზარდეს ოთხამდე — ასევე ოთხამდე გაზარდეს იმ ენათა რაოდენობაც, რომელთა წარმომადგენლებზეც ტარდებოდა ექსპერიმენტები.

განსხვავებით სხვა ავტორების ექსპერიმენტებისაგან, ცდები ტარდება ინგლისურ, იაპონურ, კორეულ და ტამილის (სამხრეთ ინდოეთი, მადრასი) ენაზე მოლაპარაკე ცდისპირებზე შესაბამის ქვეყანაში.

აირჩიეს 12 თანხმოვანი და 6 ხმოვანი ბგერა, რომლებიც საერთო იყო ოთხივე აღნიშნული ენისათვის[1]. ამ ბგერებით თ—ხ—თ პრინციპით შეარჩიეს 144 მარცვალი, რომლებშიაც ხმოვნები და თანხმოვნები ადგილებს იცვლიდნენ. შასალა 4 ენაზე დამზადდა. ამ 144 მარცვლიდან უმნიშვნელო რაოდენობით აღმოჩნდა აზრიანი სიტყვა, მაგრამ ცდებში ისინი მაინც გამოიყენებოდა. ოთხივე სხვადასხვა ენის წარმომადგენელი ცდისპირები თითოეულ ბგერათა კომპლექსს

[1] ავტორებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ ის გარემოება, რომ ორ განსხვავებულ ენაში იშვიათია ზუსტად ერთნაირი ბგერა, მაგრამ მათ დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ძირითადი კონტრასტები ბგერათა არტიკულაციაში შეიძლება გათანაბრებული იყოს მიახლოებით.

აფასებდნენ სიდიდის (დიდი —პატარა), მოქმედების (აქტიური—პასიური), სითბოს (ცივი—ცხელი) ან სიამოვნების (სასიამოვნო — არასასიამოვნო) მიმართებათა მიხედვით. თითოეულ მიმართებაზე ცდები თითოეული ენის 20 წარმომადგენელზე ტარდებოდა. ცდისპირები იყვნენ მონოლინგვისტები, ინგლისურ ენაზე მოლაპარაკენი—სტუდენტები, ხოლო სამი ზემოდასახელებული ენის წარმომადგენლები კი მოსწავლეები — 12-დან 16- წლამდე [1].

ძირითადი ექსპერიმენტის შედეგად გამოირკვა, რომ ცდისპირები, მიუხედავად იმისა, რომელ ენაზე ლაპარაკობენ, გარკვეულ ბგერათა კომპლექსს გარკვეულ მნიშვნელობას უკავშირებდნენ. მაგრამ განსხვავებით სეპირისა და დაგირის მონაცემებისა, რომელთა მიხედვითაც ჩინელი და იაპონელი ცდისპირების მონაცემები ძირითადად ისეთივე იყო, როგორც ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა მონაცემები, ტეილორების მონაცემების მიხედვით საერთოდ კორელაცია სხვადასხვა ენის ცდისპირებს შორის არ დასტურდება; ერთი და იგივე ბგერა განსხვავებულ ენებში ძირითადად განსხვავებულ მნიშვნელობებს უკავშირდება. ასე მაგალითად, სიდიდის (დიდი-პატარა) განზომილების შემთხვევაში ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირები საწყისი თანხმოვნების შეფასებისას ამჟღავნებდნენ მაღალი ხარისხის შეთანხმებულობას, სახელდობრ ბგერა g საწყის პოზიციაში ყველაზე „დიდი" ბგერაა. იაპონელი ცდისპირების მონაცემების მიხედვით იგივე ბგერას სიდიდის მხრივ მეორე ადგილი უკავია, კორეელთა მონაცემებით — მერვე, ხოლო ტამილის ენაზე მოლაპარაკეთა შემთხვევაში იგი მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა. ბოლო პოზიციაში ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა მონაცემებით ყველაზე „დიდი" j ბგერაა. იაპონელთა მონაცემებით ასეთად g ბგერა გვევლინება, კორეელების მიხედვით კი k, ტამილის ენაზე მოლაპარაკეებმა ასეთად r ბგერა ჩათვალეს. ინგლისურ ენაზე მოლაპარაკენი პატარისათვის ყველაზე შესაფერისად საწყისი პოზიციის მიხედვით მიიჩნევენ ბგერა n-ს, იაპონელები—r-ს, კორეელები—j-ს, ხოლო ტამილის ენაზე მოლაპარაკენი d-ს. ხმოვანი ბგერებიდან ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირები დიდისათვის ყველაზე შესაფერისად თვლიან u-ს,

---

[1] ავტორებს შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ასაკობრივმა სხვადასხვაობამ ცდისპირებს შორის გამოიწვიოს განსხვავება შედეგებს შორის, მაგრამ მათი აზრით ეს გარემოება უნდა იყოს უმნიშვნელო, როგორც ეს სეპირისა და ნიუმენის გამოკვლევებიდან ჩანს.

იაპონელები—o-ს, კორეელები—u-ს, ტამილის ენაზე მოლაპარაკენი კი o-ს. ყველაზე პატარისათვის ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა მიხედვით შესაფერისია i, იაპონელთათვის — U, კორეელთათვის—a და ტამილის ენაზე მოლაპარაკეთათვის კი — e.

ტეილორების მონაცემების მიხედვით სხვადასხვა განზომილებების მიმართ მიღებულ შედეგებს შორის კორელაცია სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია. ასე მაგალითად, მოძრაობისა და სიმბოლოს განზომილებათა მიმართ მიღებულ შედეგებს შორის კორელაცია დასტურდება ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა მონაცემების მიხედვით, ხოლო სხვა ენაზე მოლაპარაკე ცდისპირთა მონაცემებში კი — არა. მაღალია კორელაცია ტამილის ენაზე მოლაპარაკე ცდისპირთა მონაცემებით სიდიდისა და სიმბოლოს განზომილებებს შორის, იმ დროს, როდესაც სხვა ენებში ასეთი კორელაცია არ შეინიშნება.

სამივე ექსპერიმენტის საფუძველზე ტეილორები ამკვნიან:

1. არსებობს შინაგანი შესატყვისობა ბგერებსა და მნიშვნელობებს შორის.

2. ექსპერიმენტებში გამოყენებული მარცვლების ბგერებს შორის არა აქვს ადგილი მნიშვნელოვან ურთიერთზემოქმედებას; თითოეულ ბგერას ბგერათა კომპლექსის სიმბოლიზმში წვლილი შეაქვს სხვებისაგან დამოუკიდებლად.

3. ბგერათა კომპლექსის სიმბოლიზმისათვის მნიშვნელობა აქვს ბგერათა კომპლექსის ვიზუალურ სიდიდეს, რაც შეეხება ორმარცვლიან სიტყვებში მახვილის პოზიციას, იგი უმნიშვნელო როლს ასრულებს.

4. ფონეტიკური სიმბოლიზმი არ არის უნივერსალური, რაც იმით დასტურდება, რომ „მნიშვნელობა, რომელიც რომელიმე ცალკეულ ბგერას უკავშირდება, სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა".

ფონეტიკური სიმბოლიზმის ასახსნელად წამოყენებულმა ფაქტორებმა, მიუთითებს ი. ტეილორი, გასაგები უნდა გახადოს არა მარტო ის, თუ რატომ უკავშირებენ ადამიანები გარკვეულ ბგერას გარკვეულ მნიშვნელობას, არამედ ისიც, თუ რატომაა, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკენი ერთსა და იმავე ბგერას სხვადასხვა მნიშვნელობას უკავშირებენ. ასეთ ფაქტორად ი. ტეილორს მიაჩნია ენობრივი ჩვევა[1].

---

[1] I. K. Taylor Phonetic symbolism re-examined. Psychological Bulletin, no. 60, 1963.

თუ რამდენად ამართლებს ამ დანიშნულებას ენობრივი ჩვევის თეორია, ამის შესახებ დაწვრილებით ჩვენ ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ახლა კი განვიხილოთ, რა მიმართებაშია ტეილორების ექსპერიმენტების შედეგები სხვა ავტორების შედეგებთან და შევეცადოთ იმ მიზეზების გარკვევას, რომელთაც განაპირობეს სხვადასხვა ავტორების შედეგებს შორის ეს ოდენ არსებითი განსხვავება.

ი. და მ. ტეილორების ექსპერიმენტებშიც, ისევე როგორც სხვა ზემოთ დასახელებულ ავტორთა ექსპერიმენტებში, დადასტურდა ფონეტიკური სიმბოლიზმის ფაქტი. განსხვავება არის ჯვარედინ-ენობრივი კვლევის შედეგებში. სეპირის, დაგირის და მირონის მონაცემების მიხედვით ინგლისურ, იაპონურ და ჩინურ ენაზე მოლაპარაკე ცდისპირთა მონაცემები ერთიმეორის მსგავსია, ტეილორების ცდების მიხედვით კი ინგლისურ, იაპონურ, კორეულ და ტამილის ენაზე მოლაპარაკეთა შედეგები განსხვავებულია. შედეგთა შორის ასეთი სხვაობა იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ ი. და მ. ტეილორების ცდისპირები მონოლინგვისტები არიან, ე. ი. ფლობენ მხოლოდ ერთ ენას, ხოლო სეპირის, დაგირის და მირონის ჩინელი და იაპონელი ცდისპირები მეტ-ნაკლები ხარისხით ფლობდნენ ინგლისურ ენასაც. ასეთი დაშვება არ იქნებოდა მართებული. საქმე იმაშია, რომ ტეილორისა და სხვა ავტორების მონაცემებს შორის არსებული განსხვავება ძნელია აიხსნას ფონეტიკური სიმბოლიზმის ენობრივი ჩვევით განპირობებულობით, რადგანაც ასეთი ცდის შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, ჩინელ და იაპონელ ცდისპირთა მიერ ინგლისური ენის ცოდნამ როგორ მოახდინა ისეთი დიდი გავლენა, რომ მათი მსჯელობა წარიმართა არა მშობლიური ენის შესატყვისი ჩვევის მიმართულებით, არამედ მათთვის გაცილებით უფრო სუსტად განმტკიცებული ინგლისური ენის ჩვევის მიმართულებით.

ტეილორების ჯვარედინ-ენობრივი კვლევის შედეგები (სხვადასხვა ენაში ფონემები სხვადასხვა სახის სიმბოლიზმით ხასიათდებიან) დადასტურებას ნახულობს მ. შასტინგის მიერ სხვადასხვა ენების ლექსიკის ანალიზის გზით მიღებულ შედეგებშიაც, თუმცა მხოლოდ ზოგად ხაზებში და არა დეტალებში[1]. ეს გარემოება თითქოს ფონეტი-

---

[1] მართალია მ. შასტინგიც ანალოგიურ შედეგებს ღებულობს, მაგრამ თუ შევუდარებთ ერთმანეთს ტეილორების და სხვათა ექსპერიმენტულ მონაცემებს ცალკეულ ფონემათა სიმბოლიზმის რაგვარობის მხრივ შასტინგის შედეგებს, მათ

კური სიმბოლიზმის არაუნივერსალურ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს და უნდა უპირისპირდებოდეს ყველა იმ შედეგს, რომელთა საფუძველზეც კეთდება დასკვნა უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის არსებობის შესახებ.

ჩვენ არ შეუდგებით იმის განხილვას, რით არის განპირობებული ეს წინააღმდეგობანი, ანდა ყველა აღნიშნულ შემთხვევაში წინააღმდეგობას მართლაც აქვს ადგილი, თუ იგი ხშირად მოჩვენებითია. ეს ამოცანა რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რაც უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ავტორის შრომებში არ არის ამგვარი შედარებითი ანალიზისათვის საჭირო მასალები სრულყოფილი სახით წარმოდგენილი. მაგრამ რაც მთავარია, ვფიქრობთ, რომ არც არის ამის საჭიროება, რადგანაც ცალკეული ფონემების სიმბოლიზმის კვლევა არ არის პერსპექტიული. რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ გამოკვლევებს, მათში გამოყენებული მეთოდის ყველა ვარიანტი სერიოზული ხარეეზებით ხასიათდება, ხოლო დასკვნებისათვის მიღებული შედეგები საკმაო საფუძველს არ იძლევა და უმთავრეაად განსაზღვრულნი არიან სამუშაო ჰიპოთეზის რაგვარობით.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ ი. და მ. ტეილორების მეთოდი და დასკვნები.

1. ტეილორები ძირითად ექსპერიმენტებში, რომლებიც ოთხი სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლებზე ჩატარდა, იყენებდნენ ფონემებს, რომლებიც ავტორების აზრით საერთო იყო ოთხივე ენისათვის. ოთხივე ენა, რომელთა წარმომადგენლებზეც ტარდება ექსპერიმენტები, სხვადასხვა ენობრივ ოჯახს მიეკუთვნება. ყოველ ენას, როგორც ცნობილია, თავისი საარტიკულაციო ბაზა გააჩნია, რომელიც ყოველი სხვა ენის საარტიკულაციო ბაზისაგან მეტნაკლებად განსხვავებულია. ამა თუ იმ არამშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისის დაუფლება ხშირად ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე მისი ლექსიკისა და გრამატიკული წყობის. სწორედ ამ სიძნელითაა განპირობებული, რომ ახალი ენის შესწავლის დროს დასაწყისში მისი ბგერები მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზის საშუალებით წარმოითქმება და, როგორც ამბობენ, წარმოითქმება „აქცენტით". ასე მაგალითად: წინა ენისმიერი ბგერები т, д რუსულ

შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ამიტომ დებულება — ექსპერიმენტულად დადგენილი ფონეტიკური სიმბოლიზმის ტიპი თავის დადასტურებას არ ნახულობს. ენის ლექსიკაში — ამ შემთხვევაშიაც ძალაში რჩება.

ენაში წარმოითქმება ზედა კბილებთან, ინგლისურში — ალვეოლთან. ყრუ ნ, ტ, კ ქართულში და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში წარმოითქმება არა ამოსუნთქული ჰაერის გამოყენებით, არამედ იმ ჰაერით, რომელიც არსებობს ხორხზედა არეებში[1]. ანალოგიური მაგალითები ჭრავლად შეიძლება იქნეს მოტანილი, მაგრამ ამის საჭიროება არ არის, რადგანაც ეს ფაქტი სადავოდ არავის არ მიაჩნია და არც ტეილორები უარყოფენ, რომ ორ განსხვავებულ ენაში, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, იშვიათად არის იდენტური ბგერები. მათი აზრით სხვადასხვა ენების ბგერები მხოლოდ მიახლოებით შეიძლება გათანაბრდეს. ამის საილუსტრაციოდ მათ მოყავთ კორეული p და b. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს ბგერები შეიძლება არ იყოს ზუსტად ისეთივე, როგორიც ინგლისური p და b, მაგრამ ეს არ აბრკოლებს მათ, გამოიყენონ ეს ბგერები ექსპერიმენტში და ამის გამართლებას იმითი ცდილობენ, რომ ისინი ორივე ენაში ბილაბიალურნი არიან და არტიკულაციის პროცესში ხასიათდებიან მეღერი და არამეღერი კონტრასტებით.

როგორც ვხედავთ, ტეილორების ექსპერიმენტებში გამოიყენება მეტ-ნაკლებად მსგავსი და არაიდენტური ბგერები. დავუშვათ, რომ მართლაც ექსპერიმენტში არ იყო გამოყენებული ისეთი ბგერები, რომლებიც, როგორც ავტორები აღნიშნავენ, „რომელიმე ენაზე მოლაპარაკე ცდისპირებისათვის ყოფილიყო უცნობი", მაგრამ თუნდაც რაიმე ხარისხით ყოფილიყო უცნობი, უკვე იდენტურობის შესახებ ველარ ვილაპარაკებთ, რის გარეშეც საფუძველი არა გვაქვს სხვადასხვა ენის ცდისპირთა მონაცემები ერთმანეთს შევუდაროთ და ვიგულისხმოთ, რომ მონაცემები იდენტურ მასალაზეა მოპოვებული.

მეტიც შეიძლება ითქვას: თვითონ ცდის ორგანიზაცია ისეთია, რომ ექსპერიმენტატორი მოკლებულია კონტროლის საშუალებას იმის დასადგენად, თუ ცდისპირი როგორ წარმოთქვამს ამა თუ იმ ბგერას. ცდისპირები ბგერათა კომპლექსებს კითხულობენ უხმოდ. ასეთ პირობებში ძნელია ბგერების წარმოთქმის იდენტურობაზე ვილაპარაკოთ არათუ სხვადასხვა ენის წარმომადგენელთა შემთხვევაში, არამედ თვით ერთი და იგივე ენის ცდისპირების პირობებშიაც კი. ეს სიძნელე ტეილორებმაც იგრძნეს და ცდების დაწყების წინ ცდისპირებს მიუთითებდნენ, თუ როგორ უნდა წარმო-

---

[1] А. С. Чикобава, Введение в языкознание, ч. I, 1953 г., стр. 149—150.

ეთქვათ ესა თუ ის ბგერა და ბგერათა ერთობლიობა, თუმცა ინ-სტრუქციაში მითითებული წარმოთქმის ნიმუშები ყოველთვის არ შეესატყვისებოდა ინგლისური ენისათვის სპეციფიკურ გამოთქმას. ცდის ასეთი ორგანიზაციის დროს არ გვაქვს გარანტია იმისა, რომ თუნდაც ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირები ცდის მასალას ერთნაირად წარმოთქვამდნენ. ეს შენიშვნა რომ მოკლებული არ არის საფუძველს, თვით ტეილორების მსჯელობიდანაც ჩანს. ასე მაგალითად: ტეილორების ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირების შონაცემები ბგერა g-ს მიმართ სხვადასხვაგვარია, იმისდა მიხედვით ეს ბგერა მარცვლის დასაწყისშია თუ დასასრულს. ამ ბგერის მიმართ შედეგების ასეთი სხვადასხვაობა ტეილორების ვარაუდით შეიძლება განპირობებული იყოს დასაწყის პოზიციაში ბგერა g-ს ორგვარად გამოთქმის შესაძლებლობით. მათი აზრით, ის შეიძლება ყოფილიყო წარმოთქმული როგორც მაგარი, ისე როგორც ინგლისურ სიტყვაში gate, და რბილად, როგორც წარმოითქმება სიტყვაში George. რაკი ავტორებსაც შესაძლებლად მიაჩნიათ ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმის არაიდენტურობა ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირების შემთხვევაშიაც კი, როდესაც მათ ეევალებათ ეს ბგერა ინგლისური ენის გამოთქმისათვის სპეციფიკური გამოთქმით წაიკითხონ, მითუმეტეს, მეტი სხვადასხვაობაა მოსალოდნელი იმ ბგერების შემთხვევაში, როდესაც ისინი ცდისპირებმა ინგლისურისათვის არასპეციფიკური გამოთქმით უნდა წაიკითხონ. როგორც ვხედავთ, თვით ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირების შემთხვევაშიაც კი არა ვართ გარანტირებულნი იმაში, რომ ცდისპირები მასალას იდენტურად წარმოთქვამენ, მითუმეტეს, საფუძველი არა გვაქვს დავუშვათ იგი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ცდისპირთა პირობებში.

ტეილორების აზრით ასოები, რომლებიც გამოყენებული იყო იაპონურ, კორეულ და ტამილის ენებში, არ საჭიროებენ ინსტრუქციაში გამოთქმის სპეციფიკაზე მითითებას, რადგანაც ცდაში გამოყენებულ ბგერებს ამ ენებში მხოლოდ ერთი გამოთქმა აქვთ. თუნდაც ეს ასე იყოს, არ არის გამორიცხული სხვადასხვაობა წარმოთქმაში. რადგანაც იაპონელი წარმოთქვამს იაპონურ ბგერას, კორეელი — კორეულს, ტამილის ენის წარმომადგენელი—ამ ენისათვის სპეციფიკურ ბგერას. დასასრულ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ცდები ამ სამი ენის ცდისპირებზე ტარდებოდა არა თვით ტეილორების მიერ, არამედ ამ ქვეყნებში მცხოვრები ფსიქოლოგიასთან არავითარ კავშირში მყოფი პირების მიერ, გასაგები გახდება, თუ რამდენად

არასაიმედოა ის შედეგები, რომლებზეც თავიანთ დასკვნებს ამყარებენ ტეილორები.

2. ყველა ექსპერიმენტში, რომლებიც ცალკეული ფონემების სიმბოლიზმის კვლევისათვის გამოიყენება, გამოყენებულია არა ცალკეული ფონემები, არამედ ბგერათა კომპლექსები. ასე მაგალითად, სეპირმა a და i ხმოვნების სიმბოლიზმის შესასწავლად გამოიყენა ბგერათა კომპლექსები mal და mil. ცდისპირები mal-ს აკავშირებენ დიდთან, mil-ს — პატარასთან. სეპირი მსჯელობს: რადგანაც ეს ბგერათა კომპლექსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ხმოვანი ბგერებით, შედეგების სხვადასხვაობაც მათ უნდა მიეწეროს. მაშასადამე, a ხმოვანი ასიმბოლიზირებს დიდს, i—პატარას, ანალოგიურია სხვა ავტორების მსჯელობაც. როგორც ვხედავთ, სეპირიც და სხვა ავტორებიც გულისხმობენ, რომ ბგერათა კომპლექსებში ადგილი არა აქვს ბგერების ურთიერთზემოქმედებას და ამიტომაც ბგერათა კომპლექსები, ვთქვათ იგივე mal და mil ერთმანეთისაგან მხოლოდ ხმოვანი ბგერებით განსხვავდებიან. მაგრამ რამდენად გამართლებულია ასეთი დაშვება, ეს საკითხი სპეციალურად ტეილორების გარდა არავის უკვლევია. სწორედ ამ საკითხის შესწავლას ისახავდა მიზნად მათი პირველი ექსპერიმენტი, რომლის შედეგების საფუძველზეც ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბგერათა კომპლექსის სიმბოლიზმში წვლილი შეაქვს თითოეულ ბგერას სხვებისაგან დამოუკიდებლად, რომ მარცვლის ბგერებს შორის ადგილი არა აქვს რაიმე სახის ურთიერთზემოქმედებას.

ეს საკითხი პრინციპული მნიშვნელობისაა. იმისდა მიხედვით, როგორ გადაწყდება იგი, ცალკეული ფონემების სიმბოლიზმის გამოვლინების მიმართულებით წარმოებული მთელი კვლევა სხვადასხვაგვარ მნიშვნელობას იღებს. ეს გარემოება გვავალებს, საკითხი უფრო დეტალურად განვიხილოთ.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ტეილორების მიერ მიღებული შედეგები და გავარკვიოთ, თუ რამდენად იძლევა იგი საფუძველს დასკვნისათვის, რომ ექსპერიმენტში გამოყენებული მარცვლების ბგერებს შორის ადგილი არა აქვს ურთიერთზემოქმედებას.

პირველ ექსპერიმენტში ბგერათა კომპლექსის საწყისი თანხმოვნები პატარიდან დიდის მიმართულებით განაწილდა შემდეგნაირად: 1—t, 2—d, 3—ʃ, 4—v, 5—z, 6—g. ბოლო თანხოვნები იმავე

მიმართულებით—1—t, 2—d, 3—g, 4—z, 5—v, 6—ʃ, როგორც ვხედავთ, ბგერებს t და d-ს როგორც საწყის, ასევე ბოლო პოზიციაში, ცდისპირები პატარის სიმბოლიზმის მატარებლად განიცდიან, მაგრამ იგივე არ ითქმის სხვა თანხმოვნების მიმართ. ასე მაგალითად, როდესაც ʃ მარცვლის დასაწყისშია, მას მესამე ადგილი უკავია შკალაზე, ხოლო ბოლო პოზიციაში ყოფნის დროს კი — უკანასკნელი ადგილი.

ბგერა v საწყისი პოზიციის მიხედვით მეოთხე ადგილზეა, ბოლო პოზიციის მიხედვით კი—მეხუთეზე; შებრუნებული ვითარებაა ბგერა z-ის შემთხვევაში. ბგერა g საწყისი პოზიციის მიხედვით მეექვსე ადგილზეა, ბოლო პოზიციის მიხედვით კი — მესამეზე. ამრიგად, პოზიციის ცვლის შედეგად ცდისპირთა შეფასებები უცვლელი რჩება მხოლოდ ორი ბგერის მიმართ, დანარჩენი ოთხის მიმართ კი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად ცვალებადია. ამავე განზომილების მიმართ (პატარა—დიდი) მესამე ექსპერიმენტების შედეგები ასეთია: იმისდა მიხედვით ბგერა საწყის პოზიციაშია თუ ბოლოში, შკალაზე ადგილს არ იცვლის 12-დან მხოლოდ 2 (p და b), დანარჩენები კი მეტ-ნაკლებად გადაადგილდებიან. ასე მაგ., საწყისი პოზიციის მიხედვით k მეთერთმეტე ადგილზე იყო, ბოლო პოზიციის მიხედვით კი მეხუთეზე გადაინაცვლა, g-მ მეთორმეტიდან — მეშვიდეზე, d-მ მეექვსიდან — მეთერთმეტეზე, ʃ-მ მესამიდან — მეექვსეზე, r-მ მეშვიდიდან — მეათეზე და ა. შ.

როგორც თვით ტეილორების მიერ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ბგერების პოზიციის ცვლის შედეგად ცდისპირთა მიერ ბგერათა შეფასება უცვლელი რჩება მხოლოდ მათი უმნიშვნელო რაოდენობის მიმართ, უმრავლესობის მიმართ კი ივი მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თუ პირველ ექსპერიმენტში ბგერებმა t-მ და d-მ, იმისდა მიუხედავად მარცვლის დასაწყისში იყვნენ მოთავსებულნი თუ ბოლოს, მიიღეს ცდისპირთა ერთნაირი შეფასება, მესამე ექსპერიმენტში მათ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს — d-მ მეექვსე ადგილიდან მეთერთმეტეზე გადაინაცვლა, ხოლო t-მ მეოთხიდან — პირველზე. პირველი ექსპერიმენტის შედეგებით პატარა — დიდის შკალაზე ბგერები საწყისი პოზიციის მიხედვით ლაგდებოდნენ შემდეგი თანამიმდევრობით: t, d, ʃ, v, z და g. მესამე ექსპერიმენტის შედეგებით, ასევე საწყისი პოზიციის მიხედვით განლაგებისას, ბგერა ʃ-მ t და d-ს წინ გადაინა-

ცვლა. მარცვალში ბოლო პოზიციის მიხედვით პირველი ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით d-მ გადაინაცვლა g-სა და ʃ-ს წინ, ხოლო g-მ —ʃ-ს წინ[1].

როგორც ვნახეთ, ტეილორების მონაცემები არ იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ბგერის ეფექტისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, ბგერა მარცვლის საწყის თუ ბოლო პოზიციაშია, რომ მარცვლის ბგერებს შორის არ დასტურდება რაიმე სახის ურთიერთზემოქმედება, პირიქით, შედეგები სწორედ საპირისპირო დასკვნის გაკეთების აუცილებლობაზე მიუთითებს.

ტეილორების დასკვნებს ეწინააღმდეგება არა მხოლოდ მათივე ფაქტიური მონაცემები, არამედ თვით დასკვნებიც წინააღმდეგობების შემცველია. ასე მაგალითად, დასკვნა, რომ ბგერათა კომპლექსში ბგერები ერთმანეთზე არ ზემოქმედებენ, ბგერათა კომპლექსის სიმბოლიზმში თითოეულ ბგერას წვლილი შეაქვს სხვებისაგან დამოუკიდებლად, წინააღმდეგობის შემცველია და პრინციპულად როგორი ფაქტიური მონაცემებიც არ უნდა არსებობდეს, ასეთი დასკვნის გაკეთება უმართებულოა. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: ხმოვანი i ტეილორების მიხედვით ასიმბოლიზირებს პატარას ისე, რომ ანგარიშს არ უწევს, რომელი თანხმოვნებით არის ის გარემოცული. თუ საპირისპიროს დავუშვებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ მარცვალში ბგერათა ურთიერთზემოქმედების ფაქტი. ამრიგად, ხმოვან i-ს შემცველი ბგერათა კომპლექსი ცდისპირების მიერ უნდა განიცდებოდეს პატარის სიმბოლიზმის მატარებლად, იმის მიუხედავად გვექნება მარცვალი gi, ʃ თუ tid. მაგრამ მათივე მონაცემების მიხედვით g მარცვლის დასაწყისში ასიმბოლიზირებს ყველაზე დიდს, ხოლო ʃ ასევე ყველაზე დიდს, მარცვლის ბოლოში. თუ მარცვალი giʃ პატარის სიმბოლიზმის მქონედ იქნება განცდილი, გამოდის რომ აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა ხმოვანმა i-მ, ხოლო თანხმოვნებმა g-მ და ʃ-მ დაკარგეს მათთვის სპეციფიკური სიმბოლური ღირებულება, ე. ი. ადგილი აქვს მარცვლის ბგერებს შორის ურთიერთზემოქმედებას და თითოეულ ბგერას ბგერათა კომპლექსის სიმბოლიზმში არ შეაქვს თავისი წვლილი სხვებისაგან დამოუკიდებლად. თუ იგივე მარცვალი განცდილი იქნება დიდის სიმბოლიზმის მატარებლად, მაშინ ხმოვანი i კარგავს თავის სპეციფიკურ სიმბოლიზმს. მაშასადამე მდგომარეობა კვლავ ანალოგიური ხასიათისაა.

---

[1] მესამე ექსპერიმენტი პირველისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ მასში არ გამოიყენება ბგერები v და z და მათ ნაცვლად დამატებულია სხვა ბგერები.

ამრიგად ტეილორების მიერ გაკეთებული დასკვნა არც ერთ შემთხვევაში გამართლებული არ არის. პირიქით, წინააღმდეგ მათი მტკიცებისა, მარცვლის ბგერებს შორის ყოველთვის აქვს ადგილი ურთიერთზემოქმედებას. ბგერათა კომპლექსის სიმბოლიზმს განსაზღვრავს არა ცალკეული ბგერები, არამედ განსაზღვრულია ბგერათა კომპლექსით, როგორც მთელით. შესაძლოა, რომ ცალკეული ბგერის წვლილი მეტ-ნაკლებია, მაგრამ ყოველი მათგანის წვლილი არის ბგერათა კომპლექსის როგორც მთელის ნაწილის წვლილი და მთელისაგან დამოკიდებულად არ ფუნქციონირებს. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რადგანაც ბგერა, აღებული იზოლირებულად და ბგერათა კომპლექსში, არ არის ერთი და იგივე. ერთი და იგივე ბგერა სხვადასხვა ბგერათა კომპლექსში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, როგორც ფიზიოლოგიურად, ასევე ეღერადობისა და არტიკულაციის მხრივაც. ავიღოთ მაგალითად ხეპირის მარცვლები mal და mil. იმის გამო, რომ თანხმოვანი m ერთ შემთხვევაში წარმოითქმის a-ს წინ, მეორეში კი i-ს წინ, ისინი სხვადასხვაგვარად წარმოითქმებიან, რაშიაც ადვილად დავრწმუნდებით, თუ დავუკვირდებით საარტიკულაციო აპარატის მოქმედებას ამ მარცვლების წარმოთქმის დროს. უფრო მეტ ცვალებადობას ექვემდებარება l ერთ შემთხვევაში a-ს, ხოლო მეორე შემთხვევაში i-ს შემდეგ. ამიტომაც mal და mil ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ხმოვანი ბგერებით, როგორც გულისხმობენ ხეპირი, ნიუმენი და ყველა სხვა ზემოთ დასახელებული ავტორი, არამედ ისინი ორი სხვადასხვაგვარი ბგერათა კომპლექსია, რომლებშიაც თითოეული ფონემის წარმოთქმის სპეციფიკურობა ბგერათა კომპლექსით, როგორც მთელით, არის განსაზღვრული. ბგერა შეიძლება მოექცეს ძლიერ ან სუსტ პოზიციაში. ძლიერ პოზიციაში ფონემა მთელ თავის სრულ სახეს გამოავლენს სხვა ფონემებთან დასაპირისპირებლად. სუსტ პოზიციაში კი ფონემა სხვა ფონემებთან დაპირისპირებულ ნიშნეულობას კარგავს და შესაძლებელია დეფონოლოგიზაციასაც ჰქონდეს ადგილი. ეს გარემოება მხოლოდ ფონეტიკის სპეციალისტთა დაკვირვებით კი არ დასტურდება, არამედ ვ. გ. გინზბურგის ხელმძღვანელობით წარმოებულმა რენტგენოლოგიურმა შესწავლამაც გახადა ნათელი. სახელდობრ, გამოირკვა, რომ საარტიკულაციო ორგანოების წყობა, რომელიც საჭიროა თანხმოვანთა წარმოსათქმელად, მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული იმ წყობით, რომელიც საჭიროა მომდევნო ხმოვანთა წარმოსათქმელად, და საერთოდ, მოცემული ბგერის წარმოსათქმელად საჭი-

რო საარტიკულაციო წყობა მნიშვნელოვნად არის განპირობებული არა მარტო ამ ბგერის არტიკულაციის თავისებურებებით, არამედ მეზობელი ბგერების არტიკულაციის თავისებურებებითაც[1]. სწორედ ამ კოარტიკულაციით გამოწვეული ცვლილებებით არის განპირობებული, რომ ყოველი ფონემა, რომელიც ენაში შეინიშნება, არსებითად თავისებური ზოგადობის, სხვადასხვა სახის ბგერადობის ერთიანობას წარმოადგენს და რომ, მაშასადამე, „ცოცხალ მეტყველებაში გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ბგერადობა არსებობს, ვინემ ის ფონემებია, რომლებიც ჩვეულებრივ ამ ენისათვის დამახასიათებლად არის მიჩნეული"[2]. კოარტიკულაციით გამოწვეული ბგერადობის ეს მრავალფეროვნება მთელი სიმრულით არ შეინიშნება არა მარტო მოლაპარაკისა და მსმენელის მიერ, არამედ როგორც სპეციალურმა რენტგენოლოგიურმა გადაღებამ და ოსცილოგრაფიულმა ჩაწერამ გახადა ნათელი, თვით ფონეტიკის სპეციალისტებისათვისაც კი ყოველთვის არ არის მისაწვდომი[3]. კოარტიკულაციით გამოწვეული ცვლილებები საყოველთაოდ ცნობილი ანბანური ჭეშმარიტებაა; მის შესახებ მითითებულია ფონეტიკის ყველა პროპედევტიკულ სახელმძღვანელოსა და ენათმეცნიერების შესავალ კურსში. მითუმეტეს, უცნაურია და გაუგებარი ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის ის უგულებელყოფა, რომელსაც ადგილი აქვს ცალკეული ფონემების სიმბოლიზმის ყველა მკვლევრის მიერ, მათ შორის ისეთი ცნობილი ანტროპოლოგისა და ენათმეცნიერის მიერაც კი როგორიც ე. სეპირია.

ალბათ კოარტიკულაციით განპირობებული ფონემათა წარმოთქმის სხვადასხვაობით არის განპირობებული ის ფაქტიც, რომ საგანგებო ძიების მიუხედავად, ს. ნიუმენმა, რ. ბრაუნმა, ჯინ ბენქომ და სხვებმა ვერ ნახეს კორელაცია დიდ-პატარის მიმართულებისათვის ექსპერიმენტებში დადგენილ ცალკეულ ფონემათა სიმბოლიზმსა და

---

[1] იხ. В. А. Артемов и В. Г. Гинзбург, Рентгенологическое изучение речевой артикуляции. В. А. Артемов, Изучение звукового состава языка; а также труды других авторов: Ученые записки, т. 8. Экспериментальная фонетика и психология речи. М., 1954; а также Н. И. Жинкин, Механизм речи. М., 1958 г.

[2] ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956 წ., გვ. 35.

[3] В. А. Артемов, Восприятие и понимание речи. Ученые записки, т. 8. Экспериментальная фонетика и психология речи. М., 1954 г., стр. 181.

ინგლისურ ენაში ამ მიმართების წევრების აღმნიშვნელ სიტყვათა ფონეტიკურ შედგენილობას შორის.

ცალკეული ფონემების სიმბოლიზმის ყველა მკვლევრის მიმართ ძალაში რჩება ის შენიშვნა, რომელსაც ჰ. პაული თავის დროზე გრამატიკოსების მიმართ გამოთქვამდა.

საქმე იმაშია, რომ თვით საკითხის დასმა ცალკეული ფონემების სიმბოლიზმის შესახებ, გამომდინარეობს ენის, როგორც საკვლევი ობიექტის არამართებული გაგებიდან. ის, ვინც საკითხს ამგვარად სვამს, ჰ. პაულის სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებით თუ უნებლიეთ სიტყვას განიხილავს არა როგორც სწრაფად მიმდინარე ცოცხალი მეტყველების ნაწილს, მონაკვეთს, არამედ როგორც რაღაც ისეთ თვითმყოფად რაიმეს, რომელიც შეიძლება დანაწევრდეს აუჩქარებლად და თითოეული ნაწილი სხვებისაგან დამოუკიდებლად შესწავლის ობიექტად გადაიქცეს. საკითხის ამგვარად დაყენებისას გამოდიან არა ცოცხალი მეტყველებიდან, არა წარმოთქმული სიტყვიდან, არაშედ დაწერილიდან. დაწერილი სიტყვის შემადგენელ ნაწილებად დაშლა სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ ეს ნაწილები არ იქნება ცოცხალი სიტყვის ნაწილები, ცოცხალი სიტყვა ამ ნაწილებით ვერ ამოიწურება. რაც შეეხება ცოცხალ სიტყვას, მის შემადგენელ ელემენტებად დაშლა არა თუ ძნელი, არამედ როგორც ჰ. პაული აღნიშნავს, შეუძლებელი საქმეა [1]. სიტყვა არ წარმოადგენს გარკვეული რაოდენობის დამოუკიდებელი ბგერების მექანიკურ შეერთებას, რომელთაგან თითოეულის ასოთი გამოხატვა შეიძლებოდეს. სიტყვა ბგერათა სიმრავლის განუწყვეტელი რიგია და ასოები ამ რიგის დამახასიათებელ წერტილებს აღნიშნავენ მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში. ეს მოსაზრება სავსებით დაადასტურა სამეტყველო არტიკულაციების რენტგენოლოგიურმა კვლევამ. ამ კვლევამ ნათელყო, რომ მეტყველების ჟღერადი ნაკადის ცალკეულ ბგერებად დაყოფა ძლიერ პირობითია, რომ იგი ატარებს არა ფიზიოლოგიურ ან ფიზიკურ ხასიათს, არამედ აზრითს. ჩვენ გვესმის ცალკეული ბგერები იმიტომ, რომ ისინი სიტყვის მნიშვნელობის განმასხვავებლად გვევლინებიან და არა იმიტომ, რომ ისინი მართლაც და იზოლირებულად წარმოითქმებიან [2].

---

[1] Г. Пауль, Принципы истории языка. 1960 г., стр. 70—71.

[2] В. А. Артемов, Изучение звукового состава языка. Ученые записки. I Московского госуд. пединститута иностранных языков, т. 8. 1954 г., стр. 10—11.

ამრიგად, ცალკეული ფორმების სიმბოლიზმის კვლევა დანიშნულებას ვერ ამართლებს. მაგრამ ამის მთავარი მიზეზი არა ამ მიზნისათვის გამოყენებული ექსპერიმენტული მეთოდის უვარგისობაა, არამედ საერთოდ ადამიანის მეტყველების ცალკეული ფონემების სიმბოლიზმის კვლევის პრინციპული შეუძლებლობა. შესაძლოა მეთოდი დაიხვეწოს, შესაძლოა სხვადასხვაგვარი გზით გამოირიცხოს ცალკეულ ფონემებზე სხვა ფონემების გავლენა და ზემოქმედების შესაძლებლობა, მაგრამ შედეგად მიღებული სიმბოლიზმი არ იქნება ადამიანის მეტყველების ფონემების სიმბოლიზმი, რადგანაც ცოცხალ მეტყველებაში ფონემა ყოველთვის ფიგურირებს როგორც ბგერათა კომპლექსის შემადგენელი ნაწილი და ამიტომ მისი სპეციფიკა ყოველთვის განპირობებულია ბგერათა კომპლექსის, როგორც მთელის, სპეციფიკით. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ფონემა ბგერათა კომპლექსში თავის გარკვეულობას კარგავს. როგორც ჰორნბოსტალის, ვესტერმანის, შასტინგის გამოკვლევები და სხვა ავტორთა დაკვირვებების მრავალრიცხოვანი ფაქტები მიუთითებენ, უნდა ვიეარაუდოთ, რომ ბგერათა კომპლექსი თავისი სიმბოლური ღირებულების თვალსაზრისით დიფერენცირებული სტრუქტურის მქონეა, სტრუქტურის, რომელშიაც სხვადასხვა ბგერის წვლილი სხვადასხვა ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი. ბგერათა კომპლექსი სიმბოლური ღირებულების თვალსაზრისით სტრუქტურული, გეშტალტური მთელია.

ეს ვარაუდი, როგორც ვნახეთ, მოკლებული არ არის საფუძველს, მაგრამ ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ იგი შემდგომ შემოწმებასა და ექსპერიმენტულ დადასტურებას არ საჭიროებდეს.

ჩვენ ვცადეთ ამ საკითხის ექსპერიმენტული კვლევა. მეთოდის შედგენის დროს ვხელმძღვანელობდით შემდეგი მოსაზრებებით: თუ ბგერათა კომპლექსი სტრუქტურულ მთლიანობას წარმოადგენს, მაშინ მასაც უნდა ახასიათებდეს ის თავისებურებანი, რომელნიც გეშტალტის თვისებების სახით არის ცნობილი. სახელდობრ, გეშტალტი, როგორც ცნობილია, როდესაც არ არის დასრულებული — ხარვეზის მქონეა, ყოველთვის მიისწრაფვის დასრულებისაკენ, დანაკლისის შევსებისაკენ. ამასთან, გეშტალტის შევსება შეუძლია მხოლოდ ისეთ რაიმეს, რაც გეშტალტს დაასრულებს და ამ მიზნისათვის ნებისმიერი დანამატი არ გამოდგება.

მ ე თ ო დ ი: ცდები შედგებოდა სამი სერიისაგან, რომელთაგან თითოეული ოთხ-ოთხ ვარიანტს შეიცავდა. ცდის მასალად ავიღეთ ტსურუს და ფრისის მიერ შერჩეული იაპონური სიტყვები, რომლებშიაც გამოტოვებული იყო თითო თანხმოვანი ბგერა: პირველ სერიაში — პირველი თანხმოვანი, მეორეში — მეორე, მესამეში — მესამე. ასეთი ხარვეზის მქონე იაპონური სიტყვები ცდისპირებს ეძლეოდათ ფურცელზე სტამბურად დაბეჭდილი. თითოეული ხარვეზიანი სიტყვის გასწვრივ ეწერა ოთხი ასო, რომელთაგან ერთ-ერთი იყო გამოტოვებული. ასოების განლაგება იყო ისეთი, როგორი თანამიმდევრობითაც ისინი ქართულ ანბანში გვხვდება. ყოველი სერიის პირველ და მეორე ვარიანტში ვცდილობდით გამოტოვებული ბგერა მოთავსებული ყოფილიყო იმავე კატეგორიის ბგერებში, მესამე და მეოთხე ვარიანტებში კი გამოტოვებული ბგერის გვერდით მოთავსებული ბგერები მისგან განსხვავებული ყოფილიყო. ეს ცდა ყოველთვის წარმატებით არ მთავრდებოდა იმიტომ, რომ ჩვენი მიზანი იყო გვეხმარა მხოლოდ ის ბგერები, რომლებიც ცდაში გამოყენებულ იაპონურ სიტყვებში გვხვდებოდა. ცდების მეორე და მეოთხე ვარიანტებში ცდისპირებს, გარდა ხარვეზიანი იაპონური სიტყვებისა, ეძლეოდათ აგრეთვე მათი ეკვივალენტური ქართული სიტყვაც. ცდისპირებს ევალებოდათ შეერჩიათ და აღენიშნათ ის ასოები, რომლებიც, მათი აზრით, გამოტოვებული იყო იაპონურ სიტყვებში. ცდისპირებს საგანგებოდ მივუთითებდით, რომ გამოტოვებული ბგერების გამოცნობისათვის საუკეთესო საშუალებაა ხარვეზის ადგილზე ჩავსვათ ამ ოთხი ბგერიდან თითოეული ცალ-ცალკე, წარმოვთქვათ მთლიანად და თვითონ სიტყვა „გვაგრძნობინებს“, თუ რომელი ბგერაა გამოტოვებული. ცდისპირებისათვის ცნობილი იყო, რომ სიტყვები იაპონურია და რომ გასწვრივ მიწერილი ოთხი ბგერიდან ერთ-ერთი არის გამოტოვებული.

სულ ჩატარდა 1200 ცდა და თითოეულ ვარიანტში მონაწილეობას იღებდა 100—100 ცდისპირი.

ჩატარებული ექსპერიმენტებიდან ირკვევა, რომ ნებისმიერი ბგერების ერთობლიობა ბგერათა კომპლექსს ვერ შექმნის, ხარვეზიანი გეშტალტის შესავსებად ყველა ბგერა არ გამოდგება, ბგერათა კომპლექსის ხარვეზი ზოგჯერ შეუძლია შეავსოს მხოლოდ გარკვეული

კატეგორიის ბგერებმა, მაგრამ ზოგჯერ გეშტალტის დასრულება მხოლოდ ერთ რომელიმე ბგერას შეუძლია. როდესაც ხარვეზიანი სიტყვის ბგერით მხარეს თან ახლავს მისი მნიშვნელობაც, ხარვეზის შემავსებელ ბგერათა არე უფრო იზღუდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბგერათა კომპლექსი გარკვეული სტრუქტურის მქონეა, რომლის სხვადასხვა ნაწილს ბგერათა კომპლექსისათვის, როგორც მთელისათვის, სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთი ბგერა ცენტრირებულია, ასრულებს წამყვან როლს, დანარჩენები კი ქმნიან ფონს. რომელი ბგერა იქნება წინა პლანზე წამოწეული და რომელი მოგვეელინება ფონის შემქმნელად, ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ ბგერათა კომპლექსზე, როგორც მთელზე, არამედ იმ შინაარსზედაც, რომლის აღმნიშვნელადაც ეს ბგერათა კომპლექსი გამოიყენება. ის ფაქტი, რომ უმრავლეს შემთხვევებში ცდისპირები სწორად სვამდნენ იაპონურ სიტყვებში გამოტოვებულ ბგერას, მიუთითებს, რომ ბგერათა კომპლექსის, როგორც გეშტალტური მთლიანობის მქონის განცდა, ენის შუალობით არ არის განპირობებული.

ჩვენს ექსპერიმენტებში გამოვლენილი ფაქტი, რომ სიტყვის ბგერითი მხარე, როგორც გეშტალტური მთელი, გარკვეული სტრუქტურის მქონეა და მის სხვადასხვა ნაწილს ბგერათა კომპლექსის მთლიანობაში სხვადასხვაგვარი წვლილი შეაქვს, დასტურდება სხვა ავტორების გამოკვლევებითაც.

როგორც პ. ფრესის, გ. კეჩხუაშვილის, ე. ისენინას და სხვათა გაჰოკვლევებიდან ირკვევა, სიტყვის აღქმისათვის, მისი ცნობისათვის მის სახელში შემავალ ბგერებს სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა აქვს. ეს ფაქტი ყველა ამ ტიპის ექსპერიმენტებში დასტურდება, თუმცა ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას იმასთან დაკავშირებით, თუ სახელდობრ, რომელ ბგერებს ენიჭებათ უპირატესობა ამ მხრივ. ასე მაგალითად, გ. კეჩხუაშვილის აზრით, „სიტყვის გეშტალტის წარმოქმნებში ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს სტატისტიკურად ნაკლებად ხშირი ბგერები"[1]. ე. ისენინას აზრით ყველაზე მეტი ინფორმაციული ღირებულების მქონე ბგერებია: 1. სიტყვის პირველი ბგერა და რამდენიმე ფუძისეული ბგერა. ხოლო თუ მათზე მოდის მახვილი, მაშინ სიტყვის აღქმისას ყველა მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

---

[1] Г. Кечхуашвили, Статистическое распределение и прием информации. 18 международный психологический конгресс. 1966 г. Тезисы.

არამახვილიან ფუძისეულ ბგერებს შორის მნიშვნელოვანია ის, რომელიც მახვილიან მარცვალთან არის ახლოს; 2. მახვილიანი ბგერა მარცვალში; 3. სუფიქსის თანხმოვანი. მოკლე სიტყვებში ყველა ბგერას დიდი ინფორმაციული დატვირთვა აქვს, ვიდრე გრძელ სიტყვებში [1]. შედეგებს შორის განსხვავება შესაძლოა გამოწვეული იყოს საკვლევი პრობლემის და შესაბამისად გამოყენებული ექსპერიმენტული მეთოდის სხვადასხვაობით. ეს გარემოება საკითხის შემდგომი კვლევის საჭიროებაზე მიუთითებს.

---

[1] Е. И. Исенина, Различение и узнавание как механизмы фонематического слуха. Автореферат, 1967 г.

თავი მეექვსე

სახელდების საფუძვლის საკითხისათვის

ავტორთა უმრავლესობა, რომლებიც სახელდების ექსპერიმენტულ კვლევას აწარმოებენ, არსებითად კმაყოფილდება ფაქტობრივი შედეგების კონსტატაციით და ამ ფაქტების განმსაზღვრელი მექანიზმების შესახებ ზოგადი ვარაუდების გამოთქმით, რომელიც ხშირად ერთი წინადადებით არის გადმოცემული.

ამიტომ ჩვენ არ შეეეცდებით ყველა ამ ვარაუდის ცალ-ცალკე განხილვას და შეეჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ, შედარებით გავრცელებულ მოსაზრებაზე. მითუმეტეს, რომ არსებითად ეს უკანასკნელნი მეტ-ნაკლები ხარისხით მოიცავენ თითქმის ყველა იმ ვარაუდს, რომელიც სხვადასხვა ავტორის მიერ იყო გამოთქმული სახელდების საფუძველის შესახებ.

ზოგიერთი ავტორი ექსპერიმენტებში მიღებული შედეგების ახსნას ცდილობს სინესთეზიის ცნების მოშველიებით (დეევისი, ვერნერი, კაროვსკი, ოდბერტი, ოსგუდი, სუცი, ტანენბაუმი და სხვ.). ტერმინი სინესთეზია — სპეციალურ ლიტერატურაში და თვით ამ ავტორების მიერაც—სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით იხმარება. ავტორთა უმეტესობას სინესთეზია მიაჩნია რაღაც ეგზოტიკურ, კურიოზულ ფაქტად. იგი მათ მიერ განიხილება როგორც განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ან ფსიქოპათოლოგიური, ანდა ფიზოლოგიური ანომალია. ასე მაგალითად, ვორენი თავის ფსიქოლოგიურ ლექსიკონში სინესთეზიას განსაზღვრავს, როგორც ფენომენს, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ზოგიერთი ინდივიდის განცდას. მისი არსი იმაშია, რომ გარკვეული შეგრძნებები, რომლებიც მიეკუთვნებიან შეგრძნებათა ერთ მოდალობას, უკავშირდებიან სხვა მოდალობის შეგრძნებებს და ჩნდებიან რეგულარულად, როდესაც მათი შესატყვისი სტიმულები ჩნდება. სინესთეზიის ამგვარი გაგება გულისხმობს, რომ მას საფუძვ-

ლად უდევს თავისებური ნერვული კავშირები, რომელნიც მხოლოდ ცალკეული ინდივიდებისათვის არის დამახასიათებელი.

ზოგიერთი ავტორი არ იზიარებს სინესთეზიის ამგვარ გაგებას, რადგანაც თვლის, რომ იგი ემყარება მისი გამოვლენის უკიდურეს შემთხვევებს — ორი განსხვავებული შეგრძნების შეერთების, ორმაგი შეგრძნების, თანაშეგრძნების შემთხვევებს, რომლებიც საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს და გვთავაზობს ამ ტერმინის უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარებას. ასე მაგალითად: ჰერდერი, ზაკსი და სხვები სინესთეზიას იხილავენ მეტყველების წარმოშობისა და განვითარების პრობლემასთან კავშირში. კაიზერი მას განიხილავს როგორც მეხსიერების დამხმარე ფაქტორს სიტყვის დამახსოვრებისათვის. სინესთეზია, მისი აზრით, აღვიძებს ბავშვობის პერიოდში შეძენილ, ამჟამად უკვე დავიწყებულ ასოციაციებს. ბლუხერი სინესთეზიას, სახელდობრ ფოტიზმებს, თვლის ფენომენად, რომელიც ყველას ახასიათებს, მაგრამ ყველას მიერ არ ცნობიერდება. ვუნდტი, ფლორნოი, შულცი, იენში, გინსბერგი, ველეკი და მრავალი სხვაც სინესთეზიას ასევე ყველა ინდივიდისათვის დამახასიათებელ ფენომენად თვლიან [1]. ტიტჩენერი სინესთეზიას და კერძოდ ფერად სმენას მემკვიდრეობით მიღებულ თავისებურებად თვლის, მას, მისი აზრით მემკვიდრეობით გადაცემის ტენდენცია აქვს, თუმცა არც იმის შესაძლებლობას უარყოფს, რომ მისი ფიზიოლოგიური საფუძვლები ცალკეულ შემთხვევებში იყოს ინდივიდუალური გამოცდილების შედეგი [2].

ჰ. ვერნერს სინესთეზია მგრძნობიარობის თავდაპირველი ერთიანობის გამოვლინებად მიაჩნია. მისი აზრით იგი შეგრძნებების არასრულყოფილი დიფერენციაციის შედეგია.

კაროვსკი, ოდბერტი, ოსგუდი, სუკი, ტანენბაუმი სინესთეზიას აზროვნების ჩვეულებრივ ფორმებს უკავშირებენ და შესაძლებლად მიაჩნიათ „სინესთეზიური აზროვნების“ შესახებ მსჯელობა [3]. ზოგიერთის მიერ სინესთეზია სტილის ელემენტად განიხილება. ოტოკარ ფიშერი, ერიკ ფონ ზიბოლდი და სხვები „ლიტერატურული სინესთეზიების“ კვლევას აწარმოებენ.

---

[1] A. Wollek. Zur Geschichte und kritik der Synästhesie. Archiv für die Gesamte Psychologie. B. 79. H. 3 und 4. 1931.

[2] Э. Б. Титченер, Учебник психологии. М., 1914 г., стр. 164—165.

[3] C. Osgood, G. Suci and P. Tanenbaum, The Measurment of Meaning. Urbana. 1957.

ტერმინ „სინესთეზიის“ სხვადასხვა მნიშვნელობებით გამოყენების ეს ზერელე მიმოხილვაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ მისი ხმარება ორ უკიდურესობას შორის მერყეობს; ზოგჯერ ისეთი ფართო მნიშვნელობით იხმარება, რომ საერთოდ იზოლირებული აღქმა მკვლევარის აბსტრაქციად არის მიჩნეული (ვალაშეკი), ზოგჯერ კი იმდენად ვიწრო მნიშვნელობით, რომ ცალკეულ, იშვიათ კურიოზებად არის გამოცხადებული (ვორენი). ამ ტერმინის მრავალნაირი მნიშვნელობით ხმარების მიუხედავად, ყველა, ვინც კი ამ საკითხს ეხება, აღიარებს, რომ სინესთეზია არ არის ამხსნელი ცნება, რომ იგი თვითონ საჭიროებს ახსნას. ვხვდებით სინესთეზიის ფაქტის ფსიქოლოგიური [1], ფიზიოლოგიური, და ფიზიკალური ახსნის ცდასაც კი.

ეს გარემოება უთუოდ იმაზე მიუთითებს, რომ ტერმინი სინესთეზია იხმარება ისეთი ფაქტების ერთობლიობის აღსანიშნავად, რომლებიც ერთნაირი ბუნებისა და წარმოშობის არ უნდა იყვნენ. ასე მაგალითად, საეჭვოა, რომ ლიტერატურული სინესთეზიები და ვთქვათ ფოტიზმები, ერთი და იგივე მექანიზმებით იყვნენ განპირობებული. ეს კი თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ სინესთეზიის ცნება დაზუსტებას, ამ ტერმინით აღნიშნულ ფაქტთა კლასიფიკაციას და ტერმინოლოგიურ გამიჯვნას საჭიროებს, რაც ჩვენს ამოცანებს სცილდება.

ზემოთქმულიდან ვფიქრობთ, ნათელია, რომ ექსპერიმენტებში გამოვლენილი ბგერათა კომპლექსისა და გარკვეული შინაარსის ურთიერთშესატყვისად, ურთიერთშესაფერისად განცდის ფაქტის ასახსნელად სინესთეზიაზე მითითება საკმარისი არ არის, ისევე როგორც ამ ცნების მოშველიებით შეუძლებელია მეტყველების წარმოშობის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი თეორიის აგება. სინესთეზიაზე, როგორც სახელდების საფუძველზე, მითითება სხვა არაფერია, თუ არა ერთი ფაქტის ფაქტთა სხვა ჯგუფისადმი მიკუთვნება, რომლის წევრებიც სხვადასხვაგვარი წარმოშობის არიან და რომელთაც მხო-

---

[1] ვ. ვუნდტი, გ. ფეხნერი, კ. შტუმფი, ე. იოდლი, თ. ლიპსი, მ. დესუარი, ფლორნოი, ე. ჰერნიგი, ფოლკელტი და მრავალი სხვა ავტორი სინესთეზიის საფუძვლად ან ასოციაციებს ასახელებენ, ანდა არაცნობიერ შემეცნებით პროცესებს. იხ. A. Wellek, Zur Geschichte und kritik der Synästhesie. Archiv für die Gesamte Psychologie. B. 79. H. 3 und 4. 1931. დ. რამიშვილი ლიტერატურული სინესთეზიების ასახსნელად წარმატებით იყენებს განწყობის ცნებას. იხ. დ. რამიშვილი, „სინესთეზიის“ ფაქტორი ლიტერატურულ-ესთეტიკური აღქმის სფეროში, ხელნაწერი, 1943 წ.

ლოდ ერთი გარეგანი ნიშნის მსგავსება აკავშირებთ. მიუხედავად იმისა, სინესთეზიის ახსნა ნაცადია ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ თუ ფიზიკურ მექანიზმთა საფუძველზე, ყველა ამ ახსნის ცდისათვის ისაა სპეციფიკური, რომ სინესთეზიის ფაქტიც და მისი მექანიზმიც მიჩნეულია სტატიკური ბუნების მქონედ.

ჩვენ მიერ დასახელებულ ავტორებს შორის უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ე. წ. ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორია, ფონეტიკური სიმბოლიზმის ტრადიციული თეორიის მიხედვით არსებობს შინაგანი შესატყვისობა ბგერებსა და მნიშვნელობებს შორის, გარკვეული ბგერები გარკვეულ მნიშვნელობებზე მიუთითებენ.

ფონეტიკური სიმბოლიზმის სასარგებლოდ მიუთითებენ თითქმის ყველა იმ ექსპერიმენტის შედეგებზე, რომელთა შესახებაც წინა თავებში გვქონდა მსჯელობა. ყველა ავტორი ფონეტიკურ სიმბოლიზმს განიხილავს როგორც დესკრიპტულ ცნებას, რომელიც თავის მხრივ ახსნასა და მისი განმსაზღვრელი მექანიზმის ჩვენებას საჭიროებს. მაგრამ ავტორთა უმრავლესობა თუ ერთსულოვნებას იჩენს იმაში, რომ მიღებული შედეგები ფონეტიკური სიმბოლიზმის გამოვლინებად მიიჩნიოს, მისი განმსაზღვრელი მექანიზმის საკითხში მსგავსი ერთსულოვნება არ შეინიშნება. ფონეტიკური სიმბოლიზმის მექანიზმის საკითხში ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას და მექანიზმის სხვადასხვაობისდა მიხედვით ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიაც სხვადასხვაგვარ სახეს ღებულობს.

ე. სეპირი გადაჭრით ვერ ამბობს, რით არის განპირობებული ცდებში გამოვლენილი სიმბოლიზმი და საერთოდ, როგორც მიუთითებს, ტერმინს — ფონეტიკური სიმბოლიზმი — ხმარობს უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო. მას შესაძლებლად მიაჩნია ფონეტიკური სიმბოლიზმის საფუძველი აკუსტიკური ხასიათისა იყოს; — შესაძლოა გარკვეული ხმოვნების შინაგანი მოცულობა არის უფრო დიდი, ვიდრე სხვების — მიუთითებს იგი. მაგრამ მას შესაძლებლად მიაჩნია აგრეთვე, რომ ფონეტიკური სიმბოლიზმი კინესთეტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული — შესაძლოა ჩვენ არაცნობიერად ვგრძნობდეთ, რომ ფონეტიკური სიმბოლიზმი ენის პოზიციასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, i-ს შემთხვევაში ენა მაღლა არის სასასთან და ჰაერის რხევადი ნაკადი გადის ვიწრო სარეზონანსო არეში; a-ს შემთხვევაში კი პირიქით, ენა ძლიერ დაბლაა დაწეული და გაწეულია უკან, რის გამოც ჰაერის რხევადი ნაკადი გადის უფრო ფართო სარეზონანსო არეში. სეპირის მიხედვით ცდაში დადასტუ-

რებული სიმბოლიზმი არასოციალიზებული სიმბოლიზმია და მისი ახსნა შეუძლებელია ფუნქციონალური ენობრივი ფაქტორებით.

ს. ნიუმენის მიხედვით ფონეტიკური სიმბოლიზმი და, მაშასადამე, ექსპერიმენტებში დადგენილი სიმბოლური შკალაც განპირობებულია ისეთი მექანიკური ფაქტორებით, როგორიცაა საარტიკულაციო აპარატის პოზიცია, აკუსტიკური რეზონანსის სიხშირე, არტიკულაციისას პირის ღრუს ზომა, ფონემის ვოკალური სიგრძე, თანხმოვნის ელერადობა და ფონეტიკური სტრუქტურა. სიმბოლიზმის სხვადასხვაობაც ასევე ობიექტური ფაქტორებით არის განპირობებული. ასე მაგალითად, ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ფონემის ვოკალური სიგრძე და მისი წარმოთქმისას პირის ღრუს ზომა, ძირითადი ფაქტორებია სიდიდის სიმბოლიზმისათვის. არტიკულაციისას ენის პოზიციის თანამიმდევრობა და თანხმოვანის ელერადობა სიდიდისა და სიბნელის სიმბოლიზაციის ფაქტორებს უნდა წარმოადგენდნენ და სხვ.

რიჩარდ ჰადჟეტის ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის მიხედვით სიმბოლიზმი არის არა ფონემის, არამედ საარტიკულაციო აპარატის უნარი. მისი აზრით, გარკვეული ბგერები, გარდა მათი კონვენციონალური მნიშვნელობისა, გარკვეულ მნიშვნელობებზეც მიუთითებენ არა ბგერების რაღაც თანდაყოლილი თვისებების, არამედ იმ გზების გამო, რომლითაც ბგერების წარმოთქმა ხდება. საარტიკულაციო აპარატს აქვს უნარი მოახდინოს გარე სამყაროს მოვლენების მოძრაობებისა და კონტურების იმიტაცია. მისი მიხედვით კომუნიკაცია დაიწყო როგორც მთელი სხეულის ჟესტების სისტემა, რომელიც წარმოადგენდა პრიმიტიული ცხოვრების ძირითად მოქმედებას. არტიკულაციისას კუნთები ასრულებენ ამ ჟესტებს მინიატურაში. ამ მოძრაობებისადმი ფონაციის დამატებამ შექმნა შინაარსის მქონე გამონათქვამები, რომლებშიაც მნიშვნელობას წარმოგვიდგენდა კუნთების მოქმედება. მაშასადამე, ბგერები შესაფერისი არიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ იმიტაციური ჟესტები ქმნიან და არა თვით ბგერების თავისებურებების გამო. რეპრეზენტანტად საარტიკულაციო მოძრაობები გამოდის და არა ბგერები. ასე მაგალითად, პროტოპოლინეზიური სიტყვები დიდისათვის—„ოჰო“ და „ი-ი“ პატარისათვის შესაფერისია არა თვით ბგერების თვისებების გამო, არამედ იმიტომ, რომ პირველ შემთხვევაში პირი დიდ ღრუს ქმნის, მეორე შემთხვევაში კი პატარას [1].

---

[1] R. Paget, Human Speech. New York. 1930.

ბენტლეი და ვარონის აზრით ის ფაქტი, რომ ცდისპირები ახდენენ არა მარტო ლინგვისტური, არამედ არალინგვისტური ვოკალური ინსტრუმენტალური ბგერების დაჯგუფებასაც (კამერტონის ტონები, სხვადასხვა სახის ხმაური და სხვ.), არ გვაძლევს საფუძველს დაშვებისათვის, რომ ლინგვისტური ბგერები ხასიათდებიან რაღაც მხოლოდ მათთვის სპეციფიკური „სიმბოლური მიმართებებით", რომ მიღებული შედეგები განპირობებულია თითქოსდა თვითონ ბგერებში მოცემულ უშუალო შინაგან განსხვავებებით. შესაძლებელია ეს განსხვავებები, რომელთა კონსტატაციასაც ადგილი აქვს ექსპერიმენტებში, დაფუძნებულია არა ბგერების შინაგან თვისებურებებზე, არამედ ისეთ გარეგან ფაქტორებზე, როგორიცაა ღია პირი, გაჭიმული ყბა, დაჭაბული ტუჩები და სხვა. ყველა ეს სივრცობრივი და დინამიკური მომენტი უშუალოდ შედის აღიერებული ბგერის, ისე როგორც ის ისმის, სპეციფიკურ დახასიათებაში. ბგერის წარმოთქმის აქტი თვითონ შეიცავს ენის, ყბის, ტუჩების, მკერდის და სხეულის სხვა ნაწილების მოძრაობით გამოწვეულ მოტორულ შეგრძნებებს, რომელთაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ბგერების განცდაში. ყველა ამ კომპონენტს განცდაში თავიანთი წვლილი შეაქვს არა რაიმე სპეციფიკური სიმბოლიზმის შინაგანი ძალით, არამედ, უფრო სწორად, როგორც ხარისხის მქონეს და ლაბილურ სისტემას, რომ შეგვატყობინოს მდგომარეობა, იქნება ეს ლინგვისტური თუ არა, — რაღაც შესაფერისი და გამომხატველობითი საშუალებებით[1].

ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის წარმომადგენელნი ეყრდნობიან რა სეპირის, დაგირის, მირონის, დევისის და სხვათა ჯვარედინ-ენობრივი ექსპერიმენტების შედეგებს, უცნობი ენის ანტონიმური სიტყვებისათვის მშობლიური ენის ეკვივალენტური სიტყვების შერჩევის ექსპერიმენტებს, აგრეთვე ო. ესპერსენის, ჰორნბოსტელის, ვესტერმანის და სხვათა დაკვირვების მასალებს—თელიან, რომ ექსპერიმენტებში გამოვლენილი ფონეტიკური სიმბოლიზმი უნივერსალური, საყოველთაო ხასიათისაა. ამიტომაც, როგორც ვნახეთ, ყველა ის მექანიზმი, რომელიც ფონეტიკური სიმბოლიზმის ასახსნელად იყო წამოყენებული, სტატიკური ხასიათისაა და ერთნაირად ფუნქციონირებს არა მხოლოდ ერთი და იგივე ინდივიდში ან ერთსა და იმავე

---

[1] M. Bentley and Edith J. Varon. An Accessory Study of Phonetic Symbolism. American Journal of Psychology. no. 45. 1933.

ენაზე მოლაპარაკე ინდივიდებში, არამედ სხვადასხვა ენის წარმომადგენლებშიაც კი.

ზოგიერთი ავტორის აზრით, არსებული ექსპერიმენტული ფაქტები არ იძლევა საფუძველს უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის არსებობის მტკიცებისათვის. ასე მაგალითად, რ. ბრაუნი აჯამებს რა ფონეტიკური სიმბოლიზმის კვლევის მიმართულებით ჩატარებულ ექსპერიმენტებს, ასკვნის — უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის არსებობა პრობლემატურია. ექსპერიმენტების უმრავლესობა ჩატარებულია ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირებზე, ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ იგი მთლიანად მსგავსი ლინგვისტური მომზადების შედეგი იყოს. რაც შეეხება ო. ესპერსენის მიერ მოყვანილი დაკვირვების მასალებს, მიუთითებს რ. ბრაუნი, ისინი განსაკვიფრებელია, მაგრამ მაინც არაა საბოლოოდ დამარწმუნებელი, რადგანაც არ ყოფილა კონტროლი მათი შერჩევის პროცესში და აგრეთვე იმიტომ, რომ შედეგები სტატისტიკურად არ ყოფილა შემოწმებული. ამის მიუხედავად იგი ანგარიშს უწევს რა ო. ესპერსენის მეცნიერულ ავტორიტეტს, დასძენს, რომ ასეთი დიდი მეცნიერის „შთაბეჭდილებებიც" კი მნიშვნელოვანი საბუთია საკითხის გადასაწყვეტად. ასევე, უცნობი ენის სიტყვათა გამოცნობის ექსპერიმენტების შედეგებიც, მისი აზრით, შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ არსებობს ბგერა-მნიშვნელობის კავშირები, რომელთა დამყარებისა და გამოცნობის მიდრეკილება აქვს ყველა ადამიანს და რომ ეს კავშირები შესუსტებული ფორმით ყველა ენაში მოიპოვება იმ ხარისხით მაინც, რომ ცდისპირებს ეძლევათ შესაძლებლობა უცნობი ენის სიტყვები შემთხვევით მოსალოდნელზე უკეთ თარგმნონ. ამის მიუხედავად, რ. ბრაუნი საკითხზე გარკვეული პასუხისაგან თავს იკავებს იმ მოტივით, რომ აქამდე წარმოებული კვლევის შედეგები ამისათვის არ არის საკმარისი. ჯერჯერობით აქამდე წარმოებული მუშაობა, მიუთითებს იგი, არსებითად ემსახურებოდა მეთოდის ძიებას და პრობლემის ნათლად ფორმულირებას. ეს ამოცანა მას უკვე დაძლეულად მიაჩნია, მაგრამ ხაზგასმით მიუთითებს, რომ პასუხი კითხვაზე — არსებობს თუ არა უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმი, იოლად არ მიიღება და არ უნდა ველოდოთ, რომ იგი იქნება მარტივი. თუ გავითვალისწინებთ შედეგების საერთო ხასიათს, მისი აზრით, წინასწარ შეიძლება იმის განჭვრეტა, რომ საყოველთაო ფონეტიკური სიმბოლიზმი არც დამტკიცდება და არც უარიყოფა [1].

---

[1] R. W. Brown, Words and Things. 1958. გვ. 131.

მალცმანი, მორისეტი და ბრუქსი, ბრეკბილი და ლითლი საკუთარ ექსპერიმენტებზე დაყრდნობით იცავენ აზრს, რომ უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის დაშვება არ უნდა იყოს მართებული.

ი. და მ. ტეილორები საკუთარ ჯვარედინ-ენობრივ ექსპერიმენტებზე და მალცმანის, მორისეტის და ბრუქსის, აგრეთვე ბრეკბილისა და ლითლის ექსპერიმენტებზე დაყრდნობით ცდილობენ დაასაბუთონ, რომ უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორია არ შეესატყვისება ფაქტიურ ვითარებას.

აღნიშნული ავტორების მიერ უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის კრიტიკა არ არის საკმარისი და დასკვნებისათვის მათ მიერ მოყვანილი არგუმენტაცია არ იძლევა საკმაო საფუძველს.

ტეილორების ექსპერიმენტები, როგორც ვნახეთ (თავი V) სერიოზული მეთოდიკური ხარვეზებით ხასიათდებიან, რაც სრულ საფუძველს იძლევა ეჭვი შევიტანოთ მათ საფუძველზე გაკეთებული დასკვნების მართებულობაში. რაც შეეხება მათ მიერ მითითებულ სხვა ავტორთა ექსპერიმენტებს, როგორც სამართლიანად მიუთითებს ჯ. ვაისი, ასევე არ გამოდგებიან ისინი უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის უარსაყოფად. ასე მაგალითად, მალცმანის, მორისეტის და ბრუქსის ექსპერიმენტებში [1], ისევე როგორც ჯ. ვაისის ექსპერიმენტებში [2], გამოირკვა, რომ უცნობი ენის სიტყვა-წყვილების შემთხვევითობით მოსალოდნელზე მეტი ოდენობით გამოცნობისათვის აუცილებელია ცდისპირებს ეძლეოდეთ ამ სიტყვების მნიშვნელობებიც, ხოლო უცნობი ენის სიტყვაწყვილებისათვის ეკვივალენტური სიტყვების შერჩევა, როდესაც ცდაში გამოყენებული ორივე ენის მასალა ცდისპირისათვის უცნობია, არ აღემატება შემთხვევითობით მოსალოდნელ ოდენობას. ასეთია ფაქტი, რომელიც თავისთავად არც უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის უმართებულობას ადასტურებს და არც ენობრივი ჩვევის მართებულობას, რომლის საფუძველზეც ცდილობენ ტეილორები ამ ფაქტების ახს-

---

[1] I. Maltzman, L. Jr. Morrisett and L. O. Brooks. An Investgation of Phonetic Symbolism. J. Abnorm. Soc. Psychology. no. 53. 1956

[2] J. Weiss, Role of „Meaningfulnes" Versus Meaning Dimensions in Guesing... J. Abnorm. Soc. Psychol. 66. 1933.

ნას. იგივე ითქმის ბრეკბილისა და ლითლის ექსპერიმენტის შესახებაც.

მაგრამ აღნიშნულიდან არ გამომდინარეობს, რომ უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორია მართებულია; თქმულიდან არც ის გამომდინარეობს, თითქოს საჭიროა ბრაუნის მოსაზრების გაზიარება იმის შესახებ, რომ საყოველთაო ფონეტიკური სიმბოლიზმი არც დამტკიცდება და არც უარიყოფა.

ტერმინი—ფონეტიკური სიმბოლიზმი, როგორც ჩანს, არაადეკვატურია იმისათვის, რის აღსანიშნავადაც მას იყენებენ. საქმე იმაშია, რომ (თუნდაც არაფერი ვთქვათ იმ გარემოებაზე, რომ არც ერთ ექსპერიმენტში არ ყოფილა დადგენილი ცალკეული ფონემის სიმბოლიზმის ფაქტი) თვით იმ ახსნას, რომელსაც ამ თეორიის წარმომადგენლები გვთავაზობენ, უფრო ხშირად არაფერი აქვს საერთო ფონემების სიმბოლიზმთან. როგორც ვნახეთ, ავტორთა უმეტესობა ფონეტიკურ სიმბოლიზმს თვლის განპირობებულად არა აკუსტიკური, არამედ კინესთეტიკური ფაქტორებით, რომელსაც ადგილი აქვს ფონემების და ბგერათა კომპლექსების წარმოთქმის პროცესში. ხოლო თუ ის სიმბოლიზმი, რომელიც ექსპერიმენტებში ვლინდება, განპირობებულია საარტიკულაციო მოძრაობებით, მაშინ იგი აღარ ჩაითვლება ფონეტიკურ სიმბოლიზმად და საფუძველი ეცლება ფონეტიკური სიმბოლიზმის ტრადიციულ თეორიაში წარმოდგენილ მტკიცებას, რომ თითქოსდა არსებობს შინაგანი შესატყვისობა ბგერებსა და მნიშვნელობებს შორის, რომ გარკვეული ბგერები გარკვეულ მნიშვნელობებზე მიუთითებენ.

გარდა ამისა, როგორც წინა თავში უკვე იყო მითითებული, არცერთი იმ ექსპერიმენტიდან, რომელზეც არის დაფუძნებული უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორია, არ მტკიცდება. რომ ცალკეული ფონემები მათთვის სპეციფიკური სიმბოლიზმით ხასიათდებიან, რომ გარკვეული ბგერები გარკვეულ მნიშვნელობაზე მიუთითებენ. საქმე იმაშია, რომ ყველა ამ ექსპერიმენტში გამოიყენება ბგერათა კომპლექსი და დასკვნა კი კეთდება ცალკეულ ფონემათა სიმბოლიზმის შესახებ. ეს დასკვნა ემყარება წინასწარ მიღებულ დებულებას, რომ ბგერათა კომპლექსის სიმბოლიზმში თითოეულ ბგერას წვლილი შეაქვს სხვებისაგან დამოუკიდებლად, რომ მარცვლის ბგერებს შორის ურთიერთზემოქმედებას არა აქვს ადგილი. ეს გამოსავალი დებულება მცდარია და, როგორც წინა თავში ვცდილობდით ნათელყოფას, მას არც ექსპერიმენტული და არც ლოგიკური

გამართლება არა აქვს. გარდა ამისა, როგორც სპეციალური ექსპერიმენტებით მტკიცდება, ბგერათა კომპლექსი წარმოადგენს არა მასში შემავალი ბგერების მექანიკურ ჯამს, არამედ გეშტალტურ მთლიანობას, რომელშიაც ზოგიერთი ბგერა მართალია ერთგვარად წამყვან როლს ასრულებს, მაგრამ მაინც მისი სპეციფიკურობა საბოლოოდ განსაზღვრულია ბგერათა კომპლექსით, როგორც მთელით და იმ შინაარსით, რომლის სახელადაც იგი გვევლინება. ეს ფაქტი კი ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიასთან შეუთავსებელია.

ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორია, ისევე როგორც სინესთეზიის ცნების მოშველიება სახელდების ექსპერიმენტების შედეგების ასახსნელად, სახელდების საფუძვლად გულისხმობს სტატიკურ მექანიზმს. ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის მიხედვით ფონემის სიმბოლიზმი კონსტანტურია. ფონემა, ბგერათა კომპლექსი, ადამიანის მიერ გარკვეული სახელის ფუნქციის მქონედ განიცდება და ეს განცდა კონსტანტურია როგორც ინტრა-, ასევე ინტერინდივიდუალურად უფრო მეტიც, იგი უნივერსალური ხასიათისაა და მიუხედავად ცდისპირის ამა თუ იმ ენობრივი ჯგუფისადმი მიკუთვნებულობისა, სტერეოტიპულად ვლინდება. სინესთეზიის ცნება, როგორც ვნახეთ, სხვადასხვაგვარად არის გაგებული, მაგრამ როგორი გაგებიდანაც არ უნდა გამოვიდეთ, ისიც ბგერათა კომპლექსის სახელის ფუნქციის რომელობას კონსტანტურად ვიჩენს ინტრაინდივიდუალურად მაინც. მაგრამ, როგორც მესამე თავში წარმოდგენილი ექსპერიმენტების შედეგების ანალიზიდან ირკვევა, ბგერათა კომპლექსის სახელის ფუნქციის რომელობა ინტერ-და ინტრაინდივიდუალური კონსტანტობით ხასიათდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე სახელსადები შინაარსის სახელდების განზრახვით აღიქმება. ხოლო როდესაც სახელსადები შინაარსი სხვადასხვაა, მაშინ არა მხოლოდ ინტერ-, არამედ არც ინტრაინდივიდუალური კონსტანტურობა დასტურდება. ბგერათა კომპლექსის განცდის ორმხრივი განსაზღვრულობა, მისი არა მხოლოდ ამ კომპლექსის ბგერითი შედგენილობით, არამედ სახელსადები შინაარსის სპეციფიკურობით განპირობებულობაც, მიუთითებს რომ სახელდების საფუძველი დინამიკური ხასიათისაა და ამიტომ ისეთი სტატიკური მექანიზმები, როგორიც ფონეტიკური სიმბოლიზმია, სინესთეზიაა და სხვა არ გამოდგება სახელდების პროცესის სპეციფიკურობათა ასახსნელად.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ტეილორები არ დაკმაყოფილდნენ უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის კრიტი-

კით და ფონეტიკური სიმბოლიზმის ახალ თეორიას გვთავაზობენ. მათი აზრით ექსპერიმენტებში გამოვლენილი სიმბოლიზმი ენობრივი ჩვევის შედეგია. ასეთი ახსნის შესაძლებლობას რ. ბრაუნიც უშვებს. არ არის გამორიცხული, მიუთითებს იგი, რომ ექსპერიმენტებში მიღებული შედეგები ცდისპირთა მსგავსი ლინგვისტური მომზადების შედეგი იყოს. ასეთ შესაძლებლობებს ცნობიერად თუ არაცნობიერად მრავალი სხვა მკვლევარიც იზიარებს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგ ტეილორების მტკიცებისა არც თვით ტეილორების ექსპერიმენტები, არც მალცმანის, მორისეტის და ბრუკსის და არც ბრეკბილისა და ლითლის ექსპერიმენტები ამ თეორიის ექსპერიმენტულ საბუთად არ გამოდგება, საჭირო ხდება ამ თეორიას მაინც შევეხოთ. მითუმეტეს, რომ, როგორც შასტინგის მიერ წარმოებულმა კვლევამ გვიჩვენა, ფონემათა განაწილება სხვადასხვა ენის ლექსიკაში სხვადასხვაგვარია და, მაშასადამე, რჩება შესაძლებლობა, ენობრივი ჩვევის თეორიამ ეს მონაცემები თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

ახალმა ჰიპოთეზამ, მიუთითებს ი. ტეილორი, გასაგები უნდა გახადოს არა მარტო ის ფაქტი, რატომაა რომ ადამიანები გარკვეულ ბგერებს გარკვეულ მნიშვნელობებს უკავშირებენ, არამედ ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ერთი და იგივე ბგერებს რატომ უკავშირებენ განსხვავებულ მნიშვნელობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტეილორები ამ შემთხვევაში მიმართავენ ტრადიციულ არგუმენტს — მრავალენიანობის არსებობის ფაქტს, რომელსაც ჩვეულებრივ აყენებენ სახელდების კანონზომიერი ბუნების მტკიცების წინააღმდეგ საპირისპირო თვალსაზრისზე მდგომი მკვლევრები.

თუ განსხვავებულ ენებში გამოვლენილი ფონეტიკური სიმბოლიზმი განსხვავებულია, მიუთითებს ი. ტეილორი, მაშინ მისი განმსაზღვრელი ფაქტორები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ენებში ცვლადი უნდა იყოს. ასეთ ფაქტორად მას ენობრივი ჩვევა მიაჩნია. ასე მაგალითად: ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს ბგერა g-ს დიდთან ასოციერების ჩვევა, რადგანაც ინგლისურში ბგერა g ხშირად გამოიყენება ისეთი სიტყვების პირველ ბგერებად, რომლებიც ძალიან დიდ რაღაცას აღნიშნავენ, ხოლო იმავე მიზეზების გამო ბგერა t და n-ს — პატარასთან ასოციაციის ჩვევა. მაშასადამე, ექსპერიმენტულ პირობებში დადასტურებული სიმბოლიზმი განპირობებულია არა ფონემებისათვის დამახასიათებელი რაღაც

შინაგანი თავისებურებებით, არამედ კონვენციონალური ასოციაციებით.

ენობრივი ჩვევის თეორიიდან გამომდინარე ი. ტეილორი ფონეტიკური სიმბოლიზმის ჯვარედინ-ენობრივ კვლევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და თვლის მას ერთ-ერთ ობიექტური და რაოდენობრივი გაზომვის შესაძლებლობების შემცველ მეთოდად სხვადასხვა ენათა შორის ნათესაობრივი ხარისხის დასადგენად. თუ დადგინდა, რომ ორ ენებისმიერ ენობრივ წყვილში ადგილი აქვს ფონეტიკური სიმბოლიზმის მხრივ მნიშვნელოვან კორელაციას, ეს ფაქტი კვალიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც ამ ენების ჩვევებს შორის მსგავსების არსებობის მაჩვენებელი; მონათესავე ენებში მსგავსი სახის ფონეტიკურ სიმბოლიზმს უნდა ჰქონდეს ადგილი, ხოლო სხვადასხვა ენობრივ ოჯახს მიკუთვნებულ ენებს შორის კი ასეთი მსგავსება ნაკლები უნდა იყოს.

ყველა ის კრიტიკული შენიშვნა, რომელიც გამოთქმული იყო ზევით, აგრეთვე მეხუთე თავში, ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის მიმართ ძალას ინარჩუნებს ენობრივი ჩვევის თეორიის მიმართაც. ამიტომ ჩვენ მათ განმეორებას აღარ შევუდგებით და მივუთითებთ მხოლოდ ზოგიერთ სიძნელეზე, რომელიც ამ თეორიის წინაშე ჩნდება, განსხვავებით უნივერსალური ფონეტიკური სიმბოლიზმის თეორიის წინაშე მდგარი სიძნელეებისაგან.

თუ ფონეტიკური სიმბოლიზმის შესწავლის მიზანდასახულობის მქონე ექსპერიმენტებში მიღებული შედეგები ენობრივი ჩვევით არის განპირობებული და, ვთქვათ, ინგლისელი ცდისპირი ფონემა a-ს განიცდის დიდის, ხოლო ფონემა i-ს კი პატარის სიმბოლიზმის მქონედ, იმის გამო, რომ მას ამის შესატყვისი ენობრივი ჩვევა აქვს, მაშინ ადგილი უნდა ჰქონდეს კორელაციას, ერთი მხრივ, ექსპერიმენტებში დადგენილ სიმბოლიზმსა და, მეორე მხრივ, ინგლისურ ენაში ამ მნიშვნელობათა აღმნიშვნელ სახელთა ბგერით შედგენილობას შორის. მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ასეთი კორელაცია ვერ დაადასტურა ვერც ს. ნიუმენმა და ვერც ბრაუნმა და ჯინ ბენქომ. მაშასადამე, ექსპერიმენტებში მიღებული შედეგები არ უნდა იყოს ენობრივი ჩვევით განპირობებული.

ენობრივი ჩვევის თეორია შინაგანი წინაალმდეგობის შემცველია. მის მიხედვით, ის ფაქტი, რომ ცალკეული ფონემები ანდა ბგერათა კომპლექსები გარკვეული სიმბოლური ღირებულების მქონედ განიცდება, განპირობებულია ენობრივი ჩვევით, კონვენციონალური

ასოციაციებით. რაც შეეხება ენის ლექსიკურ ფონდს, იგი არაკანონზომიერი სახელდების, კონვენციის გზით არის შედგენილი. ექსპერიმენტებში ვნახულობთ იმას, რაც ენისათვის სპეციფიკურია. ექსპერიმენტებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხდება ენის სპეციფიკურობათა პროექცია ექსპერიმენტულ მასალაზე. ექსპერიმენტებში მიღებულ იქნა გარკვეული კანონზომიერება, გარკვეული სიმბოლური შკალა. თუ დავუშვებთ, რომ ეს კანონზომიერება ენობრივი ჩვევით არის განპირობებული, რომ იგი ენობრივი ჩვევის პროექციას წარმოადგენს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ენის ლექსიკის სახელდება გარკვეული კანონზომიერების შემცველია, რომ ენის ლექსიკა კონვენციის გზით არ არის შედგენილი. ასე მაგალითად, თუ ტეილორის ცდისპირები ბგერა g-ს დიდის სიმბოლიზმის გამომხატველად განიცდიან ენობრივი ჩვევის გამო, ე. ი. იმის გამო, რომ ინგლისურ ენაში დიდი მოვლენების სახელების საწყის ბგერას უმთავრესად ბგერა g წარმოადგენს, ეს იმას ნიშნავს, რომ ენის ლექსიკის სახელდება კონვენციონალური კი არა, კანონზომიერი ხასიათისაა, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდის კატეგორიას მიკუთვნებული მოვლენების სახელდებისას ნებისმიერი ბგერათა კომპლექსები კი არ გამოიყენებოდა, არამედ მხოლოდ ბგერა g-ს შემცველი კომპლექსები. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ენობრივი ჩვევის თეორიამ შესაძლოა გასაგები გახადოს, რატომაა, რომ ვთქვათ, ინგლისურად მოლაპარაკე ცდისპირები თანხმდებიან იმაში, რომ ბგერა g დიდის სიმბოლიზმის მატარებელია, მაგრამ ვერ ხდის გასაგებს, რატომაა რომ დიდი მოვლენების სახელები ინგლისურ ენაში უმთავრესად ბგერა g-თი იწყება. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ექსპერიმენტებში დადგენილი კანონზომიერება არა ენობრივი ჩვევის გამოვლინებაა, არამედ კანონზომიერების, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ენის ლექსიკის სახელდება და რომლის გამოვლინებასაც წარმოადგენს თვით ენობრივი ჩვევაც.

ენობრივი ჩვევის თეორია უძლურია მოგვცეს ნებისმიერ ზემოთ განხილულ ექსპერიმენტებში მიღებული შედეგების დამაკმაყოფილებელი ახსნა. ასე მაგალითად: ავიღოთ უცნობი ენის სიტყვათა გამოცნობის ექსპერიმენტები. ენობრივი ჩვევის თეორიამ შეიძლება გასაგები გახადოს, რატომაა რომ ამ ექსპერიმენტებში ასე დიდია ცდისპირთა მონაცემებს შორის დამთხვევის ხარისხი. მაგრამ თეორია, რომელიც ენობრივ ლექსიკას კონვენციის, არაკანონზომიერი სახელდების გზით შედგენილად მიიჩნევს, დამაკმაყოფილებლად

ვერ ახსნის, რატომაა, რომ ცდისპირთა არჩევანი უმრავლეს შემთხვევაში შეესატყვისება ფაქტიურ ვითარებას.

ზემოთქმული, ვფიქრობთ, საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ ენობრივი ჩვევის თეორია არ შეესატყვისება ფაქტიურ ვითარებას. მის საფუძველზე შეუძლებელი ხდება აიხსნას ის კანონზომიერებანი, რომლებიც მრავალრიცხოვან ექსპერიმენტებშია მოპოვებული და აგრეთვე ენის ის სპეციფიკურობანი, რომელთა გამოვლინებაც ხერხდება ენობრივი ლექსიკის ანალიზისა და მასზე დაკვირვების გზით. მაგრამ ნათქვამიდან არ გამომდინარეობს, რომ ექსპერიმენტებში მიღებული შედეგების რაგვარობაზე გავლენას არ ახდენს ცდისპირის მშობლიური ენა. ცხადია, იმის გამო, რომ ყოველ ენას აქვს სპეციფიკური ფონეტიკური სისტემა, ენის ლექსიკის სპეციფიკური სემანტიკური მხარე, სიტყვაწარმოების დადგენილი გზები და სხვა, ყოველი ენის წარმომადგენლის მიერ წარმოებული სახელდება, იქნება ეს ექსპერიმენტულ თუ ბუნებრივ პირობებში, რიგი სპეციფიკურობებით წარმოგვიდგება. სახელდების პროცესის ენით გაშუალების უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ შუამავლად გვევლინება არა კონვენციის გზით შექმნილი ენობრივი ლექსიკა, არამედ ლექსიკა, რომელიც კანონზომიერი სახელდების პროდუქტს წარმოადგენს.

ბგერათა კომპლექსი და სახელსადები შინაარსი ერთმანეთს რომ დაუკავშირდეს, სახელდება რომ განხორციელდეს, საჭიროა სახელმდებელმა ბგერათა კომპლექსი და სახელსადები შინაარსი ერთმანეთის შესაფერისად, ერთმანეთის შესატყვისად განიცადოს. სახელსადები შინაარსის შესაფერისად სახელმდებლის მიერ ის ბგერათა კომპლექსი მიიჩნევა, რომელიც მის მიერ განიცდება სახელსადები შინაარსის შესატყვისი სახელის ფუნქციის რომელობის მქონედ. ამიტომ როდესაც საკითხი დგას სახელდების საფუძვლის, ბგერათა კომპლექსისა და სახელსადების ურთიერთთან დაკავშირების მექანიზმის შესახებ, ე. ი. როდესაც მიზნად ვისახავთ გავარკვიოთ, რამ განაპირობა, რომ მოცემულ სახელსადებ შინაარსს ცდისპირი სწორედ ამ ბგერათა კომპლექსს ურჩევს სახელად და არა სხვას, ეს ნიშნავს გავარკვიოთ, რატომ განიცდის სახელმდებელი ბგერათა კომპლექსს ასეთი და არა სხვაგვარი სახელის ფუნქციის რომელობის მქონედ.

ბგერათა კომპლექსის განცდის რაგვარობა ორმხრივი განსაზღვრულობით ხასიათდება. იგი განსაზღვრულია არა მხოლოდ ბგერითი შედგენილობით, არამედ მნიშვნელოვანი ხარისხით სახელსადები ში-

ნაარსის სპეციფიკითაც. ამიტომ სახელდების მექანიზმის გარკვევა ნიშნავს, გასაგები გავხადოთ ორი ჰეტეროგენული მოვლენის ბგერათა კომპლექსისა და სახელსადები შინაარსის ურთიერთზემოქმედების მექანიზმი.

ბგერათა კომპლექსის ცნობიერებაში აღმოცენების მომენტშივე იგი უკვე განიცდება სახელსადები შინაარსის ან რომელიმე სხვა შინაარსის შესაფერისად, ანდა სავსებით ინდიფერენტულად. ე. ი. ბგერათა კომპლექსის განცდა მისი ცნობიერებაში აღმოცენების მომენტში უკვე ან ასიმილირებულია სახელსადები შინაარსის მიერ, ან განსხვისებული, ანდა სავსებით არ არის დაქვემდებარებული მის ზემოქმედებას. მაშასადამე, ბგერათა კომპლექსის განცდის ცნობიერებაში აღმოცენებამდე ხდება იმის გარკვევა, თუ სახელსადები შინაარსის როგორი ხასიათის ზემოქმედებას დაექვემდებარება იგი, ანდა საერთოდ დაექვემდებარება თუ არა. ამიტომ სახელდების საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც განსაზღვრავს, სახელსადები შინაარსის როგორ გავლენას დაექვემდებარება ბგერათა კომპლექსის განცდა, რაც განსაზღვრავს როგორ ჩამოყალიბდება იგი.

დ. უზნაძის და სხვათა ექსპერიმენტულ გამოკვლევათა საფუძველზე დადგენილია, რომ ცნობიერების შინაარსის თავისებურების განმსაზღვრელი პირობა არის ცნობიერების შინაარსის წინმსწრები, ობიექტის ასახვის თავისებური მოცემულობა აქტივობისათვის გარკვეული მზაობის სახით. დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, ობიექტის ასახვის ეს თავისებური და ცნობიერების წინარემოცემულობა სუბიექტში განწყობის სახით არის წარმოდგენილი. თუ როგორ ჩამოყალიბდება ბგერათა კომპლექსის განცდა, რა ხასიათისა იქნება სახელსადები შინაარსის ის ზემოქმედება, რომელსაც ექვემდებარება იგი, ეს დამოკიდებულია იმ განწყობაზე რომელიც წინ უსწრებს მისი განცდის ცნობიერებაში აღმოცენებას და რომელიც განსაზღვრავს მის რაგვარობას. დ. უზნაძე თავის ცნობილ შრომაში „ენის შინაფორმა" ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „...სიტყვასა და მნიშვნელობას განწყობა აშუალებს, მათ გაერთიანებას, მათ სინთეზს განწყობა უდევს საფუძვლად"[1]. დ. უზნაძე ამ მოსაზრებას ამყარებდა თავის ადრინდელ ექსპერიმენტულ გამოკვლევაზე — „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები" და განწყობის ბუნების შესახებ დადგენილ ზოგად დებულებებზე. ამ მოსაზრების შემდგომი კონკრეტიზაცია მას აღარ უცდია.

[1] დ. უ ზ ნ ა ძ ე, ენის შინაფორმა, ფსიქოლოგია, ტ. 4, გვ. 184.

ხერხდება თუ არა იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც მოგვეპოვება განწყობის ბუნებისა და მოქმედების თავისებურებათა შესახებ, იმ თავისებურებათა ახსნა, რომლებიც სახელდების ექსპერიმენტული კვლევის გზით დადგინდა?

ბგერათა კომპლექსი და სახელსადები შინაარსი ჰეტეროგენული მოვლენებია. მიუხედავად ამისა, ცდისპირები მათ ერთმანეთის შესაფერისად, ერთმანეთის მსგავსად განიცდიან. ორი ჰეტეროგენული მოვლენის ერთმანეთის მსგავსად განცდა მხოლოდ სახელდების ექსპერიმენტებისათვის არ არის დამახასიათებელი. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები მათ სხვადასხვა გრძნობის ორგანოებით მიმღებლობენ, უფსკრული არ არის და რომ მათ ადამიანები ხშირად ერთმანეთის მსგავსად განიცდიან. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ მოდალობებს შორის განსხვავების მიუხედავად არსებობს გარკვეული ნათესაობაც, ადგილი აქვს შეგრძნებათა ინტერმოდალურ ერთიანობას. ექსპერიმენტულად დადასტურდა არა მარტო ნათესაობა სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებებს შორის, არამედ ინტერსენსორული ურთიერთზეგავლენის ფაქტებიც. მაშასადამე, ორი ჰეტეროგენული მოვლენის ერთმანეთის მსგავსად განცდა ზოგადფსიქოლოგიური ფაქტია. ამიტომაც საკითხი — რატომაა რომ ბგერათა კომპლექსი და სახელსადები შინაარსი ერთმანეთის მსგავსად განიცდება, წარმოადგენს უფრო ზოგადი საკითხის — როგორაა შესაძლებელი რომ სუბიექტში ასახული სინამდვილის ორი ჰეტეროგენული მოვლენა ნათესაურად განიცდება, რა უდევს საფუძვლად ამ ნათესაობის განცდას — ნაწილს.

განწყობა პიროვნების, სუბიექტის მდგომარეობაა. სუბიექტი ერთ განუყოფელ მთლიანს წარმოადგენს და სინამდვილის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ზემოქმედების საპასუხოდ მთლიან ეფექტს იძლევა. „სინამდვილის მრავალფეროვნება შეგრძნებათა განსხვავებულობაში პოულობს თავის ასახვას, ხოლო სუბიექტის ერთიანობა იმ ერთიან ცვლილებაში მეღავნდება, რომლითაც იგი მრავალფეროვან სამყაროს ზემოქმედებას უპასუხებს. ამიტომ ყოველთვის შესაძლებელია, სინამდვილის ძალიან განსხვავებულმა მხარეებმაც კი რაიმე მხრივ ერთნაირი მთლიანი ეფექტი გამოიწვიონ და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მართლაც ასეა“ [1].

---

[1] დ. უ ზ ნ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940 წ., გვ. 233.

ორმა ჰეტეროგენულმა მოვლენამ, ბგერათა კომპლექსმა და სახელსადებმა შინაარსმა შესაძლებელია მსგავსი პიროვნული ეფექტი, მსგავსი პიროვნული მდგომარეობა — განწყობა გამოიწვიოს, რაც თავის მხრივ საფუძვლად ედება მათ ერთმანეთის მსგავსად, ერთმანეთის შესატყვისად განცდას. ამგვარი ახსნის სისწორეზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ ცდისპირები ვერ ახერხებენ გააცნობიერონ ბგერათა კომპლექსისა და სახელსადები შინაარსის შესატყვისად განცდის საფუძველი, იგი ცნობიერების მიღმა იმყოფება და განწყობაც, როგორც ეს ექსპერიმენტულად არაერთგზის იქნა ნაჩვენები, სუბიექტის არაცნობიერი მდგომარეობაა, რომელიც განსაზღვრავს სუბიექტის ცნობიერ ფსიქიკური პროცესების თავისებურებას [1].

ბგერათა კომპლექსის განცდა სახელდების ექსპერიმენტებში ორმხრივი განსაზღვრულობით ხასიათდება. იგი განსაზღვრულია არა მარტო კომპლექსის ბგერითი შედგენილობით, არამედ მნიშვნელოვანი ხარისხით იმ სახელსადები შინაარსითაც, რომლის სახელდების განზრახვითაც აღიქმება იგი და რომლის აღქმაც წინ უსწრებს ბგერათა კომპლექსის აღქმას.

ეს ფაქტიური ვითარება განწყობის ფიქსაციის ჩვეულებრივი ცდების ანალოგიურია. დ. უზნაძე აანალიზებს რა ფიქსირებული განწყობის კლასიკურ ექსპერიმენტებს, წერს: „ეჭვს გარეშეა, რომ ამ ცდებში სწორედ განწყობის აქტიობასთან უნდა გვქონდეს საქმე... ილუზიის აღმოცენების ფაქტს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როდესაც ტოლი ობიექტების ექსპოზიციას არატოლი ობიექტების მრავალგზისი ექსპოზიცია უსწრებს წინ—ამ წინასწარი ცდების გარეშე ილუზიები, ჩვეულებრივ, არ იჩენენ თავს“ [2]. ისევე როგორც ფიქსირებული განწყობის ჩვეულებრივ ცდებში ილუზიის აღმოცენებას წინ უსწრებს საგანწყობო ობიექტების მრავალგზისი ექსპონირებით შექმნილი ფიქსირებული განწყობა, სახელდების ექსპერიმენტებშიც ბგერათა კომპლექსის განცდას წინ უსწრებს სახელსადები შინაარსის აღქმა და, მაშასადამე, მისი შესატყვისი განწყობა. ისევე როგორც ფიქსირებული განწყობის ცდებში ფიქსირებული განწყობა გავლენას ახდენს კრიტიკული ობიექტის განცდის რაგვარობა-

---

[1] დ. უ ზ ნ ა ძ ე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ფსიქოლოგია, ტ. VI, გვ. 35.

[2] იქვე, გვ. 21.

ზე, სახელდების ცდებშიც სახელსადები შინაარსის განცდის საფუძვლადმდები განწყობა სპეციფიკური მიმართულებით წარმართავს ბგერათა კომპლექსის განცდას.

სახელსადები შინაარსის ბგერათა კომპლექსის განცდაზე ზემოქმედების მექანიზმი მოკლედ ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: განწყობას, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ბგერათა კომპლექსის განცდა, წინ უსწრებს სახელსადები შინაარსის განცდის საფუძვლადმდები განწყობა. ბგერათა კომპლექსის შესატყვისი განწყობა ყალიბდება სახელსადები შინაარსის შესატყვისი განწყობის ფონზე. რამდენადაც განწყობაში აისახება არა მარტო ობიექტი, არამედ სუბიექტიც, ამდენად ახალ ბგერათა კომპლექსის განცდის საფუძვლადმდებ განწყობაშიც ნახულობს ასახვას მისი წინმსწრები — სახელსადების შესატყვისი განწყობა. ეს გასაგებს ხდის, რატომაა, რომ ცდისპირები უაზრო ბგერათა კომპლექსს გარკვეული სახელის ფუნქციის მქონედ განიცდიან, გასაგებს ხდის, რატომ განიცდის სახელმდებელი ბგერათა კომპლექსს სახელსადების მსგავსი შინაარსის გამომხატველობის უნარის მქონედ, სახელსადები შინაარსისათვის შესატყვისი სტრუქტურის, გრამატიკული ფორმის, მსგავსი ემოციური ტონის და სხვა თვისებათა მატარებლად.

ფსიქიკური შინაარსის ორმხრივი განსაზღვრულობა რომ მართლაც მხოლოდ სახელდების სიტუაციისათვის არ არის სპეციფიკური, ამის საილუსტრაციოდ მრავალრიცხოვანი მაგალითის დასახელება შეიძლებოდა, მაგრამ დავკმაყოფილდებით მხოლოდ რამდენიმე ექსპერიმენტული ფაქტის დასახელებით, რომლებიც ჩატარდა რომელობით მასალაზე შემუშავებული განწყობის საკვლევად.

ზ. ხოჯავა თავის ექსპერიმენტებში ცდისპირებს უქმნიდა ლათინური შრიფტით კითხვის ფიქსირებულ განწყობას. კრიტიკული მასალის მიწოდების დროს ხშირად თავს იჩენდა სპეციფიკური მდგომარეობა, რომელსაც ავტორმა „შერეული ასიმილაციის საფეხური“ უწოდა. ამ საფეხურზე ცდისპირი რომელიმე აზრიან სიტყვას, უმთავრესად რუსულს, კითხულობს ნაწილს რუსულად, ნაწილს კი ლათინურად[1]. ე. ი. ამ შემთხვევაშიაც სიტყვის განცდა ორმხრივი განსაზღვრულობით ხასიათდება. ერთი მხრივ განსაზღვრულია ფიქსირებული განწყობით, მეორე მხრივ კი ამ სიტყვის ადეკვატური განწ-

---

[1] ზ. ხ ო ჯ ა ვ ა, განწყობის სიმტკიცე და ფაზური ხასიათი კითხვის ჩვევის მოქმედებაში, ფსიქოლოგია, ტ. III, 1945 წ.

ყობით. ნ. ელიავას ექსპერიმენტებში ცდისპირს ევალება: „წარმოიდგინოს ლამაზი ძველებური ქალი, წითელ ხაბარდა კაბაში“. „კრიტიკულ ცდებში წარმოებს დოქის სურათის ტაქისტოსკოპური ექსპოზიციები: დოქი მინისაა, ორყურიანი, სავსე წითელი ღვინით. დოქის მოხაზულობა მოგვაგონებს საგანწყობო ცდებში აღწერილი ქალის კონფიგურაციას“ [1]. ერთ-ერთი ცდისპირი ასეთ ჩვენებას იძლევა. — «Представляю даму в красном парчевом платье. Тоненькая, в пышном кринолине. Брюнетка. Тонкие руки. ვან დეიკის სურათი მაქვს წარმოდგენილი“. კრიტიკული ობიექტის ექსპონირების შემდეგ ცდისპირი ასეთ ჩვენებას იძლევა: «Очень не подходит к моему представлению. Невзрачная, в чепчике. Тонких рук уже нет... Она какая-то комичная, недоделанная» [2] ცდისპირი კრიტიკულ ობიექტს — დოქს ილუზორულად — ქალად აღიქვამს: მართალია იგი ისეთ ლამაზ ქალად არ განიცდება, როგორიც ცდისპირს ჰქონდა წარმოდგენილი, არამედ უსახურად, კომიკურად და სხვა, მაგრამ მაინც ქალად და არა დოქად. კრიტიკული ობიექტის განცდა რომ გავაანალიზოთ, მასში ვერაფერს ვიპოვნით ისეთს, რაც დოქისათვის იქნებოდა დამახასიათებელი. დოქი ქალად აღიქმება, მაშასადამე, სახეზეა საგანწყობო ობიექტის გავლენა: მაგრამ კრიტიკული ობიექტის განცდის როგორობა მხოლოდ საგანწყობო ობიექტის თავისებურებებით არ არის განპირობებული, იგი მნიშვნელოვნად კრიტიკული ობიექტითაც არის განსაზღვრული. დოქი რომ ქალად განიცდება, საგანწყობო ობიექტის გავლენაა, მაგრამ რომ ეს ქალი მახინჯია, უსახურია, ხურავს „ჩეფჩიკი“ და სხვა, რაღაცნაირად კრიტიკული ობიექტით არის განსაზღვრული, თუმცა უსახურობა, „ჩეფჩიკი“ და სხვა თავისთავად კრიტიკული ობიექტის თვისებებს არ წარმოადგენს. როგორც ვხედავთ, საგანწყობო ობიექტი ახდენს კრიტიკული ობიექტის „გადამუშავებას“, რის შედეგადაც განცდაში ვღებულობთ ისეთ მომენტებს, რომლებიც არც საგანწყობოშია, არც კრიტიკულში, მაგრამ შედეგია მათი ურთიერთზემოქმედების. ანალოგიური მდგომარეობაა სახელდების ცდებშიც.

ბგერათა კომპლექსის განცდა ექვემდებარება სახელსადები შინაარსის ზემოქმედებას, მაგრამ ზემოქმედების ხარისხი და ხასიათი

---

[1] ნ. ელიავა, განწყობის ფიქსაცია წარმოდგენილს რომელობითს მასალაზე. ფსიქოლოგია, ტ. VII, 1950 წ., გვ. 82.

[2] იქვე, გვ. 84.

ყოველთვის არ არის ერთნაირი. ანალოგიურმა კანონზომიერებამ იჩინა თავი განწყობის ექსპერიმენტებშიაც. ზ. ხოჯავას [1], ნ. ადამაშვილის [2] და სხვათა ცდებში გამოირკვა, რომ ფიქსირებული განწყობის გავლენა საკონტროლო ცდებში მიწოდებულ სხვადასხვა შინაარსის განცდაზე ჭეტ-ნაკლები ხარისხისა და ხასიათისაა [3].

ორმხრივი განსაზღვრულობით ხასიათდება არა მხოლოდ ბგერათა კომპლექსის განცდა, არამედ სახელსადები შინაარსის განცდაც. იგი განსაზღვრულია, ერთი მხრივ, სახელსადები შინაარსით, მეორე მხრივ, კი შერჩეული სახელის სპეციფიკით. განწყობის მოქმედების შესახებ არსებული ცოდნის საფუძველზე არც ამ ფაქტის ახსნაა ძნელი, მით უმეტეს, რომ ანალოგიური ფაქტები განწყობის ექსპერიმენტებშიაც დასტურდება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნ. ელიავას ცდები. ამ ექსპერიმენტებთან დაკავშირებით ავტორი წერს: „...ა რ ა მ ხ ო ლ ო დ შ ე ფ ე რ ხ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ა ა ხ დ ე ნ ს ზ ა ვ ლ ე ნ ა ს ა ხ ლ ა დ ა ქ ტ უ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ა ზ ე, ა რ ა მ ე დ ე ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ც ც ვ ლ ი ს პ ი რ ვ ე ლ ს, ა ძ ლ ე ვ ს მ ა ს თ ა ვ ი ს ე ლ ფ ე რ ს. ერთი განწყობის გავლენა ამ ტიპის ცდისპირთა შემთხვევაში არ განისაზღვრება განწყობის მოქმედების შეჩერებით, მისი გამოვლინების შეფერხებით, არამედ გამოიხატება აგრეთვე განწყობის თვისობრივი მხარეების ცვლილებებშიც. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ერთი განწყობის მოქმედება აფერხებს მეორე განწყობის მოქმედებას, რომ ერთი აქტუალიზირდება, მეორე კი ლატენტურ მდგომარეობაში ვადადის, არამედ ისიც, რ ო მ ე რ თ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ო ბ რ ი ვ ი მ ხ ა რ ე ყ ა ლ ი ბ დ ე ბ ა დ ა გ ა რ კ ვ ე უ ლ ს ა ხ ე ს ღ ე ბ უ ლ ო ბ ს მ ე ო რ ე გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი ს ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ი თ (ხაზგასმა ავტორისაა. ა. ბ.)“ [4].

---

[1] მ. ხ ო ჯ ა ვ ა, ფიგურის ფაქტორი განწყობის მოქმედებაში. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 17, 1940 წ.

[2] ნ. ა დ ა მ ა შ ვ ი ლ ი, ფიქსირებული განწყობის გავლენის ზოგიერთი ფაქტორი ოპტიკურ აღქმაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 14, № 7, 1953.

[3] ამასთან დაკავშირებით უფრო ერცლად იხ. ა. ბ ა ი ნ დ უ რ ა შ ვ ი ლ ი, რომელობით მასალაზე შექმნილი განწყობის მოქმედების კონტრასტული ეფექტის საკითხისათვის. თსუ შრომები, ტ. 97. ფილოსოფიურ მეცნიერებათა სერია, 1961 წ.

[4] ნ. ე ლ ი ა ვ ა, განწყობის გადანაცვლება და ობიექტივაციის აქტი. ფსიქოლოგია, ტ. IV, 1947 წ., გვ. 47.

სახელდების პროცესი სახელის შერჩევით არ სრულ ყება. მის შემდეგაც გრძელდება პროცესი, რომლის დროსაც ადგილი აქვს სახელსადები შინაარსისა და სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსის განცდათა ურთიერთზემოქმედებას, ურთიერთმორგებას, რის შედეგადაც მათ შორის თავდაპირველად შენიშნული შესატყვისობა თანდათანობით ძლიერდება. ამ ფაქტის ახსნა განწყობის მოქმედების საფუძველზე, მას შემდეგ რაც უკვე ითქვა ურთიერთზემოქმედების მექანიზმის შესახებ, სიძნელეს არ შეადგენს. ამიტომ ჩვენ დავკმაყოფილდებით ანალოგიურ ფაქტზე მითითებით, რომელმაც თავი იჩინა ნ. ელიავას დასახელებულ შრომაში წარმოდგენილ ექსპერიმენტებში. ნ. ელიავა ცდისპირებს წასაკითხავად აძლევს ტექსტს, რომელიც შედგენილია ორი სხვადასხვა მოთხრობის ნაწილების მექანიკური შეერთებით, რომლებიც სავსებით განსხვავებულ შინაარსებს გადმოსცემენ. პირველად წაკითხვის დროს ცდისპირი ასე თუ ისე ამჩნევდა შეუსაბამობას, მაგრამ მეორედ, მესამედ და მეოთხედ წაკითხვის შემდეგ ხშირად ეს შეუსაბამობა თანდათან სუსტდებოდა. მეორედ, მესამედ და მეოთხედ წაკითხვის შემდეგ ცდისპირის მონაყოლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცდისპირი მოგვითხრობს ამბავს, რომელშიაც სხვადასხვა მოთხრობის ეს ორი ნაწილი სინთეზირებულია. ტექსტის პირველი ნაწილის შინაარსის გადმოცემიდან ჩანს, რომ მასში მეორე ნაწილი მონაწილეობს და პირიქით. მაშასადამე, რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგ ცდისპირი ტექსტს უფრო მთლიანი, სინთეზირებული სახით განიცდის, ვიდრე განიცდიდა მას პირველად წაკითხვის დროს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ისეთივე ფაქტთან გვაქვს საქმე, როგორმაც სახელდების ექსპერიმენტებში იჩინა თავი, ამიტომ ამ უკანასკნელთა განწყობის ცდების საფუძველზე ახსნა სიძნელეს არ შეადგენს.

ამრიგად, იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც ექსპერიმენტულად არის მოპოვებული განწყობის ბუნებისა და მისი მოქმედების შესახებ, გასაგები ხდება იმ თავისებურებათა მექანიზმი, რომლებიც სახელდების ექსპერიმენტებში გამოვლინდნენ. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ამ თავისებურებათა ანალოგიური ფაქტების არსებობა დასტურდება განწყობის საკვლევად გამოყენებულ ცდებშიაც, რომელთა განწყობის მოქმედებით განპირობებულობა ეჭვს არ იწვევს, საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ სახელდების პროცესისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი განპირობებულია განწყობისა და მისი მოქმედების სპეციფიკურობებით. საფუძველი არსე-

ბობს დასკვნისათვის, რომ „... სიტყვასა და მნიშვნელობას განწყობა აშუალებს მათ გაერთიანებას, მათ სინთეზს განწყობა უდევს საფუძვლად“ [1], განწყობა, რომელიც ერთი მხრივ განსაზღვრულია სახელსადები შინაარსის და მეორე მხრივ კი სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსის თავისებურებით, რომ ამ ორმხრივი განსაზღვრულობის მქონე განწყობის საფუძველზე ხორციელდება არა მხოლოდ სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის დაკავშირება, არამედ მნიშვნელობის ფორმირება და თვით სიტყვის, როგორც ენობრივი ერთეულის ფუნქციონირება.

[1] დ. უ ზ ნ ა ძ ე, ენის შინაფორმა. ფსიქოლოგია, ტ. 4, გვ. 184.

დასკვნა

ანტიკური პერიოდიდან დღემდე სახელდების პრობლემის გადაწყვეტაში ორი ძირითადი ნაირსახეობა შეინიშნება: 1. კავშირი სახელსა და მნიშვნელობას შორის კანონზომიერია; საგანი განსაზღვრავს, თუ რა სახელი დაერქვას მას;

2. სახელსა და მნიშვნელობას შორის კავშირი არის ნებისმიერი, შემთხვევითი, პირობითი; საგანს სახელი ეწოდა შეთანხმება-დაკანონების გზით; მოცემული ბგერათა კომპლექსი შეიძლება ნებისმიერი შინაარსის აღმნიშვნელად იქნეს გამოყენებული.

საკითხი პირველნაირად წყდება ხმაბაძვის და შორისდებულების კატეგორიებში, ხშირად არც თუ მართებულად, გაერთიანებულ მრავალრიცხოვან მეტყველების წარმოშობის და ენის პირველადობის თეორიებში. მეორენაირი გადაწყვეტა, განსაკუთრებით ფ. დე სოსიურის შემდეგ, ენობრივი ნიშნის პრობლემას დაუკავშირდა და დღეისათვის იგი ენათმეცნიერულ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში უმთავრესად ენობრივი ნიშნის თეორიასთან კავშირში განიხილება.

საკითხის ორივენაირი გადაწყვეტის სასარგებლოდ წამოყენებული არგუმენტები არც უპირისპირდებიან და არც გამორიცხავენ ერთმანეთს. მაგრამ ამის საფუძველზე გაუმართლებელია ცდა, საკითხის ორივენაირი გადაწყვეტა კანონიერად მივიჩნიოთ და ხვადასხვაობის მიზეზად თვალსაზრისთა სხვადასხვაობა გამოვაცხადოთ. გაუმართლებელია ასეთი ცდა, რადგანაც იგი უგულებელყოფს ცნობილ პრინციპული მნიშვნელობის მქონე დებულებას — მეცნიერებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა თვალსაზრისებით, არამედ ობიექტებით.

სახელდების პრობლემის განხილვა როგორც გნოსეოლოგიური, ასევე ემპირიული თვალსაზრისით სავსებით კანონიერია, მაგრამ

ლად ლ. გაიგერმა გაამახვილა, ხოლო ვ. ვუნდტი პირველად შეეცადა შეექმნა ხელის (ენესტის) ენის დასრულებული ფსიქოლოგიური თეორია.

ვ. ვუნდტი მიუთითებს, რომ ყოველი ბუნებრივად წარმოშობილი ენისათვის აუცილებლად უნდა არსებულიყო ისეთი ხანა, როდესაც დამოკიდებულება ნიშანსა და იმას შორის, რასაც ის აღნიშნავს, ატარებს უშუალო, თვალსაჩინო ხასიათს. ბგერითი ენა მოკლებულია უშუალო თვალსაჩინოებას და ამიტომ შეუძლებელია, ლაპარაკი ადამიანებს პირველად ბგერითი ენით დაეწყოთ. ასეთი თვალსაჩინოება მხოლოდ ენესტის ენისათვის არის დამახასიათებელი. იგი „...ყველა თავის ნაწილში თვალსაჩინოა, გრძნობადია და ამიტომაც უშუალოდ გასაგებიც" [1]. ენესტის ენის ეს უშუალოდ გასაგებობა დამოკიდებულია იმაზე, რომ მისი ნიშნები, ე. ი. ის, რაც ბგერითი ენის გამოთქმაზე რომ გადავთარგმნოთ შეიძლება სიტყვა ვუწოდოთ, „წარმოადგენს იმ საგნების თვისებების და პროცესების უშუალო, თვალსაჩინო ახსნას, რომელსაც ის გამოხატავს" [2]. ენესტის ენაში ნიშნის კავშირი აღსანიშნთან თვალსაჩინოდ არის მოცემული. ენესტის ბუნებრიობა იმაშია. რომ იგი პირდაპირ იმეორებს მოვლენას, რომლის აღმნიშვნელსაც ეს ენესტი წარმოადგენს და ამიტომ იგი უშუალოდ გასაგებია. ენესტის ენა, იმის გამო, რომ იგი თვალსაჩინო ხასიათისაა და უშუალოდ გასაგებია — ვუნდტის აზრით — ბუნებრივად წარმოშობილ ენას წარმოადგენს.

ის უშუალო კავშირი ბგერებსა და მნიშვნელობას შორის, რომელიც შეინიშნება ენებს შორის ყველაზე პირველყოფილ — ენესტის ენაში, შედარებით პირველყოფილ ბგერით ენებშიაც კი უკვე გამქრალია, მაგრამ მისი კვალი ამ უკანასკნელებში გაცილებით მეტად არის შენარჩუნებული, ვიდრე „კულტურულ" ენებში". ამ უკანასკნელებში ეს კვალი უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ გვიან აღმოცენებულ ონომატოპოეტურ სიტყვაწარმოებაში ნახულობს თავის გამოვლინებას [3].

ჩვენ ვ. ვუნდტის თეორია გვაინტერესებს სახელდების საკითხთან დაკავშირებით და არა თავისთავად, როგორც მეტყველების წარ-

---

[1] В. Вундт, Элементы психологии народов, 1913 г., стр. 46.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 49.

აუცილებელია ამ თვალსაზრისთა გავრცელების საზღვრების მტკიცედ დაცვა. ფილოსოფიასა და ემპირიულ მეცნიერებებს სახელისა და მნიშვნელობის კავშირის სხვადასხვა მხარე აინტერესებთ, სხვადასხვაა მათი კვლევის საგანი. გნოსეოლოგიური ასპექტით საკითხის მხოლოდ ის მხარე განიხილება, რომელიც ფილოსოფიის კვლევის კომპეტენციაში შედის, ემპირიული თვალსაზრისით კი ის მხარე, რომელიც ემპირიულ მეცნიერებათა კვლევის ობიექტია.

ფილოსოფიას აინტერესებს საკითხის გნოსეოლოგიური, ობიექტური მხარე, ე. ი. აღმნიშვნელი და აღსანიშნი თავისთავად, ადამიანში მოცემული მათი კავშირისაგან აბსტრაგირებულად. ემპირიულ მეცნიერებებს აინტერესებს საკითხის ემპირიული მხარე ე. ი. ემპირიულად როგორი ხასიათისაა ეს კავშირი, როგორ ხდება ამ კავშირის დამყარება. საკითხის გნოსეოლოგიურ ასპექტში განხილვისას იმის გამო, რომ აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის ობიექტურად კავშირი არ არსებობს, ეს კავშირი შეიძლება დახასიათდეს მხოლოდ უარყოფითი პრედიკატებით. ხოლო თუ საკითხს გნოსეოლოგიურ ასპექტში ვიხილავთ, ე. ი. ადამიანში მოცემული კავშირისაგან აბსტრაგირებულად და მას მაინც დადებითი პრედიკატებით ვახასიათებთ (კავშირი პირობითია, შემთხვევითია, ნებისმიერია), ეს სხვა არაფერია, თუ არა ემპირიული მეცნიერების საგნის გნოსეოლოგიურ ასპექტში განხილვა, სხვა არაფერია, თუ არა ემპირიულ მეცნიერებათა და ფილოსოფიის საგანთა აღრევა.

სახელდების მეორენაირი გადაწყვეტის დასაბუთებლად გამოყენებული არგუმენტებიდან დასკვნა — აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის პირობითობის, ნებისმიერობის, შემთხვევითობის შესახებ — აუცილებლობით არ გამომდინარეობს, იგი ლოგიკური თვალსაზრისით არ არის გამართლებული. გარდა ამისა, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა თავისთავადაც მრავალი სერიოზული ნაკლოვანებით ხასიათდება, რის გამოც შეუძლებელი ხდება მისი გაზიარება. საკითხის მეორენაირი გადაწყვეტის არამართებულობაზე მიუთითებს აგრეთვე მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტების შედეგები, რომელთა საფუძველზეც ირკვევა, რომ სახელდება კანონზომიერი და არა შემთხვევითი ხასიათისაა. ამ უკანასკნელის მართებულობაზე მიუთითებს აგრეთვე მრავალრიცხოვანი ენობრივი ფაქტებიც.

სახელდების ექსპერიმენტული კვლევის მასალების ანალიზმა ნათელყო, რომ სახელდება რთული პროცესია. გამოვლინდა ამ პროცე-

სისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა რიგი, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

ცდის პირობების ერთგვაროობის მიუხედავად, ერთი და იგივე სახელსადები შინაარსი სხვადასხვა ცდისპირის ცნობიერებაში სხვადასხვაგვარი სტრუქტურით არის წარმოდგენილი. ეს სხვადასხვაობა ძირითადად ცნობიერებაში წარმოდგენილი ცენტრირებული მომენტის სხვადასხვაობაში ვლინდება. სახელსადები შინაარსის ცენტრირებულ მომენტად ხშირად გვეელინება მეორეხარისხოვანი ანდა შემთხვევითი ნიშნები, ზოგჯერ ასეთის როლში ემოციური მომენტებია წამოწეული. ამის მიუხედავად, შერჩეული სახელის რაგვარობა მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული სახელსადების ცენტრირებული ნიშნით, სახელსადების ცდისპირის ცნობიერებაში რეპრეზენტირებული სტრუქტურით.

ცნობილია, რომ სიტყვის მნიშვნელობა არ შემოისაზღვრება მხოლოდ ამ სიტყვით აღნიშნული შინაარსით, არამედ შეიცავს აღნიშნული შინაარსისათვის მახლობელ სიტყვებსა და მნიშვნელობებთან არსებულ მიმართებებსაც. ცდის მასალებმა გვიჩვენა, რომ ნაწილობრივ მაინც სახელსადები შინაარსის სხვა შინაარსებთან მიმართების გარკვევა, სხვა ცნებებთან მსგავსება-განსხვავების დადგენა სახელის ძიების პროცესში ხდება, რის შედეგადაც სახელსადები შინაარსი ცდისპირის ცოდნის სისტემაში პოულობს თავის შესატყვის ადგილს — ჩაერთვის ცნებათა სისტემაში. რამდენადაც სახელდების პროცესში, გარკვეულ ფარგლებში მაინც, ხდება სახელსადები შინაარსის სხვა შინაარსებთან მიმართების გარკვევა, ხოლო ეს უკანასკნელი სიტყვის მნიშვნელობაში გარკვეულ ასახვას პოულობს, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სახელდების პროცესში ხდება არა მხოლოდ სახელდება, არამედ სიტყვის მნიშვნელობის ჩამოყალიბებაც. მაშასადამე, სახელდების შემეცნებითი ღირებულება უკვე შემეცნებული შინაარსის მხოლოდ სიტყვის საშუალებით ფიქსაციით არ ამოიწურება. როგორც ჩანს, სახელის ძიების პროცესს სახელსადები შინაარსის შემეცნებაში, ქმნადობაში მყოფი სიტყვის მნიშვნელობის ფორმირებაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

რით არის განპირობებული, რომ სახელდების პროცესს სახელსადები შინაარსის შემეცნებაში, ქმნადობაში მყოფი სიტყვის მნიშვნელობის ფორმირებაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს? სახელდება სახელსადები შინაარსის სხვისთვის გაზიარების მიზნით ხდება. მაგრამ

იმისათვის, რომ ჩვენი ცოდნა სახელსადებ შინაარსზე სხვებს გავუზიარ-
ოთ, რომ მისი სპეციფიკა სხვისთვისაც გასაგები გავხადოთ, სახელი
ისე უნდა შეირჩეს, რომ მან არა მარტო სახელსადები შინაარსის ობი-
ექტივაციის შესაძლებლობა მოგვცეს, არამედ იმ ურთიერთკავშირე-
ბის ობიექტივაციისა და სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობაც, რო-
მელშიაც სახელსადები სხვა, უკვე სახელდებულ მოვლენებთან იმყო-
ფება და რომელშიაც მისი სპეციფიკა ვლინდება. სხვანაირად, სახელ-
სადები შინაარსის სხვისთვის გაზიარებისათვის საჭიროა შერჩეულ
სახელში რაღაცნაირად გამოიხატოს ის ურთიერთკავშირებიც, რო-
მელშიც ეს შინაარსი სხვა შინაარსებთან იმყოფება. ეს საჭიროება
აიძულებდა ცდისპირებს, მოეხდინათ არა მარტო იმ შინაარსის სა-
ხელდება, რომლის სახელდებაც ევალებოდათ, არამედ იმისაც, რო-
მელთან მიმართებაშიც სახელსადები გარკვეულობას იძენს; ეს საჭი-
როება აიძულებდა ცდისპირებს, მოეძებნათ სახელსადებთან მჭიდრო
კავშირში მყოფი შინაარსი და უმეტეს შემთხვევაში ამ შინაარსის გა-
მომხატველი სიტყვა სამოტივაციო სიტყვად გამოეყენებინათ. მაშა-
სადამე, ის გარემოება, რომ სახელმდებელი სახელდების პროცესში
არ კმაყოფილდება იმ ცოდნით, რომელიც მას სახელსადები შინაარ-
სის შესახებ აქვს და იძულებულია სახელსადები უფრო ღრმად შეი-
მეცნოს, გაარკვიოს მისი სხვა შინაარსებთან მიმართების ხასიათი —
განპირობებულია იმით, რომ სახელსადები შინაარსის სხვისთვის გა-
ზიარებისათვის საჭიროა სახელსადები შინაარსის მიმართება სხვა
შინაარსებთან როგორღაც გამოხატული იყოს შერჩეულ სახელშიც,
რათა სახელსადების სპეციფიკა სხვისთვისაც ხელმისაწვდომი გახ-
დეს. ამრიგად, სახელსადები შინაარსის სხვა შინაარსებთან მიმართე-
ბის სახელში გამოხატვის საჭიროება განაპირობებს სახელდების პრო-
ცესის მნიშვნელობას სიტყვის მნიშვნელობის ფორმირებაში, ეს კი
იმაზე მიუთითებს, რომ კომუნიკაციის როლი მარტო აზრების ურთი-
ერთგაზიარებით, ურთიერთგაგებინებით არ ამოიწურება — კომუნი-
კაციის საჭიროება აიძულებს სახელმდებელს სახელსადები უფრო
ღრმად შეიმეცნოს, მოუძებნოს მას თავისი ცოდნის სისტემაში შე-
სატყვისი ადგილი.

კომუნიკაციის მნიშვნელობა სახელსადები შინაარსის შემეცნე-
ბაში მხოლოდ აღნიშნულით არ ამოიწურება. ენობრივი კოლექტივი
კომუნიკაციის პროცესში „ამოწმებს", რამდენად სწორად მოუნახა
სახელმდებელმა სახელსადებ შინაარსს ცოდნის სისტემაში შესატყ-
ვისი ადგილი, რამდენად სწორად გამოიხატა სახელში სახელსადების

სხვა შინაარსებთან მიმართება, რამდენად სწორად შეირჩა სამოტივაციო სიტყვა. ამის შესაბამისად ენობრივი კოლექტივი „ს ა ნ ქ ც ი ა ს“ მისცემს ახალ სიტყვას, ე. ი. ახალი სიტყვა შემოვა ლექსიკურ ფონდში ანდა უარყოფს მას. ამრიგად, კომუნიკაციის საჭიროება აიძულებს სახელმდებელს სახელსადები უფრო ღრმად შეიმეცნოს, ხოლო კომუნიკაციის პროცესში მოწმდება, რამდენად სწორადაა შემეცნებული სახელსადები სახელის ძიების პროცესში, რამდენად სწორადაა მონახული მისი ადგილი ცოდნის სისტემაში.

ექსპერიმენტული მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ შესაძლებელია სახელსადები შინაარსი გავიგოთ, გავიგოთ მასში შემავალი მოვლენების ან მომენტების ურთიერთკავშირი, სხვა შინაარსებთან დამოკიდებულება, მაგრამ ვერ მოვახერხოთ ამ ცოდნის „კომბინირება“, მისი სინთეზირება და ერთი მთლიანი სახით განცდა. ეს უკანასკნელი კი (როგორც აღმოჩნდა) სახელდების ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი წინაპირობაა: როგორც ჩანს, აზრით ერთიანობას (ცოდნის გაერთიანებას) ყოველთვის არ ახლავს განცდაში ერთიანობა; ცნების ცოდნა, გაგება და ამ ცნებაში შემავალი სახეობების ერთ მთლიანობაში განცდა ერთი და იგივე არ არის.

ცდისპირები სპონტანურად სახელდების ეტაპზე სახელის შექმნის მრავალნაირ გზას მიმართავდნენ, მაგრამ ყველა შემთხვევისათვის სპეციფიკური არის ის გარემოება, რომ ბგერათა კომპლექსი სახელმდებლის ცნობიერებაში უეცრად აღმოცენდება. სახელსადები შინაარსისათვის სახელმდებლის ცოდნის სისტემაში ადგილის მონახვა, სიტყვების მონახვა, რომლებთან სახელსადები შინაარსის მიმართებამ შერჩეულ სახელში უნდა პოვოს გამოხატულება — ცნობიერების პლანში მიმდინარეობს, მაგრამ ახალი სახელი (ბგერათა კომპლექსი) ცნობიერებაში უეცრად აღმოცენდება. ზოგჯერ მთლიან ბგერათა კომპლექსის აღმოცენებას წინ უსწრებს ცნობიერებაში ცალკეული ბგერების გაჩენა, რომლებიც შემდეგ მთლიან ბგერათა კომპლექსად ფორმდებიან. მაგრამ სანამ ცნობიერებაში მთლიანი ბგერათა კომპლექსი არ აღმოცენდება, სახელმდებელმა არაფერი იცის მისი როგორობის შესახებ, იმ შემთხვევებშიაც კი, როდესაც ახალი სახელი ერთი რომელიმე სიტყვის საფუძველზეა წარმოებული. ბგერათა კომპლექსის ქმნადობის, მისი ფორმირების პროცესი ცნობიერების კონტროლს არ ექვემდებარება, იგი ცნობიერებაში უკვე მთლიანი, ფორმირებული სახით აღმოცენდება.

სახელდების ამოცანის პირობებში ცდისპირები ბგერათა კომპლექსებს, მათ შორის უაზროსაც, სახელის ფუნქციის გარკვეული რომელობის მქონედ განიცდიან: „ყოველი სიტყვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელობის ნაცნობ სფეროს აღვიძებს", მაგრამ თუ ზოგიერთი ბგერათა კომპლექსის „მნიშვნელობა" საკმაოდ შორსმწვდომი გარკვეულობის მქონედ განიცდება, ზოგიერთის „მნიშვნელობა" შედარებით ნაკლებად არის გამოკვეთილი, ზოგიერთის კი მხოლოდ გარკვეული შინაარსისაკენ მიდრეკილების, „მიმართულების" მქონედ არის განცდაში წარმოდგენილი. ზოგჯერ ბგერათა კომპლექსი გარკვეული გრამატიკული კატეგორიის გამომხატველად განიცდება.

ბგერათა კომპლექსის სახელსადებ შინაარსთან დაკავშირებისათვის საჭიროა სახელმდებელმა იგი სახელსადები შინაარსის შესატყვისი სახელის ფუნქციის მატარებლად განიცადოს. გამოირკვა, რომ ბგერათა კომპლექსის სახელსადები შინაარსის შესატყვისად განცდისათვის სემანტიკურ ან ასოციაციურ კავშირს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ძალიან ხშირად ახალი სახელი, რომელიც ცდისპირს არ აკმაყოფილებს, ნაწარმოებია სახელსადებ შინაარსში შემავალი რომელიმე მოვლენის სახელიდან ან სახელსადებ შინაარსთან მახლობელ კავშირში მყოფი შინაარსის სახელიდან და, მაშასადამე, სახელსადებ შინაარსთან სემანტიკურ კავშირში იმყოფება. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ცდისპირის მიერ უარყოფილი სახელი შედგენილია სახელსადებ შინაარსში შემავალი მოვლენების ან მომენტების სახელების ბგერებიდან ან მარცვლებიდან, რომელიც სახელსადებ შინაარსთან თუ სემანტიკურ კავშირში არა, ასოციაციურ კავშირში მაინც იმყოფება. ხშირად ცდისპირები უარყოფენ მათ მიერ შედგენილ კვეცილფუძიან კომპოზიტებს, რომლებიც არათუ ასოციაციური კავშირის შესაძლებლობას იძლევა, არამედ, როგორც ცდისპირებიც მიუთითებენ, სემანტიკურად სავსებით ადეკვატურად გამოხატავს სახელსადებ შინაარსს. მეორე მხრივ. ცდისპირები თვითონ ქმნიდნენ ჟაზრო ბგერათა კომპლექსებს და როგორც წესი, შედეგით კმაყოფილნი რჩებოდნენ. ეს ფაქტები იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ცდისპირები ბგერათა კომპლექსებს უშუალოდ, ყოველგვარი ასოციაციური და სემანტიკური კავშირების გარეშეც კი, გარკვეული „შინაგანი ბუნების", გარკვეული სახელის ფუნქციის რომელობის მქონედ განიცდიან, რაც განსაზღვრავს ამ ბგერათა კომპლექსის მოცემული სახელსადები შინაარსისათვის სახელად შერჩევის ან არშერჩევის ფაქტს. ბგერათა კომპლექსის გარკ-

ვეული სახელის ფუნქციის მატარებლად განცდა რომ, მართლაც, არ უნდა იყოს ასოციაციებით და საერთოდ ენის შუალობით განპირობებული, ამაზე მიუთითებს აგრეთვე სხვადასხვა ენისა და კულტურის დონის მქონე ცდისპირთა მიერ წარმოებული სახელდების შედეგების დამთხვევის მაღალი ხარისხი.

მაშასადამე, ცდისპირები სახელსადები შინაარსისათვის სახელის შერჩევის დროს არ არიან თავისუფალნი თავიანთ არჩევანში, მათთვის არ არის სულერთი, რომელ ბგერათა კომპლექსს რომელ სახელსადებს დაუკავშირებენ, რომელი ბგერათა კომპლექსი რომელი შინაარსის სახელად გადაიქცევა.

სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსის სხვადასხვა ნაწილი, სახელსადებ შინაარსთან შესატყვისობის განცდის თვალსაზრისით, თანაბარფასოვანი არ არის. რამდენიმე ბგერა ცენტრირებულია (ასეთებად ჩვენს ექსპერიმენტებში გვევლინებოდა უმთავრესად ზოგიერთი თანხმოვანი ბგერა), დანარჩენები კი ქმნიან ფონს. ცენტრირებულ ბგერებს, სახელსადებ შინაარსთან შესატყვისობის თვალსაზრისით, ფონის შემქმნელ ბგერებთან შედარებით ერთგვარი უპირატესობა აქვთ, მაგრამ შესატყვისობის ხარისხს საბოლოოდ განსაზღვრავს ბგერათა კომპლექსი როგორც მთელი. ასეთი სპეციფიკურობით ხასიათდება არა მხოლოდ უაზრო ბგერათა კომპლექსები, არამედ, როგორც შრომის III და V თავებში წარმოდგენილი ცდების მასალების ანალიზი გვიჩვენებს, მნიშვნელობის გამოხატვის თვალსაზრისით თანაბარფასოვანი არ უნდა იყოს თვით ლექსიკურ ფონდში არსებული სიტყვების ბგერითი მხარის სხვადასხვა ნაწილიც. სიტყვის ბგერითი მხარე გეშტალტურ მთელს წარმოადგენს, რომლის სპეციფიკა განსაღერულია როგორც მისი ბგერითი შედგენილობით, ასევე ამ სიტყვით აღნიშნული მნიშვნელობითაც. სიტყვის ბგერით მხარეში; როგორც მთლიანობაში, რომელი ბგერა იქნება წარმოდგენილი წინა პლანზე და რომელი მოგვევლინება ფონის შემქმნელის როლში, ეს განსაზღვრულია არა მხოლოდ ბგერათა კომპლექსის როგორც მთელის სპეციფიკით, არამედ მისი საშუალებით აღნიშნული შინაარსებითაც.

ერთი და იგივე ბგერათა კომპლექსის სახელის ფუნქციის რომელობა სხვადასხვა ცდისპირის მიერ უმეტეს შემთხვევაში მსგავსად განიცდება, როდესაც მას ერთი და იგივე შინაარსის სახელდების განზრახვით აღიქვამენ, და სხვადასხვაგვარად, — როდესაც სახელსადები სხვადასხვაა. თვით ერთი და იგივე ცდისპირიც კი ერთსა და

იმავე ბგერათა კომპლექსს სხვადასხვა სახელსადების პირობებში სხვადასხვაგვარი სახელის ფუნქციის რომელობის მქონედ განიცდის. სხვადასხვა სახელსადების პირობებში ბგერათა კომპლექსის ინტერ- და ინტრაინდივიდუალურად არაკონსტანტურად განცდის ფაქტი, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ერთი და იგივე სახელსადების პირობებში შედარებით კონსტანტური განცდა, როგორც ინტერინდივიდუალურად, ასევე ინტრაინდივიდუალურად (განმეორებით ცდებში ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ), იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ბგერათა კომპლექსის სახელის ფუნქციის განცდის რაგვარობა ბევრად არის დამოკიდებული იმ სახელსადებ შინაარსზე, რომლის სახელდების განზრახვითაც ხდება ამ ბგერათა კომპლექსის აღქმა. ეს გარემოება გასაგებს ხდის ერთი მხრივ იმ იძულებას, რომელსაც ცდისპირები განიცდიან სახელსადებისათვის სახელის შერჩევის დროს და მეორე მხრივ, ცდისპირების მიერ ბგერათა კომპლექსის არაკონსტანტური სახელის ფუნქციის თვისების მქონედ განცდას.

სახელსადები შინაარსი სახელად შერჩეულ ბგერათა კომპლექსის განცდის თავისთავთან მიმსგავსებას, ასიმილირებას ახდენს. სახელსადები შინაარსის ეს ასიმილაციური მოქმედება შეიძლება გამოვლინდეს უაზრო ბგერათა კომპლექსის სახელსადები შინაარსის მსგავსი „მნიშვნელობის", შესატყვისი „გრამატიკული ფორმის", მსგავსი „სტრუქტურის", „საერთო ემოციონალური ტონის" და სხვა თვისებათა მქონედ განცდაში. მაგრამ უფრო ხშირად იგი ბგერათა კომპლექსის სახელსადებ შინაარსთან უშუალოდ, რაიმე გამაშუალებელი რგოლის გარეშე, შესატყვისად განცდაში ვლინდება.

სახელსადები შინაარსის ზემოქმედებას ექვემდებარება არა მხოლოდ სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსის განცდა, არამედ, გარკვეულ ფარგლებში, შეუფერებლად მიჩნეული ბგერათა კომპლექსის განცდაც. მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში ეს ზემოქმედება ასიმილაციური მიმართულებით ხორციელდება, ამ შემთხვევაში იგი კონტრასტული მიმართულებისაა, რაც ბგერათა კომპლექსის სახელსადები შინაარსის თვისებებისადმი დაპირისპირებული თვისებების მქონედ განცდაში გამოვლინდება. ზოგიერთი ბგერათა კომპლექსი კი სახელსადების ზემოქმედებას არ ექვემდებარება და ცდისპირის მიერ იგი ინდიფერენტულად განიცდება.

სახელსადები შინაარსის ზემოქმედება ბგერათა კომპლექსის განცდაზე, იმის მიუხედავად, ასიმილაციური თუ კონტრასტული მიმართულებისაა იგი, მეტ-ნაკლები ხასიათისაა და აბსოლუტური არა-

ხოდეს არ არის. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ბგერათა კომპლექსის განცდის რაგვარობა მხოლოდ სახელსადები შინაარსის ზემოქმედებით განპირობებული არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, ბგერათა კომპლექსის განცდის რაგვარობა მნიშვნელოვანი წილით თვით მისი ბგერითი შედგენილობითაც უნდა იყოს განსაზღვრული. სხვანაირად გაუგებარია, რატომაა, რომ სახელსადები შინაარსის ზემოქმედების ხასიათი სხვადასხვაგვარია, განსხვავებულია აგრეთვე ზემოქმედების ხარისხიც. გაუგებარი იქნებოდა ცდისპირთა მიერ შერჩეულ სახელთა დამთხვევის ის მაღალი მაჩვენებლებიც, რომელთა შესახებაც გვქონდა მსჯელობა ცდის მასალების კვანტიტატიური ანალიზის დროს.

მაშასადამე, ბგერათა კომპლექსის განცდის რაგვარობა ორმხრივი განსაზღვრულობით ხასიათდება: ერთი მხრივ, განსაზღვრულია სახელსადები შინაარსის თავისებურებით და მეორე მხრივ კი თვით ბგერათა კომპლექსის ბგერითი შედგენილობით.

გამოირკვა, რომ ზემოქმედებას მხოლოდ ბგერათა კომპლექსის განცდა არ ექვემდებარება. სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსი თავის მხრივ უკუზემოქმედებას ახდენს სახელსადებ შინაარსის განცდაზე, რის შედეგადაც სახელის შერჩევის შემდეგ სახელსადები შინაარსი ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავებული სტრუქტურით არის წარმოდგენილი სახელმდებლის ცნობიერებაში, ვიდრე სახელდებამდე იყო. მაშასადამე, სახელდების შემდეგ სახელსადები შინაარსის განცდა ორმხრივი განსაზღვრულობით ხასიათდება. ერთი მხრივ განსაზღვრულია სახელსადები შინაარსის რაგვარობით, მეორე მხრივ კი სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსის თავისებურებებით. როგორც ჩანს, სახელდების პროცესის შემეცნებითი ღირებულება არ ამოიწურება მხოლოდ უკვე შემეცნებული შინაარსისათვის მატერიალური დასაყრდენის მოძებნით. სახელდების პროცესში ხდება არა მხოლოდ ბგერათა კომპლექსისა და მნიშვნელობის დაკავშირება, არამედ გარკვეული აზრით ახალი სიტყვის მნიშვნელობის ჩამოყალიბებაც, მისი სახელის შესაფერისად ფორმირება.

სახელდების პროცესი არ სრულდება სახელის შერჩევით. სახელის შერჩევის შემდეგ გრძელდება სახელსადები შინაარსისა და ბგერათა კომპლექსის ურთიერთზემოქმედება. ამ ურთიერთზემოქმედების პროცესში ხდება ერთმანეთის შესატყვისი მხარეების წინა-

პლანზე წამოწევა, ხდება ბგერათა კომპლექსისა და სახელსადები შინაარსის ურთიერთმორგება. ურთიერთმორგების შედეგად მატულობს სახელსადები შინაარსისა და ბგერათა კომპლექსის შესატყვისობის ხარისხი და ალბათ მის საბოლოო შედეგს აზრდება წარმოადგენს.

მაგრამ ბგერათა კომპლექსისა და სახელსადები შინაარსის განცდათა ურთიერთზემოქმედება ყოველთვის მათი ურთიერთმორგებითა და ურთიერთშესატყვისობის მომატებით არ მთავრდება. ურთიერთზემოქმედების პროცესში შეიძლება თითოეულ მათგანში ისეთმა მხარეებმა წამოიწიონ წინ, რომ ადრე განცდილი შესატყვისობა შესუსტდეს და გაქრეს კიდევაც. ასეთ შემთხვევაში ადრე შერჩეული სახელი უარიყოფა და საჭირო ხდება ახალი სახელის შერჩევა. ეს გარემოება მხოლოდ ექსპერიმენტულ პირობებში წარმოებული სახელდებისათვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი, როგორც ევფემიზმისა და ტაბუს შემთხვევათა ანალიზი გვიჩვენებს, იგი არც ბუნებრივი ენის ლექსიკისათვის უნდა იყოს უცხო.

სახელსადები შინაარსის ზემოქმედება ბგერათა კომპლექსის განცდაზე, როგორც ვნახეთ, სხვადასხვაგვარი ხასიათისაა. ბგერათა კომპლექსის განცდა ცნობიერებაში აღმოცენების მომენტშივე უკვე ან ასიმილირებულია, ან კონტრასტულ ზემოქმედებას დაქვემდებარებული, ანდა სავსებით, ან თითქმის სავსებით არ ექვემდებარება სახელსადების ზემოქმედებას. ამიტომაა, რომ ცდისპირები იძულებას გრძნობენ სახელის შერჩევის პროცესში და განცდა აქვთ, თითქოს მათ არჩევანს მათი ნების გარეშე თვითონ ბგერათა კომპლექსები წარმართავენ. როგორც ჩანს, იმის გარკვევა, თუ ბგერათა კომპლექსის განცდა სახელსადები შინაარსის როგორ ზემოქმედებას დაექვემდებარება, ხდება ბგერათა კომპლექსის განცდის ცნობიერებაში აღმოცენებამდე.

ცდისპირები მიუთითებენ, რომ მათ მიერ ბგერათა კომპლექსები განიცდება გარკვეული „მნიშვნელობის", „გრამატიკული ფორმის", „სტრუქტურის" მქონედ. მიუთითებენ აგრეთვე ბგერათა კომპლექსით გამოწვეულ ასოციაციებზე, ემოციურ ტონზე, ბგერათა კომპლექსის ეღერადობაზე და სხვ. ასეთ შემთხვევებში ცდისპირები, ჩვეულებრივ, სახელდების საფუძვლად ასახელებენ რომელიმე მათგანის სახელსადებ შინაარსთან მსგავსებას, შესაფერისობას. მაგრამ, როგორც მასალების ანალიზმა გვიჩვენა, ბგერათა კომპლექსის აღნიშნულ თავისებურებათა მქონედ განცდა სახელსადები შინაარსის ზემოქმედების შედეგია, მეორადი წარმოშობისაა, არსებითად წარმო-

ადგენს სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსების ვარგისობის დასაბუთების ცდას, შემდგომი რაციონალიზაციის შედეგს და ამიტომ სახელდების საფუძვლად არც ერთი მათგანი არ შეიძლება ჩაითვალოს.

სახელდების საფუძველი ცნობიერების მიღმა რჩება, ცდისპირები ვერ ახერხებენ თავიანთი არჩევანის საფუძველი გააცნობიერონ.

ექსპერიმენტულ სიტუაციაში სიტყვაწარმოების ისეთივე გზებმა იჩინა თავი, როგორიც სპეციფიკურია ბუნებრივი სიტყვაწარმოებისათვის. ეს საფუძველს იძლევა დაშვებისათვის, რომ ექსპერიმენტულ სიტუაციაში ცდისპირები იდგნენ ბუნებრივი სახელდების ამოცანის წინაშე და რომ ექსპერიმენტულ პირობებშიაც სახელდება იმავე ფაქტორებით წარიმართება, რომლებიც სპეციფიკურია სახელდების ბუნებრივი პროცესისათვის. ეს გარემოება შესაძლებელს ხდის, ექსპერიმენტულ პირობებში გამოელენილი სახელდების პროცესის სპეციფიკურობანი მივიჩნიოთ დამახასიათებლად ბუნებრივი სახელდებისათვისაც. ამგვარი დაშვების მართებულობაზე მიუთითებს აგრეთვე მრავალრიცხოვანი ენობრივი ფაქტებიც, როგორიცაა მაგალითად: ყოველ ენაში გამოყენებული მრავალრიცხოვანი პიქტორალური საშუალებანი, სხვადასხვა კატეგორიის სიტყვების სხვადასხვაგვარი ბგერითი შედგენილობა, ტაბუსა და ევფემიზმის, სიტყვაწარმოების დროს ატიპიური ფონეტიკური ცვლილებების, სიტყვათა ფიზიოგნომიური განცდის შემთხვევათა ანალიზი და მრავალი სხვა, რაც საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ კანონზომიერი ხასიათი ბუნებრივი სახელდებისათვისაც სპეციფიკური უნდა იყოს, რომ ბუნებრივი ლექსიკა კანონზომიერი სახელდების გზით არის შედგენილი, რომ სიტყვათა პირველქმნადობა თანამედროვე ადამიანისათვის არ არის უცხო, რომ პირველქმნადობის ელემენტებისაგან სიტყვაწარმოების ჩვეულებრივი გზებით მიღებული ლექსიკაც არ არის თავისუფალი.

ამგვარი დასკვნის სისწორეზე მიუთითებს აგრეთვე უცნობი ენის სიტყვების გამოცნობის ექსპერიმენტებიც. თუკი უცნობი ენის სიტყვების გამოცნობა ატარებს კანონზომიერ ხასიათს, მაშინ კანონზომიერი უნდა ყოფილიყო მათი სახელდებაც. სახელისა და მნიშვნელობის შესატყვისობას, რის საფუძველზეც ცდისპირები უმრავლეს შემთხვევებში ახერხებენ უცნობი სიტყვებისათვის ეკვივალენტური მშობლიური ენის სიტყვების შერჩევას, ადგილი უნდა ჰქონოდა აგრეთვე ამ სიტყვათა სახელდების დროსაც.

ამ ექსპერიმენტებში გამოყენებული სიტყვაწყვილები არ მიეკუთვნება პიქტორალური სიტყვების კატეგორიას, ამიტომ მათი გამოცნობის და, მაშასადამე, სახელდების კანონზომიერი ხასიათი იმაზე მიუთითებს, რომ სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა, რაც პიქტორალური სიტყვების შემთხვევაში თვალსაჩინოა, არ უნდა იყოს უცხო აგრეთვე „არაპიქტორალური" ხასიათის ლექსიკისათვისაც. როგორც ჩანს, „პიქტორალური სიტყვები" პირობითი ტერმინია და სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის გავრცელების საზღვრების დადგენა, თუკი ასეთი საზღვრები საერთოდ არსებობს, პრაქტიკულად შეუძლებელია. ყველა ის სიტყვა, რომლებიც ექსპერიმენტებში გამოიყენებოდა და რომელთათვისაც მშობლიური ენის ეკვივალენტურ სიტყვათა შერჩევას წარმატებით ახერხებდნენ ცდისპირები, ძნელი წარმოსადგენია თავდაპირველი ლექსიკის შემადგენლობაში შედიოდეს და არ იყოს წარმოებული სხვა სიტყვებიდან. ყოველ შემთხვევაში, ძნელია იმის დამტკიცება, რომ ამ სიტყვათა ბგერითი მხარე და მნიშვნელობები სახელდების შემდეგ არ დაექვემდებარნენ ცვლილებებს, და თუ, ამის მიუხედავად, მათთვის ეკვივალენტური მშობლიური ენის სიტყვების შერჩევას ცდისპირები მაინც ახერხებდნენ და ეს შემთხვევითი კი არა, კანონზომიერი ხასიათისაა, ეს მოწმობს, რომ მიუხედავად იმისა, სიტყვა წარმოებულია თუ არა, მისი ბგერითი მხარე და მნიშვნელობა დაქვემდებარებულია თუ არა ცვლილებებს, სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის შენარჩუნება მაინც ხდება, ცვლილებების ხასიათის მიუხედავად სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის იგნორირებას ენობრივი კოლექტივი არასოდეს მიმართავს.

სინესთეზიის, ფონეტიკური სიმბოლიზმის, ენობრივი ჩვევის და სხვა ცნებათა საფუძველზე, რომლებსაც სხვადასხვა ავტორები იყენებენ სახელდების პროცესის მექანიზმის ასახსნელად, არ ხერხდება ექსპერიმენტებში და ენის ლექსიკაზე დაკვირვებით გამოვლენილი ფაქტების დამაკმაყოფილებელი ახსნა. იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც ექსპერიმენტულად არის მოპოვებული განწყობის ბუნებისა და მოქმედების შესახებ, გასაგები ხდება ყველა ის თავისებურება, რომელთა გამოვლინებაც შესაძლებელი გახდა ექსპერიმენტებითა და ლექსიკაზე დაკვირვების გზით. ანალოგიური კანონზომიერებანი დადასტურდა განწყობის საკვლევად გამოყენებულ ექსპერიმენტებშიაც. ეს საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ სახელ-

დების პროცესისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი განპირობებულია განწყობისა და მისი მოქმედების სპეციფიკურობით, რომ „... სიტყვასა და მნიშვნელობას განწყობა აშუალებს, მათ გაერთიანებას, მათ სინთეზს განწყობა უდევს საფუძვლად“ (დ. უზნაძე), განწყობა, რომელიც ერთი მხრივ განსაზღვრულია სახელსადები შინაარსისა და მეორე მხრივ კი სახელად შერჩეული ბგერათა კომპლექსის თავისებურებით. ამ ორმხრივი განსაზღვრულობის მქონე განწყობის საფუძველზე ხორციელდება არა მხოლოდ სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის დაკავშირება, არამედ მნიშვნელობის ფორმირებაც და სიტყვის, როგორც ენობრივი ერთეულის, შემდგომი ფუნქციონირებაც.

შინაარსი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. სახელდების პრობლემა მეტყველების (ენის) წარმოშობის თეორიებში

თ ა ვ ი მ ე ო რ ე. სახელდების პრობლემა ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორიაში

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. სახელდების პრობლემა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში

1. სახელდების ექსპერიმენტული კვლევა უაზრო სახელსადები მასალით
2. სახელდების პროცესის კვლევა აზრიანი სახელსადები მასალით

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. ბუნებრივი ენების ლექსიკის სახელდების კანონზომიერი ხასიათის საკითხისათვის

1. ენობრივი მასალები ბუნებრივი სახელდების კანონზომიერი ხასიათის შესახებ
2. ექსპერიმენტული მასალები ბუნებრივი ენის ლექსიკის სახელდების კანონზომიერი ხასიათის შესახებ

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე. სიტყვის ბგერითი მხარის გეშტალტური ბუნების საკითხისათვის

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე. სახელდების საფუძვლის საკითხისათვის

დ ა ს კ ვ ნ ა

რედაქტორი რ. ნათაძე
გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბეროზაშვილი
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ე. თოფჩიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IX-71
ქაღალდის ფორმატი 60×90/16
ნაბეჭდი თაბახი 16,75
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,99
შეკვეთა 452 უე 07453 ტირაჟი 1 000

ფასი 1 მან. 00 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.

სახელდების მეორენაირი გადაწყვეტა, რომლის მიხედვითაც სახელისა და მნიშვნელობის პირველდაკავშირება ნებისმიერია, პირობითია, საწყისს აგრეთვე ანტიკური საბერძნეთიდან იღებს. ჯერ კიდევ სოფისტი გერმოგენე ამტკიცებს, რომ ვაშლს შეიძლება ქლიავი ეწოდოს და ქლიავს — ვაშლი, თუკი ჩვენ ამაში შევთანხმდებითო. სკეპტიკოსები, აკრიტიკებდნენ რა სტოელების ბგერითი წაბაძვის თეორიას, მიუთითებდნენ, რომ სიტყვამ თავისი მნიშვნელობა ნებისმიერად, შემთხვევითად მიიღო, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ხალხს ერთმანეთისა უნდა ესმოდეს [1]. სხვა სიტყვებით, ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ინდივიდებს ერთმანეთისა არ ესმით, ე. ი. ერთი და იგივე შინაარსის აღსანიშნავად სხვადასხვა სახელებს იყენებენ, იმაზე მიუთითებდნენ, რომ კავშირი სახელსა და მნიშვნელობას შორის ნებისმიერია, შემთხვევითია. ეს თვალსაზრისი საკმარისი სისრულით წარმოდგენილია აგრეთვე პლატონის „კრატილში“.

ახალ დროში საკმაოდ იყო გავრცელებული სახელდების საკითხის ამგვარი გადაწყვეტა. სენ-სიმონი, თ. ჰობსი, ჯ. ლოკი და სხვები, ებრძოდნენ რა ენის ღვთაებრივი წარმოშობის ბიბლიურ მითს, ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ ურთიერთობის აუცილებლობამ აიძულა ადამიანები, გამოეგონებინათ ენა. ენა ადამიანმა შექმნა. ჯ. ლოკი თავისი ცნობილი თხზულების — Опыт о человеческом разуме — მესამე წიგნში წერდა: „ადამიანებს ჰქონდათ აზრთა დიდი მრავალფეროვანება. აზრები სასარგებლონი იყვნენ სხვებისათვის, მაგრამ არ შეეძლოთ მათი გამოხატვა. საჭირო გახდა ნიშნების გამოგონება იმისათვის, რომ ის ცნებები, რომლისაგანაც მათ გონებაში მათი აზრები შედგებოდა სხვის ცნობიერებაში გამოეწვიათ. ამისათვის საუკეთესო საშუალება იყო დანაწევრებული ბგერები. ამასთან არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს დავუშვათ რაიმე ბუნებრივი კავშირი დანაწევრებულ ბგერებსა და ცნობილ ცნებებს შორის იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ყველა ადამიანს ექნებოდა ერთი და იგივე ენა. სავსებით პირობითი შეთანხმება იყო მიზეზი იმისა, რომ ერთი ცნება გამოითქმის ამ ბგერებით და სხვა კი სხვა ბგერებით“ [2].

დაახლოებით ამავე აზრს ავითარებენ ჟ. რუსო, ე. კონდილიაკი, ე. მოპერტიუ, ჟ. კონდორსე და სხვები — ენის წარმოშობა ხელშეკრულების გზით მოხდა, წინასწარი მოფიქრებისა და შეთანხმების

---

[1] В. Томсен, История языкознания до конца XIX века, 1938 г., стр. 18.
[2] об. М. Мюллер, Наука о языке, 1868 г., стр. 70.

მოგვეტანა, მაგრამ ეს მაგალითები მხოლოდ ანალოგიის შესაძლებლობას იძლეოდა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად შესაძლებელია ისეთი არგუმენტების მოტანაც, რომლებიც უფრო მჭიდრო კავშირშია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის საკითხთან.

არავისთვის სადავოს არ წარმოადგენს, რომ ყოველ ენაში არსებობს ე. წ. ონომატოპოეტური სიტყვები (აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მხოლოდ ის, თუ როგორი ხვედრითი წონით არიან ისინი წარმოდგენილნი ამა თუ იმ ენაში). ონომატოპოეტური სიტყვები სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა, ასეთი სიტყვების მიმართ „ენობრივი აპერცეფცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, განსხვავებულია"[1]. და ამის მიუხედავად მათი ონომატოპოეტური ხასიათი, ე. ი. სახელის აღსანიშნით მოტივირებული ხასიათი, როგორც წესი, დავას არ იწვევს. ასე მაგალითად, რუსული სიტყვა — „журчать" და ქართული „რაკრაკი", „ჩუხჩუხი", „ჩქრიალი" სხვადასხვა ბგერითი შედგენილობისაა, აღნიშნავენ სინამდვილის ერთსა და იმავე ფაქტს, მაგრამ რუსული ენის წარმომადგენლებისათვის „журчать"-ის ხმაბაძვითი ხასიათი დავას არ იწვევს, ისევე როგორც ქართველისათვის სადავოს არ წარმოადგენს სიტყვების—„რაკრაკი", „ჩუხჩუხი", „ჩქრიალი"-ს ამ სახელით აღნიშნული შინაარსის სპეციფიკით გაპირობებულობა. მსგავსი მაგალითები უამრავი შეიძლება იქნეს მოტანილი თქმულის საილუსტრაციოდ. ამრიგად სხვადასხვა ენაში სინამდვილის ერთი და იგივე ფაქტი სხვადასხვა ბგერათა კომპლექსით აღინიშნება და ამავე დროს თითოეული ეს სახელი აღსანიშნის სპეციფიკით არის განპირობებული, ე. ი. არ არის ნებისმიერი, არ არის არამოტივირებული. მაშასადამე, მრავალენიანობის ფაქტიდან აუცილებლობით არ გამომდინარეობს დასკვნა სახელისა და მნიშვნელობის აღსანიშნისა და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობის, არამოტივირების შესახებ.

5. როდესაც აღსანიშნის და აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობაზე მსჯელობენ, ჩვეულებრივ მიუთითებენ, რომ „ნიშნის ნებისმიერობის ძირითადი პრინციპი ხელს არ გვიშლის, ყოველ ენაში განვასხვავოთ ის, რაც საფუძველშივე ნებისმიერია, ე. ი. უმოტივაციოა, იმისაგან, რაც მხოლოდ შედარებითაა ნებისმიერი. ნიშანთა მხოლოდ ნაწილია აბსოლუტურად ნებისმიერი: სხვებს კი ისეთი ნიშნები გააჩნიათ, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მივაკუთვნოთ

[1] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, ძირითადი პრობლემები, 1945, გვ. 159.

ბათა საერთოობას (ატრიბუტული საფუძველი) და ასოციაციებს. ასოციაციური საფუძვლების დასახელების შემთხვევები უმნიშვნელო ოდენობისა აღმოჩნდა — 5% და 9 წლის ასაკამდე არ გამოვლენილა. ატრიბუტულ საფუძვლებს თავიანთი არჩევანის საფუძვლად 72% შემთხვევაში ასახელებდნენ და იგი უკვე 5 წლის ასაკიდან შეინიშნებოდა. ასევე, 5 წლის ასაკიდან იჩინა თავი ზოგადი შთაბეჭდილებით მოტივირებულმა არჩევანმა. ასეთი შემთხვევები შეადგენდა 23%-ს. ამრიგად, ატრიბუტული და ზოგადი შთაბეჭდილებით მოტივირებული არჩევანი ყველა შემთხვევების 95%-ს შეადგენს, ასოციაციური კი უმნიშვნელო რაოდენობისაა (5%). ეს შედეგები ეწინააღმდეგება ჩ. ფოქსის მტკიცებას, რომ ასოციაციური ფაქტორი თანაბარფასოვანია ისეთი ფაქტორებისა, როგორიცაა ატრიბუტული და ზოგადი შთაბეჭდილება და ადასტურებს დ. უზნაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ასოციაციური ფაქტორი უმნიშვნელო ღირებულებისაა.

4. ფ. ირვინი და ე. ნიულენდი ეთანხმებიან ჩ. ფოქსის მოსაზრებას და მიუთითებენ, რომ მართლაც და სარისკოა ვირწმუნოთ ცდისპირთა მტკიცებები მათი არჩევანის მოტივებისა და საფუძვლების შესახებ, მაგრამ ეს მაინც არ იძლევა საფუძველს ისეთი პესიმისტური დასკვნებისათვის, როგორსაც ფოქსი აკეთებს. ცდისპირთა პასუხები ძალიან ხშირად დაფუძნებულია სახელებისა და ფიგურების საერთო პერცეპტულ თვისებებზე. ასეთ შემთხვევებში საფუძველი არა გვაქვს ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ცდისპირთა მითითებანი არჩევანის საფუძვლის შესახებ. ამ გარემოებას არც ჩ. ფოქსი უარყოფს, მაგრამ, მისი აზრით, მათ იმდენად უმნიშვნელო რაოდენობით ვხვდებით, რომ ანგარიშგასაწევი არ არის. ირვინისა და ნიულენდის მონაცემების შიხედვით კი ასეთი შემთხვევები საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი და არ შეიძლება მას ანგარიში არ გაეწიოს.

ზემოთ დასახელებულ ექსპერიმენტებში იმ მიზნით, რომ არჩევანის პროცესში გამორიცხული ყოფილიყო უკვე სახელის მქონე შინაარსების მონაწილეობა, ცდის მასალად გამოყენებული იყო უაზრო ბგერათა კომპლექსები და უაზრო ნახაზები. ამის მიუხედავად, როგორც ვნახეთ, ასოციაციებმა თავი იჩინა, მართალია, ზოგში მეტად ზოგში ნაკლებად, მაგრამ მაინც ყველა ექსპერიმენტში. ამის მიუხედავად, ავტორთა დიდი უმრავლესობა თვლის, რომ შეუძლებელია ასოციაციები ცდისპირთა არჩევანის რეალურ საფუძვლად